

მეცნე

ენისა და
ლიტერატურის
სერია

3.1973

ქართვლოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



МАЩНЕ

ВЕСТНИК



Серия
языка и
литературы

3.1973

მეცნე



ენისა და
ლიტერატურის
სერია

3.1973

ეურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Бирамидзе А. Г. (редактор),
Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რ ე დ ა კ ტ ი ო ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.VII.73; შეკვ. 1431; ანაწილების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×10⁸/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 17.50; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15,69; უე 01099; ტირაჟი 1600.
ფასი 1 ჰან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

*

საქ. სსრ შეეც. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

პ. კეკელიძე, სიტყვა, წარმოქმნილი საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50-ე და სამწერლო მოღვაწეობის 35-ე წლისთავზე 1343 წ. 29.XI	7
ნ. ალანია, ახალი საქართველოს პოეტური ხმა	9
ი. კინკრაძე, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გენეზისისათვის	23
რ. კუსრაძე, ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან	39
მ. კუპუხიძე, ბაირონი XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში	56
მ. გუგუშვილი, შენიშვნები თეიმურაზ I-ის თხზულებათა ტექსტზე .	64
რ. ფირცხალაძე, ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ეპიკონის ირგვლივ	70
ი. კალაძე, „ეისრამიანის“ მთარგმნელობითი მეთოდის ერთი ასპექტის გამო .	89
რ. მირიანაშვილი, რუსული „პროლოგ-სეინაქსარის“ ქართული თარგმანი	99
ნ. წაქაძე, „ნისიმეს ცხოვრების“ არაბული და ქართული ევრსიები	108
ც. კახაბრიშვილი, „ემანის“ ქართულად თარგმნის ისტორიიდან	122
ბ. ხორნაშული, -ურ სუფიჯის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმთა მიხედვით .	130
ნ. ჯიქია, ფრაზეოლოგიური ერთეულების ეარიაციაები შათი იგუეობის შენარჩუნებისას	137
ნ. ტყეშელაშვილი, პირობით წინადადებათა ხაყოფიერება ასპექტი	143

ცნობები და შენიშვნები

ნ. ღოლიძე, ღუტუ მერაღის თარგმანები	158
------------------------------------	-----

აუბლიკაცია

ქ. ბარბიტი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში	170
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. სახარაძე, სპარსულ-რუსული ლექსიკონი ი. რუბინიჩის რედაქციით .	183
--	-----

პროზა და ინფორმაცია

მ. შარაძე, გამოჩენილ მეცნიერს მიძღვნილი	186
ლ. თაყაიშვილი, ლიტერატურული კრიტიკა ლიტერატურის ინსტიტუტში	187
წ. ბარდაშვილი, კონფერენციის თემა „ფოლკლორის თეორიის პრობლემები“	186
ბ. წერეთელი, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ხსოვნას	192

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

К. КЕКЕЛИДЗЕ, Слово, произнесенное к 50-летию со дня рождения и 35-летию писательской деятельности народного поэта Грузии Галактиона Табидзе 29.XI. 1943 г.	7
Н. АЛАНИА, Поэтический голос новой Грузии	9
И. КЕНЧОШВИЛИ, О генезисе поэзии Галактиона Табидзе	23
Р. КУСРАШВИЛИ, Из творческой лаборатории И. Гришашвили	39
М. КУЧУХИДЗЕ, Байрон в грузинской литературе XIX века	56
М. ГУГУШВИЛИ, Замечания к тексту сочинений Теймураза I	64
Р. ПИРЦХАЛАИШВИЛИ, Вокруг артануджского варианта поэмы «Вепхисткаосани»,	70
И. КАЛАДЗЕ, Об одном аспекте переводческого метода «Висрамнани»	89
Р. МИРИАНАШВИЛИ, Арчиловский перевод русского «Пролога-Синаксария»	99
Н. ЦАКАДЗЕ, Грузинская и арабские персии «Жития святой Нисимы»	108
Ц. КАХАБРИШВИЛИ, Из истории перевода грузинского «Часослова»	122
Г. ХОРНАУЛИ, О функции суффикса -ჭბ- -იგ по триулетским топонимическим материалам	130
И. ДЖИКИЯ, Вариации фразеологических единиц при сохранении их тождества	137
И. ЦКИТИШВИЛИ, Коммуникативный аспект условных предложений	143

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. ДОЛИДЗЕ, Переводы Дуту Мегрели	158
-----------------------------------	-----

ПУБЛИКАЦИЯ

Ж. ГАРИТ, Грузинские листки коллекции Мингана в Selly Oak	170
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Т. ЦАГАРЕИШВИЛИ, Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика	183
--	-----

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Т. ШАРАДЗЕНИДЗЕ, Посвящается выдающемуся ученому	186
Д. ТЕВЗАДЗЕ, Литературная критика в Институте литературы	187
ДЖ. БАРДАВЕЛИДЗЕ, Тема конференции «Проблема теории фольклора»	183
Г. ЦЕРЕТЕЛИ, Памяти академика Г. С. Ахвледиани	192

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავი

კორნელი კეკელიძე

ს ი ტ მ ვ ა

წარმოქმული საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50-ე და სამწერლო მოღვაწეობის 85-ე წლისთავზე 1948 წ. 20.XI წ. ფაღიაშვილის სახელობის ლენინის ორდენისანი ოპერისა და ბალეტის თეატრში¹.

ჩვენ. საყვარელო და სასახელო მგოსანო გალაკტიონ!

ნება მიბოძეთ დღევანდელ ზეიმს, რომელიც არის ნამდვილი დღესასწაული ქართველი ერისა და სახელოვანი ტრადიციის მატარებელი ქართული პოეზიისა, შევეუერთო ჩემი სუსტი ხმაც და მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელით მხურვალედ მივესალმო თქვენს 35 წლის ინტენსიურსა და ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას პოეტური პარნასის მწვერვალზე.

ოცდათხუთმეტი წელი ისტორიისათვის არც ისე დიდი დროა, მაგრამ ეკრძო ადამიანისათვის შეიძლება ცხოვრების ნახევარი გზაც იყოს. 35 წლის განმავლობაში ცეცხლივით გიზგიზებდეთ პოეტური ზეშთაგონების სამსხვერპლოზე და მოძმე ადამიანს გზას უნათებდეთ, ეს უბრალო საქმე არაა. ეს ნამდვილი ღვაწლია! მე დღეს მოვედი თქვენთან ლიტერატურის ისტორიის სახელით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უკვე ისტორიის საგანი გახდით და მის სალაროს ჩაბარდით. არა! — დღეს თქვენ უშუალო ჰერეტიკისა და ხედვის საგანი ხართ, თუმცა, საბედნიეროდ, მომავალს ისტორიკოსსაც არ ექნება თავსამტერვეად გარკვევა იმისა, თუ ვინ იყო გალაკტიონი, ვინ იყო საგანი მისი პოეზიისა, რას უმღეროდა ის და როგორ უმღეროდა. თქვენი ლამაზი, ტკბილი, დახვეწილი, გულში ჩამწვდომი, წყაროსავით მოჩუხჩუხე და აღმაფრთოვანებელი ლექსი ყველას ნათლად ეუბნება, რომ გალაკტიონი არის პოეტი სიმართლისა და ჰუმანიტეტისა, მგოსანი ადამიანისადმი გულწრფელი სიყვარულისა, მომღერალი და საყვარელი სამშობლოს აყვავებისა და წინსვლისა.

ქართულს მხატვრულ სიტყვას 16-საუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს. ამ წლის განმავლობაში მისი გზა არ ყოფილა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი, მას ჰქონდა პერიოდები დაცემისა და უკან დახვევისაც, მაგრამ, რა დაბრკოლება არ უნდა შეხვედროდათ გზაზე, ამ სიტყვის ოსტატებს ერთხელაც არ უღალატნიათ და ძირს არ დაუხრიათ ის წმიდა დროშა, რომელზედაც ოქროს ასოებით იყო ამოქსოვილი სიტყვა „სამშობლო“. ეს დროშა თაობიდან თაობამდე გადადიოდა. ცურტაველ-საბანიძე-მერჩულიდან, არაბთა მიერ დანთხეული

¹ ავტორგრაფი დაეკლავ ვ. ტაბიძის არქივში (იხ. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელ. № 24552—151). რედაქციას მოაწვია სოლ. ყუბანეიშვილმა.

ქართველთა სისხლში ამოვლებული, ის გადაეცა დიდ რუსთაველს, რუსთაველის ეპოქიდან, მონღოლთა, სპარსთა და ოსმალთა მიერ დანთებულ ცეცხლში გვრუჯული, ის გადაეცემა გულმოწყულ გურამიშვილისა და მისი ეპოქის პოეტებს, ამათგან, მეფის უღმობელი ცენზურის მიერ შეკრეპილი, დასერილი და შეკვეცილი, ის გადადის მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების ხელში. ხოლო მათგან, მამულისათვის დაღვრილ ცრემლებში დასველებული, ის გადმოგვცათ თქვენ, ჩვენი დროის საბჭოთა სამშობლოს მომღერალო მგოსნებო. პირველ რიგში კი შენ, ჩვენო გალაკტიონ, როგორც უხუცესს, რომელმაც პირველმა უმღერე ცეცხლისებრი ლექსები ლენინგრადში დანთებულს, განმანთავისუფლებელი რევოლუციის ცეცხლს. ამ დროიდან შენ შეიქმენი ნამდვილი „ბაიანი“ სოციალისტური სამშობლოსი, მისი წინსვლა, აყვავება და გაფურჩქვნა შენში იწვევდა უსაზღვრო სიხარულს. ხოლო უკანასკნელს წლებში, ვერაგი ფაშისტ-მხეცების მუხანათური თავდასხმის გამო, მისი აღმშენებლობითი ზეიმის შენელება და შესუსტება შენს გულში აღაგზნებდა და აღაგზნებს მტრისადმი ზიზღს, გულისწყრომას და მათი საბოლოო და საჩქარო მოსპობას სურვილს. ერთი სიტყვით, მოყვარული შვილი სასიყვარულო ჰანგებს უმღერის სამშობლო მხარეს. უკანასკნელიც საყვარელ შვილად აღიარებს მას და სახალხო პოეტის სახელით დააჯილდოებს. იცი, გალაკტიონ, რა დიდი ჯილდოა ეს ჯილდო? უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხდებით მოწმენი ახალი სამშობლოს შენდამი განსაკუთრებული ყურადღების ახალი აქტისა.

მე ხელში ჩამივარდა უკანასკნელი ნომერი (7) ქურნალი „მნათობისა“. რომლის პირველ გვერდებს ამშვენებს შენი მომხიბვლელი ლექსები. ამ ლექსებს აწერია არა „გალაკტიონ ტაბიძე“, როგორც ამას შეჩვეული ვიყავით, არამედ უბრალოდ და მარტივად „გალაკტიონი“. ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან შენ შედიხარ ჩვენი პოეზიის სასახლეში არა როგორც „გალაკტიონ ტაბიძე“, არამედ როგორც „გალაკტიონი“. იცი, რა სათუთ გრძნობას გამოსთქვამს შენდამი ამით და როგორ გაფასებს ამ აქტით სამშობლო? ვის იხსენიებს მშობლიური პოეზია ასე მარტივად? მხოლოდ სახელით? ყველაზე უფრო ცნობილს და საყვარელ თავის წარმომადგენლებს. მართლაც, მოიგონეთ: შოთა, ბესიცი. აკაკი, ილია, ვაჟა. ამიერიდან შენ უერთდები ამ საყვარელ და სასიქადულო სახელებს! დიდია და გასაფრთხილებელი ეს ჯილდო!

შენი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ჯერ კიდევ დიდი და გრძელია. ყველას ჩვენ, დღეს აქ მოზღვავებულ საზოგადოებას, გვინდა, რომ ის ასეთი იყოს. იარე მედგრად, შეუფერხებლად და ნაყოფიერად ამ გზაზე. გახსოვდეს სამი რამ: სამშობლო, ადამიანი და პოეზია!

გაუმარჯოს სახელოვანს ქართულ პოეზიას და, დღეს უკვე გამარჯვებულს მის წარმომადგენელს, ჩვენს ძვირფას გალაკტიონს!

გაუმარჯოს ჩვენს ჰალარამოსილს. მაგრამ სულით ახალგაზრდა სამშობლოს!

ნოღარ ალანია

ახალი სამართველოს პოეტური ხმა

იქნება ჩუნიოს, იქნება ჩუნსო,
 იქნება ჩუნთან მარად და მარა,
 ჩუნი ფიქრების სიღიადგეო
 ჩუნი სიზმრების ღურჯ ნაქელოა!

„მე არ ვცდილობ ლექსთწყობის კანონების აღმოჩენას... ჩემი მუშაობა საესებით შემოქმედების სფეროს ეხება... როგორც პოეტი და მოქალაქე, მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები ხალხსა და რევოლუციას“, — ასე მოკრძალებით ჩაუწერია თავის დღიურში ჩუნი საუკუნის სწორუპოვარ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელმაც უპირველესმა შეძლო ქართული ლექსისთვის ახალი ეპოქის შესაფერისი ხმა და ინტონაცია მიენიჭებინა და თანამედროვე ადამიანის სულის სიღრმეებს ჩასწვდენოდა.

„ეინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებსო“. — აცხადებდა პოეტი და მართლაც მისი ლექსები ჩუქურთმასავეთ მრავალმხრივად ძნელი ამოსახსნელია, ყოველ ახლად წაკითხვისას რაღაც მანამდის შეუმჩნეველსა თუ უხილავს აღმოაჩენ.

ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელმა ვრცელი და ღრმად შინაარსიანი გზა განვლო. ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ქართველ ხალხს თავისი დიდებული ჩანგით. მან „გამოვლო ჯერ არსმენილი ქართველიები ცეცხლთა ფენისა“, რომ თავის საყვარელ სამშობლოში დაემკვიდრებინა მხნე და ძლიერი „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“! მისი შემოქმედება ლოგიკურად ამოიზარდა ჩუნი დიდი კლასიკური მწერლობის ნოყიერ ფესვებზე, ახალ სიმაღლეზე აზიდა მისი მიღწევები და ახალი ელვარება მიანიჭა ქართულ ლექსს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თითქმის არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში ისე თვალნათლივ და ხელშესახებად არ ჩანს ტრადიციისა და ნოვატორობის შერწყმა-კავშირი, როგორც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. მის მდიდარ შემოქმედებაში ადვილს პოულობს არა მარტო ქართული, არამედ რუსული და ევროპული მწერლობის საუკეთესო ტრადიციები. აქ ბევრ თანხვედრასა თუ საერთოს იპოვით ისეთს, რაც დამახასიათებელი შეიძლება იყოს სხვა პოეტისთვისაც, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მისი პოეტური სიმი, მისი სიმღერის ხმა, მისი ლირიკული ინტონაციები, განწყობილებების წარმოსახვა, სხვადასხვა საგნისა და მოვლენის განცდა-გააზრების ან მათი პოეტური უკუფენის მანერა ყოველთვის განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და თავისებურია.

გალაკტიონ ტაბიძემ ორი დიდი ერთმანეთთან დიამეტრალურად საწინააღმდეგო ეპოქის მანძილზე გაშალა თავისი დაუოკებელი შემოქმედებითი ენერჯია და, რასაკვირველია, ორივე ამ ეპოქამ თავისებური გავლენა მოახდინა პოეტის სულიერ განწყობილებებზე, მის შემოქმედებით კვრეტასა და პოე-

ტურ ხელოვნებაზე. როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს გავლენა, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავისი უღრმესი ფესვებით ხალხის განწყობილებებში ეშვებოდა და მას გამოსახავდა. მას „სევდისა და მწუხარების“ მგოსანს უწოდებდნენ და ეს სევდა-მწუხარება ნასაზრდოები იყო არსებული „ცივ და მიუსაფარი მღუმარების“, როცა ეძინათ „ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიშკრებს“, როცა სამშობლოს ცას „შავი ბურუსი“ ჰფარავდა. პოეტის ტკივილი არ იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი, ინდივიდის, პირადის ტკივილი. ეს იყო კოშმარი მასის, მშობლიური ხალხის. კარგად აღნიშნავდა დავით კლდიაშვილი, როცა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ერთ პატარა წერილში: „შეგნება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიისა“ წერდა: „... მისი აღლევება, მისი სულის მოძრაობა მხოლოდ მგოსნისა კი არ იყო. არამედ ათასი მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანების. ბედმა მას დააქისრა ყოფილიყო გამომსახველი, გამომტკმელი იმ ადამიანების სულის კვეთების, რომელთა შორის იგი იყო; და ადამიანებმა შეიყვარეს მათი სულიერი ცხოვრების გამომსახველი და მუდამ სიყვარულით შემოსილს იყოლიებს. ეს ბუნების ჭილღოა. ცოტას ხვდება ასეთი ბედნიერება; და ამათ შორის ჩვენ საყვარელ გალაკტიონ ტაბიძეს, ქართული ლირიული პოეზიის შექნებას და სიამაყეს.

ღიახ, გალაკტიონის განცდანი მარტო მას კი არ ეკუთვნის, — იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი“¹.

გალაკტიონ ტაბიძე ეს უაღრესად ინდივიდუალური განცდების, ნერვებისა და გრძნობების მგოსანი შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე გახდა მოწამე „ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დუძღურების და წარუშლელი მწუხარების“, მოწამე გახდა „ცეცხლისა და განადგურების“. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა მგრძნობიარე პოეტზე თავისი დაღი არ დაეჩნია და იგი ამბობდა:

ღი.ი მიზანი, ბრძოლა იყო ახალ დღეების.

არ დავკემულვარ, მაგრამ ვესლით შე მოიშხამე.

არ ნაყოფი ქარიშხლიან სიცოცხლის ვნებებს...

პოეტის შემოქმედებაში თავისებურად გადატყდა და აისახა ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები. ამ დროს პოეტს ყოველთვის როდი ეპირა მებრძოლი, რევოლუციის პოეტის პოზიცია და ეს გასაკვირიც არაა. მისთვის, როგორც საერთოდ იმ პერიოდის ინტელიგენციისათვის, უცხო როდი იყო მერყეობა და შინაგანი წინააღმდეგობანი. ესაა მიზეზი, რომ მის პოეზიაში ერთდროულად ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილებანი და თემები გვხვდებიან.

ცნობილი ფაქტია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი, მიძღვნილი მშრომელთა სოლიდარობის დღესასწაულის პირველი მაისისადმი. რევოლუციური ახალგაზრდობის არალეგალურ კრებაზე წაიკითხა. მასში მთელი სისავესით გამოჩნდა პოეტის ოპტიმისტური დამოკიდებულება რევოლუციისა და ხალხის მომავლისადმი. მწარე სინამდვილის შემადრწუნებელ სურათს ენაცვლება მომავლის დიადი რწმენა და იმედი:

შეფეს კი, შეფეს კი —

ქარით და გრივლით,

თითქოს არავისა

და არარისი —

¹ გალაკტიონი, სალიტერატურო ბიულეტენი, 1927.

ციხეში: ბორკილში,
შიშშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალაპი იმ დღეებს,
სალაპი იმ ბრძოლებს.
იმ ნათელ გაწვევას,
იმ პირველ მაისებს!

პოეტის უმთავრესი ნატვრაა სულის შემხუთველი ბორკილების მსხვერვა
და სანუეკარი მიზნის მიღწევა:

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლეწავ.
საქართველოს მორღებულს ზეცავ...
ნეტავ მალე აღმობრწყინდეს მნათი,
მალე სხივი მოეფინოს ნეტავ!
წინ მიიწეე და ხმაურობ, გლვიძავს.
საქართველოს სედიანო მიწავ.
ნეტავ მალე დაამსხვერველ ბორკილს,
ნეტავ მალე მიაღწედე მიზანს!..
(„ნეტავ მალე მიაღწედე“)

პოეტის სული ქარიშხალს ეძებს და თავისუფლების ახალ ტალღას ქუხი-
ლისაკენ მოუწოდებს:

სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს,
მუდმივ დუმბილში ეერ თავსდება ტანჯული გრძნობა
და ამ სიმღერას, გულში აღძრულს, ზღვას შელადიდებს:

შენს მოლოდინში
გულს ნუ გვიდაგავ,
დაჰქარ, დაჰქუხე,
ახალ ტალღავ!

(„ახალი ტალღა“)

რეაქტიის სულისშემხუთველი ატმოსფეროს მიუხედავად, პოეტისათვის იშვიათი როდია შინაგანი რწმენით გამთბარი სტრიქონები, ძიება ახალი გზისა, იმედი ნათელი მომავლისა. არაა მართალი, თითქოს პირველი რევოლუციის და-ზარტებამ და სუსხიანმა რეაქციამ რწმენა მოუსპო პოეტს და იგი მხოლოდ სევდის, ცრემლის, მწუხარებისა და ირრეალურ სამყაროსაკენ მიმსწრაფველ მგონსად იქცა მანამ, სანამ უშუალოდ არ ეზიარა თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციას. როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონი მეტად ნაზი განცდისა და რთული შინაგანი წინააღმდეგობების პოეტია, მაგრამ იგი სრულ უიმედობაა და უსასობას როდი ეძლევა. 1908—1910 და შემდეგი წლების ლექსებში იშ-ვიათი როდია ცხოვრებისაგან განდგომისა და სასოწარკვეთილი მოთქმის საწი-ნააღმდეგო, სინათლისა და ბრძოლისაკენ მომწოდებელი სტრიქონები გამსჭვალული იმის შეგნებით, რომ „ყველაფერი როდი დავკარგეთ“. ამის ნათელი დასტურია 1910 წელს დაწერილი ლექსი „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, სადაც პოეტი, როგორც ტრიბუნი, აცხადებს:

უსასოობა, სიკვდილი
 ნადგურდება და იხრწნება,
 სადაც კი შენი დიადი
 ბორბალი ამობრწყინდება.
 შორს ჩვენგან, ღამის წყვილიაო,
 შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო!
 თვალის ამხეველ შექმნილო
 და ბორკილებად ქცეულო!
 ჩვენ მზე გესურს... ხალხო, შეერთდით —
 ზევით ასწიეთ მზე, ზევით!
 მის აღღვამასთან მნათობის
 სხივებად გადაიქცეით!

ეს ხმა და განწყობა თანდათან ძლიერდება. რაც უფრო მეტად იხრდება რევოლუციური მასების აღმავლობა და სულ უფრო და უფრო ნათლად ისახება მომავალი. ამის დასტურია ნასაკირალთან მომხდარი ჯანყის პოეტური განცდა შემმართველ მოწოდებად გადაზრდილი:

არა დათმობის
 გზა საზიზღარი,
 არა დანღობა
 და შერიგება,
 არამედ ბრძოლის
 გვინდა ცისკარი,
 გეწყურია შებმა
 და შურისგება!
 უნდა გაირღვეს
 ეს გარემოცვა...
 ძირს შეფეხი,
 ყვენი, ფაშა!
 მიმავალს წასულად
 გზათა ღალოცვა,
 მომავალს ჩვენი
 მხურვალე ფაშა!

(„ნასაკირალთან“)

ასეთი განწყობილებების გვერდით ამ დროს ძალიან ხშირად გვხვდება აგრეთვე სევდა-მწუხარების განწყობილებანი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ლირიკული გმირი თითქმის ყოველთვის ატარებს თავისში პირადულს, გადატანილსა და მტანჯველურად განცდილს. ამ დროს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების განწყობილებას განსაზღვრავს პოეტის შინაგანი სულიერი ტკივილი და წამება. მისთვის ირგვლივ „მეფობს სიკვდილი — კვნების მსურველი“. ასეთ პირობებში მისთვის გაურკვეველია ცხოვრების გზა. მას გამოსავალი ვერ უპოვია და გოდებს:

ვიტყუი, რომ ყველა მომზრდა ქვეყნად,
 რომ დაიღალე მე ამ კუბოში...

რომანტიკული შეგრძნება იმისა, რომ, სადაც ცხოვრობს იმ სამყაროში, შეუძლებელია კემპარიტი ბედნიერების პოვნა, რომ ეს ბედნიერება გაურბის და ემალება პოეტს, — ხდება ერთ მთავარ თემად მის პოეტურ შემოქმედებაში. ასეთ დროს გალაკტიონ ტაბიძე მის გარე სამყაროში თუ განცდებსა და ფიქრებში ეძებს ისეთ რაიმეს. რაც მის შინაგან მღელვარებას, სულის ცახცახსა

და „საიდუმლოდ ნაგრძობა-ნაფიქრს“ ფერებსა და სახეებში, მუსიკალურ რიტმში ძალდაუტანებლად ჩაამწყვდევს. ვასილ ბარნოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პაეროვანი ციაგი ნაზთა გრძობათა. განცდათ წალკოტი პირდაპირად ყვავილით საესე. მგრძობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი... მთელი ლაშქარი საარაკო სახეებისა. უღვეელი სხვადასხვაობა. მიწიქებიათ ლექსებში მათ სიცოცხლის ძალა... საოცნებო სახეთ სიუხვე წვრილ ლექსებში ველარ ეტევა...“²

საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ გალაკტიონ ტაბიძის მთელს პოეზიაში ჩვენ თითქმის ვერასოდეს ვერ ვპოულობთ გინდ მატერიალურ-ფიზიკურ, გინდ სულიერ-ფსიქიკურ ასახვას რაიმე მოვლენის ან ფაქტისა. ფაქტს ან მოვლენას პოეტისათვის თავისთავად გადაწყვეტი მნიშვნელობა როდი აქვს, არამედ უმთავრესი და უპირველესი ისაა, თუ რა ემოციური გამომსახველობა ენიჭება მას, რამდენად შეერწყმის მასში იდეური და ესთეტიკური განცდა-განწყობილება. რომელიც თითქმის სრულიად „ფარავს“ ფაქტს. ასეთ დროს ლექსში მთავარ ადგილს იკავებს სიტყვასა და სიტყვას, თუ სტრიქონსა და სტრიქონს შორის მომწყვდეული „უთქმელი“ ისეთი ქვეტექსტი, რომელსაც თითქოს ხელშესახებდალ გრძობ და ამავე დროს მისი სიტყვით გადმოცემა არ ხერხდება, ამ ლექსების „შინაარსის მოყოლა“, მათი პროზის ენაზე ამეტყველება შეუძლებელია. საოცარი მუსიკალობა. ლექსის არქიტექტურული ფორმის სიმდიდრე, ცვალებადი სტროფიკა და რიტმი, უარყოფა მონოტონური ერთსახეობისა უდიდეს ღირსებას ანიჭებს გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკას.

გალაკტიონ ტაბიძე თავისი პოეტური განცდისა თუ განწყობილების გადმოცემისას მატერიალურ, ხელშესახებ საგნებს წარმოდგენებად გარდაქმნის, აცლის მას საგნობრიობას, კონკრეტულ მნიშვნელობას და ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ მკითხველი არც გრძნობს ამ საგნებს თავისთავად, იგი ვერ ხედავს მას და პოეტის მიერ „შემოთავაზებულ“ ფართო შინაარსში კონკრეტული საგნის ნაცვლად საკუთარ წარმოსახვას აძლევს გასაქანს. როცა სიმბოლო გასაგნებელია ან პირუჟუ, მას ალეგორიული ნიუანსი აფერადებს, სრულ გასაქანს აძლევს მკითხველის ფანტაზიას და ამასთან მკაფიოდ აგრძნობინებს პოეტის ხელოვნების მომხიბვლელ საიდუმლოებას. გალაკტიონის პოეზიაში ფერწერას მუსიკა ჭაბნის. მაგრამ მასში სწორედ ეს უკანასკნელი ყველაზე კარგად გადმოსცემს ძირითად განწყობილებასა და მის ემოციურ შინაარსს. ძალზე ძნელია ისეთი ლირიკოსი პოეტის. როგორც გალაკტიონ ტაბიძეა, შემოქმედებითი ინდივიდუალობის ყველა თავისებურებაში ჩაწედომა, მაგრამ ერთი კი ცხადია, იშვიათად თუ მოიპოვება ხმათმიმბაძველობის, ხმათწერის, სიტყვის შინაგანი აზრისა და მუსიკის პოეტურად მნიშვნელოვანი გამოყენების ისეთი ნიმუში, როცა პოეტური სიტყვის ხმოვანება ისე განუყოფლად უკავშირდება მთელი ნაწარმოების საერთო ჩანაფიქრს, როგორც ეს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გვხვდება. ამის საილუსტრაციოდ თითქმის მთელი მისი პოეზია გამოდგება, ჩვენ კი ორ პატარა ლექსს დავჭერდეთ:

ათოვლა ზამთრის ბაღებს.
მიქონდათ შავი კუბო,
და შლიდა ბაიბაღებს
თმაგაწეწილ ქარი.
გზა იყო უდაბური.
უსახო, უპირქუბო.

² გალაკტიონი. სალიტერატურო ბულეტენი. 1927.

მიქონდათ კიდევ კუბო...
 ყორნების საუბარი:
 დარეკე! დაუბარე!
 ათოვდა ზამთრის ბალებს.

ან კიდევ:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
 ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...
 ხეთა რიგს, ხეთა ჟარს რკალად ხრის,
 სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...
 როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
 ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
 შენი მე სახება დამდევს თან
 ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!
 შორი ცა ნისლიან ფიქრებს სტრის...
 ქარი ჰქრის, ქარ ჰქრის, ქარი ჰქრის!...

როგორც ამჟამად, ლექსის სემანტიკური მხარე უშუალოდაა დაკავშირებული ლექსის ფონეტიკური მხარისადმი. ეს პოეტის ხელშესახები თავისებურება, მისი სპეციფიკაა, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია მთელს მის პოეზიაში თავიდან ბოლომდე.

გალაკტიონ ტაბიძემ ქართველი პოეტებიდან ერთმა პირველმა ორგანულად იგარანო და აითვისა რევოლუციის რიტმი და ასევე პირველმა მღვლარედ გამოხატა ჩვენი საუკუნის რევოლუციური ეპოქის ქართველი, წარფლად და შთაგონებით უმღერა მას. სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული დღეების შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული ბრუნდება იგი სამშობლოში და მხურვალედ მიესალმება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამ დროს მის ლექსში პირველად გამოჩნდა რევოლუციის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი. პოეტი იმსჯელებდა ბრძოლის, აქტივობის მისწრაფებით. მისტიურ-მელანქოლიური თემატიკა ადგილს უთმობს განახლების თემას. იგი მზადაა დაუნდობლად შეებრძოლოს ბედს, შეებას გრივალს და მოუხმოს განახლების ქარიშხალს:

განახლდა გული... ღღეს ის აღარ ვარ...
 რაც უწინ ეიყავ — ფერი ეიცავლე...
 გზა დამიკალე, შავო ბურუსო,
 წყველო ლამე, გზა დამიკალე!
 წინ ეიელი სანამ დამიწდებოდე,
 ბედს კი შინს არ შევუროგდები.
 წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო.
 წყველო ლამე, წინ ნუ მიხვდები!
 ნუთუ არ მეყო, რაც დააბამით
 გაუნელებელ ცეცხლში ეწვალე?
 ჩამომეკალე, შავო ბურუსო,
 წყველო ლამე, ჩამომეკალე!
 ეიეწევებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილს
 გამოთხოვების ცრემლებს ეაქურბებ,
 გაუანადგურებ ხელისშემშლელ ნისლს.
 წყველო ლამესაც გაუანადგურებ...
 წამების ცეცხლში განახლდა გული,
 ფერი ეიცავლე, ფერი ეიცავლე.

გზა დამიძალე, შავო ბურუსო,
წყველო ლაშე, გზა დამიძალე!

(იგანახლდა გულს...)

პოეტი მიესალმა „ცეცხლის მზეს“. მან სოციალისტურ რევოლუციაში დაინახა განახლების, თავისუფლების, ხალხთა ბედნიერებას გზა. მას შეეძლო რევოლუციის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დარად ეთქვა: „ჩემი რევოლუცია!“ ამ რწმენით შთაგონებული იგი წერდა:

გატენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
ღროშები, ღროშები... ღროშები ჩქარა!

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, მის შეგნებაში და პოეზიაში გარკვევით ინაკვეთბა კონკრეტული მოვლენების სახე და მათი რეალური მნიშვნელობა. 1922 წელს იგი ჟურნალ „ლომისის“ (№ 1) ფურცლებზე ათავსებს წერილს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, სადაც მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, შემოქმედებითი შრომის მუშაკებს მოუწოდებს აქტიურად გამოეხმაურონ თანამედროვეობას, ახალი ცხოვრების მოთხოვნებს, ჩადგნენ მშრომელი, განთავისუფლებული ხალხის სამსახურში. აქ პოეტი წინააღმდეგ იმ ვაი-პატიოტებისა, რომლებიც უარს ეუბნებოდნენ ყოველგვარ ძველსა და წარსულს, ფიგურალურად აცხადებს, რომ საქირო და აუცილებელია წარსულის ყველა საუკეთესო ტრადიციის ზომიერი ათვისება, რომ ყოველთვის ახლის საუკეთესო „პოეტები სევამდენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოკიდებოდათ“. პოეტმა აშკარად და დაბეჭდვით მოუწოდა ხელოვნების მუშაკებს ხალხთან მჭიდროდ დაახლოებისაკენ. იგი წერდა: „თანამედროვეობა აქანდაკებს თავის ხელოვნებას უშიშარი ხელებით, რომელიც გააოცებს ქვეყანას უდიდესი გმირობისა და რაინდობის მაგალითებით. ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. იქ დაგროვილია უმრავლესი გრძნობები: წყურვილი სიყვარულის, წყურვილი ოცნების. ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერს კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათებას პრობლემებისას. ჩვენ იქ მოვინახვებთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესტეტიური და მახინჯი, სწყურიათ თვითონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებათ. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ეწაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია...“

... ნამდვილი პოეტები იყვნენ ხალხში და იცოდნენ, წინასწარვე გაზომილი ქონდათ თავიანთი მიზნები, შედიოდნენ რა ახალ ტაძარში, არ ცდიდნენ მას, რაც დაცილია, რასაც ამბობდნენ სიტყვით, ასრულებდნენ საქმიანად და ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა ასეთი გამოსვლის თანამედროვეობას. საუკუნე მომწიფებულია მათთვის, ვინც მოდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად...“.

უფრო ადრე (1920 წელს) ამავე სახელწოდების ლექსში პოეტმა თავისი პოეტური მრწამსი ამგვარად ჩამოაყალიბა:

სული გვქონდეს უსპეტაცეს ყოვლისა!
მეგობრებო, სოციალისტების მეგობრებო
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არეის არ ეუნახიარ,
მარად მანთებს შუქი სექტიცხოელისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყუდაფერში შუქით შემობურელი:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოეკლები — როგორც პოეტს შეპყარის,
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

(„პოეზია, უპირველეს ყოველს“)

პოეტმა რევოლუციის პირველივე დღიდან დააყენა იდეა: „განახლება ან სიკვდილი“. 1922 წელს იგი იგონებდა: „მე მახსოვს ტიტანაური გემი „დალანდი“. — იგი მოარღვევდა შავი ზღვის აბობოქრებულ ტალღებს, მე ვბრუნდებოდი რევოლუციიდან... მომქონდა... კიდევ ერთი იდეა: განახლება ან სიკვდილი“³.

ისეთ მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტში, როგორც პოეტის „ლიტერატურული მანიფესტი“, გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანკებში აღჩობს ძველს, ახალგაზრდა კბილებით იგი ღრღინს მარმარილოების საფეხურებს წარსულისას... ისინი მარხავენ ძველს ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას... თქვენ: პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ის ისე, როგორც მოითხოვს თანადროულობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა, ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება?.. მე გეძახით თქვენ გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ. შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა“⁴.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ახალი ეპოქის მშენებლობა, მისი ენთუზიაზმი, მისი მანქანები ახალ ქედარდობას იძენს. „მანქანების და რკინის მუსიკა“ მის პოეზიაში ერწყმის ახალი ადამიანის თავისუფალ შრომას, თანამედროვე ეპოქის მძლავრ შემოქმედებით რიტმს, მის ენერგიულ ექსპრესიას. იგი მთელი თავისი შემოქმედებითი თავისებურებით წარმოგვიდგენს საბჭოთა ცხოვრების და მისი დიადი მომავლის პოეტურობას. მას პოეზიის სფეროში ძალდაუტანებლად შეჰყავს ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება და „ჩვეულებრივი“, „პროზაული“ საქმიანობა. ყოველგვარ მოვლენას, ერთი შეხედვით „წვრილმანს“, უძებნის თავის რომანტიკას და სილამაზის წყაროს შრომასა და სასარგებლო საქმიანობაში ხედავს. მის პოეტურ სამყაროში მტკიცედ მკვიდრდება ოპტიმიზმის, პერსპექტივისა და ცხოვრების სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა. მან შექმნა პატრიოტიზმის ახლებური პოეტური სიმღერა და პირველმა მიუძღვნა დიდებული ჰიმნი აღორძინებულ რევოლუციურ საქართველოს:

რევოლუციონერს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უარესს.

³ გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1922, № 2.

⁴ იქვე, № 1.

თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უღიადღს აზრს,
 მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკაშირებულს,
 აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
 ძლიერ ტალღებად რომ მიღლეავს ახალი ძალით,
 უსასტიკესი დაფინებით რომ ანგრევს კარებს
 ძილიონების ეფართოვს პორიზონტებთან,
 ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნობელ ნგრევას ძველისას,
 კარჩაეტილი ცხოვრებიდან — გავიღეთ მზეზე.
 უღმობელ ტროლს ისტორიის მდღვარო ბორბლის,
 რევოლუციონერ საქართველოს,
 ნახტომს უღიოესს, უზარმაზარს, განსაკვიფრებელს, —
 რევოლუციონერს, ჯერ არანაზულს, ჯერ არავაგონილს,
 ეაშა, ამ ახალ საქართველოს, ეაშა, შენებას!

(„რევოლუციონერი საქართველო“)

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ვალაქტიონ ტაბიძის პოეტურ შემოქმედებაში შემათა მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს და მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩეხს, რომ პოეტს თემის შერჩევას კარნახობს, ამა თუ იმ თემას „აიძულებას“ ის იდეოლოგიური მსოფლმხედველობა, ის რწმენა, რომელიც მის შეხედულებებსა და მოვლენებთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს, რომელშია იზრდება, ვითარდება და მტკიცდება იგი, როგორც ადამიანი, მოქალაქე და შემოქმედი. ვალაქტიონის მოქალაქეობრივი და პოეტური შეხედულებების, მრწამსის იდენტურობა ნათელია პოეტის მთელი წყება ლექსებით. (საქმარისია მოვიგონოთ ლექსები შექმნილი კომინტერნის მეექვსე ყრილობის დელეგატებთან ერთად საბჭოთა კავშირის უმთავრეს სამრეწველო რაიონებში მოგზაურობის შედეგად, ლექსები ევროპაზე, საქართველოში მომხდარ სოციალისტურ გარდაქმნებზე და ა. შ.).

ჩვენ არ გვინდა ისე გავვიგონო, რომ რადგან აღნიშნული ლექსების უმეტესობა თითქმის ყოველთვის შემოფარგლულია თანამედროვეობით, უშუალოდ ნახულით თუ განცდილით, ამიტომ თანამედროვე ლექსის თემა უნდა იყოს მხოლოდ მშენებლობის რაიმე ობიექტი, „იმ დღის“ მოვლენა და სხვა. არა, პოეტის ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ როგორც არ უნდა იყოს თემა, რა შორეულსა და წარსულსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, რა არქაული სურნელითაც არ უნდა სუნთქავდეს, თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში იმ ადამიანის, იმ საზოგადოების თვალთახედვა უნდა იგრძნობოდეს, ეპოქის უმთავრესი ნიშნები და დამოკიდებულება უნდა ჩანდეს, რომელშია შემოქმედი მოღვაწეობს. თუ ეს არ გამოჩნდა, მკითხველმა თუ ეს ვერ იგრძნო, მაშინ როგორი აქტიური და აქტუალურიც არ უნდა იყოს თემა, იგი, როგორც მოძველებული და უღიმღამო, ისე დარჩება დაწერისთანავე.

ხალხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულისა და რწმენის, ხალხის შემოქმედებითი გენიით აღტაცების, საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანადროულობის წარსულისადმი დამოკიდებულების, წარსულის საუკეთესო მიღწევებით სიამაყის ნაყოფია ვალაქტიონ ტაბიძის უბრწყინვალესი ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. რამდენი ლექსი დაწერილა წარსულის დიდებულ ძეგლებზე, რამდენ პოეტს ვაუხვლია თავის შთაგონების წყაროდ საქართველოს სიძველენი. რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ შეიძლება დაბეჭდვით ითქვას. რომ არც ერთ ამ ლექსს არ მოუპოვებია ისეთი ზემოქმედების ძალა, არც ერთი არ გასულა და დამკვიდრებულა ისე ხალხში, როგორც

გალაკტიონ ტაბიძის ეს მშვენიერი ლექსი. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ გალაკტიონის ლექსში შექებული გახდასული დროის ეს დიდებული ძეგლი დანახულია ჩვენი დიადი თანამედროვეობის თვალთ, იგი დღევანდლობით სუნთქავს, მასში საბჭოთა ადამიანის ისეთივე სიამაყე ჩქეფს, როგორცაღ დღევანდელი აღმშენებლობა იწვევს:

მაქვს ზეპრეს მიღებული
ქნარი — როგორც მინდა —
ჩემთვის ღიღებულ
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშენა
დიდი ნიკორწმინდა.

ხეუღლთ დიადება
ეხედაე რა უხვია,
დრომ მას დიადება
კრძალვით შეუხვია.
ნეტაე ვინ მოქპარგა,
და როცა მოქპარგა,
შიგ მოქარგ-მოქპარგა
გზნება — ნიკორწმინდა!

შზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაუფლო
სივრცეს ნიკორწმინდა!
შენ, ფრთამოლულენს
ჟამთა სმალჯუზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უასლესი:
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

„ფრთები, ფრთები გვინდაო“, — ამბობდა პოეტი და ეს მძლე ფრთები ეზიდებოდნენ პოეტს „თვალწევდენელ სივრცეებისკენ“, ეზიდებოდნენ მაღლა და მაღლა და აძლევენ მას საშუალებას, ემღერა მშობლიური ხალხისათვის უკვდავების ჰიმნი „როს სიმალეებს სწვდებოდა არსი“. იგი ისე, როგორც არავინ, ამ დროს ახერხებდა უღრმესი და მძლე, მაგრამ ამავე დროს უფაქიზისი სახეობრივი შედარებები, შინაგანად დაძაბული პათოსი, საოცრად გამჭვირვალე და ფერადი, მაგრამ აზრით დამძიმებული ეპითეტები, მოვლენის და საგნის შინაგანი ემოციური გამოხატვა, რამდენადმე მელოდოზირებული, ამღერებული ინტონაცია მკვიდროდ დაეკავშირებინა, შეერწყა და ჩაექსოვა ლექსის რიტმული დენალობისა და ნაწარმოების უმთავრეს, ძირითად მოტივთან.

ანდერძი იმის შესახებ, რომ ხელოვნება „თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის, იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ“⁶.

გალაქტიონ ტაბიძის პოეტურმა შემოქმედებამ ნათლად დაგვიანახა სრული უნიადგობა იმ შეშეცნების, რომლის მიხედვით ხელოვნება ქმნის რა „მარადიულ ღირებულებებს“ — შორს დგას კლასთა ბრძოლის პროცესებიდან და რომ იგი გასაგები უნდა იყოს მხოლოდ „რჩეულთათვის“. გალაქტიონ ტაბიძემ თავისი სახალხო შემოქმედებით აქტიური მონაწილეობა მიიღო ეპოქის ურთულეს მოვლენებში, დაარღვია „წმინდა ხელოვნების“ ანტისაზოგადოებრივი ტრადიციები და თვალსაჩინო გახადა ის გარემოება, რომ ხელოვნება სოციალური ფუნქციების გარეშე მშრალი, უსიცოცხლო და უნიადგოა. მან შექმნა რევოლუციის შესაფერი ახალი პოეტური სიმღერა, გადაჭრითა და მტკიცედ განაცხადა:

დავგვთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სუგას ანველოსი,
ახალ გრიგალებს ეწირავთ სიკაცებს
ჩვენ პოეტები საქართველოს!...

საბჭოთა სინამდვილემ პოეტს საშუალება მისცა, გადაეფასებინა თავისი შეხედულებანი და აღორძინებული, განახლებული სამშობლო გამხდარიყო მისი ოპტიმისტური პოეზიის უშრეტო წყარო. „ხელოვნებათა არმია! ჩქარი ეპოქის გვერდით იარე, წადი!“ — აი, პოეტის უპირველესი მოწოდება. მან განახლებულ ცხოვრებაში დაინახა „ყველგან ღომილი და სიხალისე“. უსათუთესი გრძნობით გამოთბარ სტრიქონებში ჩააქსოვა პოეტმა თავისი სულის ინტიმური რწევა, მაღალი პატრიოტული მგზნებარება და შეგნება, სამშობლოსადმი თავდადებისა და სიყვარულის გრძნობები:

ჩემო ლექსებო, მარად
გჭონდეთ მსუბუქი ფრთები...
აყვავებული მღელო,
გასაოცარი მთები!
რუსთაველი და მშვილცი?
დამშვიდება და ეაჯა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს ეაშა!
ჩემი ლენინის მარად
ძლევაშოსილი დროშით,
წინ, ახალ-ახალ ნათელ
გამარჯვებულს, მხარევე!
განადგურებულს ძველი
ყინვით, სუსხით და თოშით —
აწ მარგალიტად გთელიანს,
სხვა ქვეებში რომ ვერ გარჯე!
გალაქტიონი ხედავს,
რა სასწაულს ახდენს
ის გამარჯვება, რითაც
სუნთქავს მშობელს ვერ

⁶ ლენინი ლიტერატურის შესახებ, გვ. 223.

იმ უბოლოოდ მდღვარ
და სიმედო საყრდენს—
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევეს
ვერაეითარი მტერი!

სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულის, მისი „წინაპართა ძვლების“, მისი უფლების, მისი „მშვენიერი და მგზნებარე ჩანგის“, „სისხლით ნაპოვნ გზების“, „მომავლის მზის“, „უძველეს წიგნის“, „მეგობრობის“, მისი „ღროშის ფერის“ დაკვის მგზნებარე ჰიმნად გაისმოდა გალაკტიონ ტაბიძის სამამულო ომის ღროის სიმღერები. აქ ახალი ძალით გაცოცხლდა ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორია, ჩვენი თანადროულობის შთამაგონებელი ძალა. უაღრესად გულწრფელად გამოხატა პოეტმა თავისი პატრიოტული შეგნება, რომ „სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი, მზის მხურვალეება გარს რომ ავლია, — აი, პირველი, აი, პირველი, რის სიყვარულიც მე მისწავლია!“, ხოლო გამარჯვებული ქვეყნის თავისუფალი ხალხის უდიადესმა და უწმინდესმა იდეალებმა თავისი გამოხატულება იპოვეს ისეთ სტრიქონებში, რომელიც მარად დარჩება აზრისა და გრძნობის გამოხატვის შეუდარებელ ნიმუშად:

კვლავ კვივე
და კოღე
ახალე
ბნელს რიდე!
ილიდე.
მშვიდობავე,
ილიდე!
გრღემლს სცემდე
თუ მკიდე,
მუხანათს
მიშს ჰკერიდა!
ილიდე.
მშვიდობავე,
ილიდე!
მზის კიდედ.
ზღვის კიდედ
სახალხო
გმირთ ზრდიდე!
ილიდე,
მშვიდობავე,
ილიდე!
სინათლის
სიწმინდეს
ეარღებად
გვიწვიდე!
ილიდე,
მშვიდობავე,
ილიდე!

გალაკტიონ ტაბიძემ ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი შრომის მანძილზე დაარღვია ქართული ლექსის დაკანონებული პოეტიკა, მისი სახეებისა და განწყობილებების ჯადოსნური წრე, დაუთრობლად შესვა „ძველის საუკეთესო ღვინო“, ძიებებით, ტენით, ტყვიილებითა და დაბრკოლებების გადალახვით დასძლია გაბატონებული და არსებული პოეტური შტამები, შექმნა ახალი

გზა, რომელზედაც სილალით გაატარა განახლებული ქართული ლექსი. საკუთარი პოეტური ინტონაციით, პოეტური ინდივიდუალობით სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა კლასიკოსის სახელი. „რა დიდი სახელი ჰქონდა მას, და რარიგ ღირსი იყო იგი ამ სახელის ტარებისა“ — ითქმის მასზე, როგორც თავის დროზე უთქვამთ ვიქტორ ჰიუგოს შესახებ. იგი დღესაც რჩება ქართული ლექსის კანონმდებლად და მადლიერ შთამომავლობას გადასცახის:

დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა,
შემოგწირადით ერთად ეველაფერს,
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?

(წარმოუკინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ.
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტმა)

ი რ ა კ ლ ი კ ა ნ ო რ ო ვ ი ლ ი

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ი ს პ ო ე ზ ი ი ს გ ე ნ ე ზ ი ს ი ს ა თ ე ს

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გენეზისი დაკავშირებულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს პერიოდთან ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა — 10-იან წლებთან, როცა ქართულ სინამდვილეშიც მთელი ძალით, კომპლექსურად იჩინა თავი ყველა ნიშანმა ზღერული ხანისა, XIX საუკუნის კულტურის დაისისა და XX საუკუნის კულტურის განთიადისა. შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ ქართული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში არ ყოფილა ღირებულებათა გადაფასების ასეთი ინტენსიური პროცესი, რაც გაცნობიერებული იყო როგორც კრიტიკულ, ასევე მხატვრულ აზროვნებაში. განახლების სურვილი იყო ეპოქის მოთხოვნილება, — წადილი და მოწოდება იმ დროის მოწინავედ მოაზროვნე ადამიანთა. ამ მიზნით მათ ხელახლა გახსნეს ეროვნული კულტურის საგანძურები და ახალი ენთუზიაზმით დაეწაფნენ ევროპის ახალ ხელოვნებას. როცა გალაკტიონი მოვიდა ქართულ პოეზიაში, იდგა ეამი ნგრევისა და ეამი შენებისა, ეამი განყრად ქვათა და ეამი შეკრებად ქვათა... ორი კულტურის მიჯნაზე უშუალო წარსულის ქართული ხელოვნება დასრულებული ტრადიციის სახით წარმოდგა ახალი ლიტერატურული თაობის წინაშე. აშკარა იყო: „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

რათა აშკარა გახდეს უზარმაზარი მასშტაბები იმისა, რაც მოხდა ქართულ პოეზიაში ამ საუკუნის დასაწყისში, უპირველეს ყოვლისა ნათლად უნდა განვსაზღვროთ ხასიათი 10-იან წლებში დაწყებული რადიკალური მოვლენისა. აქ არ გამოვედგებით იმის კვლევას, თუ რამდენად მოახერხა ქართულმა კრიტიკულმა აზრმა სათანადო სისრულითა და ობიექტურობით გაშუქება იმ ლიტერატურული მოვლენებისა, რომელთანაც თავიანთი შემოქმედების გენეზისით დაკავშირებულნი არიან ქართული ლექსის უდიდესი რეფორმატორები, მათ შორის კი უპირველესად გ. ტაბიძის გიგანტური ფიგურა. ერთი აშკარაა: არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ქართული ლექსის ახალი ეროვნული ეტაპი არსებითად განსაზღვრა ევროპულმა კულტურამ. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ყოველ პარადოქსს თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს.

თავისთავად ის გარემოება, რომ ეროვნულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ განახლება-განვითარების მძლავრი ბიძგი შეიძლება უცხოეთიდან მიიღოს, საკვირველი არ უნდა იყოს. ბოდლერის მიერ ედგარ პოს აღმოჩენამ დასაბამი მისცა ფრანგული პოეზიის ახალ ეტაპს; ბაირონის შემოქმედების აღმოჩენით დაიწყო ზოგი ერის ლიტერატურის ახალი ხანა. ბლოკი და მისი თაობის არაერთი პოეტი, ისევე როგორც გ. ტაბიძე და სხვანი, შემოქმედების მძლავრ იმპულსსღებულობენ საფრანგეთიდან, კერძოდ სიმბოლისტიკისაგან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთრივ ეროვნული პოეზიის ძალეში ენერჯია არ ყო-

ფილიყოს მნიშვნელოვანი ბლოკისათვის ან გალაკტიონისათვის. კავშირი ეროვნულ პოეზიასთან გ. ტაბიძის პოეზიაში არასოდეს ყოფილა გაწყვეტილი. მაგრამ ეროვნული პოეზია იყო ენერგია, რომლის ახლებურად ამოქმედების სტიმული და გზის მიმცემი ძალა იყო ევროპული სიმბოლიზმი. აკაკის, ილიას, ვაჟას პოეზია გ. ტაბიძისთვის იყო ნიმუში სისადავისა და ხალხურობისა, პოზიტიური იდეალებისა და პოეტური პარმონისა. ამასთანავე გ. ტაბიძემ პოეზიის რაობისა და დანიშნულების ახალი გაგება იანდერძა არა აკაკისა ან ილიასაგან, არამედ სიმბოლიზმისაგან.

გ. ტაბიძის პირველი ლექსები 1908 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ლექსების პირველი კრებული 1914 წელს. 1908—14 წლების ლექსები არათანაბარ დონეზეა დაწერილი, ლექსების მეორე კრებულისაგან (1915—19 წლების ლექსები) განსხვავებით. 1908—14 წლების ლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ უკვე პირველ ლექსშივე ჩანს ცნობიერი ზრუნვა ლექსის ტექნიკისადმი. კერძოდ, სიახლე იყო ის, რომ რითმა საგანგებო ზრუნვის საგნად არის ქცეული. ისეთი ლექსები, როგორცაა „ნეტა მალე მიაღწევდე მიზანს“, „მტევანი, ვაზის ჭვარი“, „რაც უფრო შორს ხარ“ (1908), გალაკტიონის ბოლოდროინდელი ლექსების ერთი წყების („ნიკორწმინდა“, „თასი“, „რიცა“ და სხვ.) მხატვრული სტრუქტურის არქეტიპებია: აქ სრულყოფილია პოეტური ტექნიკა და, ამასთანავე, მიღწეულია იშვიათი სისადავე — პოეტურობის მაქსიმუმი პოეტურ ხერხთა მინიმალურად გამოყენების გზით.

1908—14 წლების ლექსებში გალაკტიონის გზა პოეტური განახლებისაკენ ევოლუციური ხასიათისაა და არა რევოლუციური. გალაკტიონის პოეტური პალიტრა მნიშვნელოვნადაა დავალებული გასული საუკუნის ქართული ლექსისაგან. უკვე პირველივე ლექსებიდან იგი ხშირად ცდილობს კიდევ ტექნიკურად უფრო დახვეწილად და სრულყოფილად გამართოს გასული საუკუნის დროინდელი ლექსი. ცალკეული ლექსები თითქოს ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ლექსთა თავისებურ, მოდერნიზებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ამგვარ ლექსებს ქმნის გალაკტიონი სიმბოლიზმით ჰარბი გატაცების ხანებშიც. ასეთ ლექსებში კლასიკურად სრულყოფილია ვერსიფიკაციული მხარე. 10-იანი წლების ქართულ პოეზიაში, კერძოდ, განსაკუთრებული ძალით გ. ტაბიძის პოეზიაში განხორციელდა „ქართული ლექსის ვერსიფიკაციული რესტავრაცია, რაც განუყოფლად იყო დაკავშირებული ქართული პოეზიის საერთო მოდერნიზაციასთან“¹, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო თავისუფალი ლექსის დანერგვა, ახალი სალექსო საზომებისა და სონეტის, ტერცინას, ტრიოლეტის, რითმის სრულყოფა და სხვ.²

გალაკტიონის ადრეულ ლექსებშივე ჩანს პოეტის გადახრა პოეტურობის ახლებური გაგებისაკენ, რაც ქართული პოეზიის ახალი ტენდენციებისაგან და იმ დროის დასავლეთევროპული დეკადენტური პოეზიის ზეგავლენით აღბეჭდილი რუსული პოეზიის წიაღიდან აქვს მიღებული. ეს ახალი გაგება გალაკტიონის პოეზიაში ყალიბდებოდა თვითჩასახვის გზითაც, როგორც შედეგი იმდროინდელი სულიერი ატმოსფეროსი და როგორც მოთხოვნილება ქართული ლექსის შემდგომი განახლების აუცილებლობისა. რაც შეეხება იმ ხანებში გალაკტიონის კავშირს ახალ პოეტურ მიმდინარეობებთან, ამ მხრივ

¹ თ. ჩხეიძე. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გარშემო, „მნათობი“, 1965, № 11, გვ. 125.

² ი. ქიქე, დამოწმებულია: მ. აბულაძე, ტიციან ტაბიძის პოეზია, 1961, გვ. 10.

იგი ეპიგონ პოეტებს უფრო ეცნობა, ვიდრე ჰემმარიტ ნოვატორებს. მხოლოდ 1914 წლიდან უკავშირდება გალაკტიონი პოეტურობის ახალი გაგების სამშობლოს — ფრანგულ პოეზიას და ამ გაგების „რუსული ვარიანტის“ ნამდვილ შემოქმედს.

დეკადენტური პოეზიის გამოძახილი განსაკუთრებით ეპიგონური ხასიათისაა 1908—1914 წლებში დაწერილ თექვსმეტმარცვლიან ლექსებში, რომლებშიც, როგორც წესი, არ ისმის რაიმე პირდაპირი გამოძახილი ტრაგიკულ და დიად სოციალურ და პოლიტიკურ კატაკლიზმათა წინაშე მყოფი სინამდვილისა. ამ ლექსებში გამეფებულია ფსევდორომანტიკული განწყობილებანი. ამ ლექსების მანერისტული ხელწერა არ შეესაბამება მათ იდილიურ შინაარსს. მაგრამ მაინც, თუნდაც მარტო პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, ეს ლექსებიც სიახლეა ქართული პოეზიის განახლების, პოეტური შტამების დაძლევის და პოეტურობის ახალი გაგების გამომუშავების გზაზე. ეს გზა ძიებით იკვალვბოდა და ამითაც აიხსნება ის სტილისტური სიკრულე, პესიმისტურ და ოპტიმისტურ განწყობილებათა ის მუდმივი მონაცვლეობა, ეროვნული და უცხოური პოეზიის ტრადიციათა სინთეზის სხვადასხვა ვარიანტი, „სუსტ“ და „ძლიერ“ ლექსთა შექმნა თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში, იშვიათი წარმატებანი და მოულოდნელი წაბორძიკებანი, რაც თავს იჩენს 1908—1914 წლების ლექსებში. ამ პერიოდშია დაწერილი ადრინდელი გალაკტიონის ისეთი ლექსები, როგორიცაა „ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს“, „გადანახული დროშები“ (1908), „გამოსალმება“, „გამონაკლისი“ (1910), რომლებიც იშვიათი სრულყოფილებით ხასიათდებიან და მოულოდნელიც კი არიან დამწყები პოეტისაგან. ამასთანავე ოპტიმიზმს ისეთი ლექსებისა, როგორიცაა „ახალგაზრდებო“, „პირველი მაისი“ (1908), ენაცვლება მელანქოლია ლექსებისა „ღამე“, „მომაკედავი“ (1909). კლასიკურად სადა და გამჭვირვალე ლექსის „გამოსალმების“ (1910) პარალელურად იწერება „ხელოვნურად გართულებული ორმაგი და სამმაგი ეპიტეტებით“³ გამართული „წუთი“ (1910) და სხვ. ლექსებში „ახალი ტალღა“, „ქანდაკება“ (1909) პოეტს მიზნად დაუსახავს რთული ფორმალური ვერსიფიკაციული ამოცანები, რიტმული საწყისის გამრავალფეროვნება, რაც ფორმის მიმართ ცნობიერი ზრუნვის გამოვლინებაა. ადრინდელი გალაკტიონის ლექსთაგან მკითხველთა ერთ ნაწილს შორის დიდად პოპულარული „მე და ღამე“ (1912) ერთ-ერთი ნიმუშთაგანია ისეთი ლექსებისა, რომლებშიც თავს იჩენს სინამდვილის „ესთეტიკური“ უგულვებლყოფა. მისი „დაუინტერესებელი“ ჰერეტიკა. ამასთანავე, შესაძლოა, ამ ლექსის თემატური მოტივი „საიდუმლოს“ მალვისა არაპირდაპირი გენეტური კავშირებით დავალებულია მალარმესაგან, რომელიც ასაბუთებდა, რომ საგნის, მოვლენის დასახელება ნიშნავს მისი მომხიბვლელობის მოსპობას, რადგან პოეტური მეტყველების მთელ სიმშვენიერეს შეადგენს ამოცნობა იმისა, თუ რისი თქმა სურდა პოეტს. დაფიქრება იმ საიდუმლოს რაობის შესახებ, რომელსაც პოეტი ქვეყნად არვის არ უმქლავნებს, უთუოდ შეადგენს „მე და ღამის“ პოეტური ეფექტის ერთ-ერთ საყრდენს. ასეთი მალარმესებური თვალსაზრისის ანალოგი, შესაძლოა დუმილის პოეტურ-ფილოსოფიური გააზრებითაც დავალებული, ცხადად ჩანს ლექსში „არ მინდა სიტყვა“ (1914):

³ გ. ასათიანი. გალაკტიონ ტაბიას პოეტიკა. „სისყარო“, 1966, № 8, გვ. 111.

არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!
როდესაც სიტყვა დაიბადება
სიმართლის ალი — როგორც ბურუსი
ისე ირღვევა და იფანტება...
!ადაა სიტყვა, რომ ამოაშროს
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების ახალი პერიოდი იწყებს ქართული სიმბოლიზმის პერიოდიულ ხანას. 1914 წლის მეორე ნახევარშია დაწერილი ლექსი „სიბერე“ („მე მიღალატეს ძველმა რითმებმა“), რომელშიც ელავს ბოდლერი-სეული ფრაზა „სპლინი“, „იღუმალი მეორე სახე“, ხოლო 1915 წლის დასაწყისში დაწერილია „Art Poetique“, რომელიც იმეორებს ვერლენის ცნობილი ლექსის სათაურსა და ეხმაურება ამ ლექსის ცნობილ თეზას: „De la musique avant tout chose“.

ჩვენი აზრით, სიმბოლისტურად უნდა მივიჩნიოთ გალაქტიონის შემოქმედების გზის მონაკვეთი მანამდე, ვიდრე კი პოეტი ქმნის სიმბოლისტურ ლექსებს, ვიდრე კი მთლიანად გადავიდოდეს ახალ პოზიციებზე. როცა თავისი გიგანტური მუხლუხობით გადაიარა 1924 წელმა, გალაქტიონ ტაბიძემ ამ წლის დამლევს — 25 დეკემბერს ახალი მოწოდებით მიმართა საქართველოს პოეტებს:

დაედგო იქ, სადაც კარმშალია
კა სისხლანი დგას ანგლოსი,
ახალ გრივალეს ეწირათ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!...

უფიქრობთ, ლოგიკური იქნება ეს მოწოდება მივიჩნიოთ გალაქტიონ ტაბიძის სიმბოლისტური პერიოდის დასასრულად და ახალი პერიოდის დასაწყისად, თუმცა მკვეთრი გათიშვა სიმბოლიზმთან 1928 წელს იჩენს თავს. მართალია, ყველაზე რელიეფურად და თანმიმდევრულად გალაქტიონის სიმბოლიზმთან სიახლოვეს ამჟღავნებს მისი ლექსების მეორე კრებულში; ხოლო 1921—24 წლების მრავალ ლექსში გენეტური კავშირი პოეტურობის სიმბოლისტურ გაგებასთან ძნელად შეიმჩნევა და მათი პოეტიკა არსებითად იმ ტიპისაა, რომელსაც მისდია გალაქტიონმა თავის საუკეთესო ლექსებში 1925—28 წლებიდან თავისი შემოქმედებითი გზის დასასრულამდე; ეს იყო კლასიკური სისადავის, სასაუბრო მეტყველებასავით ბუნებრივი და ამასთანავე მაღალპოეტური ხელოვნების გზა. 1922—24 წლებში გალაქტიონ ტაბიძის შესება სიმბოლისტურ პოეტიკასთან მელანდრება ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები“), „ისევ ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“, „საახალწლო ეფემერა“, „დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“, „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“, „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“ (ყველა 1922 წ.), „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, „შენ ემართლები მიმქრალ სახეებს“, „ეხლა კი მშვიდობით“, „ეფემერა“, „ქალაქში“, „ცისფერი“ (ყველა 1923 წ.), „მღვრიე ქარი“, „ქარი მოგონებათა“, „ქარი ჰქრის“, „ქარი ამწვეი ფარ-

დის“, „აღმოსაელეთი“ (ყველა 1924 წ.). აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში აქვს თარგმნილი გ. ტაბიძეს მთელი წყება ვერღენის ლექსებისა.

ცნება სიმბოლიზში, სიმბოლისტური გალაქტიონ ტაბიძის მიმართ მეტად პირობითად უნდა გავიგოთ. როცა 1915 და 1925—28 წლების ლექსებს სიმბოლისტურს ეუწოდებთ, მხედველობაში გვაქვს გალაქტიონ ტაბიძის დიდი ინტერესი ფრანგული და რუსული სიმბოლიზმისადმი, მაგრამ ვგულისხმობთ იმას, რომ ამ პერიოდში გალაქტიონის ინტერესთა ორბიტაში იმყოფება ქართული და ევროპული რომანტიზმი, ბოდლერი და პარნასის ჩგუფის პოეტები, ედგარ პოს სამყარო, ოსკარ უაილდის ესთეტიზმი და ემილ ვერჰარნის ურბანისტული პოეზია. გალაქტიონ ტაბიძისათვის ეს ნაირფეროვანი მხატვრული ფენომენები რაღაც პუნქტში ერთიანდებოდა, მთლიანდებოდა, და თანაც ისე, რომ კავშირი ევროპულ ფენომენტთან ხელს უწყობდა ქართული პოეტური ტრადიციების ორგანულად შესისხლხორცებას. გალაქტიონი ისე ლებულობს ევროპულ რომანტიზმს, სიმბოლიზმსა და პოსტ-სიმბოლისტური ხანის პოეზიას, რომ ყოველივე ამას სულაც არ აღიქვამს, როგორც ეროვნულის ანტიპოლს.

რამდენადმე მსგავსია ბოდლერისა და გალაქტიონის პოეტური გენეზისი ბუნება. როცა ბოდლერი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჰიუგო, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა „ბოროტების ყვაველების“ ავტორი და მას არაერთი ლექსი მიუძღვნა კიდევ, მაგრამ ბოდლერმა ისიც დაინახა, რომ „ჰიუგოს ხაზის“ შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო: „პოეტური სამეფოს ყველა კარგი მიწები დაკავებულია. მე ისღა დამრჩენია, რომ სხვა გზით ვიარო“, — ამის შეცნობით მოვიდა ბოდლერი პოეტურობის ახლებურ გაგებასთან. ასევე გალაქტიონიც მოესწრო ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს. ახალგაზრდა გალაქტიონს წილად ხვდა ბედნიერება არაერთგზის შეხედროდა მსცოვან აკაკის, — რაც აღბეჭდილია ფოტოზეც. გალაქტიონიც იყო მათ შორის, ვინც სხეიტორიდან დიდი ეროვნული ბარდის გადმოსვენებაში მონაწილეობდა. ბოდლერის მსგავსად, გალაქტიონმაც შეიცნო, რომ აუცილებელი იყო ქართული ლექსის შემდგომი განვითარება. ჰიუგოსა და აკაკის ებრონი, შესაბამისად, სამულამოდ დარჩა ბოდლერისა და გალაქტიონის პოეტურ ფორმაში, მაგრამ ორივე დაადგა ახალ გზას, ორივემ შეიმუშავა პოეტურობის ახალი გაგება. ფრანგული სიმბოლიზმი, ინგლისური ესთეტიზმი თუ უახლესი რუსული პოეზია გალაქტიონს არ მიუღია არც წმინდა სახით, არც მთელი კომპლექსით. გალაქტიონმა მისებურად, სუბიექტურად, თავისი კორექტივებით მიიღო ევროპული პოეზია. არსებითი, რითაც გალაქტიონი უკავშირდება ევროპულ პოეზიას, ეს არის პოეტურობის ისეთი გაგება, რაც მეტად თუნაკლებად ზოგადია რომანტიზმისა, სიმბოლიზმისა, თუ ინგლისური ესთეტიზმისათვის, უაილდის, ბლოკისა თუ ვერჰარნისათვის და რაც არ უნშობდა გზას ქართული პოეზიის სტიქიას.

პოეტისავე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, გალაქტიონის პოეზიაში „ორი ზღვა შეხვდა ერთმანეთს“: XIX საუკუნის ქართული პოეზიის სწრაფვა თავისი შინაგანი პოტენციის აბსოლუტური ამოწურვისაკენ, საბოლოო ფორმალური დახვეწისაკენ, ვირტუოზული სრულყოფისაკენ და ანალოგიური პროცესი, უკვე რეალიზებული ევროპული პოეზიის წიადში. გალაქტიონ ტაბიძემ საბოლოოდ, ნიუანსებამდე სრულყო აკაკისა და ილიას ეპოქის პოეზიაში ცალკეული ხელშეუხებლად დატოვებული ფორმალური უბნები პოეზიისა. გალაქტიონს ზურგი კი არ შეუქცევია წინამორბედი ხანის ეროვნული პოეზიისადმი, არამედ

მოისურვა იმავე პოეზიის ზოგი ფორმისეული მომენტის სრულყოფა, გართულება, ცალკეული მომენტების ნიუანსირება. ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, — აღნიშნავდა გ. ტაბიძე, — „შეეცადა წარსულისაგან შეუსრულებელი იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი: უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური, ნიუანსებით და ძიებებით სავსე...“ მაგრამ ეს ოპერაცია წინამორბედი პოეტური სტილისადმი სტიმულირებული იყო სიმბოლისტური პოეზიით და ხორციელდებოდა ახალი ეპოქის კულტურის დეკადენტური განწყობილებების ვითარებაში. ამდენად კავშირი ეროვნული პოეზიის წიაღთან არც გაწყვეტილი ყოფილა, მაგრამ არც ჰარმონიული.

პოლ ვალერი სამართლიანად შენიშნავს: პოეტი, რომელიც ათვისებს ოსტატობას, კლასიკოსი ხდება. გალაკტიონმა მოისურვა უფრო გაერთულებინა, უფრო ნიუანსურად დაეხვეწა და ვირტუოზულობამდე მიეყვანა წინამორბედთა პოეტური ოსტატობა, მათი ფორმა, მათი რითმა, რიტმი და სხვა. ამდენად, ამ პირობითობის ფარგლებში, გალაკტიონის დამოკიდებულება წინამორბედი ხანის ქართული პოეზიისადმი — იყო დამოკიდებულება კლასიკოსისა რომანტიზმისადმი. თუ ამავე აზრს ფორმისა და შინაარსის მთელ კომპლექსზე განვავრცობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გალაკტიონის მიმართება XIX საუკუნის ქართული პოეზიისადმი იყო მიმართება სიმბოლისტისა რეალიზმისადმი.

ქართული პოეზიისათვის იგივე როლი შეასრულა ფრანგულმა სიმბოლისტურმა პოეზიამ, რაც ამ უკანასკნელისათვის — ედგარ პოს პოეზიამ. პოს პოეზიაში ფრანგმა პოეტებმა საკუთარი ძიებების სტიმული პოვეს; მსგავსი იყო სიმბოლიზმის შემწეობაც ქართველი პოეტებისათვის. ასეთ პერიოდში აცხადებს გ. ტაბიძე:

ხშირად ეგონებ უქრლეს,
როგორც დაღუპულ მამა...
(„ქიანურები“, 1916)

პოეტურობის მისთვის სასურველი მოდელი გ. ტაბიძემ ფრანგულ სიმბოლიზმში დაინახა, თუმცა მზად იყო ამგვარი მოვლენა ქართულ პოეზიაშიც ეძებნა. მაგალითად, გალაკტიონის აზრით, ბოდლერის ლექსში „ლოცვა-კურთხევა“ პოეტის ხედვასა და მოწოდებაზე გამოთქმული აზრი შორს არ არის აკაკი წერეთლის ნაწერების სულსკვეთებისაგან: „ბოდლერს აქვს ერთი ლექსი, რომელსაც „ლოცვა-კურთხევა“ ჰქვია. მაგრამ აქ არავითარი კურთხევა არ არის. აქ არის წყევლა და მხოლოდ წყევლა... ლექსი გამოხატავს მგოსნის ამ ქვეყნად მოსვლას, დაბადებას... ღვიძლ დედისთვის მგოსანი არის საგანი მართოდენ გაკვირვების და ზიზღისა — დედას სცხვენია საკუთარი შვილის ყოლა. მგოსანი იტანს დაცინვას სულელებისაგან, იტანს შურსა და სარკაზმს, მგოსანი ხანდახან მსხვერპლი ხდება რომელიმე სისხლისმსმელი დალილასი, რომელიც თავისუფლებას მისცემს მას შემდეგ, რაც ამოსწოვა მასში უკანასკნელი სისხლი. მგოსანი, რომელმაც გამოიარა მთელ რიგ შეურაცხყოფათა და ტანჯვათა, უკანასკნელად მიდის ამ ტანჯვისაგან განწმენდილი სამარადისო დიდებასთან. მიდის იმ გვირგვინით, რომელიც გამზადებულია წამებულთათვის, მათთვის, რომელთაც ყველაფერი გადაიტანეს სიმართლისა და სილამაზის სამსხვერპლოდ. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ლექსი ქართულად არ დაიწერა. მაგრამ აკაკის ნაწერებშიც ბლომადაა გაბნეული ამის მსგავსივე ფიქრები. იგი ისე

ახლოა ქართველის სულთან, მის საუკეთესო და თავყანსაცემ შველთა მდგომარეობასთან“.

სიმბოლიზმი, საფრანგეთიდან დაძრული კულტურული ტალღა, ისეთსავე მასშტაბურ მოვლენად იქცა, ვით თავის დროზე ელიზინზმი, რომელმაც იხარა არა მხოლოდ საბერძნეთის მიწაზე, არამედ რომა და აღმოსავლეთშიც. ასევე: ფრანგული სიმბოლიზმით სტიმულირებულმა ხელოვნებამ დიდი ლიტერატურა წარმოშვა სხვა ქვეყნებშიც: რილკე და სტეფან გეორგე გერმანიაში, ბლოკი და ბრიუსოვი რუსეთში, იეიტსი და სხვანი ირლანდიაში. „ცისფერი ყანწების“ პოეტთა ორდენი, რომელიც, პარანსელ პოეტებზე პოლ ვალერის ნათქვამი რომ გავიმეორათ, წარმოადგენს „ერთ დიდ პოეტს მრავალი თავით“⁴. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ის სტიმული, რომელიც მისცა ფრანგულმა სიმბოლიზმმა ქართული პოეზიის უდიდეს რეფორმატორს გ. ტაბიძეს.

სიმბოლიზმი საპირისპირო თვისებაა ნატურალიზმისა; „იგი იყო იდეალური მშვენიერების, სილამაზის, იდეალის რელიგია“⁵. გ. ტაბიძის ლექსში „მარტო არა ხარ“ (1914) სანუგეშო რწმენა, რომ „არსებობს მხარე, სად თანაგრძნობა არსებობს შენთვის“ — იდეალური მშვენიერების ზედროული სამეფოა.

„არტიტული ყვაილები“ ავტორის მკვიდრო კავშირი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგულ პოეზიასთან გამოქვდაცნდა ამ კრებულის ფრანგულ სათაურსა და შ. ბოდლერის, თ. გოტიეს, პ. ვერლენის და ა. რენიეს სტრიქონების გამოყენებაში კრებულის ეპიგრაფებად. ჩვენი აზრით, გ. ტაბიძის მეორე კრებულის სათაური ბოდლერის „ბოროტების ყვაილები“ გათვალისწინებით არის შექმნილი. სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე კრებულში ლექსები დანომრილია რომაული ციფრებით. გარდა ამისა, გალაკტიონის კრებულის სათაური ეხმაურება აგრეთვე ბოდლერის ლექსს „ამური. და თავის ქალა“. ორივე კრებულში თავს იჩენს ცხოვრებისეული სიმახინჯისადმი ხელოვნების დაპირისპირება. როგორც გ. ტაბიძე აღნიშნავს თავის ერთ ჩანაწერში „არტიტული ყვაილების“ გამო, „ამ საკითხზე წერდნენ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი — სიცოცხლესთან, სიკვდილი — რევოლუციასთან“. ამ დაპირისპირებათა სიმძაფრით არის კომპენსირებული გ. ტაბიძის ლირიკაში სინამდვილის კონკრეტული შტრიხების სიძუნწე.

როგორც ვიცით, 1925 წლის ოქტომბერს გ. ტაბიძემ გამოაქვეყნა ასი ლექსი, რომელთაც წინ უძღვის „პროლოგი ასი ლექსის“. აქაც განმეორებულია გარკვეული პრინციპი ბოდლერისა, რომელმაც „ბოროტების ყვაილებში“ შეიტანა ასი ლექსი პროლოგითურთ.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბოდლერის ლირიკაში უფრო მეტად არის გამოყენებული ნატურალისტური საწყისი. ამ მხრივ გ. ტაბიძე უფრო ახლოსაა წმინდა სიმბოლისტებთან, კერძოდ, ვერლენთან. გარკვეული გაგებით. გალაკტიონის ლირიკა არა მხოლოდ ანტინატურალისტურია, არამედ იმპერსონალური, ზეპირიონულიც. ვგულისხმობთ იმას, რომ მისი ლირიკა შორეულადაც კი არ არის მისი ცხოვრების პოეტური დღიური, მისი ბიოგრაფიის მხატვრული ილუსტრაცია. მისი ლირიკა არაა ის ეკრანი, რომელზეც შეიძლება ვეძებოთ პოეტის „მე“-ს რხევათა პროექცია. იგი „მალავდა“ თავის ხმას. გ. ტაბიძის ლი-

⁴ Поль Валери, Избранное, М., 1936, гл. 123.

⁵ С. М. Bowra, The Heritage of Symbolism, N.-Y 1967, гл. 3.

რკია, განსაკუთრებით მისი „სიმბოლისტური“ ლექსები არც ის ეკრანია, რომელზეც შეიძლება ვიხილოთ გარე სამყარო. „საუბარი ედგარზე“, თუ „მგლოვიარე სერაფიმები“, „შემოდგომა უმანკო ჩასახვის მამათა საეანეში“, თუ „ანგელოზს ექირა გრძელი პერგამენტი“ და სხვ. წარმოადგენენ „ბუნების მკაცრი ტაძრის“ (ბოდლერი) გასულიერების, მისი ანტისექულარიზაციის ცდას, რომელშიც მეტად სპეციფიკური ურთიერთობა მყარდება გარე და სუბიექტურ სამყაროთა შორის. პოეტი ცდილობს სული შთაბეროს, გააცოცხლოს, ზეცისკენ, ეფემერებისკენ აზიდოს დღიური პროზა, გარე სამყარო. ამ სულითაა გამსჭვალული გენიალური „ნიკორწმინდა“. ასეთ ლექსებში პოეტი გარე და შიროვნულ, რეალურ და იდეალურ სამყაროთა ურთიერთმიმართებათა მდდიუმად გვევლინება.

უკვე რომანტიზმის ეპოქაში იწყო რღვევა სინამდვილის გააზრების და სისტემატიზირების ტრადიციულმა სქემამ. შესაძლოა, ამ რღვევის ერთ-ერთი მეტად გაშუალებული ასახვა ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“. მეცნიერების განვითარებამ ბუნება თითქოს დააცარიელა მორალური და სულიერი შინაარსისაგან, მოახდინა მისი ყველა გამოვლინების სექულარიზაცია, რის გამოც, როგორც გ. ტაბიძე ამბობს ერთ ლექსში, „რომანტიული გაქრა ფერია“, რაც აისახა თანამედროვე პოეზიაში, კერძოდ, გ. ტაბიძის ლირიკაში:

თუ პრძოლა არ არის აპოკლიპსით,
მათ ენატრებათ ისევე ძველი
ფანტასტიური საღამოები...
„ვიგონჯი, ველი“ -
მრავალ სასწუხ არის ობლობა,
მრავალს ამფოთებს რაღაც მონობა:
როგორ შევიძლოთ ულეთისშობლობა?
ეთი აეიტანოთ უმალ-ლობა?
გაქრა ზმანება, გაქრა ფერია,
ნეთუ ზოდღურიც არაფერია?
შელიც მიუგოს დეგენანება?
მიუსე? ეერუნ? ღმერთი? კენი?
აჰა. ჭალაქთა გვიანი ნებათ
ბურუსებში სჩანს აინშტაინი.

რამდენად თანამედროვეა გალაკტიონის პოეტური სტილი? შედარებით იოლად შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ გავიხსენებთ, რომ გალაკტიონ ტაბიძე ეკუთვნის იმ პოეტთა რიგს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სიმბოლიზმთან. ეს პოეტებია — პოლ ვალერი, რაინერ მარია რილკე, სტეფან გეორგე, ალექსანდრ ბლოკი, უილიამ ბატლერ იეიტსი და სხვანი. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი ნაწილია. საერთოდ კი თანამედროვე დასავლეთის პოეზია ინტელექტუალური და რთულია; ტრადიციული სულის კულტი შეცვლილია გონების კულტით; „მგოსნური“ საწყისი, მგზნებაარება და პათოსი შეცვლილია ანალიზით. თანამედროვე პოეზიის ერთი დიდი ნაჟადი იძლევა სინამდვილის „სწეულ ხედვას“, რომელსაც ხშირად საყვედურობენ, რომ იგი უბრალო ნეგატიურია, გაუცხოებული და პესიმისტური. ასეთი პოეტებია ტომას ელიოტი, ეზრა პაუნდი, ს. ე. პერსი და სხვა. მაგრამ თანამედროვე დასავლეთის პოეზიაში არის კიდევ მეორე ნაჟადი, რომელიც სიცოცხლის დამკვიდრების პათოსით, პოზიტიური იდეალებით ხასიათდება: მაგალითად, ინგლისური ენის პოეტთაგან ასეთებია დილან ტომასი, ჰარტ კრეინი, დ. ლორენსი, კარლ სენდბერგი, რო-

ბერტ ფროსტი და სხვა. გალაქტიონ ტაბიძე მსოფლგანცდის არსებითი მიმართულების თვალსაზრისით სწორედ ამ მეორე ნაკადთან ამჟღავნებს ნათესაობას.

გ. ტაბიძემ ახალი ჟღერადობა შესძინა ქართულ ლექსს, ქართულ სიტყვას. მან პოეტური შტამებიც კი დააცარიელა ჩვეული ასოციაციებისაგან და ახალი ნიშანდობა მიანიჭა მათ. ამასთანავე დანერგა ჩვეულებრივი მეტყველების სიტყვები და ინტონაცია, შემოიტანა ქართულ ლექსში ახალი სიტყვები და ტერმინები, რაც ქართული ლექსის მოდერნიზაციის ერთ-ერთი გამოვლინება იყო. გალაქტიონ ტაბიძის ლირიკაში მაშინიზმის თავისებური გამოძახილია ტექნიკისათვის და ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ტერმინების გამოყენება. ასეთებია, მაგალითად: დრედნოუტი, სალუტი, დენდიზმი, მანიფესტანტი, ფორა, ფოიე, დეპუტატი, პროექტორი, შტანდარტი, ორკესტრი, ქიმიური ომი, ჰოსპიტალი, ტანკი, მარტიროლოგი, მაგნატი, ტრესტი, მსოფლიო ორკესტრი, ელექტრონი, კილოვატი და სხვ. ეს სიტყვები, თავიანთი ტიპით ახალნი და სავსებით უცხონი ქართული პოეზიისათვის, ორგანულად არის ახმინებული გალაქტიონ ტაბიძის ლექსებში. სიტყვებისადმი აბსტრაქტული შინაარსის მინიჭება უთუოდ ფრანგი სიმბოლისტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის შედეგია. გალაქტიონი უხვად ხმარობდა თავის როგორც „სიმბოლისტურ“, ასევე „არასიმბოლისტურ“ ლექსებში ისეთი განყენებული ფორმის სიტყვებს, როგორცაა: „თეთრობა“, „მკრთალობა“ („მისტერია წვიმაში“ — 1935), „დროის მწერლობა“, „მგრძნობიერება“ („ვერ გახსნის გენიალობა“, 1940), „უვავილთ შემოშენება“, „უღაბნოთა ჩვენება“, „ტრიანონის ცდომანი“, „მრავალთ კვდომანი“ („წარწერა წიგნზე მანონ ლესკო“, 1939), „უღვთისმშობლობა“, „უმაღლობა“ („თუ ბრძოლა არ არის“, 1925), „უამინდობა“ („რამდენიმე დღე პეტროგრაღში“, 1918), „საქართველოს გაბედითება“ და სხვ.

სიტყვათა აბსტრაქტული შინაარსის გაზრდის ეს ტენდენცია დიდად იყო ფეხმოკიდებული იმ დროის სიმბოლისტურ პოეზიაში: მას ადგილი ჰქონდა იმ რუს პოეტებთანაც, რომლებსაც კი რაიმე შეხება ჰქონდათ სიმბოლიზმთან (ალ. ბლოკი, ბალმონტი, ბრიუსოვი და სხვ.)⁶. თავი რომ დავანებოთ ფრანგი სიმბოლისტების თვით დედანს, მათ რუსულ თარგმანებშიც უხვადაა გამოყენებული სიტყვათა ის „აბსტრაქტული“ ფორმა, რომელიც ზომიერად, მაგრამ სამუდამოდ მიიღო გ. ტაბიძემ.

როგორც ცნობილია, სიმბოლისტებმა, როგორც წესი, გაართულეს ლექსის პოეტიკა: ნახევარტონის, სიტყვათა და აზრთა, მეტაფორათა შორის ლოგიკური კავშირის შემცირებისა და ემოციური კავშირის გაზრდის ხარჯზე მათ შეამცირეს ლექსის, პოეზიის კონკრეტული შინაარსი, მაგრამ გაზარდეს ლექსის აბსტრაქტული შინაარსი, შეამცირეს მხედველობითი ფორმები და გაზარდეს განყენებული პროპორციები. ეს ტენდენცია თავს იჩენს იმ დროის როგორც პოეზიაში, ასევე ფერწერაში. გალაქტიონი ჩაება ამ ტენდენციის დინებაში. შეეხედოთ ამ თვალსაზრისით მის ლექსს: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ (1919):

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაეინჯე,
ელვარე საღამოე აღმას საყურეთა,

⁶ გ. ასათიანი, გალაქტიონ ტაბიძის პოეტიკა, „ციკლონი“, 1966, № 8, გვ. 118—119

ბაგთა ლოცაო, დიდება და ძეგლო.
 უთუოდ მახსენებ ოღესმე... ოღესმე!
 გრაალის კომქები, ლიდის სამრეკლო
 შენს ფეხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა,
 ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადო
 ოცნება, ნახაზი საგანთა უარით,
 ღრუბელი ფერადი და ალვი ტანა(ო,
 თომქელსაც აზიის ცით გადაუარეთ.
 ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
 და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.
 ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი
 ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
 ქარეთა მორევეში დაეშვა ფარდები —
 საღამო კანკალებს შიშით და რიდობით.
 საღამო ნელდება და კედება ვარდები...
 მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!

ამ ლექსის შეფასებისას თუ არ გავითვალისწინებთ სიმბოლისტური პოეტის თავისებურებებს და თუ ამ ლექსს კლასიკური ლექსის „გასალებით“ მივუდგებით, ჩვენ წინაშე იქნება ნაწარმოები, რომელშიც უგულვებელყოფილია ლოგიკისა და მხატვრული პოეტური აზროვნების ელემენტური მოთხოვნილებანიც კი. შეუძლებელია ავხსნათ (ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) თუ რას ნიშნავს „ელვარე საღამოვ აღმას საყურეთა“, თუ რას ნიშნავს „ციურთა თანადი“, ან „ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის“. ამ ლექსის მხატვრული ეფექტი, მისი ემოციურობა ეფუძნება არა აზრის მხატვრულ გაშლას, არამედ სიტყვათა შორის კავშირის დამყარების თავისებურებას, კავშირის კანონს, — სიტყვა ახდენს თავისი მაქსიმუმის, თავისი ზინაარსის უჩვეულო რეალიზაციას.

გალაკტიონის ლირიკა მუსიკალობის, კეთილზმოვნების, რიტმული სიმდიდრის, რითმის სრულყოფილების ერთ-ერთი უიშვიათესი ნიმუშია. ამ მხრივ პოეტი თითქოს აჭარბებს ყოველგვარ „ადამიანურ შესაძლებლობებს“. სამწუხაროდ, ჩვენს გამოკვლევებში არ ყოფილა კონკრეტულად ნაჩვენები მუსიკალობის, ბგერობრივ-ინტონაციური საწყისის შინაგანი კავშირი პოეტური ნაწარმოების იდეასთან, ანუ როგორ იძენს აზრობრივ დატვირთვას, როგორ მალდება იდეურ ნიშნადობამდე გალაკტიონის ლექსების პოეტური ხელწერა. შევეცდებით ამის ნათელყოფას.

გალაკტიონის ლექსი „გოტიეს“ (1920) შინაარსობრივად ორი ნაწილისაგან შედგება: ლექსის პირველ ნაწილში ლაპარაკია წარსულზე; მეორე ნაწილი (ეს ლექსის ბოლო სტროფია) აწმყოს შეეხება. ლექსი ემყარება ანტითეზას: მაშინ — ეხლა, ბედნიერი წარსული — უბედური აწმყო, „ბედნიერი იგი დრო“ — „ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია“. წარსული ნაწილობრივად ლოკალიზებული და, კერძოდ, დაკავშირებული გოტიეს დროინდელ პარიზთან. თავის მხრივ, პარიზი სიმბოლოა ისტორიული წარსულისაც, პოეტის პიროვნული წარსულისაც და დაკარგული იდეალებისაც. ლექსის ეს პირველი ნაწილი „აჭრელებულია“ ფრანკიზმებით, რომელნიც თავიანთი იდეურ-კულტურული ასოციაციებით განსაზღვრავენ ტექსტის ემოციურ ყდერადობას. ისინი თავიანთ ფერსა და სურნელს ავრცელებენ ტექსტის არაფრანგულ, „არალიტერატურულ“ შრეზეც. ბრიუმელი დენდინზისა და არისტოკრატიზმის ასოციაციებს იწვევს. „რითმა-ნიუანსები, რიტმიული ლანდები“ ეხმიანება ვერლენის სტრიქონს „Car nous voulons la Nuance encore. Par la Couleur, rien que la

nauance!“. პოეტის ნეოლოგიზმი „მემიმოზენი“ ფრანგულ ასოციაციათა აღმქრელი სიტყვების თანამეზობლობაში ასევე ფრანკიზმად აღიქმება. ფრანგულ წრეს განეკუთვნება აგრეთვე პიმოდანი, დელაროში, ლოზენი, გოტიე, რომელიც სათაურშია მოცემული. ამ შრის დანიშნულება ისაა, რომ მისი „ემოციური დამუხტულობა გამომდინარეობს არა ტექსტიდან, რომელსაც ისინი თაკონათ მუხტს გადასცემენ, არამედ იგი ტექსტის გარეშე მდებარეობს და განსაზღვრულია გარკვეული ეპოქის კულტურის კონტექსტით. ასეთ მოთხოვნილებას ყველაზე უკეთ პასუხობენ საკუთარი სახელები და ბარბარიზმები. ემოციურ ფერმენტთა თავიანთ როლს ისინი მით უკეთ ასრულებენ, რომ მათი ლექსიკური მნიშვნელობა მკითხველს, შესაძლოა, ბოლომდე არც ესმის ნათლად. ასეთია საკუთარ სახელთა ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია“⁷.

ლექსის მეორე ნაწილი თავისუფალია ფრანკიზმებისაგან. ამგვარად, ლექსიკურადაც გატარებულია წარსულისა და აწმყოს ოპოზიცია, რაც განხორციელებულია ფონოლოგიურადაც. პირველი ნაწილის მუსიკალური ფონის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ბგერას წარმოადგენს ბგერა „ნ“, რომელიც პირველ და მეორე სტროფში რეაქერ მეორდება, მესამეში ექვსჯერ, მეოთხეში შვიდჯერ. ბგერა „ნ“ ხშირად სტრიქონის თავში და ბოლოშია, აკუსტიკურად და სემანტიკურად ყველაზე აქცენტირებულ სიტყვებში. ლექსის მეორე ნაწილში „ნ“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება! აქ აქცენტირებულია ბგერა „კ“ და ნაწილობრივ „ს“. ხშირად მეორდება მსგავსი ელერადობის სიტყვები, რის გამოც ბოლო სტროფი ბგერობრივად უფრო ერთფეროვანია და ამ წხრივაც განსხვავდება ლექსის პირველი ნაწილისაგან. ამგვარად ლექსში „გოტიე“ შინაარსობრივი ოპოზიცია მკიდროდ არის დაკავშირებული ლექსიკურ-მუსიკალურ ოპოზიციასთანაც.

ენიდიდან ლექსი „გოტიეს“ უკავშირდება საკითხს დროის განცდა-გააზრებისა გალაკტიონის ლირიკაში. აქვე განვიხილავთ ამ მოვლენას. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში დროის გააზრების შესწავლას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ფართო გაქანება პოვა ამ ბოლო ხანს⁸.

გალაკტიონის ლირიკაში დროის განცდა-გააზრება, დროის ნეგატიური და პოზიტიური ასპექტებისადმი ყურადღება თავს იჩენს ადრინდელ ლექსებში. ამის ცხადი ნიმუშია „ოთხი დრო“ (1916). გალაკტიონის ადრინდელ ლირიკაში ბედნიერება წარსულშია მოთავსებული, ხოლო აწმყო ნეგატიურადაა გააზრებული, როგორც ბედნიერების მომსპობი ფაქტორი. „წარსული დროო მითხარ, ხომ გახსოვს? მე აღტაცებით ვმღეროდი მაშინ...“ — კითხულობს გალაკტიონი ლექსში „გახსოვს?“ (1914) და ამ წარსულს იაზრებს, როგორც ბედნიერების სამეფოს, როგორც „დროს — რომელსაც სულს ვერ დავაეიწყებ, დროს — რომელიც არ განმეორდება“. ლექსში „ერთ დროს“ (1916) ბედნიერება აგრეთვე წარსულშია დანახული:

ერთ დროს იყავი შენ ძლიერ კაცო,
აქ დრო სხევაყარაო მიქარებდა...

⁷ Ю. М. Лотман. Анализ поэтического текста, Л., 1972, с. 152—151.

⁸ დროის კითხვა ლიტერატურაში განიკარგება შემდეგ ლიტერატურაში: H. Meyerhoff, Time in Literature, 1962; G. Poulet, Etudes Sur le Temps Humain, P. 1959; M. Church, Time and Reality, 1953; D. Лухачев, Проблема времени в русской литературе, Л., 1971.

ბედნიერი „კარალეთის დღეები“ წარსულში მდებარეობს, ხოლო დროის სვლა აქაც უარყოფითად არის განცდილი:

კიდევ შეგრა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?

ამასთანავე წარსული, რომელსაც ბედნიერება უკავშირდება, არაა მთლად ზუსტად ლოკალიზებული. იგი იმდენად კონკრეტულ ისტორიულ ან ბიოგრაფიულ წარსულს კი არ უკავშირდება, არამედ წარსულის რომანტიკული, ლეგენდური, მითიური ვარიანტია. ლექსში „გოტიეს“ პოეტის წარსული ოცნებისეულია, რომელიც თითქოს მოკვეთილია გარე სამყაროსაგან, რის გამოც წარსული ირრეალურია, აკლია რეალური კონფიგურაცია. გალაკტიონის ლექსებში ხშირად იჩენს თავს ბავშვობის ნოსტალგია, როცა ჯერ კიდევ არ განიცდებოდა დროის სვლა. ე. წ. სიმბოლისტურ ლექსებში ბედნიერებით სავსეა მხოლოდ ის დრო, როცა იგი ნაკლებად განიცდებდა, ხოლო მისი დანახვა და განცდა ტრაგიკულ ხასიათს ატარებს. დროის შეგრძნებას ცხოვრების სიმანხინჯის შეგრძნება შემოაქვს ლექსში „ედგარი მესამედ“. გალაკტიონი სიმბოლისტურ ლექსებში ძალიან ხშირად გაურბის უშუალო რეალობას. იგი ქმნის ექსტაზის, ოცნების სამყაროებს და მაშინ იგი ხედავს როგორ „აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა“. ასეთ მომენტებში მშობლიური ქალაქის კიბეებზე „დაფენილია დაფნის ფოთოლი“ („თბილისი“). ეს არის გაქცევა აწმყოსაგან, გაქცევა იდეალური მშენებლების ზედროულ სამყაროში და მაშინ:

ჩნდება სინათლის ჩქარი ქაფები,
გზებზე ქარივით მოქარავენ
:და აიმართნენ, ეთ ჟრაფები,
მთა არსენალის და მთა სავანე.
ეს შელამება ნათელს დასთოვს,
მტკვარიც დამათოვს ნათელ ხარებას.
ათოვს ხიდებს, ათოვს მღაათოვს,
ათოვს ზმანებებს და მწუხარებას.
და მესობრები, შენ ვისაც ჭერა
სამოსი გმოსავს სნულ ოცნებით
და არ მშორდება ღუთსობლას ცქერა,
სავსე ქართულ პატრონებით.

ზმანებებიდან გამორკვევას, რეალობაზე დაფიქრებას კი მოაქვს აწმყოს ტრაგიკული განცდა:

თბილისი ჩემთვის არის მალაი
გლიოტინა და ემფოტი.
სერონის ციხელზე იფქრო კაცმა,
ახალი გწეაქვს მზე ეფერები
და განკაღო ასეთი ჭარბმა,
უბედურება, რღვევა, ცხვირება.

მაგრამ ხშირად პოეტი ახერხებს დაუპირისპიროს აწმყოს ტრაგიკულ განცდას შინაგანი ნება და ბრძოლის პათოსი; ასეთ დროს პოეტს აღმოსდება:

შენ მე ვაეკიო, შენ მე პაპნებო. გულა
ურაბნოსთან ბრძოლას ეგ არივებს.

ყველა ამაოა, ჯერ არ შებინდება, მხოლოდ გამარჯვება
ბედთან შეგვარიგებს.

გალაკტიონის ერთ-ერთ შედეგში „ეარდები“ (1927) ნაჩვენებია ზამთრი-საგან, რეალური აწმყოსაგან გადასვლა ხელოვნების, ფლორის, გრაციის, მუ-ზების, ხელოვნების, მშვენიერების სამყაროში, სადაც არ იგრძნობა დროის ხა-ნიერება.

გალაკტიონ ტაბიძის იმ ლექსების უმრავლესობაში, რომლებშიც საბჭოთა სინამდვილის თემას ეხმიანება ჩვენი სინამდვილის პარტიული შეფასების პო-ზიციებიდან, პოეტის პრინციპი აწმყოს მიმართ და მომავლის მიმართ ნათლად ჩანს შემდეგ სტრიქონებში ლექსისა „აწმყოს ღიდება ღიდი“ (1938):

აწმყოს ღიდე: ბა ღიდი
ღა ღღეს მომეღღეს ვაშა!
ჩვენი ლენინის მარად
ძღვევაპოსილი დრომით,
წინ, ახალ-ახალ ნათულ
გამარჯვების: კენ, მხარვე!

საგულისხმოა, რომ ისეთ ლექსებში, რომლებშიც პოეტი მთელი არსებით ახლოსაა მშობლიურ სინამდვილესთან, როცა იგი ახერხებს დაძლიოს პიროვ-ნული გაუცხოება და იგრძნოს საკუთარი თავი თავისი ერის ცხოვრების თანა-მონაწილედ, გამოსჭვივის სინამდვილის კონკრეტული ხატი და აწმყოც ნათელ ფერებშია დანახული. ასეთია ერთ-ერთი ლექსი ციკლიდან „ეს მშობლიური ქარია“ (1922):

ეს მშობლიური ქარია.
ეს სოფელია მძინარე.
არ ვიცი რად მისხარია:
ვაზი, ყანები, მღინარე.
დღემ ნისლი შემოიხევა,
გზაც სიარულმა დალია,
ის—ძველისძველი ციხეა,
-ქ კადეე წინანდალია.
წინანდალს ვაზი აწმვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი.
როგორ რთავს, როგორ აწმვენებს
აქიდობის მკიდელი.

გალაკტიონის პოეზიაში სხვადასხვა ტიპის ლექსებში განსხვავებული სი-ცხადითა და უშუალობით ირეკლებოდა ჩვენი სინამდვილის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები. იგრძნობა დაფიქრებანი თანამედროვეობის მრავალ საჰირბოროტო პრობლემაზე. კერძოდ, მის პოეზიაში გამოძახილი პოვა ისეთმა ისტორიულმა მოვლენებმა, როგორიცაა 1905 წლის რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. კვალდაკვალ ეხმაურე-ბოდა პოეტი ოქტომბრის რევოლუციას. ლექსი „რამდენიმე დღე პეტროგრად-ში“ (1918) რევოლუციური პეტროგრადის პიროვნული განცდის თავისებური პოეტური დღიურია. ისეთი თითქოსდა სუბიექტური განწყობილებებაც ლექსე-ბი, როგორიცაა „გემი დაღანდი“ და „დაბრუნება“ (1918), ქართლის ბედის ხელახალი ორიენტირებაა ახალი ისტორიული ვითარების მიმართ, რომლის თავისებური ასახევა სტრიქონი „მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“,

სადაც ქართულ პოეზიაში პირველადაა ნახსენები ლენინის სახელი. ცალკე უნდა ითქვას გალაკტიონის პოემაზე „ჯონ რიდი“ (1924), რომელიც უთუოდ ჯონ რიდის ცნობილი წიგნისა და ბლოკის „თორმეტის“ გათვალისწინებით არის შექმნილი. „ჯონ რიდი“ 20-იანი წლების გალაკტიონის ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს იმით, რომ აქ პოეტი ცდილობს თვალი გაუსწოროს რევოლუციურ ეპოქას, რომლის ცალკეული ფრაგმენტების, დოკუმენტური პასაჟების გამოყენებით, პროზაული და პოეტური საწყისების მონაცვლეობით ცდილობს შექმნას დინამიკურობით აღსავსე ეპოქის, ფართო ეპიკური სინამდვილის ჩანახატი.

1915—20 წლების ლექსების დიდი ნაწილი, რომლებშიც გალაკტიონი ყველაზე უფრო ახლოსაა სიმბოლისტურ პოეტიკასთან, თავისი თემატიკით საკმაოდ ასოციალურია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 1917 წლის თებერვალსა დაწერილი ისეთი ეპოქალური ლექსები, როგორცაა „დროშები ჩქარა!“ და „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, ხოლო 1918 წელსაა შექმნილი „წერილი მეგობრებისადმი“, რომელშიც პოეტი საქართველოს ისტორიული ცხოვრების განახლებას ნატრობს. მომდევნო წლებში პოეტის მიერ მთელი რიგი ფორმისეული მიღწევანი, ახალი ვერსიფიკაციული მრავალფეროვანება მთელ რიგ შემთხვევებში თემატიკის ეროვნული, ისტორიული და პოლიტიკური ასპექტის გაფართოებასაც უკავშირდება.

ცალკე და საგანგებოდ უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ საბჭოთა თემატიკა 20-იანი წლების დამლევს დიდ ადგილს იკავებს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში. 1928 წელს გალაკტიონ ტაბიძე კომინტერნის VI კონგრესის დელეგატებთან ერთად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში, რომლის შედეგადაც მან შექმნა ლექსების ციკლი „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „საით მიდის რევოლუციის საქართველო“, „პრესა“ და სხვა. მრავალი ამ ლექსთაგანი სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი ნიმუშია. ისინი აგრეთვე წარმოადგენენ მნიშვნელოვან დოკუმენტებს ქართველი პოეტის დამოკიდებულებისა საბჭოთა სინამდვილისადმი. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ასეთ ლექსში პოეტი ცდილობს მოიპოვოს გამარჯვება დეკლამაციური ტიპის ლექსში, რაც, შესაძლოა, არ წარმოადგენდა გალაკტიონის ნამდვილ პოეტურ სტიქიას.

„საუბარი ლირიკის შესახებ“ (1940) ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო ნაწარმოებია გ. ტაბიძის პოემათა შორის. ისევე როგორც სხვა პოემებს, შესაძლოა ამ პოემასაც დაკრავს ერთგვარი ფრაგმენტულობის შთაბეჭდილება, მასში მედიტაცია და საუბარი არ ემყარება შინაგან განვითარებასა და დინამიკას. მაგრამ მაინც ამ პოემაში ორიგინალურად და ცხადად იჩინა თავი გალაკტიონის სწრაფვამ პოეტური სისადავისაკენ, „მოქალაქეობრივ“ და „წმინდა“ პოეზიათა შორის წინააღმდეგობის მოხსნისაკენ. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა წინააღმდეგობას წმინდა და მოქალაქეობრივ პოეზიათა შორის, რაც თავისებურად აისახა მის ცნობილ წამოძახილში: „არა მარტო ტკბილ ხმათა თვის გამოგზავნა ქვეყნად ცაშა...“, ხოლო აკაკი წერეთელი განვილილ პოეტურ გზას ასე აკამებდა: „საზოგადოდ, მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი იარაღთაგანი დღიურ აკარგიანობის საბრძოლველ-სამსახუროდ. თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუფლებურად და შემთხვევით მომხდარა“. სიმბოლიზმთან მკიდრო კავშირის პერიოდში გალაკტიონმა დიდი ყურადღება დაუთმო პოეტურ ხელოვნებას, მაგრამ მას პოეზიის აკაკისებური აქტუალობა როლი აწლდა თან. პოემა-

ში „საუბარი ლირიკის შესახებ“ ცდილობს დაასაბუთოს, რომ შესაძლებელია „პოეტსა“ და „მოქალაქეს“ შორის წინააღმდეგობის დაძლევა. პოეტს ღიმილს გვრის „შედევრი წმინდა“, მოკლებული რეალურ იდეას. პოემა ყურადღებას იმყრობს ძველი ბერძენი პოეტების ლექსთა ხშირი დამოწმებით და ქართული პოეზიის ტრადიციების ხოტბით, ვინაიდან წარსულის ეს პოეზია „არ მოემწყვდა პიროვნულ და ინტიმურ სფეროს, ის ასახავდა ურთულეს, უღრმესს, საეროს. ადამიანის საეროსთან დამოკიდებას, საგმირო საქმეთ, სამშობლოს მისის დიდებას“. ამ თვალსაზრისის გატარებას ცდილობს გ. ტაბიძე თავის 30—50-იანი წლების ლექსებში, რომელთა საუკეთესო ნაწილში, კერძოდ „ნიკორ-წმინდაში“ პოეტი კვამარიტ გამარჯვებასაც აღწევს.

30-იანი წლების გ. ტაბიძის ლექსების ერთ-ერთი სიახლე, როგორც თემატიკური. ასევე წმინდა შემოქმედებითი, დიდად განაპირობა იმ შთაბეჭდილებებმა, რომელნიც 1935 წელს იენისში მიიღო პარიზში მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესზე მონაწილეობისას. ამ შთაბეჭდილებებმა ააღორძინა და ახლებურად ააქლერა „ფრანგული თემა“ გ. ტაბიძის ლირიკაში. ასეთ ლექსთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „მისტერია წვიმაში“, რომელიც რეალისტური და იმპრესიონისტული ფერწერის მონაცელებით, ჩვეულებრივ მეტყველებასთან ახლოს მყოფი ბუნებრივობით, იშვიათი არტისტიზმითა და უშუალობით ხასიათდება. „ფრანგულ თემასთან“ არის დაკავშირებული აგრეთვე ისეთი შედეგები, რიცგორიცაა „წარწერა წიგნზე მანონ ლესკო“ (1939) და „გოტიეს რომანიდან“ (1940), „ანატოლ ფრანსი“ (1935) და სხვ.

გ. ტაბიძე დიდი გულსისყურით აღევნებდა თვალყურს თანამედროვე რუსულ პოეზიას: იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა ვ. მაიაკოვსკის, მისი პოეზიის მოქალაქეობრივ პათოსს, მზადყოფნას ხალხის სამსახურისათვის. 1935 წელს გალაქტიონმა ლექსიც მიუძღვნა მაიაკოვსკის:

მაიაკოვკე პალეათის
 ღიბრეა ილი ნაფელი,
 აღანოცება, მზე ჩაღის,
 მზე ჩაღის, მზე ბაღდათელი...
 და უფრო უნებარესი
 მოულოდნელი შენებით
 უღებ გაბრწყინლა კონგრესი
 მაიაკოვსკის ხსენებით.

ლირიკის, პოეზიის ხალხის სამსახურში ჩაყენების აუცილებლობის საილუსტრაციოდ გ. ტაბიძე ხშირად იმოწმებს მაიაკოვსკის „საუბარში ლირიკის შესახებ“.

გ. ტაბიძის ომისდროინდელი ლირიკა აღსავსეა პატრიოტული გრძნობის ძალი გაქანებით, მამულიშვილური იდეების მაღალი პათოსით, რაც ზოგჯერ ინტიმური ხასიათის ლექსებშიც კი ირეკლება:

არ დაგვიწყდეს პალმა, ლანა,
 გეტუი, თუნღ გული ჩემი დამიწიეს,
 არ დაგვიწყდეს ჩვენი ქვეყანა,
 ყველაფერი რომ ვადაგვიწყდეს.

(„არ დაგვიწყდეს“, 1944)

50-იანი წლების გ. ტაბიძის პოეზიის ხასიათზე ბევრს მეტყველებს „მშვიდობის წიგნი“, რომელიც დიდი სამოქალაქო, საზოგადოებრივი განცდებითა

და ვნებებით არის დატვირთული და მკიდროდ არის დაკავშირებული იმ წლებს პათოსთან და ხასიათთან. გ. ტაბიძის უკანასკნელ და საუკეთესო ლაღადისად უნდა მივიჩნიოთ „ახლა კი დროა“, რომელიც საღი და ნათელი ისტორიზმის გრძნობით ხასიათდება. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიამ განვითარების რთული გზა გაიარა: ეს იყო წინააღმდეგობრივი გზა, ძიებებით და გენიალური მიგნებებით, აღმოჩენებისა და ზოგჯერ აშკარა მარცხის, ზოგჯერ კომპრომისებისა და წაბორძიკების, მაგრამ საბოლოოდ მუდამ ხალხის, მისი ბედისა თუ უბედობის, მისი სიხარულისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ამსახველი პოეტის გზა: გალაკტიონის საუკეთესო ქმნილებებმა სამუდამოდ პოეტს თავიანთი სამყოფელი ეროვნული პოეზიის ოქროს ფონდში. გ. ტაბიძის პოეზიის სათანადო შეფასება, ამ დიდი პოეტური სამყაროსადმი დღევანდელი პოეზიის ამოცანების ორიენტირება თანამედროვე ქართული ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

რუსუდან კუსრაშვილი

O. გრიშაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან

(პოეზია)

მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესი, მისი განვითარების ცალკეული საფეხურების შესწავლა მოითხოვს ავტორის მთელი შემოქმედებითი ლაბორატორიის ღრმა ანალიზს. ხელნაწერი წყაროები (ავტოგრაფები) ნაბეჭდ წყაროებთან ერთად ქმნის ერთადერთ საფუძველს იმისათვის, რომ მკვლევარი შეიძერს შემოქმედის „მე“-ში: მის ხასიათში, ფსიქიკაში, ჩანაფიქრებში და შეცნობილი კვლევის შედეგად მიღებული სწორი დასკვნები მიაწოდოს მკითხველს.

როდესაც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს არქივი — ეს, მართლაც, ერთგვარი ლაბორატორია, სახელოსნო, სადაც ხდება მასალების გადამუშავება, შემოქმედებითი წვა, ლიტერატურული იდეების გამოქვეყნება და საბოლოოდ ჩამოქანდაკება იმ ქმნილებებისა, რომლებსაც მკითხველი იღებს უკვე დამთავრებული ნაწარმოების სახით. ერთი სიტყვით, მიხ. ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, მწერლის „... გამოგონილი და მოგონილი შემოქმედებით ლაბორატორიაში იხარშება, მუშავდება და ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს ხოლმე“.

არ არსებობს ალბათ არც ერთი ხელოვანი თუ ლიტერატორი, რომლის არქივის შესწავლა დიდ ინტერესს არ იწვევდეს.

ვაქას, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, მიხ. ჭავჭავაძის, ი. გრიშაშვილის არქივები და საერთოდ მთელი მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მსგავსად სხვა კლასიკოსთა შემოქმედებისა, ამოუწურავი წყაროა იმ დიდი ნიჭის, ცოდნისა და გამოცდილებისა, აზრთა დინამიკურობისა, რომლებიც ასე უხვად გააჩნიათ ამ დიდებულ ადამიანებს და რომლებიც დაუსრულებლად აწვდიან მილიონობით მკითხველთა გონებას ლიტერატურულ-ესთეტიკურ, ისტორიულ თუ იდეურ საზრდოს.

ი. გრიშაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, შეიძლება ითქვას, საუკეთესოთაგანია ყოველივე ზემოთქმულის დასადასტურებლად. ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია, რა ფაქიზი და მდიდარი ბუნებისა იყო მისი მფლობელი, სახალხო პოეტი-აკადემიკოსი, მკვლევარი და ლიტერატურის ისტორიკოსი იოსებ გრიშაშვილი.

ი. გრიშაშვილს ლექსების წერა 1905 წლიდან დაუწყო. ეს თარიღი პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც იგი ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯებით ცდილობდა ამ რთული და ძნელი საქმის დაუფლებას. „დამწყები მწერალი ვიყავი, ვწერდი ლექსებს, შაირებს, საფლავის ქვებზე ამოსაქრელ ეპიტაფიებს. ჩვენს უბანში (და განა მარტო ჩვენს უბანში?) ვისაც ვინმე მოუკვდებოდა ჩემთან მორბოდნენ სამგლოვიარო ლექსის დასაწერად, ლმერთმანი, არ შემრცხვება, თუ ვიტყვი, რომ რაც პეტრე-პავლეს

და კრწანისის სასაფლაოებზე ლექსები მაქვს გაბნეული — ერთი მოზრდილი ტომი გამოვა. ბოლოს, ასაკში რომ შევედი, მკედრები მივატოვე და ცოცხლებზე დავიწყე წერაო“, — იგონებს პოეტი (იხ. ტ. V, 1965, გვ. 153). ი. გრიშაშვილი უკვე იმ ასაკში იყო, რომ კარგად ესმოდა ცხოვრების ავი და კარგი შეუტენია აწმყოს სიდუხჭირეც, მაგრამ მისი ახალგაზრდული პოეტური სული უკეთესისაკენ ისწრაფოდა და მომავლის დიდ იმედსა და რწმენას უნერგავდა ჰაბუქს. არქივში დაცულია ასეთი სულისკეთებით გამსჭვალული ერთ-ერთი მისი პირველი ხელნაწერი ლექსი „მეგობარს“ (არქ. № 1, 3)¹, რომელშიც 16 წლის ჰაბუქი თითქოსდა თავის თავს ცხოვრების მიზანს უსახავდა:

შენ, მეგობარო, ისე განვლე ეს გზა ცხოვრების,
რომ შენსა შეილებს სიბრძნე არ დაუტოვო!

ამ რწმენით გამოვიდა მომავალი პოეტი ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე და ამ რწმენითვე განვლო მთელი სამოღვაწეო გზა.

ი. გრიშაშვილის ბედმა თავიდანვე ისეთი უკუღმარაი ცხოვრება არგუნა, რომ სწავლასა და ცოდნას მოწყურებულს სპეციალური განათლება არ აღირსა. ეს მას თავის დიდ ნაჲლად მიაჩნდა და წლების მანძილზე შეე ლაქად ეცხო გულზე. ჰაბუქურ და შემდეგ წლებშიც ი. გრიშაშვილი ბევრს მუშაობდა თავის თავზე, ეუფლებოდა ისტორიას, უცხო ენებს, ლიტერატურას და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რათა ამ გზით მაინც ამოეესო. ეს ხარვეზები. „მთელი დღე ეწერ და ვკითხულობ, ჩემი საქმენი ეს არის“, — სწერს იგი 1908 წელს თავის მეგობარს ეანო ჰარხალაშვილს (არქ. № 1—6). თავისი თავისადმი უმაღური და მომთხოვნი პოეტი თავის თავს „უსწავლელსა“ და „გაუნათლებელს“ უწოდებდა. ხოლო თუ ვინმე მის მეგობრულად გაწედილ ხელს გულგრილად შეხვდებოდა, მიზეზად მხოლოდ ამას თვლიდა. ხშირად ვხვდებით მის იმდროინდელ პირად წერილებში ექვიანი პოეტის ამგვარ გულწრფელ აღიარებას: „აღბათ იმიტომ არ გიყვარვარ, რომ მე ერთი უსწავლელი და გაუნათლებელი კაცი ვარ“, ან „სად შენ განათლებული და სად მე უსწავლელიო“. ასე წარმოდგინა თავისი პიროვნება და ასეც სჯეროდა, თორემ მისი კლასიკური განათლება, ცოდნა, ნაკითხობა და კვლევითი ალლო ბევრს შეშურდებოდა იმ დროს. „... მე სულ ვემცადინებო. რაც ბაღლობაში დამაკლდა, ეხლა ვისრულებ. ნეტა აკაქის ლექსი არ გამართლდეს ჩემზე. „მოხუცი აქ რომ ჩანგურს ისწავლის, ის საიქიოს გამოადგება“. მინდა ქართული ლიტერატურის მცოდნეობაში სავსებით სავსედ ვიყო განსწავლული“, — ვკითხულობთ 1932 წელს დავით მესხისადმი მიწერილ წერილში (ავტოგრაფი, 2174/50 ქუთაისი).

პოეტის აზრით, „... მარტო ნიჭი შრომის გარეშე ანთებული ბურბუშელასავით ჩაქრება. შრომა. შრომა და შრომა — ეს უნდა იყოს ყველასათვის ცხოვრების მიზანი“. თვითონაც ხომ ფუტკარივით მშრომელი ადამიანი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, სანამ ჩანმრთელობა ხელს ეწყობდა, დაუღალავად მუშაობდა: წერდა, კითხულობდა, კრებდა ფოლკლორულ და ლექსიკურ მასალებს, ავროვებდა უნიკალურ წიგნებს თავისი ბიბლიოთეკისათვის და წესრიგში მოჰყავდა მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ი. გრიშაშვილი ბევრს მუშაობდა წიგნზე. წიგნიდან სპეციალურად გამოყოფილ რეველში უცვლელად იწერდა იმ ადგილებს, რომლებიც მასზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბოლოში კი მიუწერდა ავტორის გვარს, წიგნის სა-

¹ საარქივო მასალები დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

თაურს, თარიღს და ამონაწერის გვერდს. ხშირად ამ ადგილებს იყენებდა კიდევ თავის მუშაობის დროს. „ეს ფაქტი, — აღნიშნავს პოეტი, — ძალიან სასარგებლო გამოდგა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში“ (თხზულებანი, ტ. V, 1965, გვ. 252).

მაგრამ ი. გრიშაშვილის პიროვნების ჩამოყალიბებაში მარტო წიგნი როდი იყო გადამწყვეტი ფაქტორი. სკოლადაუმთავრებელმა ჰაბუქმა დიდი სკოლა გაიარა ცხოვრებაში. „უწიგნოდ ბევრი რამ შევისწავლე, ცხოვრების წიგნში ვიძიებოდი“, — იგონებს პოეტი. სწორედ ცხოვრების სკოლამ, აგრეთვე ახალგაზრდა პოეტის დაუცხრომელმა წყურვილმა ცოდნის შეძენისა, რომელიც დღევანდლამდე გამომყვაო, — ამბობდა შემდეგ უკვე ხანდაზმული და ღვაწლმოსილი, — დიდი გავლენა მოახდინა მის პიროვნებაზე. ხოლო თეატრი და მთელი თეატრალური სამყარო ი. გრიშაშვილისათვის ნამდვილ უნივერსიტეტად იქცა. 18 წლის ჰაბუქმა ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის ე. გუნიას წყალობით მორიდებით შეაღო თეატრის კარები და მისი დიდი ოჯახის მკვიდრი წევრი გახდა. მას ურთიერთობა ჰქონდა ისეთ გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებთან, როგორც იყვნენ: კოტე მარჯანიშვილი, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია და სხვა.

ი. გრიშაშვილს მთელი გულით უყვარდა თეატრი და მისი მოღვაწეები. პოეტს რით შეეძლო მადლობის გადახდა იმისათვის, რაც თეატრალურმა ცხოვრებამ მისცა, თუ არა ლექსით. მგოსანმა არ დატოვა თითქმის არც ერთი საყვარელი მსახიობი თუ ხელოვნების მოღვაწე, რომლისთვისაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გულიდან ამოტყორცნილი ლექსი არ მიეძღვნა („სახალწლო ექსპრომტები“ „ქართულ თეატრს“. „მამავე ძვირფასო“, „ლადო მესხიშვილის იუბილეზე“, „ბუღბული“ (ვლ. მესხიშვილს), „კრილოსანი“ (კოტე მესხის ხსოვნას), „მარგარიტა ვოტიეს“ (ნუცა ჩხეიძეს), „სალამი“ (ნატო გაბუნიას), „ნატო გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას“, „კოტე ყიფიანს“, „დათოვლილი მედროშე“ (ე. გუნიას), „მსახიობ ალ. იმედაშვილს“, „ვანო სარაჯიშვილს“, „მარჯანიშვილის სურათთან“, „ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას“, „ვასო აბაშიძის საფლავთან“, „ეფემია მესხს“ და მრ. სხვა) და გრძნობით სავესე მოგონებები ან წერილები არ დაეწერა მასზე.

განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებს ი. გრიშაშვილი ლადო მესხიშვილს, მის ბრწყინვალე ტალანტს და ადამიანობას. „თუ ჩემს პოეზიას რაიმე მგრძნობიერება ახასიათებს, ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია... ის სცენაზე იყო, მე სუფლიორის ნიჟარაში... მე ვიტანჯებოდი ლადოს ტანჯვით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით“... ასე განიცადა პოეტმა დიდი მსახიობის დიდებული ნიჭი.

და თუ რამ სუფევს ჩემში კეთილი.
გრძნობის სიმართლე. რითმის ვალობა.
სულ შენგანა მაქვს ამოკეთოლი.
შენმა სიღბებმ დამაწყალობა.

(„ლადო მესხიშვილს“, 1930)

ი. გრიშაშვილი ასეთივე მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული ვალერიან გუნიასადმი, რომელმაც ცხოვრების გზაზე დააყენა ჰაბუქი პოეტი და მის ნიჭს ფართო გასაქანი მისცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. გუნიას წყალობით შედგა ფეხი ახალგაზრდა ი. გრიშაშვილმა თეატრალურ სამყაროში. ასევე, ვალერიან გუნიამ, იცოდა რა მისი „პოეტობის ამბავი“, 1907 წლიდან დაუახ-

ლოვა იგი ყ. „ნიშადურს“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. „ამ ეურნალში ავიდგი ფეხი. აქ პირველი ლექსი ილიას სიკვდილის გამო დაეწერე... რტყეს სცივდება ფოთოლი“, რომელსაც შემდგომ გაბუნია-ცაგარელისა მღეროდა კიდევ“. ეს იყო პირველი ლექსი ი. გრიშაშვილისა, პერიოდულ პრესაში რომ გამოჩნდა. ვალ. გუნიასადმი მადლობით საესე ი. გრიშაშვილი მას მშობელს, ძვირფას მამას უწოდებდა, რომელმაც ასე დიდი ამაგი ვაილო მისთვის და უძღვნა ცნობილი ლექსი „მამავ, ძვირფასო!“ ხოლო 1917 წ. დაწერილ ლექსში „დათოვლილი მედროზე“, პოეტი მკითხველს მთელი გულით უამბობს:

წვიძლება მე პოეტი, დღეს ლექსებად აზაეთული:
 ეყოფილყოვე ვინმე მანე, ბოროტი და ყაჩაღ-თელი.
 ია თქვენ, ხალხო. თუ ოდესმე მოგიძღვნათ ჩემთვის ქება,
 რა ყოფილა თქვენს თვალებში ჩემი ლექსის აშუქება.
 თუ ოდესმე მეც ეყოფილვარ სიყვარულის უსტაბაში,
 და სცენაზე გამოსვლისას თუ დაგიკრავთ ჩემთვის ტაში, --
 იგი ტაში! იგი ქება! აჰ. მეკუთვნის მე კი არა,
 ის ეკუთვნის ჩემს ვალოკოს, ვინც მე ლექსებს მზაიარა.
 ვინც მე მზრდიდა ბაღობიდან, ეს ვეძახდი მშობელ მამას...
 მე არა ვარ ტაშის ღირსი — ის ეკუთვნის ამას... ამას...

ი. გრიშაშვილს ამ ადამიანების წყალობით საშუალება მიეცა ჩამოსცილებოდა ძველ, ბოჰემურ ცხოვრებას, ყარაჩოღულ გარემოს და გზა გაეკვლია კულტურული, ლიტერატურული საზოგადოებისაკენ, ჰემმარიტი პოეზიისაკენ. რასაკვირველია, ეს თავისებურ ასახვას პოულობდა მის შემოქმედებაშიც. დაწყებითი მუხამბაზური, ყარაჩოღული სტილი თანდათან იხვეწება და საბოლოოდ ი. გრიშაშვილი გვევლინება უფრო თანამედროვე შემოქმედად, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მაგრამ მანამდე მან საკმაოდ ძნელი გზა განვლო, როგორც პოეტმა და პიროვნებამ.

ახალგაზრდა ი. გრიშაშვილს სწამდა, რომ იყო „ერთი გაუნათლებელი და უცოდინარი კაცი“; ასევე გულწრფელად აღიარებდა, რომ იყო „პატარა პოეტი“. მას ვერ წარმოედგინა გვარი „ი. გრიშაშვილი“ ინტელიგენციისათვის რაიმეს მთქმელი ყოფილიყო. ამიტომ თავიდანვე თავმდაბალი და მორიდებული ძნელად ეგუებოდა თავისავე ისეთ დიდ პოპულარობას, რაც მისმა პოეტურმა აღიარებამ მოუტანა. მას ხომ შემთხვევით გაჩენილ პოეტად მიაჩნდა თავი, როცა ამბობდა:

ბე.ი. ტალი, ოხერი
 სადღა არ დამატარებდა,
 ბოლოს მე თვითონ არ ვიცი,
 გაჩნდი ლექსების კარებთან.

(მხოლოდ სიყვარულ., 1946)

იგი აღტაცებული და ამავე ღროს გაოცებული იყო, როცა მას — პოეტს აღფრთოვანებით ხედებოდა ყველგან ხალხი. მის პარტიოსან გულს ისიც კი ვერ წარმოედგინა, რომ საზოგადოების ასეთი სიყვარული მისმა ლამაზმა პოეზიამ დაიმსახურა.

„გამაგებინე, რა ვარ! — წერდა ი. გრიშაშვილი ო. ლეჟავას 1911 წელს (არქ. I—IV—82), — რას წარმოვადგენ, ამიხსენი. თითქოს პირობა შეუკრავთ — ყველა (ყველგან) აღფრთოვანებით და თავიგულებით მეგებება... რისთვის? ნუ-თუ, მართლა რამეს წარმოვადგენ? ეს ხომ შენი ბრალია“. ან: „აი, ესეც საჩხე-

რე!.. იცი, მე მიკვირს და გაკვირვებული ვარ. ამ ხალხის გულმხურვალებით. რა ვარ, რომ ასეთი ხმა მაქვს. გეფიცებით მამაჩემის სულს, რომელიც ასე მიყვარდა, რომ მე თვით არა მჯერა—რა ჩემი!.. ერთი სიტყვით, არა მჯერა — ნუთუ ეს მე ვარ გრიშაშვილი და მე ვწერ?.. კნენინებთან ორასი მოწაფე სადილობდა. რომ მიველ, დაიძახეს „ურა, ურაო“, ისე შემრცხვა, რომ მიწა რომ გამსკდომოდა, მერჩივნა“ (1912 წ., არქ. I—IV—152).

ვერ ვეგუებოდა თავისი პოეტური ნიჭის გახშიანებას ი. გრიშაშვილი, თორემ მას ხომ ნამდვილად ვერ წარმოედგინა სიცოცხლე ულექსოდ. ლექსი მისთვის ყველაფერი იყო. მისივე თქმით, იგი ლექსით სუნთქავდა, ლექსით ცოცხლობდა. ეს სიყვარული უსაზღვრო იყო. და ხშირად საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მას — იოსებ გრიშაშვილს შურდა ხოლმე პოეტი იოსებ გრიშაშვილისა. „და ჩემი ლექსის აღფრთოვანებას შორიდან ვკვრეტ და შურით შევცქერი“ — გულწრფელად აღიარებს იგი „ჩემს ლექსში“; „დავრწმუნდი, რომ ლექსი უნდა დაიწეროს. — აბა, ვინც ლექსს არა სწერს, რა სიცოცხლეა მათი სიცოცხლე“, — ეკითხულობთ ერთ-ერთ მის პირად წერილში (არქ. № 1—127) და პოეტიც წერდა და წერდა:

ლაქწერ. კვლავ დაქწერ! დაქწერ, სანამდე
გრძნობა ფრთასა შლის, სევდა დამსხივის.
(„მგონის აღსარება“)

მაგრამ ლექსის წერა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ლექსის წერის პროცესში ყველაზე დიდი დაძაბულობა ადამიანის ტვინსა და ნერვებს სედება. ამიტომ არის, რომ პოეტი, შემოქმედი ხშირად შინაგანად ნერვიული. აგზნებული ბუნებისაა. მისი ყურადღება გამახვილებულია ყოველი მოვლენასადმი, რასაც შეიძლება ჩვეულებრივმა მოკვდავმა ყურადღებაც კი არ მიაქციოს. ხელოვანს ესმის და ხედავს კიდევ უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი ნიჭის ადამიანი და ამ დანახულს და გაგონილს თავისებური მუსიკალური ბგერებისა და ფერების ელფერში მოსაყვს, თავისებურ „შემოქმედებით საცერში“ ატარებს.

ი. გრიშაშვილისაც ღრმად ჰქონდა შეცნობილი თავისი პოეტური ბუნება, პოეტის შინაგანი სამყარო და კარგად იცოდა, რომ იგი არა მხოლოდ აღმფრთოვანებელია, არამედ ტრაგიკულიცაა:

მე არაფერი დამემალება,
მეინდე გულის პოეტურ ღელვას,
მე ვიცი ვარდის ზიზილა ენა,
მე ვგრძნობ ცის ელვის ელვარე ელვას.

უბედურებაც სწორედ ის არის,
რომ ყველაფერს ვგრძნობ, კარგსა და ავსა,
ახ, ნეტამც გული არა მქონოდა,
რა ბედნიერად ჩავთვლიდი თავსა“.

ამის გამო ზოგჯერ მელანქოლიაში გადავარდნილ პოეტ-გრიშაშვილს წუწუნის მსგავსი აღმოხედებოდა ხოლმე: „ისევ ნერვები მაქვს დაშლილი. ხომ იცი, მოლექსე-მოშაირე კაცი ვარ და ჩემი ყოფა სულ ნერვებისაგან შესდგება. ჩემმა სულმა ყველაფერი უნდა იგრძნოს — სიკარგეცა და სიავიც“, — წერს იგი ერთგან (არქ. № 4). „იწერები, თავს გაუფრთხილდიო, აბა, საიდან, ჩემო კარგო? განა შეიძლება, რომ პოეტმა წესიერად იცხოვროს? იგი მოუსვენარიო, მას ფიქ-

რი სტიქია და ოცნება აწუხებს“, — ვკითხულობთ კვლავ პირად წერილში (არქ. № 4).

ასეთ წუთებში ი. გრიშაშვილი ხშირად უჩივის მარტობას, სულთ ობლობას, ცუდ ხასიათზეა, რადგან ამ დროს გვერდით არა ჰყავს მეგობარი, მრჩეველი, რომელსაც შეეძლება მისი ფიქრების გაზიარება. მხოლოდ „ერთადერთი მარიჩანია², რომელსაც ესმის ჩემი სულის კანკალი და მიფრთხილდება, როგორც პოეტსო“, — წერდა პოეტი (დისშვილს ანის) 1928 წ.

იცი გაშორდა... ჩემს დღეებს მწარე,
 ვითელი უიღბლო, ობოლი, მწირი,
 ვიჯალღოვები გაჭირვ სმარეს,
 რომ იქ დაშთმის ადგილი წერილი.
 („იცი გაშორდა“)

მაგრამ ასეთი განწყობილება მისთვის დამახასიათებელი არ არის. ი. გრიშაშვილი პოეტია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, იცის თავისი ძალა და სწამს, რომ „ბედნიერების წმინდა აღქმა მხოლოდ ლექსია, რომ ყველაფერი წარმატებულია, მხოლოდ ლექსია მარადიული“. ლექსის წერა, როგორ სიძნელესთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული, ყოველდღიურ მოთხოვნებზე გადაპქეცევა მას:

მე პოეტი ვარ! მოპოვინათ: ჩ. ნეს. ერთი თვით
 შევყავ. შევბოქავ ქვეყნულიან ამბებს არ
 მე პოეტსო! ჩ. მის ლექსით და ჩემს რაიმე
 ზღვას ვევაშვილებ. ზღვას მრისიანეს, ზღვა... სიბო სისო -
 („პოეტი“)

ი. გრიშაშვილის პოეზია გამთბარია იმ ადამიანურობით, კეთილშობილებითა და სიყვარულით, რითაც ასე უხეად იყო დაჭილდობებული თვით პოეტი. ამიტომ თავიდათავი ი. გრიშაშვილის პოეზიისა, მისი მამოძრავებელი ძარღვი — სიყვარულია. სიყვარული ყველაფერი კარგისადმი: სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, მშობლიური თბილისისადმი, მეგობრისადმი, ხალხისადმი, სიყვარული ქალისადმი — ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მის ახალგაზრდულ წლებში. ი. გრიშაშვილს როგორც ულექსოდ, ასევე უსიყვარულოდ ვერ წარმოედგინა სიტოცხლე. როცა პოეტი შეყვარებული არ იყო, მის თვალში ყველაფერი კარგავდა ხალისს და პოეტიც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ყველაფერზე გულადრენილი იყო. ამიტომ მას ძალიან ხშირად უყვარდა, უყვარდა მთელი თავისი არსებით. „სიყვარულია სიკეთის გამარჯვება და მშვენება“ — ასეთი იყო მისი დევიზი. თვით ი. გრიშაშვილი არც მალავს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიყვარულმა შექმნა იგი პოეტად, და გულახდილად აღიარებს:

რომ სიყვარულმა გამზადა
 ლექსების გამოჩარხველა,
 დამლოცა... დამიდასტურა
 ერთი პოეტის სახელი
 („მხოლოდ სიყვარული“)

ი. გრიშაშვილს თავის პოეტურ შემოქმედებაში ეს გრძნობა დაუშრეტელ წყაროდ გადაუქცევიდა. იგი გულწრფელია და ერთგული. „ნამდვილი მეოსანი

² მარიჩანი — მარიამ ტყემალაძე-ალექსიძისა, ცნობილი პოეტა ქალი, ი. გრიშაშვილის ახლობელი და მეგობარი, რომელსაც პოეტმა მრავალი შესანიშნავი ლექსი უძღვნა: „მარიჩანს აგარაკზე“, „ვეითელი ფერი“, „მარიჩანს“ და სხვა...

ი. გრიშაშვილის ადრეული პერიოდის ნამდვილ, სერიოზულ გატაცებას ოღლა ვასილის ასული ლეჟავა (1883—1960) წარმოადგენდა. სათნო გარეგნობის ნიჭიერი მსახიობი ქალი ქართული თეატრის დიდი მოყვარული იყო. მას ქართულ თეატრთან ერთად აუღვამს ფეხბ და სიყვდილამდე მისი ერთგული დარჩენილა. ოღლა ლეჟავა პირველად სცენაზე გამოვიდა 1899 წ. ავჭალაში — სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მას უმუშავია, აგრეთვე, ბათუმის თეატრში, ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ დრამწერეში, ქართველ მსახიობთა ამხანაგების დასში. ი. გრიშაშვილის ცნობით, მუდამ ახალგაზრდა ქალების როლს ასრულებდა. იგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული.

არქივში დაცულია ი. გრიშაშვილის მრავალი პირადი წერილი ოღლა ლეჟავასადმი, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად აფასებდა პოეტი მსახიობი ქალის ნიჭსა და განათლებას. თავისთავს თითქმის ამ ქალის უღირსადაც კი თვლიდა („რად გინდა ჩემნაირი გაუნათლებელი“). მაგრამ სიყვარულს მაინც თავისი გაპქონდა და ახალგაზრდა პოეტი ასე მიმართავდა თავის სატრფოს: „იცი ლამაზო, შენ რაღაც არაჩვეულებრივი ქალი ხარ, შენ მხოლოდ რჩეულთათვის ხარ დაბადებული. მიწისზელი ღირსი არ არის შენი ფერხთა მტვერისაც კი. უბრალო მოკვდავი ვერ ეღირსება შენს სიყვარულს, შენ მხოლოდ ჩემი უნდა იყო საბოლოოდ“ (1911 წ., არქ. IV—104). თავდავიწყებით შეყვარებული პოეტი ამ ქალში ხედავდა თავის სათაყვანებელ ღმერთსა და სულის კერპს.

შენს თვალეში ტალღას სჩიხავს.
ტალღას ღაღს და თავისუფალს,
შენს თვალეში ვხედავ ჩემს ღმერთს,
სულს კერპს და გულის უფალს.

ეკითხულობთ ოღლა ლეჟავასადმი მიწერილ ერთ-ერთ ღია ბარათზე, რომელზედაც ზღვის ტალღაა გამოხატული და დათარიღებულია 1911 წ. 16 აპრილით (ავტოგრაფი IV—266).

ოღლა ლეჟავას მიუძღვნა ი. გრიშაშვილმა მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი და პოპულარული ლექსები: „ღერწამი ხარ“, „სხივთა წვიმა“, „ასცილდი სანღვარს“, „შურისძიება“, „დაეტოვე ბალი“, „მზე“, „თეთრი წვიმა“, „თოვლის ფიფქი“, „ქინძისთავი“, „ფიფქის ვარდი“, „ჩემთან მოდი“, „შემოდგომის მელოდია“, „მელოდია მწუხრისა“, „ოლოლ, ოლოლ“, „მაისის ჩურჩხული“, „მზის ზღაპარი“, „ჩემს დეზდემონას“, „დააჩქარე, დააჩქარე“, „მშვენიერი ტანჯვა“, „სალომეას სურათზე“, „წმინდა ხარ, წმინდა“, „სალამური“ (ჩემი უკანასკნელი ლექსი ოლოლისადმი) და ბევრი სხვა.

არქივში დაცულია დღემდე მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი ლექსებიც მიძღვნილი ო. ლეჟავასადმი: „პო, დილა იყო, მცვრიანი დილა“, „მე ოლიკო დამეკარგა“, „ო, ნუ მიცქერი ვგრე სასტიკად“, „შენი ღმირი ჭალათია უბედურ მგოსნის“, „ოლა-მადონას“, „კიდევ კოცნა“² და ა. შ.

„ერთხელ ქალები ისე ჩამაცივდნენ..., რომ კინლამ კუთაზე შევირყიე... მითხარი, სთქვი, ვინ არის, ვისაც ასე ამკობო. ნუთუ აქამდე გულის სიმა ვერ შეუჩრხიეო... ავდექი მეც და სცენაზე წაიკითხე „საზღვარს“ და ვსთქვი, ვუძღვნი ოლ. ლეჟავას-მეთქი... წარმოიდგინე, გათაეებისას ისეთი ტაშთა

² ყველა ეს ლექსი შეიქმნა ი. გრიშაშვილის თხოვრებათა მიხედვით ღმირიში (1 ტომში).

გრილი იყო, ისეთივე აღფრთოვანება... რომ მე კალმითაც კი ვერ ავწერ“ (1911 წ., 30.V, არქ. IV—82), წერს პოეტი ო. ლეჟავას დასავლეთ საქართველოში საგასტროლო მოგზაურობის დროს.

„ოლ-ოლ“, „ოლიკო“, „ჩემო დამმარხველო“, „ჩემო ჭვირანო“, „შხის ცრემლებში განბანილო“, „ზაფხულის სევდავ“, „ზღვის მიონავ“, „გედის სიმღერავ უკანასკნელო“, „ღმერთების ქნარზე ჰანგად დაწულო“, „ყოფნას სიმბოლოვ“, „ხევის ნიაგო“, „ბროწეულის ყვავილო“, „ჩემო გვრიტო“ და კიდევ რამდენი ეპითეტით (სულ 28 დავითვალეთ) მიუმართავს შეყვარებულ პოეტს წვრილობით თავისი გატაცებისათვის. მაგრამ მსახიობი ქალი თავშეკავებით ექცეოდა პოეტს, რისთვისაც იგი დიდ გულისწყრომას გამოხატავდა: „დღეს მივიღე წერილი თქვენი, — იწერება იგი საგასტროლო მოგზაურობიდან, — დიდათ, დიდათ გმადლობთ. ნუთუ ასეთი წერილით უნდა გამომხმამურებოდით? ნუთუ ასეთი უსულგულო ხართ? ეს შეკუთვნოდა? რა დავაშავე?“.

„მე შენი სიყვარული მიყვარს, შენ კი არასდროს არ შეგიყვარებო“, — ასეთი ყოფილა ო. ლეჟავას პასუხი.

ო. გრიშაშვილს სურდა იგი ყოფილიყო არა მხოლოდ მისი პოეზიის მუზა, არამედ „ცხოვრებაში გზის მაჩვენებელიც“. სურვილი იქამდე ძლიერი იყო, რომ მგოსანმა მას ლექსიც კი დაუწერა „დააჩქარე, დააჩქარე“:

დააჩქარე, გესმის? — დააჩქარე მალე.
თორემ იმ შენს დობილს ვერსაუ დავემადი.
თავს შევლუბა რსე. ვით პეპელას ვარდი.
თითქმის შემყვარდა, თითქმის შეგვეყვარდი.

არქივში ვნახეთ ღია ბარათი (არქ. IV—193), რომელშიც პოეტი ზემოთ ხსენებული ლექსის შესახებ წერს ო. ლეჟავას: „ერთი ლექსი დავსწერე ამ სათაურით: „დააჩქარე, დააჩქარე“. აზრი ასეთია: დააჩქარე წერილების მოწერა, ჭერის წერა, თორემ სხვა წაგართმევს ჩემს თავს-მეთქი! რას იცინი?“

შეიძლება არც კი დავებუქლო...

განა რაც დაიწერება, სულ ყველა დაიბეჭდება“. ბარათი დათარიღებულია 1913 წლის 22 სექტემბრით.

მგოსანს თანდათან უფრო აღიზიანებდა ქალის გულცივობა. იგი შესჩივის ო. ლეჟავას დას ნატაშა ლეჟავას: „მხოლოდ თქვენ წარმოიდგინეთ ის, რომ მე აქ ქუთაისში ვარ... „ოლ-ოლის“ სახელი მესმის... იმ ლექსის გულისთვის მცემენ პატივს და თვით ის კი, ვისაც ეს ლექსი ეკუთვნის, სდუმს... სდუმს, ვით სამარე, ვით ოკეანე“ (1912 წ., 9.III, არქ. IV—57). პოეტი გრძნობდა, რომ კარგავდა ამ სიყვარულს და მასთან ერთად კარგავდა ლექსის წერის სურვილსაც:

აღარ დავსწერ! აღარ... აღარ... ან რაღ ესწერო მე ლექსები.
სულერთია, მის სიყვარულს ხომ ვეკადროს ველიტებუ.

შემდეგი წერილებიდან ირკვევა, რომ ეს გრძნობა ო. ლეჟავასადმი ო. გრიშაშვილსაც მეგობრულ გრძნობაში გადაზრდია და მასთან საინტერესო, საქმიანი მიმოწერა გაუჩაღებია. „დღეს ჩემს ლექსს წაგიკითხავ ალბათ „სახალხოში“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ღია ბარათში (არქ. IV—229), — „მთვარის ანარეკლი“ (отражение) იცი, მე მომწონს, რადგან რაღაც ახალია, შინაარსი ძან მარტივია, და სუფთა-სათუთი ვარდი შესცქეროდა მთვარეს, ვერ გაუძლო

მის ეშხს და ძირს დაიზნეა, მოერიდა და ტბაში იგივე მთვარე და ცის ტატანი დაინახა, — საქმე ის არის, რომ ამ ლექსში რითმები არის, თითქმის ყოველი სტრიქონი გალექსილია და წაკითხვის დროს კი არა ჩანს — შენი აზრი მინდა ეხლა!...“ (1913 წ., 8.XII).

მაგრამ პოეტს არ ავიწყდება თავისი დამოკიდებულება ოლოლისადმი და ზოგჯერ წამოსცდება ხოლმე საყვედური ქალის გულცივობასა და დაკარგულ სიყვარულზე: „ოლოლ! ეხლა მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ექვსი ლექსი დავწერე. მაგრამ... ვინმე კრიტიკოსი იტყვის, რომ მშვენიერია, ღრმააზროვანი, სიმბოლურიაო. რა სიმბოლო, რის სიმბოლო, ეს ბოდევა უთავბოლო, უქანასკნელი გამოსმაურება ჩემი შენთან“, — იწერება გულმოკლული პოეტი (არქ. IV—273).

ო. ლევაია სხვისი მეუღლე გახდა („ოლოლი გამითხოვედა 31 მარტს 1914 წელსო“, — აღნიშნავს ერთგან ი. გრიშაშვილი). ამ ამბავსაც გამოეხმაურა პოეტი და უძღვნა ლექსები „ცხვირსახოცის ნაწიბური“ (ტექსტს და თარიღს ავტოგრაფში პოეტის ხელით აქვს მიწერილი — „ოლიას გათხოვების დრო“), „ჩემს გათხოვილ ბანოვანს“ (შემდეგ სათაური შეუცვალა და ლექსს უწოდა „ბარათებიდან შენს მდაღეს“) და სხვა. ეს გრძნობა პოეტმა სამუდამოდ ჩაიმარხა გულში;

რომლებსაც კუბო დავსწან, რომათ კუბო გამოქარხ,
და „ოლ-ოლია“ სიყვარული შიგ ჩაქმარხ, შიგ ჩაქმარხ.
(არქ. IV—103).

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალის სურათი, რომლებზედაც პოეტს ფანქრით მიუწერია: „სონა ჩიჯავაძე. ჩემი საუკეთესო ლექსები ამას ეკუთვნის. გავიციანი 1914 წლის აგვისტოს, გადავიციანი 1915 წელს“. სოფიო (სონა) ლონგინოზის ასული ჩიჯავაძე მასწავლებელი იყო, რომელიც გათხოვების შემდეგ ქმართან ერთად 1924 წელს პარიზში წასულა საცხოვრებლად. ახალგაზრდა პოეტი უნუგეშოდ ყოფილა მასზე შეყვარებულნი. იგი გულსტიკივით განიცდიდა, რომ სატრფოს მის გრძნობებში ექვი შეჰქონდა („ლექსებში სხვა ხარ, ცხოვრებაში კი სხვაო“) და სხვათა მითქმა-მოთქმას უგდებდა ყურს.

ი. გრიშაშვილის მრავალრიცხოვანი წერილი, რომლებიც ამჟამად მის არქივში ინახება, სონია ჩიჯავაძისადმი მიწერილი. პოეტი ყოველმხრივ ცდილობს დააჩვენოს შეყვარებული ქალი თავის ერთგულებაში.

1914 წელს დაწერილ ლექსთა უმრავლესობაც ამ სიყვარულს უძღვნა ი. გრიშაშვილმა: „დღეობაში“, „ანალოგიური“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“, „ჩემს დანიშნულს“, „დღეოფლის სიზმარი“, „არც ჰოს ამბობ, არც არას“, „ოცნება და სინამდვილე“, „ტრემლების კრიალოსანი“, „მოლაღატეს“, მინიატურული მოთხრობა „ასო-ს“ და მრავალი სხვა. არქივში დაცულია დიდტანიანი რვეული (I—44), რომელშიც სუფთად არის ლექსები ჩაწერილი: „ზღაპარი ჰაბაკში“, „სელათმანის დილი“, „გელოდებოდი“ და სხვა, ხოლო რვეულის თავფურცელზე აწერია: „სოსო-სონან“, მის მეორე გვერდზე „შენ გიძღვენი, შენ. ჩემო სონან“. როგორც ჩანს, ს. ჩიჯავაძისადმი სიყვარულს დიდი შემოქმედებითი იმპულსი მიუცია ი. გრიშაშვილისათვის:

შენ მე გამხალე სალოცავ სვეტად,
 ხალხი ჩვენ სახელს ცის მაღლს ასხურებს,
 მე სიყვარულმა შექმნა პოეტად
 და სიყვარული გამანადგურებს⁴.

ი. გრიშაშვილმა შექმნა აგრეთვე მშვენიერი ციკლი ლექსებისა პროზად, რომელსაც „იკრემლების კრიალოსანი“ უწოდა. ციკლი უძღვნა ს. ჩიჭავაძესთან დაკარგულ სიყვარულს, მასთან იმედის ვაცრუებასა და გულგატეხილობას.

მას სურდა მხოლოდ ამ ქალისათვის ეწერა ლექსები, მხოლოდ მისი პოეტი ყოფილიყო: „სიყვარულო! სიყვარულო! არავინ მწამს შენს გარეშე“. თითქოს ეწინააღმდეგებოდა, რომ სატრფოს დაკარგვით, კარგავდა ყველაფერს და, რაც მთავარია, კარგავდა პოეტურ მუშას. ამიტომ შესთხოვედა სატრფოს, თუ არ დამიბრუნდები, დავიღუპებიო. მაგრამ არც აქ გაუმართლდა პოეტს:

ო. მეზიზღები, მეზიზღები მეგონურ შეგრძნებით,
 რომ შენის ნებით შენმა ქცევამ გამაცამტერა,
 ო, მეზიზღებო, როგორც ფილიდი, ტლანქი და ლიზლი...
 თუმცა ეს ზიზღი ჩემს სიყვარულს ეერ მოსპობს, ეერა.
 („მოღალატეს“)

ი. გრიშაშვილი თავისი პოეტური მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში განსაკუთრებით ამ ორ ქალს უმადლის თავის საუკეთესო ლექსების შექმნას, თავის პოეტურ მომწიფებასა და დავაყვაცებას: „ჩემს ბიოგრაფიაში როგორც „ოლოლი“ მოიხსენიება, ისე Sophie. ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღვით“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ პირად წერილში (არქ. I—455). არც შემდეგ წლებში უღალატია პოეტს ამ გრძნობისათვის, მაგრამ ჭაბუკური ძალა მასში თანდათან ნელდება.

1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით ჩანს, რომ პოეტი ამ პერიოდში გატაცებული ყოფილა ფოთის თეატრის მსახიობით ნინო ჩინლაძით. საგასტროლო მოგზაურობის დროს ფოთში ყოფნისას მას მოსწონებია ნინოს თამაში, მისი, ი. გრიშაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, გულუბრყვილო, ბავშვური გამომეტყველება. ჩანს, ქალიც არ დარჩენილა პოეტისადმი გულგრილი და აი, თბილისში დაბრუნების შემდეგ ი. გრიშაშვილი ოცნებობს მასთან კვლავ შეხვედრას და სწერს გულთბილ, გრძნობით სავსე წერილებს. მისი სურვილი იყო თავისი ლექსების მესამე ტომი ამ ქალისათვის მიეძღვნა. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ეგ წიგნები ნელინელ იკითხე (განსაკუთრებით ჩემი მეორე ტომი)“. პირველს⁵ გიშოვი, მესამეს ეხლა ვბეჭდავ და მინდა, რომ

ის შესაძე.
 შენი კენესაძე,

შენ გეკუთვნოდეს!.. მე მხოლოდ შენ გეკუთვნი. ყოველ შემთხვევაში ჩემი ფიქრები შენს გარშემო ნაგარდობს. შენ რას გიშლი. ვიყო ასე რა! იქნებ ამან დამაწერინოს ის მესამე ტომი, რომელსაც უფრო მეტი ფასი და წონა ექნებაო“ (არქ. IV—355, 1926 წ., 21.11).

⁴ ეს სტროფი შექცეომ ი. გრიშაშვილმა შეატანა თავის ლექსში „უკანას ისრები“

⁵ არქივში ატულა მესამე ტომის ხელნაწერი ა შეკრულია ერთ წიგნად. როგორც ჩანს, შემდეგ ასილი ნაწილ ავტორის ეს ტომი არ გამოიცა.

⁶ იველისძემა 1922 წელს გამოცემული კრებული.

⁷ იველისძემა 1914 წელს გამოცემული კრებული.

როგორც ჩანს, პოეტი ისე სერიოზულად ყოფილა გატაცებული ნ. ჩიხლაძით, რომ მის სახელს ოღლა ლეჟავასი და მარიჭანის გვერდით აყენებდა. „მე მინდა, — წერდა იგი, — ჩემს ტომში შენი სახელი ისევე შარიშურობდეს, როგორც „ოლ-ოლისა“ და „მარიჭანის“ (1926 წ., 30.III, 5—IV—355), — იმ მარიჭანისა, რომელსაც პოეტმა ერთ დროს ასეთი მშვენიერი სტრიქონები უძღვნა:

იქნებ ერთ დროს შენმა გულმა მინატროს,
თუ ლექსებმა სადმე ერთად შეგეყარა,
ჩემს მკერდში ხომ სამი გული ბინადრობს:
პოეზია, შენ და ჩემი ქვეყანა.

(„ავარაგზე“)

მაგრამ მუდამ შეყვარებული პოეტი ხანდახმულობამდე ვერ მოეკიდა ოჯახს. მის ლექსებში და პირად წერილებშიც თანდათან უკვე მკვეთრდება განცდა ხანშიშესულობისა, სიბერისა და, მიუხედავად იმისა, რომ ლექსს კვლავ ახალგაზრდული შემართებით წერს, მარტოობა მაინც უფრო შემაწუხებელი ხდება მისთვის:

ოჯახისათვის მე ნაბიჯები
ვეღარ გადავიღე — არ, რას ვღარაღობ!
მე კი მაწყენდა გოგო-ბიჭები,
ცარიელ ეღვღს ნიკატრეე მარტო!

(„ეოლი“)

მხოლოდ 1950 წ. გადადგა ეს ნაბიჯი და 61 წლის პოეტმა ცოლად შეირთო ცნობილი ქართველი მომღერალი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქეთო ჭაფარიძე. კვლავ ამღერდა სიყვარულისათვის უკვე სიბერეში შესული პოეტის გული. „შენ — ჩემი ლექსის უმაღლესობა! შენ ჩემი ლექსის კარგო სტრიქონო“, — მიმართავდა „შეყვარებული უკანასკნელად“ მგოსანი ქალს, რომელსაც უძღვნა მშვენიერი ლექსები: „წარწერა წიგნზე“, „მომღერალ ქალს“, „ქეთო ჭაფარიძეს“, და სხვა.

პოეტი მადლიერი იყო ქალის თანაზიარობისა, რომელმაც აგრძნობინა ოჯახური სიმყუდროვე და, რაც სიჭაბუკეში დააკლდა, ის სიბერეში აღუნაზღაურა:

ჩემი აივნის ობოლ კლთხზე,
ჩემო ჩიტუნი, აავე ბნია, —
ეა რაც დამაკლდა სიჭაბუკეში,
ის შენმა გულმა ღლის მაგრძნობინა.

(„ნიონღრალ ქალა“)

ყოველივე ზემოთ თქმული იმის დამადასტურებელია, თუ რა დიდ როლს ასრულებდა სიყვარულის გრძნობა ი. გრიშაშვილის ლირიკაში. ეს განსაკუთრებით ითქმის მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდზე (1905—1920 წწ.).

თვითონ პოეტიც არ უარყოფდა ამას და მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით აღიარებდა: „რასაკვირველია, სულ სიყვარული არ შეიძლება, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც: ჩემი სიყვარული ზეჰქვეყნიურია, წმინდა, უმწიკლო და ჰაეროვანი. სიგარყვნილე ჩემს ლექსებში არ არის. ბევრი სიანხლე შეეიტანე როგორც ლექსთაწყობაში, ისე სიტყვებში და რითმებში და მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს თუ ჩემს შემდეგ ჩემს ლექსებზე აღიზრდება კარგი პოეტი. ეხლა კი მე მონა ვარ სილამაზისა, რადგან ლექსის წერა უსიყვარულოდ არ შეიძლება და სილამაზე კი ვოველთვის სიყვარულშია. შე-

იძლება სხვამ დიდი აზრიანი რამე დასწეროს, მაგრამ იმისი ლექსი ლექსი არ იქნება. ლექსს თავისი კანონები და სილალე აქვს, რომელსაც ვუჩვენებ ჩემს ლექსებში ხალხს“ (1911 წ., 2.11).

ი. გრიშაშვილის, როგორც პოეტის, ამგვარი თავისებურება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო, რამაც მისი პოეზიის ირგვლივ დიდი ხმაური ატეხა. პრეზიში დაიბეჭდა უამრავი კრიტიკული წერილი, შარეები, პაროდები, რეცენზიები და მიბაძვები⁸. კრიტიკოსებს შორის ორი უკიდურესი აზრი გაჩნდა: ერთნი ი. გრიშაშვილში ხედავდნენ ნამდვილ პოეტს და ტალანტს, მას „სიტყვის მეფეს“ და „ხელოვნების მეფეთ-მეფეს“ უწოდებდნენ, ხოლო მის პოეზიას ხობტას ასხამდნენ და უმალეს მწვერვალამდე აყვავდათ (ვლ. მაჭავარიანი — „წიგელის“ ფსევდონიმით. კიტა აბაშიძე, ივ. ვართაგავა, ვ. შალიკაშვილი და სხვა).

1915 წლის ქუთაისის ერთ-ერთ გაზეთში ცვითხულობთ: „...ღმერთო ჩემო! რამდენი სილამაზე, რამდენი პოეზია, რამდენი თვალწარბეცა და ადამიანის თვალისათვის ჭერ უხილავი საღებავებია მის პოეზიაში! რომელ არსს, სახეს ბუნებისას არ მოსტაცებს საუკეთესო ნაწილს, რომ შექმნას მის ნაზ ფანტაზიაში დასახული მშვენიერება. არა, ეს არ არის პოეზია! ეს არის რაღაც სხვა, პოეზიაზე უფრო მაღალი, მიუწვდომი, ჭერ არ თქმული... ეს სიმფონიაა, რომლის მსგავსი ჭერ არც ერთ ვირტუოზს არ შეუქმნია (გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., 7 მარტი, № 29, „ვარცილის“ — ვ. შალიკაშვილის რეცენზია ი. გრიშაშვილის საღამოს შესახებ).

კრიტიკოსთა მეორე ნაწილი „კონის პოეტის“ ლექსებში მხოლოდ გამოშვლებული, ხორციელი. ეროტიული გრძნობების მეტს ვერაფერს ხედავდა (ქ. ლომთათიძე, რაპულები და სხვა). მათი აზრით, ეს იყო რაღაც მდარე, საცოდავი პოეზია, რომლის ავტორს შეეძლო უკეთესად ეწერა — ამის საშუალებას მისი ნიჭი იძლევა, — მაგრამ რატომღაც არ გამოხდის და ისევ ძველებურად წერსო. 1909 წლის გაზ. „დროებაში“ (№ 49, 4 მარტი) გრ. რცხილაძე კრებულ „ზურნას“ შესახებ წერს: „ზოგი ისეთის ენით დაწერილი ლექსებია ჩართული, რომ ვერც ერთი ფილოლოგი ვერ გამოიკვლევს, რა ენაზე სწერს ავტორიო“. „რას უნდა მივაწეროთ, თუ არა უმიზნობას, უიდეობას, უშინაარსობას და სხვა ამგვარ უარყოფით მოვლენას ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მგოსნის იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ოქროს ფეხი“, — ვკითხულობთ კოკი აბაშიძის კრიტიკულ წერილში (გაზ. „იმერეთი“, 1913 წ., 15/II, № 37, სათაურით „ლიტერატის წერილები“).

გაზ. „თანამედროვე აზრში“ 1915 წელს ივლისის თვეში (№ 101, 103, 106 და ა. შ.) დაიბეჭდა ვინმე „L“-ის (ლევო ნათაძის) კრიტიკული წერილები, „ფელეტონები“ „გზააზნეულის“ სათაურით. სტატიების ავტორი კიცხავდა ი. გრიშაშვილს, მის პიროვნებას და მთელ მის პოეზიას. იგი პოეტს უპატიოსნობასა და ქართველი ქალის სახელის შებღალვას სწამებდა. აღმუთლებული ი. გრიშაშვილი 1915 წლის 12 ივლისს კისლოვოდსკიდან არჩილ ჭაჭანაშვილისადმი მიწერილ წერილში საშინელ გულსტიკვილსა და წყრომას გამოხატავს ამ „კრი-

⁸ ბევრი ლექსი დაიწერა ი. გრიშაშვილის მიბაძვით ან მიგონვით პოეტს. თვით ავ. წერციალაც ეძღვნება პაროდია აღმობრუნებული ლექსი“, ს. აბაშელმა „კონის ნატესი“ (კონსტანტინის ფსევდონიმით), ი. სავიკომ — „ჩემს მგობარს ი. გრიშაშვილს“, ტ. ტაბატაძემ „მეფეა“ (ი. გრიშაშვილს) და ბ. სტყა.

ტიკანზე“, როგორც თვითონ უწოდა სტატიების ავტორს. წერილი ვრცელია, სადაც მხოლოდ და მხოლოდ თავის გამართლება და L-ის საწინააღმდეგო შეხედულებებში გარკვევა ჩანს. „... უცნაურია ღმერთმანი, — ვკითხულობთ მასში, — რა დავაშავე ისეთი, რომ ასე მლანძღავს? ჩემს ახალგაზრდულ სიყვარულს, ჩემს ცეცხლოვან გრძნობას რაღაც „საღიზმს“ და „მახობიზმს“ უწოდებს; მართალია, მაქვს ზოგიერთი „შიშველი ლექსი“, მაგრამ ნუთუ იმ თითო-ორი ლექსით უნდა იხელმძღვანელოს სინდისიერმა... კრიტიკოსმა თუ მკვლევარმა. ახალგაზრდობაში ვის არ ჰქონია „შიშველი ლექსი“... ანდა ვისაც ოდნავი ვნება არ უღვივის გულში, ის რა ადამიანია? გახვევებული პოეზიისა რა მცოდნეა?.. წაიკითხე ჩემი ლექსები: „ჰა, ჩემი წიგნი“, „თალხი კაბა“, სადაც ვამბობ: ნეტავ მოგკვდებოდე, რომ მუდამ თალხი კაბა გეცვას ჩემს სიკვდილზე, რომელიც აგრე ძალიან გიხდება-მეთქი. „ის მოსულა“... სადაც სატრფოს ნაცვლად იმისი ზიზლი შევიყვარე. „მშვენიერი ტანჯვა“, „ღამე ტყეში“, სადაც ვამბობ: „მოდ, რომ დავსტებ სინამდვილით, რომ ამის შემდეგ ჩემი ოცნება განვაახლო-მეთქი“. როგორც ჰხედავთ, თვით ამ ლექსებშიც კი, რომელიც მოჰყავს კრიტიკანს და მლანძღავს, გამოუტრევაბია ეს კუბლეტები. მკითხველისათვის მიუცია მხოლოდ ერთი სტრიქონი, სადაც ვამბობ: „შენი ფეხის მიერ აქოჩრილ მიწას კონით წავშლი“-მეთქი. თუ გინდა ასეც იყოს — სად არის ამ სტრიქონში საღიზმი? აბა, „შენ მაინც გადაიკითხე ჩემი ლექსები, ჩემო არჩილ.. „შორეულს“: „მე მივდივარ“ და დარწმუნდები ჩემს სიმართლეს... სიყვარული ისეთი რამ არის, რომ მასზედ ლაპარაკი ყოველთვის ახალია. მხოლოდ, რასაკვირველია, შესაფერ სიწრფელით და კაზმული სიტყვებით უნდა იყოს გამოთქმული... ძალიან მეწყინა ის ფელეტონები... აი მეორე წიგნს დავამზადებ და ვნახოთ, მაშინ რას იტყვიან! აქაოდა მაქვს „წამო ტყეში“-ოოო, ხალხს ჰგონია, რომ ტყეში ცუდი მიზნით ვიწვევ სატრფოს. არამედ თვითონ დაკვირვებით რომ წაიკითხო, შეატყობენ, რომ იქ უფრო სიწმინდეა, იქ არა სწვდება „ხალხთა ნათესავის“ ვერაგული ხმა და ბუნების წიაღში უფრო ვრჩეობ სატრფოსთან ყოფნას. თვით იმ ლექსებშიც კი, რომელსაც მიწასთან ასწორებს ხსენებულ ფელეტონების ავტორი, თვით იმ ლექსებშიც კი მრავალი აზრია ამ ჩემის აზრის დასასაბუთებლად. მაგრამ, რა გინდა, ამოუკრეფია სიტყვები: „მკერი“, „ოკროსფეხი“, „თითები“, „ქინძის თავი“ და მოჰყოლია ლანძღვას... ასე უნდა დამეთანხმები, რომ ყველას ლანძღვა შეიძლება. აი ეს იყო ჩემი გულის პასუხი და არ ვიცი შენ, რა აზრისა იქნები... უბრალო მკითხველს მართალი ეგონება, თითქოს მთელი ჩემი მწერლობა ქვენური გრძნობა იყოს“ (არქ. IV—43).

არჩილ ჭაჭანაშვილისადმი მიწერილი წერილი მართლაც ერთგვარი გულის-პასუხია არა მარტო ფელეტონების ავტორისადმი, არამედ ყველა იმ კრიტიკოსისადმი, ვინც მხარს უჭერდა ი. გრიშაშვილის პოეზიის უარყოფითად შეფასებაში.

ზემოთ მოტანილი წერილით აღშფოთებულმა პოეტმა ლექსიც კი დაუწერა კრიტიკოსს სათათურით „ვინც რა უნდა თქვას — ეუბღვნი ჩემს კრიტიკოსს“ (1915 წ., 15 ივლისი, კისლოვოდსკი), რომელშიც ავტორი ცდალობს, რაც შეიძლება გულგრილად დასვდეს ასეთ ლანძღვას და არ აპყვეს მას:

...ვიცით, თვით დაწვია ჩემს გეგმას
ჩემს არ მივცემ რასკიკნოს მტერმა.

ღე, ლაგუშინოს, ჭეა ლაგუშინოს,
 ღე, შხამში მოსწვან ჩეენი სახელი,
 მტრის მითქმა-მოთქმამ არ შეგაშინოს,
 იყავ თამამი! გაუტეხელი!

რასაკვირველია, იმდროინდელი კრიტიკოსები გადაჭარბებით აფასებენ დადებითად თუ უარყოფითად ი. გრიშაშვილის პოეზიას. საქმეც ისაა, რომ ირივე მხარე მეტ-ნაკლებად სწორი იყო შეფასებაში, მაგრამ ორივე უადრესად ცალმხრივი და სუბიექტური. მათი ნაკლი ის იყო, რომ არც ერთი მხარე არ ცდილა გარკვეულიყო იმ საფუძველში, რამაც შექმნა ასეთი პოეზია; არც ერთი მხარე არ ფიქრობდა ღრმად ჩასწვდომოდა იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა და წარმართა ამგვარად ახალგაზრდა პოეტის ნიჭი. თუმცა კი, როგორც ზემოთ დაინახეთ, ყველა ერთხმად აღიარებდა ი. გრიშაშვილის პოეტურ ნიჭსა და შესაძლებლობას. ასეთი ცალმხრივი და მითუმეტეს უარყოფითი შეფასება არამც-თუ რაიმე დასმარებას უწევდა პოეტს, არამედ უფრო აღიზიანებდა და განზეჩიყადა კრიტიკისაგან, ეს იყო მიზეზი, რამაც დააწერიან მგოსანს ლექსი „პოეზიის მტრებს“.

პოეზია! მხოლოდნო! მოსულს თქვენი მოსხვა,
 თქვენ ვერ იცნობთ ჩემს სიტყვას, ღმერთო, თქვენ სხვა გზა გაქვთ.
 მე კი სულ სხვა.

ი. გრიშაშვილის პოეზიამ, მთელმა მისმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ სწორი შეფასება მხოლოდ საბჭოთა კრიტიკაში მიიღო. ამ მხრივ ყურადსაღებია გ. ჯიბლაძის, ალ. ბარამიძის, შ. რადიანის, ბ. ქლენტის, ა. ხინთიბიძისა და სხვათა წერილები თუ მონოგრაფიები, რომლებშიც ჯანსაღი კრიტიკული თვალთ არის დანახული ის მხარე ი. გრიშაშვილის პოეზიისა, რასაც პირველ პერიოდში გვერდს უვლიდნენ სხვები. საბჭოთა კრიტიკამ „გაუგო“ პოეტს და ი. გრიშაშვილის პოეზია მკითხველს წარმოუდგინა როგორც მრავალფეროვანი, უფრო რთული და სხვადასხვა თემატიკის შემცველი პოეზია.

ა. ხინთიბიძემ სპეციალურად მონოგრაფიულად დაამუშავა ი. გრიშაშვილის პოეზია და სწორი კვლევის შედეგად გვიჩვენა, რომ განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში სიყვარულის მოტივის გვერდით მთავარი გმირია მუშა, ხალხი, რევოლუციონერი. მართლაც, 1905—1907 წლების რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში, ხალხის მღელვარე ცხოვრებამ თვით ჰაბუკი პოეტიც დააყენა მეტროდ განწყობილებაზე და გადაწყვიტა ახლებურად აეყვარებინა თავისი პოეტური მუშა:

მგოსანო, ემარა, რაც სწორე
 ქალის ბროლ-ღამაბ-ყვლზედა,
 დღეს სულ სხვა ხანა ლავიდა
 გამოდი ბრძოლის ევლზედა.

(„მგოსანს“)

ი. გრიშაშვილი ქმნის ისეთ რევოლუციურ ლექსებს, როგორცაა: „მუშის სიმღერა“, „გმირი“, „არას გვიზამს ჩვენ მტარვალი“, „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“, „ახალი მარსელიოზა“, „1917 წელი“ და ბევრი კიდევ სხვა. ეს იგივე პატრიოტული ლექსებია, სადაც ასე მკვეთრად იჩენს თავს პოეტის დემოკრატიულობა და საბრძოლო შემართება ჩაგრულის დასაცავად. 1917 წელს

ი. გრიშაშვილმა სპეციალური ციკლიც შექმნა ამგვარი საბრძოლო პატრიოტული ლექსებისა და ცალკე წიგნად გამოსცა „წითელი დროშის“ სათაურით.

მაგრამ ასეთი განწყობილება პოეტს დიდხანს არ შერჩა. ამას ხსნიან სოციალური მოტივებით. რომლებსაც იმ პერიოდში ჰქონდა ადგილი. იგი უბრუნდება ისევ ძველ თემას — სიყვარულს, რომელიც ზოგჯერ ეროტიკულ სახეს იღებდა. მხოლოდ სოციალისტურმა წყობამ და ახალმა ცხოვრებამ შეაქცევინა მას თემა და ი. გრიშაშვილი „დგება იდეური გარდაქმნის გზაზე“ (შ. რადიანი). თვითონ პოეტიც თავის პოეტურ შემოქმედებას ორ პერიოდად, ორ ნაკადად ყოფს და აღნიშნავს: „პირველი ნაკადი — ინტიმური სატრფიალი ლირიკისა იწყება 1905 წელს და თავდება 1920 წ., ხოლო მეორე, საზოგადოებრივი მოტივების ნაკადი, რომლის ჩანასახები ჩემს პირველ ტომშიც გამოკრთის, იწყება 1922 წლიდან და გრძელდება დღემდე, როგორც გაძლიერებული, გაბატონებული და დამოუკიდებელი მდინარება ჩემს შემოქმედებაში“ (ჩხეული, 1944, გვ. 3).

მართლაც, არ დარჩენილა არც ერთი ახალი მოვლენა საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში, რომლებსაც ი. გრიშაშვილის პოეზია არ გამოხმაურებოდეს. პოეტი უმღერის უკვე საბჭოთა მშენებლობას. ინდუსტრიას, მოწინავე ადამიანებს, ახალ სოფელს და განახლებულ თბილისს.

მაგრამ ი. გრიშაშვილის პოეზიის მთავარი შემფასებელი და დამფასებელი მაინც ხალხი იყო. ი. გრიშაშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა. ყველგან, სადაც არ უნდა გამოსულიყო იგი, ხალხის გულწრფელი აღფრთოვანება ხვდებოდა.

„... აი გამოედვიარ... გული მღერის... მაგრამ სახეზედ მოქანცულობის ნისლი მბუტრია. იგრიალა დარბაზმა „ეაშა“, „ეაშა“... ოპ. როგორ გამეხარდა... რვა ლექსი წამაკითხეს... ახლა, ფარდას ვეღარ უშვებენ, მეფარდეს იქიდან ყელს მიწვეს და მთხოვს, რომ წავიკითხო; ბოდიში მოვიხადე დაქანცულობის გამო. მართლაც, ხალხში გავიგონე: „ცოდვავა, დაიღალაო“ და სხვა. მეერე გამომიწვიეს და თაიგული მომართვეს“... (1912 წ., არქ. IV—129) და ასე დაუსრულებლად, სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე, ი. გრიშაშვილს არ მოჰკლებია ხალხის აღფრთოვანებული „ეაშა“ და ტაშის გრიალი.

„... 1952 წლის 27 ოქტომბერს კურორტის (წყალტუბოს. — რ. კ.) საკონცერტო დარბაზში მოეწყო საყვარელ მგოსანთან კურორტ-ქალაქის მშრომელთა სამახსოვრო შეხვედრა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. დარბაზი საზეიმო განწყობილებით აივსო, მაგრამ რა შეედრებოდა იმ ალტაცებას, რომელიც ავტორის გამოსვლამ, მისივე ლექსების კითხვამ კი არა, სიმღერამ გამოიწვია... დიახ, ი. გრიშაშვილი წრფელი გულით მღეროდა ლექსებს“, — ვკითხულობთ 1972 წლის 18.1-ის წყალტუბოს გაზეთ „დროშაში“ პედაგოგ შ. ტოგონიძის მოგონებას. და რამდენი ასეთი გამოხმაურება პოვა პრესაში პოეტის გამოსვლამ ხალხის წინაშე.

ი. გრიშაშვილის გული მუდამ დია იყო სიყვარულისათვის, ადამიანურობისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით. ხალხის წიაღიდან გამოსულს უყვარდა ხალხი და ამიტომ ყოველთვის ლელავდა მათთან შეხვედრისას. ხალხის პატივისცემა მას ალაფრთოვანებდა, მაგრამ არ ამედიდურებდა, უფრო თავმდაბალი და მოკრძალებული ხდებოდა თავისი თავყანისმცემლების მიმართ.

აღსაყვე იყო სათუაქრო დარბაზი დიდი, —
და მე ჩემს ლექსებს კვითხულობდი და კვითხულობდი.
ისე ღარცხენით. ისე კდემით, გაუბედავად,
რომ საკუთარი ლიმილიც კი მგერიდა სირცხვილსა.

ანივებულ ტირიფივით ვთროდი... ელვადი...
აი, დაეწუზე მერვე ხანა... მეცსრე... მეთეთ...
აი, მოეწუვიტე ხალხს უსაზღვროს უსაზღვრო ტაშ-
ტაში, გამთბარი, განბანილი „ვამას“ ძახილით.

ასე აგვიწერა პოეტმა თავისი შინაგანი მღელვარება და მაყურებლის და-
შოკიდებულება მისი პოეზიისადმი ლექსში „ჩემი საღამო“.

ეს არ იყო მედიდური ადამიანის „თავმდაბლობა“. ი. გრიშაშვილის, რო-
გორც პიროვნების, დამახასიათებელ თვისებას სწორედ უბრალო ადამიანის
თავმდაბლობა და გულწრფელობა წარმოადგენდა. „... ჩემი მუზა ოლ-ოლი
„გადაშლილ წიგნს“ მეძახდაო“, — იგონებს ერთ-ერთ წერილში ი. გრიშაშვი-
ლი (1926 წ., არქ. IV—354). ხოლო 1936 წელს პოეტი ასე სწერს თავის დის-
შვილს ანის წალვერში: „... სრულიად არ მომწონს ასე გაზვიადება ჩემი პოე-
ზიისა. მე ერთი პატარა პოეტი ვარ და რა საჭიროა ჩემი გაღმერთება!.. ხომ იცი,
ღმერთებს რა დღე აღგვებათ“...

ასეთი იყო ი. გრიშაშვილი, როგორც პოეტი და პიროვნება. მას კარგად
ჰქონდა შეგნებული, რომ ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა „ათყვეებს
მწერლის შემოქმედებით ენერჯიას, ფრთებს ასხამს, ძალას ჰმატებს მის მხატვ-
რულ ფანტაზიას“, ამიტომ მწერალი დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს
ხალხის წინაშე, ასევე თავისი თავის წინაშეც. ი. გრიშაშვილის აზრით, მწერა-
ლი პირველ ყოვლისა თავისი თავის ცენზორი უნდა იყოს და ამის შემდეგ
წარსდგეს მკითხველი საზოგადოების, ხალხის წინაშე. მწერალს მთელი თავისი
შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე მკითხველი უდგას თვალწინ, მას „ეაღერ-
სება, ესიყვარულება, ცდილობს დაიპყროს მისი გული და აი, როდესაც დაი-
ნახავს, რომ მისმა სიტყვამ მკითხველის გულამდე მიიღწია, უდიდეს ბედნიერე-
ბას განიცდის. ამაზე უფრო სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი მწერლის-
თვის არაფერი არ არის“ (არქ. № 2108, „ახალგაზრდა მწერლების საღამოზე“).
ი. გრიშაშვილი ნამდვილი პოეტი და მოქალაქე იყო, უაღრესად დიდი პასუხის-
მგებელი თავისი თავისა და ხალხის წინაშე. პასუხისმგებელი თავისი მოვალეო-
ბის წინაშე, რომელიც ყოველდღიურ ანგარიშს სთხოვდა პოეტს:

გიყვარდეს ლექსი გულს მხოლეულად,
პარლის სუნთქე, შრომა მკათათვის.
ყოველდღე ჰკითხე შენ თავს პირველად:
— რა გააკეთე საშობლოათვის.

(ი. გრიშაშვილს, 1949)*

(წარმოაკვირა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა)

გაყვალა კუპუნიძე

ბაირონი XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში

ინგლისური პროგრესული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის შემოქმედებამ პოეტის სიცოცხლეშივე დიდი რეზონანსი პოვა სხვადასხვა ერის ლიტერატურასა და საერთოდ სულიერ ცხოვრებაში. ბაირონის ცხოვრებამ და პოეზიამ თავის დროზე ევროპაში წარმოშვა თავისებური საზოგადოებრივი განწყობილება, რომელიც ბაირონიზმის სახელითაა ცნობილი. ევროპის სხვადასხვა ლიტერატურაში ინტერესი ბაირონის შემოქმედებისადმი განსხვავებული ძალითა და ფორმით გამოვლინდა. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში შეინიშნება ღრმა ინტერესი ბაირონის შემოქმედებისადმი, რომელიც თანდათან იზრდება. ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მთარგმნების თავისებურებათა შესწავლას. ასევე ცალკე საკითხია ბაირონის შემოქმედების შეფასება ქართულ კრიტიკაში.

ბაირონის შემოქმედება და XIX საუკუნის ქართული პოეზია ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც აქვს ორი მხარე: ჯერ ერთი, შესასწავლია ის საყურადღებო ფაქტი, რომ XIX საუკუნის მანძილზე ქართულად მთარგმნა ბაირონის მრავალი ქმნილება, მეორე — მისი სახელი ხშირად გვხვდება იმ დროის ქართველ მწერალთა კრიტიკულ წერილებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ-ინგლისურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ამ მომენტებთან დაკავშირებულნი არიან ქართული მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები: მ. თუმანიშვილი, ი. ჰავეკავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, მ. გურიელი და სხვა. ბაირონის იდეები, მისი ცალკეული ნაწარმოებების მოტივები, სულისკვეთება და განწყობილება ახლოს დგას XIX საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი რიგი ნაწარმოებების შინაარსთან.

ბაირონის შემოქმედება ჩვენში, როგორც წესი, რუსული ლიტერატურის გზით შემოდინდა, ამიტომ, საჭიროა გავითვალისწინოთ დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედების გავრცელება რუსულ მწერლობაში. ბაირონის პირველი მთარგმნები რუსულ ჟურნალებში 1820 წლიდან გვხვდება; მისი მრავალი ნაწარმოები რუსულ ენაზე ორიგინალის გამოსვლისთანავე ქვეყნდებოდა რუსულ პერიოდულ გამოცემებში: „ვესტნიკ ევროპი“, „ნოვოსტი ლიტერატური“, „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“, „სოვრემნიკ“, „რეპერტუარ“, „პანტეონ“ და სხვ.

სულ მალე ბაირონიზმი, როგორც თავისებური გონებრივი მოძრაობის გამოვლინება, მთელი ევროპის მასშტაბით გავრცელებული ჰყოვნა გახდა. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება პოვა რუსულ მწერლობაშიც. მომავალი დე-

კაბრისტები, ამ დროს ევროპელ მწერლებს შორის პირველ ადგილს ბაირონს უთმობენ.

ბაირონიზმი ფართოდ გავრცელდა რუსულ საზოგადოებაში პუშკინის აღმოსავლური პოემების შემდეგ. პუშკინმა ბაირონის პოეზიაში განსჯერითა მხატვრული გამოხატვის ახალი ფორმები და მონათესავე განწყობილებანი. პუშკინი აღნიშნავდა თავისი ნაწარმოებების გარკვეულ ნათესაობას დიდი ინგლისელი რომანტიკოსის პოემებთან და ხშირად ასწენებდა მის სახელს თავის ნაწარმოებებში.

ბაირონის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა ბელინსკი, რომელიც ხანს უსვამდა დიდი ინგლისელი რომანტიკოსის თავისუფლებისმოყვარე პათოსს: „ბაირონი — ჩვენი დროის პრომეთეოსი იყო... მან დასწყევლა თანამედროვეობა და ბრძოლა გამოუცხადა მას, ატარებდა რა გულში მილიონთა ტანჯვას“¹.

ბაირონის შემოქმედების იდეური მიზანდასახულობა, რომანტიკული ვნებათაღელვა, მეტად საგულისხმოდ აღმოჩნდა ლერმონტოვის შემოქმედებისათვის. ლერმონტოვის თარგმანები, მიბაძვები, პროზაული შენიშვნები მოწმობენ მის დაძაბულ ინტერესს ბაირონისადმი.

ბაირონის პოპულარობამ რუსეთში გარკვეულად შეუწყო ხელი დიდი ინგლისელი პოეტისადმი ინტერესის გაღვივებას საქართველოში, მით უფრო, რომ საამისო საფუძვლები თვით ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც იყო შექმნილი. ქართულ მწერლობაში ამ დროს სწრაფად ვითარდება რომანტიზმი. ცნობილია ბაირონის პოეზიისადმი ქართველ მწერალთა ყურადღების არაერთი თვალსაჩინო ფაქტი. მრავალი ასეთი საბუთი შეიძლება მომავალშიც გამოვლინდეს. ყველა ეს ფაქტი საფუძველს იძლევა ითქვას, რომ დიდი ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედების იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი რამდენადმე ხელს უწყობდნენ ქართული რომანტიზმის განვითარების პროცესს.

საქართველოში ბაირონის პოეზიით გატაცებას, სხვათა შორის, თან ახლდა თავისებური გარემოება; როგორც ვიცით, რუსი დეკაბრისტები და პოლონეთის აჯანყების მონაწილენი, რომელნიც XIX საუკუნის ოციანი წლების დამლევს, საქართველოში გადმოასანლეს, რუსული ბაირონიზმის წარმომადგენლები იყვნენ: ისინი თაყვანს სცემდნენ ბაირონს, თარგმნიდნენ და ბაძავენ მის ნაწარმოებებს. ცნობილია, რომ ამ რუს და პოლონელ მწერლებთან ქართველ მწერლებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ინტერესს ბაირონისადმი.

ქართული ლიტერატურული საზოგადოების მიერ ბაირონის შემოქმედების გაცნობის ერთ-ერთი ადრეული ფაქტია „ოსკარ დ'ალვას“ ქართული თარგმანი, რომელიც ჭერ კიდევ არ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ბაირონის ამ პოეტური ლეგენდის თარგმანის სრული ტექსტი. მთარგმნელი ხელნაწერში აღნიშნული არ არის (იხილე ფონდი H—359).

არც თარგმნის თარიღია მითითებული. ბაირონის ეს ნაწარმოები შევიდა პოეტის პირველ კრებულში „Hours of Idleness“, რომელსაც 1808 წელს ედინბურგში „Edinburg Review“ რეაქციული კრიტიკის თავდასხმა ხელა წი-

¹ В. Белинский, Собр. соч. в трех томах, т. 2, гл. 514

შიც არის საძიებელი. ეს ფაქტები ერთხელ კიდევ მეტყველებენ იმაზე, რომ ქართული რომანტიზმის განვითარებას თან ახლდა ევროპული ლიტერატურის, კერძოდ, ბაირონის შემოქმედების გათვალისწინება.

გასული საუკუნიდან დაწყებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთგზის გამოთქმულა სამართლიანი აზრი, რომ, კერძოდ, ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში შეიმჩნევა არაერთი საერთო იდეური და მხატვრული მსგავსება. მართლაც, ორივე პოეტი პროგრესული რომანტიზმის დიდი წარმომადგენელია, ორივეს შემოქმედებაში ძლიერია აწმყოთი უკმაყოფილებისა და სულით ობლობის, უღრმესი სევდისა და ამასთანავე ადამიანის სულის სიდიადის, მომავლისაკენ სწრაფვის განწყობილებანი.

ბარათაშვილისა და ბაირონის პოეზიაში განსაკუთრებული მხატვრული ძალით არის გამოყენებული არაერთი ლიტერატურული სახე, საერთოდ დამახასიათებელი რომანტიკული პოეზიისათვის. მაგალითად, ბაირონის პოემაში „მაზეპა“ დახატული მქროლავი რაშის სიმბოლური სახე თავის პარალელს პოულობს ქართველი რომანტიკოსის „მერანში“². ასეთი პარალელები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რაოდენ მკიდროდ არის დაკავშირებული ბარათაშვილი ევროპული რომანტიზმის არა მხოლოდ იდეურ, არამედ მხატვრულ სისტემასთანაც.

ბაირონმა 1815—1816 წლებში შექმნა ლექსების ეგრეთ წოდებული „ნაპოლეონური ციკლი“. ამ ციკლის ზოგიერთ ლექსში ნაპოლეონი იდეალიზებულია, ხოლო ლექსში „ოდა ფრანგულიდან“ ნაპოლეონი ტირანად არის დასახული.

როგორც ბაირონთან, ასევე ბარათაშვილთან ნაპოლეონის სახე გააზრებულია, გენიალური პიროვნების ხვედრის სიმბოლოდ. თავისი ლექსის დასკვნით ნაწილში ბარათაშვილი აცხადებს, რომ ნაპოლეონის სიდიადეს, მის ცხოველ სულსა და დიდ გონებას მხოლოდ ეამთა სელა, ისტორია ამოიცნობს.

საგულისხმოა, რომ ანტონ ფურცელაძე ერთგან ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს“³ უწოდებს, რითაც მათი პოეზიის შინაგან ნათესაობაზე მიგვიანიშნებს. ხოლო იონა მეუნარგია აელებს ლიტერატურულ პარალელს ბაირონსა და ბარათაშვილს შორის და აღნიშნავს: „კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები, „ჩემს მერანს“, „სულო ბოროტო“ და ბაირონის „დონ-ჟუანში“ ჩაერთოს ან „ჩაილდ-პაროლდში“, არა მგონია, დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვეს, ისე მწარედ და სწორედ არის გამოთქმული იმათში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ხვედრის წინააღმდეგ“⁴.

თუ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე ქართული ლიტერატურა, მართალია, ამჟღავნებდა ინტერესს ბაირონისადმი, მაგრამ ძირითად ყურადღებას ფრანგული ლიტერატურის კორიფეებს უთმობდა, 60-იანი წლებიდან მდგომარეობა საგულისხმოდ იცვლება; არანაკლები ხდება ინტერესი ევროპის სხვა ლიტერატურათა, კერძოდ ინგლისური ლიტერატურის მიმართ. ამ მოვლენამ თავისი ერთ-ერთი პირველი გამოხატულება მაშინ პოვა, როცა ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“ ბაირონის პოეზია სამოქალაქო, მეტრძოლი ლიტერატურის სიმბოლოდ დასახა და თერჯი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს შეადარა. ილიასეულ ამ თვალსაზრისში ჩანს არა მხოლოდ ინგლისელი პოეტის

² გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბ., 1969, გვ. 174.

³ „დროება“, 1867, № 35.

⁴ ი. მეუნარგია, „სოფრება ეკ პოეზია ნ. ბარათაშვილისა. „ივერია“, 1893, № 86.

შემოქმედების მაღალი შეფასება, არამედ ბაირონის შემოქმედების გააზრება მებრძოლი რომანტიზმის ნიმუშად. ეს გარემოება იმდენად არის საგულისხმო, რამდენადაც იმ დროს რუსეთის ლიტერატურულ აზროვნებაში ბაირონი „მსოფლიო სვედის“ გამომხატველ პესიმისტ პოეტად ითვლებოდა.

მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენლები შეუწინაღებელ ინტერესს ამჟღავნებდნენ ბაირონის შემოქმედებისადმი. პროგრესული რომანტიზმის ამ უდიდესი წარმომადგენლის იდეური და ესთეტიკური შეხედულებები, მისი პოეზიის საერთო ხასიათი ეხმაურებოდა იმ მიზნებსა და მისწრაფებებს, რომელნიც ქართულ ლიტერატურას ასულდგმულებდა. ბაირონის ცალკეულ ნაწარმოებებს თარგმნიან ი. ჯავახიძე, ა. წერეთელი, მ. გურიელი, ა. ფურცელაძე, ი. ბაქრაძე, და სხვ. თუ რაოდენ პოპულარული იყო ამ დროს ბაირონი საქართველოში, ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოიპოვება ნიკოლოზ ბერძნიშვილის ერთ წერილში, რომელიც მან 1859 წელს „კავკაზში“ გამოაქვეყნა. იგი წერს: ჩვენს წრეში ძნელად შეხვდები ადამიანს, რომ არ იცნობდეს ლორდ ბაირონს, „რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საუბარი პოეზიაზე და ცოტად თუ ბევრად საოცნებო საგნებზე“⁵. როცა ვლაპარაკობთ ამ წლებში ბაირონის თარგმანებზე, მათ შესახებ კრიტიკულ გამონათქვამებსა და მათ შეფასებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბაირონი ამ ეპოქაში ქართველი მწერლების მიერ ძირითადად დანახულია რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის პოზიციებიდან. ეს გარემოება თავს იჩენს არა მხოლოდ იმაში, თუ რომელი ნაწარმოები ითარგმნება, არამედ იმაშიც, თუ როგორ აფასებენ ინგლისელ პოეტს ქართველი მწერლები და კრიტიკოსები.

ბაირონის ლირიკიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულმა მწერლობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „ებრაულ მელოდიებს“ („Hebrew melodies“, 1815). ლექსების ამ რკალში დიდი ინგლისელი რომანტიკოსი ებრაელი ერის ისტორიულ გზას პატრიოტიზმის მაღალი პოზიციებიდან აშუქებს. გასაგებია, რომ ეროვნული მოტივის ასეთი გააზრება ახლობელი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც სახელმძღვანელო პროგრამად იქცა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ეროვნული იდეები. „ებრაული მელოდიებიდან“ ილია ჭავჭავაძემ თარგმნა ცნობილი ლექსი „სტიროდეთ...“: რომელშიც ცხარე გოდების ხმა ისმის სამშობლოსა და თავისუფლების დაკარგვის გამო. უთუოდ ეროვნული საკითხის მეტად მძაფრი განცდით მიიპყრო ბაირონის ამ ლექსმა ილიას ყურადღება. ამ ლექსის პირველ სტროფში ლაპარაკია დაცარიელებული ტაძრების შესახებ: „Shrines are desolate“ („ტაძრები დაცარიელებულია“) რუსულ თარგმანებში „Храм опустел“ (მიხალოვსკი).

მაგრამ ილიას ეს ადგილი ოდნავი სახეცვლილებით უთარგმნია: „ტაძარნი ნანგრევ არიან“ (საინტერესოა, რომ ამ ლექსის ზოგი ადგილი ჰგავს არა მხოლოდ „აჩრდილის“ ერთ-ერთ პასაჟს. არამედ ალ. ჭავჭავაძის „გოგჩასაც“).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში „ებრაული მელოდიებიდან“ ითარგმნა აგრეთვე „ბაბილონის მდინარის პირად“ (გ. წყალტუბელის მიერ, 1868 წ.), „გოდება იროდისა მარიამზედ“ (ი. ბაქრაძის მიერ, 1878 წ.), „შენა სტიროდი“ (ი. ბაქრაძის მიერ, 1878 წ.), „სული მაქვს მეტად მორღუბლული“ (მ. გურიელი-სა, 1871 წ. და ვინემ ი. ო.-ს მიერ, 1889 წ.) და სხვ. ამ ლექსებიდან თავისი პატრიოტული თემატიკით განსაკუთრებით გამოირჩევა „ბაბილონის მდინარის პი-

⁵ Н. Бердзенов, Грузинская литература, «Кавказ», 1859, № 93.

რად“, რომელიც თავისი იდეური მიზანდასახულებით ახლოს დგას ილიას მიერ თარგმნილ ლექსთან.

ცალკე უნდა შევჩერდეთ აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილ ლექსზე „ეიფეიას ასული“ „ებრაული მელოდიებიდან“. არსებობს ამ ლექსის რამდენიმე რუსული თარგმანი. როგორც შედარებამ ცხადყო აკაკის მიერ თარგმნილი ბაირონის ეს ლექსი ემყარება გერბელისეულ თარგმანს, რომელიც 1864 წელს „სოვრემენიკში“ (№ 1) დაიბეჭდა. მოგვეყვას სანიმუშოდ ბაირონის ხსენებული ლექსის გერბელისელი და ქართული თარგმანის პირველი სტროფი:

О, если народ и творец
Хотят моей смерти, отец;
Когда нам дала за нее
Победа — Вот сердце мое!

ოჰ! თუ ჩემს გამჩენს და ჩენს ხალხსაცა
ქნურს, მამა ჩემო, ჩემი სიკვდილი.
რადგან მის გამო დღეს ჩვენ მოგვეცა
მტერზედა ძლევა — ჰა, ჩემი გული!

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულმა მწერლობამ გარკვეული ინტერესი გამოამჟღავნა ბაირონის ეპიკური ქმნილებებისადმიც. 1860 წელს ი. ჭავჭავაძეს დაუწყია ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ თარგმნა (რაც შემდგომ რაღაც მიზეზის გამო აღარ გაუგრძელებია). ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ილია ბაირონის პოეტურ ეპოსს.

1869—72 წლებში ქართულად ითარგმნა ბაირონის პოემები „დონეუანი“ „ჩაილდ-ჰაროლდი“ (მთარგმნელი ბაქრაძე), „შილიონის პატიმარი“ (მთარგმნელი ნ. ლომოური), „გიაური“ (მთარგმნელი მ. გურიელი) და სხვ.

ასეთი ნაწარმოებების თარგმნა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მთარგმნელებს, მაგრამ თარგმანები ზოგჯერ შორს იდგა სასურველი დონისაგან. 1872 წელს ნ. ნიკოლაძემ წერილში „ჩვენი მწერლობა“ მკაცრად გააკრიტიკა დონეუანის ი. ბაქრაძისეული თარგმანი, დაიმოწმა პოემის ცალკეული ადგილები ინგლისური დედნიდან, შეადარა თარგმანი ორიგინალს და ნათელყო მთარგმნელის შეცდომები, „ლექსთა წყობის“ ნაკლოვანებანი და სხვ. ამასთანავე ნიკოლაძემ დასძინა, რომ ისეთი გენიოსის თარგმნისას, როგორცაა შილერი ან ბაირონი, „თავი უნდა იმტერიოს კაცმა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ წერტილზე“⁶.

ბაირონის პოემების იმ დროს გამოქვეყნებულ თარგმანთა შორის გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგას ბაირონის პოემების მამია გურიელისეული თარგმანები. თუ რაოდენ ორგანული იყო მამია გურიელისათვის ბაირონის ლექსებისა და პოემების თარგმნა, ამაზე თავისებურად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან თავის უსაყვარლეს პოეტებად რუსთაველი და ბაირონი დაასახელა. XIX საუკუნის ქართველ მთარგმნელობით პრაქტიკაში მეტად თავისებური ადგილი უკავია ბაირონის „გიაურის“ თარგმანს: როგორც სამართლიანად აღნიშნავს ალ. კალანდაძე, ბაირონის „გიაურის“ მამია გურიელისეული თარგმანი „ტენდენციური“ მხატვრული თარგმანის ნიმუშია⁷. ეს გამოიხატება იმაში, რომ

⁶ ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3, „ჩვენი მწერლობა“, გვ. 36.

⁷ ალ. კალანდაძე, ნაშთები ქართული ეჭვანალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 332.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“¹¹. ამ წერილში გავლებულია საინტერესო პარალელები. მაგალითად, აღნიშნულია რომ ბარათაშვილის ლექსებში, ისევე როგორც „მანფრედსა“ და „ჩაილდ-ჰაროლდში“ ბუნება განცდილია როგორც ადამიანის სულის თანაზიარი.

ბაირონის შემოქმედებაში სინამდვილისადმი მძაფრ კრიტიკულ დამოკიდებულებასა და მებრძოლ სულისკვეთებასთან ერთად ხშირად იჩენს თავს ინდივიდუალიზმი, სევდისა და იმედგაცრუების განწყობილებანი. ევროპულ ლიტერატურაში სხვადასხვა მწერალთა შემოქმედებაში ზოგჯერ წინა პლანზე იყო წამოწეული ბაირონის პოეზიის სწორედ ინდივიდუალისტური თვისებები. ასეთი რამ ზოგჯერ ქართულ მწერლობაშიც იჩენდა თავს. მაგალითად, ზოგი ზთარგმნელი აპოლიტიკურ და სევდით განმსკვალულ ნაწარმოებებს თარგმნიდა. მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ ქართული მწერლობის მიერ მე-19 საუკუნეში ბაირონის შემოქმედების დაინტერესების მთავარი ტენდენციის ხასიათზე, უნდა ითქვას, რომ ქართველი მწერლების მიერ ძირითადად აქცენტირებული იყო დიდი ინგლისელი რომანტიკოსის მებრძოლი მოქალაქეობრივი პათოსი, ის მოტივები, რომლებიც ეხმაურებოდნენ ქართული ლიტერატურის ძირითად იდეურ და მხატვრულ მიზანდასახულებას.

¹¹ „ივერია“, № 244, 1869.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინტორი (ს. ს. კუკულაძე))

მერი გუგუშვილი

შენიშვნები თეიმურაზ I-ის თხზულებათა ტექსტზე

წერილი I

„იოსებზილიხანიანი“

თეიმურაზ I აღორძინების ხანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჭერ კიდევ თანამედროვენი აძლევდნენ მას მაღალ ლიტერატურულ შეფასებას და რუსთველსაც კი ადარებდნენ. საფიქრებელია, რომ თეიმურაზი დიდმა პოპულარობამ განაპირობა მისი თხზულებების შემცველ ხელნაწერთა სიმრავლე. ამ მრავალრიცხოვან ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე 1934 წელს პირველად გამოიცა თეიმურაზ I-ის თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედაქციით. დღეს ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ბუნებრივად დგება თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრული კრებულის ხელახლა გამოცემის საკითხი, მითუმეტეს რომ ხელნაწერთა საფუძვლიანი შესწავლა თეიმურაზ პირველის თხზულებათა ტექსტის მთელ რიგ წაკითხვათა გასწორების საშუალებას გვაძლევს.

წინამდებარე წერილის მიზანია „იოსებზილიხანიანის“ რამდენიმე წაკითხვის გასწორება¹.

1. ვაჭრებმა მშვენიერი იოსები მისრეთს მიიყვანეს გასაყიდად. „შემოკრბ: სრულად ქალაქი“, ყველას უნდოდა იოსების ყიდვა:

შული არა მყავს, ვიყიდი — მეფემან ბრძანა — შელებად.

გარე გაყარა ვაჭარი, ბრძანა: — დასცხროთ ცილებად, ღმერთმან მე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებულ, წაიღეთ, გასენით საქურტლე, მოიღეთ ოქრო მილებად. (79).

ეს სტროფი ნიშნავს: მისრეთის მეფე ბრძანებს: შვილი არა მყავს, ვიყიდი, ვიშვილებ. გაყარა ვაჭრები; დაწყნარდით, ნუ ცილობთ, ღმერთმა მე მომცა უებრო, არ გადამაშენა. წადით, გახსენით საქურტლე და ა. შ.

ყურადღებას იქცევს მესამე სტრიქონში მეფის სიტყვები: „ღმერთმან მე მომცა უებრო“. „უებრო“ ზედსართავი სახელია და ციტირებულ სტრიქონში არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, გაარსებითებულია. „უებრო“ იგულისხმება იოსები. ამ სტრიქონში „უებრო“ რომ ჩვეულებრივ ზედსართავად იყოს წარმოდგენილი, მაშინ ის უნდა განსაზღვრავდეს რაიმეს. ასეც არის ხელნ. S 403-სა და S 4988-ში. ამ ხელნაწერებში საანალიზო სტრიქონში

¹ „იოსებზილიხანიანი“ პირველად გამოიცა გ. ჭაკობიამ: „იოსებზილიხანიანი“ წართელი ეკოლობი. 1927. ამ გამოცემის ტექსტი თითქმის უცვლელად დარბევდა თეიმურაზ I-ის თხზულებათა 1934 წლის გამოცემაში.

იკითხება: „ღმერთმან ძე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებად“. ასეთი წაკითხვისას „უებრო“ განსაზღვრავს „ძეს“. მეფე ამბობს: ღმერთმა მომცა უებრო ძე. არ გადამაშენაო (არა მყო გარდავლინებად). მისრეთის მეფეს ძე, მემკვიდრე არ ჰყავდა. იოსები რომ იყიდა შვილად, ძედ დაისვა. რამდენიმე სტროფის შემდეგ ნათქვამია: „მეფე ბრძანებდა: — ლეთისაგან ეს მომენიჭა ძეობაღ“ (83,1).

საანალიზო სტრიქონშიც სწორი წაკითხვაა „მე“-ს ნაცვლად „ძე“. მეფეს, პირველ ყოვლისა, ის ახარებს, რომ ღმერთმა ძე (მემკვიდრე) უბოძა და ისიც „უებრო“, მშვენიერი, შეუღარებელი. ასეთი წაკითხვა სტრიქონს მეტ სიღრმეს მატებს. ამრიგად, საანალიზო სტროფი უნდა გასწორდეს ასე:

შვილო არა მყავს, ვიყილი — მეფემან ბრძანა — შეიღებად.
გარე გაყარნა ვაჟარნი, ბრძანა: — დასცხვრით ცილებად.
ღმერთმან ძე მომცა უებრო, არა მყო გარდავლინებად
წადრო. გახსენით საპურკლე, ნოილეთ ოქრო მიღებად.

2. ზილიხანის გამიჯნურებისა და იოსების დაურჩების ამბავი ესმა იამანთა ქვეყნის ერთი დიდებულის ამირ-აბდულის პირმშვენიერ ასულს ბაზიყას. ბაზიყა გაემგზავრა მისრეთს და ზილიხანს სთხოვა იოსები. ზილიხანმა კარგად მიიღო ბაზიყა, უაღერსა, მაგრამ მტკიცე უარი უთხრა. მაშინ ბაზიყამ შეინსნა სამკაული, უხეში ტანსაცმლით შეიმოსა და ამ სოფელს გაეცალა. ბაზიყას თან გამზრდელი ბებია ახლდა. რომელიც ძლიერ დაამწუხრა ამ ამბავმა და მოსთქვამს:

შვილო, საყარლო, კარგა თავსა რა უყავ-და,
რად მოგძულდა სინათლენი, რომე მზესა გაუყავ-და,
ღაწროა შენთა ღურთრდესი, მითხარ ედემს რა უყავ-და,
შენ დასკვნები რად-და? — მხოზენ: ბულბულს ვარდი გაუყავ-და.

(186).

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იქცევს სარითმო სიტყვები: რა უყავ-და, გაუყავ-და, რა უყავ-და, გაუყავ-და. ამ სახით სტროფს მაჭამურობის პრეტენზია აქვს. ორ-ორ სტრიქონში ერთი და იგივე კომპლექსებია. თეიმურაზ პირველის პოეზიაში არის შემთხვევები, როდესაც სტროფში ორ ან სამ სტრიქონშია რითმა მაჭამური და არა ოთხივეში. თუ ამ სტროფშიც სარითმო სიტყვებს მაჭამურად გავიგებთ, მაშინ წესის თანახმად მათ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ: თუმცაღა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ამ წესს იცავს თეიმურაზი ზუსტად. მის მაჭამებში არაერთგზის გვხვდება სარითმო სიტყვები ერთი და იმავე მნიშვნელობით.

განვიხილოთ საანალიზო სტროფი და გავარკვიოთ სარითმო სიტყვების მნიშვნელობა.

I სტრიქონი — ბებია მოსთქვამს, მიმართავს ბაზიყას: საყვარელო შვილო, კარგ თავს რა უყავიო („რა უყავ-და“).

II სტრიქონი — რად მოგძულდა სინათლე, რომელიც მზეს გაუყავიო („გაუყავ-და“).

III სტრიქონი — შენს ღაწვებზე უკეთესი, მითხარ, ედემს რა უყავიო („რა უყავ-და“).

IV სტრიქონი — შენ რისთვის დასკვნები, ბულბულს ვარდი გაუყავიო („გაუყავ-და“).

პერიფრაზიდან ჩანს, რომ პირველი და მეორე სტრიქონი საეხებით გასაგებია, მთლად ნათელი არაა მესამე და მეოთხე სტრიქონის შინაარსი. მეოთხე სტრიქონში თეიმურაზისათვის ძალიან ჩვეულ მხატვრულ სახესთან უნდა გვეკონდეს საქმე. აქ დასახელებულია „ბულბული“ და „ვარდი“. „ბულბული“ ამ შემთხვევაში ბაზიყას მეტაფორული სახეა. ბაზიყა ბულბულივით უიმედო მიჯნურია. რამდენიმე სტროფის წინ ზილიხანი მიმართავდა ბაზიყას: „ჩვენ გაგვხადა მან ბულბულად, მგონი იგი გაგვივარდა“ (170,3). ჩვენ — მე და შენ — ბულბულებად გაგვხადა, თვითონ ვარდად გადაგვექცაო. „ვარდი“ იოსების მეტაფორაა. საანალიზო სტროფის მეოთხე სტრიქონშიც ეს მეტაფორული სახეები უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „ბულბულს ვარდი გაუყავა-და“. აშკარაა ასეთი წაკითხვა არ არის მართებული. მართლაც, „იოსებზილიხანის“ შემცველ რიგ ხელნაწერებში (H 461, S 4529, S 403, A 1735) იკითხება: „შენ დასკვნები რაღა? — ჰმობენ ვარდს ბულბული გაუყავადა“. ეს ნიშნავს: შენ რისთვის დასკვნები? აი, ამბობენ ვარდს ბულბული გაუყავადა — ყვავად ექცა. ივარაუდება იოსებს (ვარდს) ბაზიყა (ბულბული) ყვავად ექცა. რაღგან ბაზიყამ ყველაფერი მიატოვა და თავი სასიკვდილოდ გაწირა.

დასახელებულ ხელნაწერთაგან S 403 საშუალებას იძლევა გასწორდეს საანალიზო სტროფის მესამე სტრიქონის სარიტმო სიტყვატ. ხელნაწერში იკითხება: „ლაწვთა შენთა უტურფესი, მითხარ, ედემს რა უყვავადა“. ამჭერად სტრიქონის აზრი ნათელია. ბებია იკითხება ბაზიყას: შენს ღაწვებზე უკეთესი. მითხარ ედემში რა აყვავებულაო. ამრიგად, 186-ე სტროფის III სტრიქონის სარიტმო სიტყვა „რა უყავა-და“ უნდა გასწორდეს ფორმით „რა უყვავადა“. ხოლო IV სტრიქონის „გაუყავა-და“ — სიტყვით „გაუყვავადა“. საანალიზო სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

მოსტქვის: შვილო, საყვარელო, კარგა თავსა რა უყავადა,
 რად მოგძულდა სინათლენი, რომე მზესა გაუყავადა,
 ღაწვთა შენთა უტურფესი, მითხარ, ედემს რა უყავადა!
 შენ დასკვნები რაღა? — ჰმობენ: ვარდს ბულბული გაუყავადა!

სტროფის შინაარსი ასეთი იქნება: ბებია მოსტქვამს: საყვარელო შვილო, კარგ თავს რა უყავი, რად მოგძულდა სინათლე, რომელიც მზეს გაუყავი, შენს ღაწვებზე უკეთესი. მითხარ ედემში რა ჰყავადა („რა უყავადა“). შენ რისთვის დასკვნები, ამბობენ: ვარდს ბულბული გაუყავადა, ყვავად გადაექცაო („გაუყავადა“).

ამრიგად, მესამე და მეოთხე სტრიქონების სარიტმო კომპლექსთა გასწორება სტროფის აზრიანსა და ნათელს ხდის.

3. „იოსებზილიხანის“ 211-ე სტროფში იკითხება:

ამოახედნა, მალ-იენა, რომ შალი სანი სახევედა,
 თვალს არი: ებუა საქურელთ, სი ცოცხლით ვედარ სახედა,
 ზილიხან ვარდის ბაგიზა ღიმობუა, აღარ ახევედა,
 ნარგიზი მისთა მჭერიტელთა აღმასიცი იყოს. დახევედა.

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იქცევს მეორე სტრიქონის მეორე ნახევარი. რას ნიშნავს „სიცოცხლით ვედარ ახევედა“? გადავხედოთ ამ სტროფის წინ შინაარსს: ზილიხანს უზომოდ შეუყვარდა იოსები. დახმარება სთხოვა გამდელს. ამ უკანასკნელმა ურჩია სასასწლე მოკაზმოს და იოსები მარტო მოიპატიოქოს. ზილიხანი დათანხმდა, მოეშადა, სასახლის კედლები თავიანთ მსგავს ქალ-

ჯათა სამიჯნურო სურათებით მოახატენა, თვითონაც მოირთო და იოსები იხმო. გვერდზე მოისეა, ღვინო მიაწოდა და ამას მოსდევს საანალიზო სტროფი. იოსებმა მიმოიხედა და იცნო, რომ მათი სახეები იყო კედლებზე გამოსახული, „თვალს არიდებდა საქვრეტლად, სიცოცხლით ველარ ნახევდა“, ზილიხანი ვარდის ზაგით იღიმებოდა, აღარ ოხრავდა, მისი თვალეები (ნარგოზი) მის მკვერეტელს, აღმასიც რომ ყოფილიყო, გააპობდა. ამრიგად, სავესებით გაუგებარია გამოთქმა „სიცოცხლით ველარ ნახევდა“. ნაცვლად სიტყვისა „სიცოცხლით“ აქ უნდა იკითხებოდეს „სირცხვილით“, როგორც ეს გვაქვს რიგ ზელნაწერში: S 403, A 1735, H 461, S 4529.

„თვალს არიდებდა საქვრეტლად, სირცხვილით ველარ ნახევდა“ — სტრიქონის შინაარსი ასეთია: იოსები თვალს არიდებდა კედელზე გამოხატულ სურათებს, სირცხვილით ვერ უყურებდა. ეს სავესებით ბუნებრივია, რადგანაც კედლებზე გამოხატულ სამიჯნურო სცენებში, როგორც ვიცით, მათი სახეები გამოიკნობოდა. გარდა ამისა, „იოსებზილიხანიანში“ რამდენჯერმე აქვს ხაზი გასმული იმ გარემოებას, რომ იოსებს ზილიხანის გამიჯნურება რცხვენოდა. პირველად, როცა ზილიხანმა იოსებს გამღელი მიუგზავნა, „იოსებზილიხანიანში“ ნათქვამია:

იოსებს ესა, მიღედა სცელი სირცხვილითა აღუბო,
თავი დარცხდა, საქვრეტლე ზე ველარ ახენა თვალუბო.
უოხრა თუ: მაგას სად ღირსჯარ, მე უცხოღ მონაყენაგზო?
ყოთ უყო მტჰან ნასყოგან, ზედ ეპყეღარ შესაწყენარგზი! (101).

ზილიხანმა რომ მეჭლისზე მოიწვია, იოსები „მორცხვად იღვა თავმოდრეკით, წარბი ქუფრად შეეყარა“ (140,1). 211-ე სტროფში, რომ „სიცოცხლით“ ფორმის ნაცვლად „სირცხვილით“ უნდა იყოს, ამას ადასტურებს მომდევნო სტროფებიც. ზილიხანი და იოსები ლხინობენ. ზილიხანი

ეტყოლა:—მოკალ ბაზიყა, ცრემლი ზედა დაეკუროს,
რად არ გიწალდე მისებრიც მეცა მიწა მიმბეზუროს. (213, 2-3)

და შემდეგ ნათქვამია:

ყამ შეხედნა, ტბილად რამე ეშუო ველსა აღულდაეს,
შოში მელავსა ჯა მე სირცხვილი, ეს გაბედვა ვის არ გუერიოს. (214, 2-4)

ამრიგად, იოსებს აწუხებს სირცხვილი ზილიხანთან მიჯნურობისას, კედელზე რომ თავიანთ მსგავს ქალ-ვაეთა სამიჯნურო სცენებს ხედავს. სირცხვილით ვერ უყურებს:

თვალს... ზედა საქვრეტლად... სირცხვილით ველარ ნახევდა.

4. გამიჯნურებულმა ზილიხანმა მიზანს მიაღწია და იოსებთან განმარტოვდა. ეს ამბავი ვილაცამ მეფეს მოახსენა. კარის მცველმა — მეფე მოდისო, — აცნობა მიჯნურებს. ზილიხანს შიშისაგან ფერი წაუვიდა და თავი იმართლა: იოსები სთვრალი შემოვიდა. ვერ დაეამშვიდე, შეურაცხყოფა დამიპირა და „საყელონი დავავლიეყო“. მეფემ ზილიხანს უწყალოდ სცემა, უბრძანა: იოსები შეყარით, ეგ ეშმაკი და ქაჯი ვიყიდე: შევილად გავზარდეთ... იოსები თავს არ იმართლებდა და

ლიაც ვისმე გამოყვანდა შეილი—წელი სამის თვისა,
ყმაძან თქვა თუ: — ჩვენი საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან თქვისა,
ჰკითხეს: გვითხარ, თქვი მართალი, ვის აქვს ბრალი საქმის ქნისა?
თქვა: — იოსებ უბრალოა, უსამართლოდ დანათქმისა. (230)

სტროფის შინაარსი ასეთია: ვილაკ ქალს სამი თვის ბავშვი მოჰყავდა, იოსებმა თქვა: აი მაგ ბავშვს ჰკითხეთ, ეგ იტყვის სიმართლესო. ჰკითხეს, გვითხარი მართალი, ვინ არის დამნაშავე? ბავშვმა თქვა: იოსები უდანაშაულოა, „უსამართლოდ დანათქმისა“? რას ნიშნავს გამოთქმა „უსამართლოდ დანათქმისა“? ეს უნდა ნიშნავდეს უსამართლოდ დანათქმულს. ე. ი. ბავშვმა თქვა: იოსები უდანაშაულოა, უსამართლოდ დანათქმული. სტროფის შინაარსიდან კი უფრო ბუნებრივია ბავშვმა თქვას: იოსები უდანაშაულოა, უსამართლოდ ისჯება. ასეთი გაგებისათვის „დანათქმისა“ ფორმა არ გამოდგება. მართლაც, ზოგ ხელნაწერში (A 1735, S 403, S 4529) „უსამართლოდ დანათქმისა“-ს ნაცვლად იკითხება „უსამართლოდ დაინთქმისა“, რაც ნიშნავს უსამართლოდ ისჯება, უსამართლოდ დაინთქმება. ე. ი. ბავშვმა თქვა: იოსები უბრალოა, უდანაშაულოა, უსამართლოდ ისჯებაო. ამრიგად, წაკითხვა „უსამართლოდ დაინთქმისა“ მართებულია, შეეფერება სტროფის შინაარსს. სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

ლიაც ვისმე გამოყვანდა შეილი—წელი სამის თვისა,
ყმაძან თქვა თუ: — ჩვენი საქმე მაგას ჰკითხეთ, მაგან თქვისა,
ჰკითხეს: გვითხარ, თქვი მართალი, ვის აქვს ბრალი საქმის ქნისა?
თქვა: — იოსებ უბრალოა, უსამართლოდ დანათქმისა.

5. მისრეთის მეფემ სიზმარი ნახა, რომელიც ვერავინ აუხსნა. მეღვინემ, რომელსაც ორმოში ყოფნისას აუხსნა იოსებმა სიზმარი, მეფეს მოახსენა, რომ ამ სიზმრის ახსნას მხოლოდ იოსები შესძლებდა. ამოიყვანეს იოსები, შემოსეს, სამეფო დარბაზში დასვეს და სიზმარი უამბეს. იოსებმა

თქვა თუ: — ჩვენება გინახავს, არ ცუდი რამე ოცნებით,
ღმერთმან გაუწყა, მეფეო, წყალობა მისი ოცნებით,
ხსნა უნდა დაბადებულთა ნუღარ ვართ ცრემლთა ხოცებით,
აწვე არ შეჰკრებთ საზრდელსა, — სუყმილით დაეხოცებათ. (255)

ამ სტროფში ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველი და მეორე სტრიქონის სარიტმოდ სიტყვა „ოცნებით“. თეიმურაზთან მაჭამურ სტრიქონებში ზოგჯერ გვხვდება ერთი და იგივე სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობით, მაგრამ ეს სტროფი მაჭამური არაა. შესაძლო სტრიქონში სარიტმოდ სიტყვაა „ხოცებით“, მეოთხეში — „დაეხოცებთ“.

ამ სტროფის პირველი სტრიქონის შინაარსი გასაგებია. გაუგებრობას ქმნის მეორე სტრიქონში სარიტმოდ სიტყვა „ოცნებით“. რას უნდა ნიშნავდეს ღმერთის წყალობა ოცნებით („ღმერთმან გაუწყა, მეფეო, წყალობა მისი ოცნებით“). ხელნ. S 403-სა და S 4529-ში ნაცვლად სიტყვისა „ოცნებით“ იკითხება „ოცებით“ (S 403-ში I სტრიქონის სარიტმოდ სიტყვაშიც არის „ოცებით“), რაც სავსებით მართებული ჩანს. აქ ლაპარაკია ღმერთის წყალობაზე ოცებით, ოცობით. პირველ სტრიქონში კი უნდა დარჩეს „ოცნებით“. ამრიგად, სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

თქვა. თუ: ჩვენება გინახავს, არ ცუდი რამე ოცნებით,
ღმერთმან გაუწყა, მეფეო, წყალობა მისი ოცნებით.

ხსნა უნდა დაბადებულთა, ნულარ ვართ ცრემლთა ხოცებით,
აწვე არ შეპყრებთ საზრდელსა. — სიყვილით დაეხოცებოთ.

სტროფის შინაარსი ასეთია: იოსებმა თქვა, ჩვენება გინახავს ცუდი ოცნებით არა, ღმერთმა გაუწყა, მეფეო, თავისი წყალობა ოცებით || ოცობით, ე. ი. მრავლად. ცრემლით ხოცვით ნუ ვართ, დაბადებულნი უნდა ვიხსნათ, თუ საზრდოს არ შევკრებთ, შიმშილით დაეხოცებოთ.

6. მისრეთის ხელმწიფე მიიცვალა. დედოფალი — ზილიხანი მწარედ მოსთქვამდა:

ტახტ-გეირგეინა უმევიდროდ. უძეობასა ჩიოდა,
თქვა: „უსაწყლე ვარ მეცრისაგან, მე უფრო მოუთქვიოდა“;
მზე განახე ეგრე გასული“ — იოსებს გული სტკიოდა,
გული დაეწვა სამისოდ ვარდზედა ცრემლი სდიოდა. (266)

ამ სტროფში ყველაფერი რიგზე არაა. I სტრიქონში ზილიხანი უმემკვიდრობას, უძეობას ჩივის. II სტრიქონში ამბობს: მეცდარზე უფრო საწყალი ვარ, მე უფრო ვსაქვირობ მთქმასო. შინაარსობრივად აქ მთავრდება მისი ტექსტი, მაგრამ გამოცემაში ბრკეყალები დახურული არ არის. III სტრიქონში „მზე განახე ეგრე გასული“ — ეს სიტყვები იოსებს მიეწერება, ავტორი კიდევ ურთავს „იოსებს გული სტკიოდაო“. IV სტრიქონში ავტორებს: იოსებს მისთვის გული დაეწვა, სახეზე (ვარდზე) ცრემლი ჩამოსდისო. პირველ ყოვლისა, ბრკეყალები უნდა დაიხუროს მეორე სტრიქონის ბოლოს, სადაც მთავრდება ზილიხანის ტექსტი. შემდეგ მესამე სტრიქონში — „მზე განახე ეგრე გასული“ — ბრკეყალები უნდა მოიხსნას და „განახე“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ნახა“, როგორც ეს არის ხელნ. S 403, S 4529-სა და A 1735-ში. ასეთი გასწორების შემდეგ მესამე სტრიქონის („მზე ნახა ეგრე გასული — იოსებს გული სტკიოდა“) შინაარსი ასეთი იქნება: იოსებმა ზილიხანი (მზე) რომ ასეთ მდგომარეობაში ნახა, გული სტკიოდა, ე. ი. ეს სტრიქონი, როგორც მისი მომდევნო, რიგით მეოთხე — „გული დაეწვა სამისოდ. ვარდზედა ცრემლი სდიოდა“ — ავტორისაა. ზილიხანის მოთქმა მეორე სტრიქონში თავდება, იოსები არაფერს არ ამბობს, მის განცდებზე თეიმურაზი მოგვითხრობს საანალიზო სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონებში. ამრიგად, სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

ტახტ-გეირგეინა უმევიდროდ. უძეობასა ჩიოდა,
თქვა: „უსაწყლე ვარ მეცრისაგან, მე უფრო მოუთქვიოდა“;
მზე ნახა ეგრე გასული — იოსებს გული სტკიოდა,
გული დაეწვა სამისოდ, ვარდზედა ცრემლი სდიოდა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ)

რიმა შირსხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის ირგვლივ

ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის საკითხი რუსთველოლოგიის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. არტანუჯული ვარიანტის შესახებ ბევრი დაწერილა, მიუხედავად ამისა, მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ კვლევას საჭიროებს.

არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით დგება უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა — შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს პ. ლარაძისეული ცნობა ვეფხისტყაოსნის დღეს ჩვენთვის უცნობი ხელნაწერის არსებობის შესახებ, ხელნაწერისა, რომელიც, საფიქრებელია. მეტად საყურადღებო თავისებურებას ამჟღავნებდა შედგენილობისა და წაკითხვათა მიხედვით. ცნობის სიზუსტის გარკვევა როდია თვითმიზანი. არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით საკითხი დაისმის ვეფხისტყაოსნის განსხვავებული რედაქციის მქონე ხელნაწერის შესახებ, რომელიც, თუ ცნობას ვირწმუნებთ, ხელშესახებად არსებულა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში.

სანამ უშუალოდ საკითხის არსის განხილვას შევედგებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ მისი შესწავლის ისტორიას. მე-19 საუკუნის ზოგიერთ ხელნაწერს, განსხვავებით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა უმრავლესობისა და ვახტანგის ტექსტისაგანაც, დაუცავს 17 სტროფი — 6 პოემის შიგნით, 11 — დასასრულს, კერძოდ, იმ ადგილზე, სადაც ვახტანგის გამოცემაში წარმოდგენილია სტროფი „ტარიელს და ცოლსა მისსა...“ (ჩფგშ). განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ ჯგუფის ხელნაწერები თავისებურებას ამჟღავნებენ ცალკეულ ადგილთა წაკითხვის მხრივაც. ზოგ მათგანს დაუცავს მინაწერიც: „თუმცა იყენენ წიგნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართველოსა შინა ბუკდილნი და ხელწერილიცა, გარნა ფ'დ გარყენილნი და არად სახმარნი, ამისთვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატისკის სოვეტნიეს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატეს ძეს, და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი, კერძოთა არტანუჯისათა“. გ. თუმანიშვილისათვის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი 1823 წ. გადაუწერია ცნობილ კალიგრაფს დავით რექტორს (H—1079). ამ ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „ვეფხისტყაოსანი აღუქსწერე მე კეთილშობილმან აღუქსის ძემან რექტორმან დავითმან, მისის ბრწყინვალეობის, სტატისკის სოვეტნიეს და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისათვის: თთჭსა ფებერჭარსა. რიცხუსა. კა: წელსა ჩყკგ. ქქს. ფია“¹.

ამავე ხელნაწერს (H—1079) შემოუნახავს კნენინა ბარბარე ქობულაშვილის მინაწერებით: „ღმერთმან სასუფეველი მისცეს კნიაზ გიორგი ეგნატეს ძეს თუმანოვს. ეს ვეფხისტყაოსანი დაწერინა დავით რექტორს, რომელიც პირველი

¹ H — 1079, გვ. უზ.

მწერალი იყო ქართულისა. მაგრამ ზოგიერთი სიტყვები წამხდარი იყო ძველის მწერლებისაგან. თითონ გააკეთა და გამოცვალა ძალიან ჩინებულათ. ასე რომ, უთუოდ რუსთაველისაგანაც ასე იქმნებოდა. და ამის პირი სხვა დააწერინა თავისთვის და ეს მე მაჩუქა. რაც ცარიელი ქაღალდებია დარჩენილი ამაში დახატვა უნდოდა მაგრამ ვეღარ შეასრულა. წელს 1867. ივლისის სამსა. ბარბარე ქობულეთისა“². „ეს თერთმეტი ლექსი გიორგი თუმანოვის ნათქვამი და ძალიან მგზავს ამ ვეფხისტყაოსნისა“³. „და ვინცა გადაწეროს ეს ვეფხის ტყაოსანი გიორგი თუმანოვის შრომა ნუ დაიკარგება ისე დაიწეროს ვისაც თქმულა და ძალიან მუნასიბს ალაგსაც არის დაწერილი რომ სულ არა იყო რა იმ საგანზედ“⁴.

დღეს გარკვეულია, რომ არტანუჯული ვარიანტის ტიპის ხელნაწერებისათვის თავისებურ დედანს წარმოადგენს პ. ლარაძის მიერ 1827 წ. გადაწერილი ხელნაწერი S—4732. ჯერ კიდევ 1908 წ. ე. თაყაიშვილმა შენიშნა, რომ პ. ლარაძისეული ხელნაწერის მიხედვით არა ჩანს არტანუჯული ხელნაწერის, თუ მართლაც არსებობდა იგი, სიძველე. ე. თაყაიშვილმა მიუთითა მთელ რიგ ენობრივ მოვლენებზე (მაგ.. მეფა-ს ხმარება მეფის ნაცვლად, გამოტოვება და კავშირისა ყოველი მეოთხე ტაეპის წინ, უ-ბრჯგუს [უ] ხმარება და სხვა.), რაც გამოირჩეხვდა ხელნაწერის ტექსტის სიძველეს. მაგრამ ე. თაყაიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ ამგვარი გასწორებანი თვით პ. ლარაძეს შეეძლო შეეტანა ტექსტში⁵.

არტანუჯულ ვარიანტს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ა. სარაჯიშვილმა მან აღნიშნა არტანუჯული ვარიანტის საექვო ღირსება პოეტური თვალსაზრისით. ა. სარაჯიშვილი წერდა: „არტანუჯის ვარიანტის ღირსების დაფასება გაადვილდა, რადგანაც ხელში ჩაგვივარდა მისი დედანი. კენიანა ანა ალექსანდრეს ასულმა ამილახერის ქვრივმა შემოსწირა ჩვენს ბიბლიოთეკას ერთი ხელნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“..., რომელიც არის დედანი ან, უკეთ რომ ვთქვათ, სამზარეულო (ლაბორატორია) არტანუჯის ვარიანტისა“⁶. ა. სარაჯიშვილმა არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით დასვა არსებითი კითხვა: „ჰქონდა თუ არა თუმანიშვილს მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტები „ვეფხისტყაოსნისა“, როცა პოემის ტექსტს ასწორებდა ვითამც არტანუჯის ხელთნაწერის მიხედვით?“⁷ ამ არსებით კითხვას ა. სარაჯიშვილმა არცთუ მთლად პირდაპირი პასუხი გასცა: „ჩემის აზრით, ექნებოდაო“⁸, „შესაძლებელია, რომ თვით არტანუჯის ხელთნაწერის იდეა იშვა ვახტანგ მეფის ტექსტსა და მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტების შედარებისაგანო“⁹. უფრო გარკვეული, გადამჭრელი პასუხის გაცემა ა. სარაჯიშვილს არც შეეძლო, რადგან ამისთვის საჭირო იყო არტანუჯული ვარიანტის ტექსტის მონაცემების დეტალური შედარება ხელნაწერთა მთელ

² H — 1079, გვ. კა.

³ H — 1079 (დ. რეპტორისეული პავინაცია გვერდს არა აქვს. იხ. გვ. უბ-ის შემდეგ).

⁴ იქვე.

⁵ Е. Т а к а й ш в и л и. Описание рукописей О-ва распространения грамотности ср. грцз. населения, т. II. 1908, გვ. 580.

⁶ ა. სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი „ვეფხის-ტყაოსნისა“. ძველი საქართველო, ტ. IV (1914—1915), გვ. 3.

⁷ იქვე, გვ. 6.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 7.

მემკვიდრეობასთან, რაც მას არ მოუხდენია და არც შეეძლო მოეხდინა. თვით კითხვაც ა. სარაჯიშვილის მიერ დასმული არ არის მთელი სისრულით, რადგან მასში ლაპარაკია პოემის ტექსტის სწორებაზე მხოლოდ გ. თუმანიშვილისაგან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, არტანუჯული ვარიანტის ტექსტის სწორება მხოლოდ გ. თუმანიშვილის სახელს არ უნდა უკავშირდებოდეს. მხედველობაში გვაქვს არა ის სტილისტური გასწორებანი, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია ისინი პ. ლარაძის ეკუთვნოდესო. გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერის ტექსტის შესწავლა ნათელყოფს, რომ მთელი ეს სტილიზაცია წარმოდგენილია ჯერ კიდევ დავით რეპტორის მიერ გადაწერილ ტექსტში და, მაშასადამე, სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს და არა პეტრე ლარაძეს. მაგრამ ამას არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და მასზე არ შევიჩრდებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეტად საყურადღებო აზრობრივ გასწორებათა წარმომავლობას, რომლებიც წარმოდგენილია გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში. ა. სარაჯიშვილის აზრით, ხელნაწერის არტანუჯულობა მოიგონა არა გ. თუმანიშვილმა, არამედ პ. ლარაძემ¹⁰.

იუსტ. აბულაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არტანუჯულ ვარიანტს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში. მისი აზრით, ვახტანგისეული რედაქცია და პეტრე ლარაძის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსანი უნდა წარმოდგენდეს „ერთისა და იმავე უძველესი რედაქციის პირს“. „ვახტანგისა და არტანუჯის რედაქციები... უნდა იყოს ერთადერთი უძველესა რედაქციათაგანი, რომლის საშუალებით, შესაძლებელია, დაახლოებით მაინც ვეფხისტყაოსნის ძველისძველი დედნის აღდგენა“¹¹.

ა. ბარამიძის აღნიშვნით „ვეფხისტყაოსნის გმირთა არაბეთიდან გამოგზავრებისა და ტარიელის ინდოეთში გახელმწიფების ამბავს ვახტანგისეული რედაქციით ემჩნევა სიუჟეტური ხარვეზი. ზოგჯერ უცდიათ ამ ხარვეზის ამოვსება თვითონ ვახტანგისეული ტექსტის ფარგლებშიც (გიორგი თუმანიშვილი)“¹². აქვე ა. ბარამიძე შენიშნავს, რომ „გიორგი თუმანიშვილი არ დაკმაყოფილებულა მარტოოდენ ინდო-ხატავლთა ამბის მოხსენიებული ჩანართით. მას თავისებურად გაუჩარხავს თუ გაუმართავს მთელი ვეფხისტყაოსანი“¹³.

ს. ყუბანეიშვილს შესაძლებლად მიაჩნია არტანუჯული ნუსხის არსებობა. მისი აზრით, არტანუჯული ხელნაწერი არაა ლეგენდა, ასეთ რამეს არ მოიგონებდა პ. ლარაძე¹⁴.

ქ. ჭიჭინაძის აზრითაც, გ. თუმანიშვილს მართლა ჰქონია რალაც ძველი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა და აღნიშნული 17 სტროფიც მისგან ამოუღია. ქ. ჭიჭინაძე ამ 17 სტროფს მიიჩნევს პოემის ცალკეულ ეპიზოდთა ვარიანტებად, რუსთველისავე კუთვნილებად¹⁵.

¹⁰ იქვე, გვ. 29—30.

¹¹ ვეფხისტყაოსნის იუსტ. აბულაძისეული გამოცემა (1926) შესავალი, გვ. XVIII.

¹² ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 444 (იხ. მისივე ნარკვევები ტ. III, 1952, გვ. 83).

¹³ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 446, სქ. 17.

¹⁴ ს. ყუბანეიშვილი აზრს ეუთობებ ს. ცაიშვილის წიგნის (ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970, გვ. 328), მიხედვით, ვინაიდან ს. ყუბანეიშვილის შრომა, სადაც აღნიშნულ აზრია გამოთქმული, ხელნაწერის სახით ყოფილა და მისი ნახვა ვერ მოვახერხებთ.

¹⁵ ქ. ჭიჭინაძე, იყენენ თუ არა პოეტები გიორგი თუმანიშვილი და იოსებ თბილელი ყაღბისმკმნელები „ლიტერატურული გაზეთი“, 1955, 19. VIII; იხ. აგრეთვე მისივე: რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 84—85.

ს. ცაიშვილი აღნიშნავს, რომ „თუმანიშვილისეული ტექსტი, ჩასწორებათა და არშიებზე მინაწერ სტროფთა გარეშე... ზუსტი პირია 1712 წლის გამოცემისა. თვით სტროფების სათვალავის აღრევაც კი, რაც შეინიშნება ვახტანგის გამოცემაში (მაგალითად, ნგ, რნე, ტედ), ამ ხელნაწერშიც გამოვრებულია. აქვე ისევე 1589 უწერია ბოლო სტროფს, ნაცვლად 1587 სტროფისა. აქვე შეინიშნება ვახტანგისეული გამოცემის კორექტორული შეცდომებიც“¹⁶. მასვე გარკვეული აქვს წყაროები ლექსიკონისა, რომელიც პ. ლარაძის მიერ გადაწერილ ვეფხისტყაოსანს ერთვის. პ. ლარაძისეული ლექსიკონი ვახტანგის კომენტარებს ეყრდნობა და მის გავლენაშია მოქცეული, მაგრამ მასვე აუსახავს საბას ლექსიკონის გავლენაც¹⁷.

ამრიგად, დღეს გარკვეულია, რომ პ. ლარაძის ხელნაწერის დედანს წარმოადგენს გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერი, რომ ამ უკანასკნელში ორთოგრაფიული თუ სტილისტური გასწორებანი ეკუთვნის დავით რექტორს. გარკვეულია პ. ლარაძის ლექსიკონის წყაროებიც. დადგენილად ითვლება ჩანართი 17 სტროფის ავტორის საკითხიც. გარკვეულია ისიც, რომ ჩანართ სტროფთა და გასწორებათა გარეშე გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგისეული გამოცემის პირს. ყოველივე ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ მინც საკითხთა მხოლოდ ერთი მხარეა. შემდგომ კვლევას საჭიროებს არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებული მრავალი საკითხი.

პირველ რიგში, გასარკვევია არსებობდა თუ არა არტანუჯული ხელნაწერი. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობის დეტალურმა შესწავლამ ამ მიმართულებით. ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე უნდა გაირკვეს ვახტანგის ტექსტისა და არტანუჯული ვარიანტის სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერის ურთიერთმიმართება. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა იმ მხარეს, რითაც არტანუჯული ვარიანტი ვახტანგის ტექსტს ემთხვევა (ეს საკითხი, არსებითად, შესწავლილია). არამედ იმას, რითაც ვახტანგის ტექსტისაგან განსხვავდება. ეს საკითხი კი შეუსწაველია. უნდა გამოიკვეთოს ყველა შემთხვევა, როცა არტანუჯული ვარიანტი შორდება ვახტანგის ტექსტს. გასარკვევია იმ წაკითხვათა წარმომავლობა, რომლებიც ვახტანგის ტექსტისაგან განსხვავებით წარმოდგენილია არტანუჯულ ვარიანტში. ამ მიზნით ამ უკანასკნელის სპეციფიკური წაკითხვანი უნდა შეუდარდეს ხელნაწერთა მთელ მემკვიდრეობას, რათა გაირკვეს მათი წყარო. ეყრდნობა თუ არა H—1079 რომელსაზე ხელნაწერს ან ხელნაწერთა ჯგუფს, და თუ ეყრდნობა, ხელნაწერთა რომელ ჯგუფთან ამჟღავნებს მეტ სიახლოვეს? გასარკვევია რა სახისაა არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილი გასწორებანი და ვინაა ცალკეულ შემთხვევებში მათი ავტორი, ამოიწურება თუ არა დავით რექტორის დეაწლი მხოლოდ ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის გასწორებებით, რას ეყრდნობა შედგენილობა არტანუჯული ვარიანტისა, ანუ უფრო ზუსტად, ჩამატებული 17 სტროფის წყაროს საკითხი. ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ ვირწმუნოთ. ან მკდარად ჩავთვალოთ პ. ლარაძისეული ცნობა არტანუჯული ხელნაწერის არსებობის შესახებ.

¹⁶ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 69, იხ. აგრეთვე მისვე: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970, გვ. 330.

¹⁷ იქვე, გვ. 71; იხ. მისვე: „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ლექსიკოგრაფიული შრომები, წიგნ-ში: ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 97.

გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერის (H—1079) დეტალური შესწავლა ნათელს ხდის, რომ არტანუჯული ვარიანტის წარმოშობის იმგვარი ახსნა, რაც წარმოდგენილი ჰქონდა ა. სარაჯიშვილის (ვახტანგის ტექსტისა და მე-17 საუკუნის ვარიანტების შეფარდების გზით) მრავალ წინააღმდეგობას აწყდებდა. ა. სარაჯიშვილის დასკვნა იმის შესახებ, რომ იღვა არტანუჯული ვარიანტისა მოიგონა პ. ლარაქემ, არ ეყრდნობოდა ამ უკანასკნელის ტექსტისა და ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობის შედარებით ანალიზს. გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერის შესწავლისას ა. სარაჯიშვილს მოსვლია ერთი დიდი შეცდომა. როგორც ჩანს. მას არ მოუხდენია არტანუჯული ვარიანტის დეტალური შესწავლა პირველი ტაეზიდან უკანასკნელამდე, არამედ ყურადღება მიუქცევია მხოლოდ იმ ადგილებსათვის, რომლებიც აშკარად გადახაზულია და ნასწორებია გ. თუმანიშვილის აჩქარებული, გაკრული ხელით, საგრძნობლად განსხვავებულით დაეით რექტორის ხელისაგან. გ. თუმანიშვილის კალამი იგრძნობა ხელნაწერის გვერდზე ერთი დახედვისთანავე. ა. სარაჯიშვილის შენიშვნები სწორედ ამ აშკარა, თვალშისაცემ სწორებებს შეეხება. მაგრამ ეს გადახაზული და უხეშად ნასწორები ადგილები შეიძლება ითქვას, რომ ზღვაში წვეთია, ვერც რაოდენობრივად და ვერც თვისობრივად მიახლოებითაც ვერ შექმნის გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტის სწორების რეალურ სურათს. ამიტომაც მხოლოდ მათზე დამყარებული დასკვნები მეტად დაშორებული აღმოჩნდა ტექსტის მონაცემებისაგან. სინამდვილეში გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში წარმოდგენილია სწორების სამი ფენა. როგორც ჩანს, ძალიან დიდი რედაქტორული სამუშაო ჩაუტარებია ჯერ თვით დაეით რექტორს. ეს სამუშაო მხოლოდ ორთოგრაფიულ და სტილისტურ სწორებას როდი გულისხმობს. დაეით რექტორის ხელით გადაწერის პროცესშივე შეტანილია ბევრი აზრობრივი მნიშვნელობის გასწორება. ესაა გასწორებათა პირველი ფენა. მეორე ფენა გასწორებათა ისევე დაეით რექტორის ხელითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს უკვე გადაწერილი ტექსტის სწორებას წარმოადგენს. შეიმჩნევა მართალი ამონაშალი, ან ასოთა გადასწორება. გასწორებათა ეს მეორე ფენა შესრულებულია მეტისმეტად ფაქიზად და ერთი დახედვით შეუმჩნეველიცაა. მესამე ფენა სწორებისა წარმოდგენილია გ. თუმანიშვილის ხელით. ესაა გაკრული, აჩქარებული ხელი, თამამი შტრიხები. ქვემოთ ვნახავთ, რომ გასწორებათა სამივე ფენა მეტ-ნაკლებად ხელნაწერულ მემკვიდრეობას ემყარება. ეს საკონტროლო ხელნაწერი (თუ ხელნაწერები) ხელთ ჰქონია ჯერ კიდევ გადაწერის პროცესშივე დაეით რექტორს და ბევრი საგულისხმო გასწორებაც შეუტანია მისგან ტექსტში. რაღა თქმა უნდა, ეს საკონტროლო ხელნაწერი საბოლოო რედაქტორების დროს ხელთ ჰქონია გ. თუმანიშვილსაც. ამ უკანასკნელს გაუსწორებია ზოგიერთი ადგილი, შეუთხზავს ზედმეტი სტროფები და აქა-იქ კრიტიკული ავალითაც გადაუხედავს დაეით რექტორისაგან ნასწორები ტექსტისათვის. ზოგჯერ საპიროდ დაუნახავს ამ უკანასკნელისაგან გასწორებული ტექსტის შეცვლა, ვახტანგისეული წაკითხვის აღდგენა. მაგ. 435,2¹⁸.

ვახტ. საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად.
დაეით რექტ. საპატრონოდ ზრდა დამიწყეს...

¹⁸ ეფთხისტყაოსნის ტექსტის ნუმერაცია მიითითებულია ერთელი გამოცემის (ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1956) მიხედვით.

ასეთივეა EFZ ხელნაწერთა ვარიანტებიც¹⁹. გ. თუმანიშვილს გადაუხაზავს დავით რექტორის მიერ გადაწერილი ტექსტი და აღუდგენია ვახტანგის წა-კითხვა (საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა...).

როგორც ჩანს, პირველი და მეორე ფენის გასწორებები ხელნაწერულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შერჩეულია დავით რექტორის მიერ. ამ მხრივ მას თავისუფლება ჰქონია მინიჭებული ხელნაწერის დამკვეთისაგან. მაგრამ დავით რექტორი არ შეხებია ხელნაწერის შედგენილობას. ამ მიმართებით მისი უფლებები შეზღუდული ყოფილა. შედგენილობის შეცვლა, როგორც ჩანს, ხელეწიფებოდა მხოლოდ დამკვეთს — გ. თუმანიშვილს და ამ უკანასკნელს უსარგებლოა კიდევ ამ უფლებით. მართალია, დამატებულ სტროფთა უმრავლესობა წარმოდგენილია დავით რექტორის ხელით (მაგ., დასასრულის 11 სტროფი, ტექსტის შიგნით 519 სტროფიც), მაგრამ საფიქრებელია, ეს სტროფები გ. თუმანიშვილს მიეწოდებინა დავით რექტორისათვის ტექსტის გადაწერის დასრულების შემდეგ. ამიტომაც დასასრულის 11 სტროფი დამატებულ ფურცელზეა წარმოდგენილი და ხელნაწერის შესაბამისი გვერდებიც პაგინაციის გარეშეა დარჩენილი²⁰. ასევე, დასასრულის თერთმეტივე სტროფი სტროფთა სათვალავის გარეშე დარჩენილია. სტროფთა სათვალავის გარეშეა დატოვებული 519¹ სტროფიც (ტპა-ს შემდეგ), თუმცა იგი სრულიად თავისუფლადაა მოთავსებული სათანადო ადგილზე და ჩაწერილია დავით რექტორისავე ხელით. თავის დასასრულს ქვემო არშიაზე საკმაო თავისუფალი ადგილი ყოფილა, შეთხზული სტროფი, ალბათ, გ. თუმანიშვილს მიუწოდებია დავით რექტორისათვის, ამ უკანასკნელს კი ის თავისი ხელით ჩაუწერია ტექსტში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გ. თუმანიშვილისეულ გასწორებათა სტილი რამდენადმე განსხვავდება დავით რექტორის სტილისაგან. გ. თუმანიშვილისეული გასწორებანი თუმცა ბევრ შემთხვევაში ხელნაწერულ ტრადიციას ემყარება. მაგრამ ზოგჯერ უთუოდ ატარებს ნებისმიერი სწორების ელფერს. ამას ვერ ვიტყვოდით დავით რექტორისეულ გასწორებათა მიმართ.

ამის შემდეგ განვიხილოთ არტანუჯელი ვარიანტის ტექსტის მონაცემები და მათი მიმართება ხელნაწერთა მემკვიდრეობასთან.

გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში წარმოდგენილ გასწორებათა დიდი ნაწილი დასტურდება დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში. ზოგჯერ ადგილი აქვს სრულ, ზოგჯერაც — ნაწილობრივ დამთხვევას. სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა გვაქვს მოვიტანოთ ამ გასწორებათა დიდი ნაწილი. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს²¹.

75,3 ვახტ. ნზ.

ვახტ. მეფემან თავი დაჰკიდა: და ჰქონდა დაღრეჯილობა.

არტანუჯ. შეექმნა დაღრეჯილობა.

მსგავსი წაკითხვა დასტურდება JT' ხელნაწერებში (J — შეიქნა, T' — შეექნა).

156,4 ვახტ. რზ.

ვახტ. უბძანა მახლაე რად არა: მოელი მოყვანებასა

არტანუჯ. ... რად მელი მოყვანებასა.

¹⁹ ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერები მითითებულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერებით.

²⁰ იხ. H — 1079, გვერდი უბ-ის შემდეგ.

²¹ არტანუჯელი ვარიანტის ტექსტი მოგვაქვს ხელნაწერში წარმოდგენილი მართლწერით.

- „რად მელი“ ხელნაწერთა უმრავლესობაშია.
159,2 ვახტ. რთ. არტანუჯ. რი²².
ვახტ. შენი ჰვრეტა და სიცოცხლე: ლხინადვე დამისახია
არტანუჯ. შენი ჰვრეტა და სიხალე...
„სიხალე“ იკითხება ხელნაწერთა უმრავლესობაში (გარდა TUB' ხელნაწე-
რებისა).
188,3 ვახტ. რქმ.
ვახტ. ვიცი რომე გაუწყვეტლად: თვალთა დაწვი გისეტყვია
არტანუჯ. ... თუალთათ ცრემლი გისეტყვია.
„ცრემლი“ იკითხება ხელნაწერებში: FGHIKXF'L'Q'
239,1 ვახტ. რაფ.
ვახტ. მე შერმადინ დამიგდია: ჩემად კერძად პატრონობდეს
არტანუჯ. ... ჩემად ნაცვლად პატრონობდეს
„ჩემად ნაცვლად“ იკითხება ხელნაწერთა დიდ ჯგუფში:
FGHIJKORTUVZF'G'I'L'Q'R'
220,1 ვახტ. რნბ
ვახტ. პირველ ყმა ვარ წასვლა მინდა: პატრონისა სამსახურად
არტანუჯ. პირუჭლ ყმა ვარ წასულა მმართვეს...
„მმართვეს“ იკითხება FIZ ხელნაწერებში.
223,1 ვახტ. რნდ
ვახტ. ლაშქართა და დიდებულთა: ალაშქრებდი პატრონობდი
არტანუჯ. ... ალაშქრებდი ნაპირობდი
„ნაპირობდი“ იკითხება ხელნაწერებში: FGHIUUVZF'I'L'Q'
279. ვახტ. რქვ
ვახტ. ღია რითმები: დაგამსგავსე, ავსე, მოგვისავსე, დამხანავსე.
არტანუჯ. დახურული რითმები: დაგამჰსგავსენ, ავსენ. მოგვსავსენ,
დამხანავსენ.
დახურული რითმები წარმოდგენილია ხელნაწერებში: ETKYZR'
294,4 ვახტ. სმ
ვახტ. ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი: მისი მის მზისა მარებლად
არტანუჯ. ... მის ყმისა მარებლად
„ყმისა“ იკითხება IRZ ხელნაწერებში.
296,3 ვახტ. სი
ვახტ. აწ თქუენგან მიეხვდი საქმესა: ყოლა არ საადვილოსა
არტანუჯ. ... ძნელსა არ საადვილოსა
„ძნელსა“ იკითხება EFJTRZR' ხელნაწერებში.
414,4 ვახტ. ტზ
ვახტ. ტანად ლომი და პირად მზე: ომად მძლე რაზმთა მწყობელი
არტანუჯ. ტანად სარო და პირად მზე...
„სარო“ იკითხება FIZ ხელნაწერებში.
471,1 ვახტ. ტმა

²² აქ სტროფთა სათვალავში განმეორებულია ვახტანგის კორექტორული შეცდომა. ვახტანგ. თან სტროფთა სათვალავში გამორჩენილია რე (იხ. ეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 171- წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937. შეცდომათა გასწორება, გვ. 350). დავით რექტორს ეს შეცდომა გამოუსწორებია რამდენიმე სტროფის გადაწერის შემდეგ რიგ-ს ორჯერ გამეორებით.

ვახტ. აწ წაქდეს იგი ნათელი: მზისაცა მოწუნარენი
 არტანუჯ. ვა წახდა იგი ნათელი...

„ვა“ (ვაი) იკითხება FIJKOTZG'R' ხელნაწერებში.

541,2 ვახტ. უა

ვახტ. ასმათის წიგნი მამართვა: მე მეტად შეპირებულსა
 არტანუჯ. ... მე დია შეპირებულსა

„დია“ იკითხება JTZ ხელნაწერებში, „დიაღ“ — R' ხელნაწერში.

545,4 ვახტ. უღ

ვახტ. ჩემგან პირსა იფარვიდა: აიხედის წამის ქვრეტად

არტანუჯ. ... აიხედის წამ-წამ ქვრეტად

„წამწამ“ იკითხება TY ხელნაწერებში.

568,3 ვახტ. უკვ

ვახტ. მოახსენე დია ღთო: ბრძანება ვჰქმნა მეცა თქვენი

არტანუჯ. შევსთვალე თუ დია ღთო...

„შევსთვალე თუ“ იკითხება JTZ ხელნაწერებში.

666,3 ვახტ. ფიდ

ვახტ. მითვე მწვანითა უებრო: მიწოლით ტახტსა მქდომელი

არტანუჯ. მითუჲ მწუანითა მოსილი...

„მოსილი“ იკითხება FIZ ხელნაწერებში.

805,2 ვახტ. ქმბ

ვახტ. ნუთუ ღთნ არ გაგვყარნეს: ცხენთა თქუენთა ნატერფალსა

არტანუჯ. ... ფერხთა თქუქსნთა ნატერფალსა.

„ფერხთა“ იკითხება DUVZ ხელნაწერებში.

850,3 ვახტ. ქმბ

ვახტ. კულავ საწოლს დახვდა მას მზესა: მუნცა სიტყვისა ბრძენითა

არტანუჯ. კულავ საწოლს დახვდა მის მზისა მონა სიტყვთა ბრძენითა

„მის მზისა მონა“ იკითხება FIKOZG'R' (F — ზანგი) ხელნაწერებში.

858,4 ვახტ. ქმთ

ვახტ. ვარდი არ ქნილა ზაფრანად: აწ ია შეიკონების

არტანუჯ. ვარდი შექნილა ზაფრანად...

„შექნილა“ იკითხება IJKOTG'R' ხელნაწერებში („შექნილი“ — Z).

859,3 ვახტ. ქქ

ვახტ. ქალი ახლავს სასურველად: სულთა დგმად და ჰირთა თმენად

არტანუჯ. ქალი ახლავს საყვარლისა...

„საყვარლისა“ იკითხება FIZR' ხელნაწერებში.

უპირველესი მნიშვნელობის საკითხია, თუ რით აიხსნება არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილ წაკითხვათა დამთხვევა ხელნაწერთა მონაცემებთან. ეს წაკითხვები რომ მხოლოდ დავით რექტორის ან გ. თუმანიშვილის მონათქვამს წარმოდგენდეს. ცხადია, ხელნაწერებთან დამთხვევას ადგილი აღარ ექნებოდა.

გადაწერის პროცესშივე უეჭვოდ დავით რექტორის ხელითაა წარმოდგენილი შემდეგ ტაეპთა გასწორებები: რგვ, 1 (მე შერმაღინ დამიგდია, ჩემად ნაცვლად პატრონობდეს), რმთ, 3 (მარტო გარე შემობრუნდა, შამბსა შიგან გაირხინა), როშ, 2 (გულსა ეტყოდის დაჰსთმეო, ამაღ არ დია ჰბნდებოდა), რევ, 3 (ერა გვარგო, მოგვმატენ, ჰირი ჰირსა მოგვსაესენ), სდ, 3 (ამან მართ ოდენ მორეენა გვჰთხოვა უფალეთ ჩუქნებით), სვ, 4 (თავსა გარდაჰკრა მათრახი ვნახეთ სისხლისა მიღენით) და სხვ. მრავალი.

თავის მხრივ უცილოდ გ. თუმანიშვილის ხელით არის ნასწორები ტაეგები — სლგ,3 (შენ ერთხელ მეტყუ მითხარო. მე ასჯერ გეტყვი ვერასა), სეე,4 (შენ გიხსლო სიკუდილამდი. ამის მეტი რაღა მინდა), უივ,2 (მითხრეს გადრებს ნუ ამოგვწყუჭტ. არის შენგან არ საქნელი), ულბ,2 (რამაზს ჰკადრეთ მოგებვ. მალე მოვალ მეცა ხვალე) და სხვ.

ზემოთ თქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ არტანუჯული ვარიანტი ჩამოყალიბდა ვახტანგის ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერთან შეჯერების გზით, მაშინ ეს დიდი სამუშაო უნდა ეწარმოებინა ორ პირს, — ჯერ თვითონ დავით რექტორს. რომელსაც გარდა ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის გასწორებებისა, ვახტანგის ტექსტში შეუტანია მრავალრიცხოვანი მეტად მნიშვნელოვანი აზრობრივი გასწორებებიც, და შემდეგ თვით გ. თუმანიშვილს, რომელსაც გარდა ზედმეტი სტროფების შემატებისა, უსწორებია თვით ტექსტიც: ზოგჯერ აღუდგენია დავით რექტორისაგან შეცვლილ ვახტანგისეული წაკითხვები, ზოგჯერაც საჭიროდ დაუნახავს დავით რექტორისაგან უცვლელად დატოვებული ვახტანგის ტექსტის გასწორება. მაშასადამე, ხელნაწერთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ხელთ ჰქონია ჯერ დავით რექტორს, შემდეგ გ. თუმანიშვილს. გამოდის, რომ გ. თუმანიშვილს მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში (1823 წლამდე) შეუკრებია და დავით რექტორისათვის მიუწოდებია ხელნაწერთა საკმაოდ დიდი ოდენობა.

მაინც რა ხელნაწერები უნდა ჰქონოდა ასეთ შემთხვევაში ხელთ გ. თუმანიშვილს? მივმართოთ ჯერ ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერებს. პირველ რიგში უეკვოდ ხელთ უნდა ჰქონოდა 13 ხელნაწერი — CEHJLNRTUYZ A'R'. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება. ცალკეული მნიშვნელოვანი ვარიანტები ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერთაგან წარმოადგენილი არიან მხოლოდ ერთ-ერთ ამათგანში და ამავე დროს არტანუჯულ ვარიანტშიც. მაშასადამე, ეს ხელნაწერები უთუოდ უნდა ყოფილიყო არტანუჯული ვარიანტის წყარო. აღვნიშნავთ არტანუჯული ვარიანტის ზოგიერთ წაკითხვას, რომლებიც ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერთაგან, მხოლოდ ერთ რომელიმეშია დადასტურებული: ამას დაყმუნდა ტარიელ. დამწუარი დაავლებული — სყთ,1 (დაავლებული — C), აქვს მიჯნურობა იმისი. ვითა ბულბულსა ვარდისა — ჰვ,3 (იმისი — E). ოდეს სხუაგან არ წავიდეს. ნუ სად არებს იმა ტანსა — ქაა,2 (ოდეს — H), აეთანდილს მიხუდა სიაძე. ვჰსება აქვს მას იქ აღისა — მბ,2 (მას იქ აღისა — J), მიმღობნი საწუთროსანი. მისთთა ნივთთაგან ჰრჩებთან — ტმგ,1 (მიმღობნი — J), მან ამბავი შინაური. ყუჭლა კი მოახსენა — ქაშ,1 (მან — L), ჰსთქუჭს ბოროტი ძლეულია. კეთილნია შენგან მპზანი — ჩუყთ,4 (შენგან — T), ქალმან ჰკადრა არ გამიწყრე. ვიშვშ და ვიჯ დია — სოდ,1 (ვიშვიშვი — U), სამს წლამდი მითხრა დადება. უმისოდ ცრემლთა მილისა — სპშ,3 (დადება — Y), მე დილასა მოციქულით. სიტყუა ტკბილი შეუთუღლე — ულბ,1 (მოციქულით — R), ანაზად ცხენი გაქუსლეს. მათრახმან შექმნა წრტიალი — ჩუდ,1 (წრტიალი — L), ჩემი მონა შეპოვიდა. შემომხედა არ მეძინა — ტნთ,2 (არ იძინა — A'), გული ძეს საგნად ისრისა. მესვრის ხაკადავად სამალი — ქქშ,2 (საკვდავად — N).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არტანუჯული ვარიანტის სიახლოვე R' და Z ხელნაწერებთან. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თვით ისეთი შემთხვევებიც. როცა არტანუჯული ვარიანტის წაკითხვა დასტურდება ხელნაწერთა ჩვეუფში. R' და Z ყველაზე ხშირად გვევლინება ამ ჩვეუფის წევრებად. მაგრამ ძა

ლიან სწორად არტანუჯული ვარიანტის წაკითხვები დასტურდება მხოლოდ R' ან Z ხელნაწერებში. მაგ.: ვერცა თუ ნახეს მნახტმლი. ღ-ისაგან დანაბალია — რიგ,3 (მნახველი — R'), მარტო გარე შემობრუნდა. შამხსა შიგან გაირბინა — რთ,3 (შამხსა შიგან — R'), ჩემად ჰსჩნდა იგი სინათლე. ეთერთ მზედ საჩინისა — უიგ,3 (საჩინისა — R'), ვითა წინას შემომცინის. არღა ეგრე გამილიმდა — ფიბ,2 (არღა — R'), გულ-ამოსქნითა დაიწყო. ას-კეცთა ცრებლთა დინება — სმე,2 (გულ ამოსქნითა — Z), აღარ მიველ ახლოს შეყარად. თავი ჩემი შევიწყალე — სთ,2 (აღარ მიველ — Z), მის ეამისა მჰხსენებელი. მე სულ-დგმულად არ გიკვრა — ტღ,4 (სულ-დგმულად — Z), წაპოველით მოვიარეთ. მინდორზედ და წყალის პირსა — ტნგ,1 (მინდორსა — Z), ჩემი რა გითხრა რა ვიყავ. ლხინი არ დამეთუალოდა — ტოე,2 (არ — Z), სამამიართა ერდო დაქაშ. სიხარულის კარი აღი — ტებ,3 (სამამიარისა — Z), გულსა ბნელი განმინათლა, ზე ნათელი მადგა სვეტად — უდ,2 (ზედ ნათელი — Z), ღ-ნ ჰქმნას და გაგიბარჯედეს. მორკმულმანცა ჩემ კერძ ირე — უთ,2 (მორკმულმანცა — Z), შენნი შუქნი შემომადგა. ბნელსა გულსა ზედან მკვრსა — უი,3 (შენნი შუქნი — Z), ღ-თ მამკლას ამას იქით. თავსა ვეტყვ ამას გჰსწვრთიყა — უია,4 (ღ-ნ მამკლის — Z), შევჰხედენ დავჰკრთი ელჰასა. პირსა მხეებრ ნათელთასა — უოგ,4 (ელათა — IZ, პირსა — I, პირისა — Z), იტყვს ღ-თო რა გმსახურო. განმინათლე რადგან ბნელი — ჩუე,3.

„რადგან“ იკითხება ყველა ხელნაწერში (გარდა Z-ისა) და ვახტანგის გამოცემაშიც. მხოლოდ Z ხელნაწერში კითხულობთ: განმინათლე გული ბნელი. არტანუჯულ ვარიანტშიც თავდაპირველად წარმოდგენილი ყოფილა „გული“ (დავით რექტორის ხელით), შემდეგ გადაუშლიათ, ისე რომ გადანაშალი თავისუფლად იკითხება და თავზე გ. თუმანიშვილის ხელით აღდგენილია ვახტანგის ტექსტი (რადგან). მაშასადამე, დ. რექტორის ხელით გადაწერილი ტექსტი აქ ემთხვეოდა Z ხელნაწერის ჩვენებას.

მერმე აღგავსენ მრავლითა. უსასყიდლოთა ძღუტნითა — ჩულა,3 (უსასყიდლოთა — Z). ყველა დანარჩენ ხელნაწერში — ტურფა ფერათა, ფერად ფერთა და სხე., მივიდეს სადა ქალაქი. ტურფა მულღან-ზარ-ზარია — ჩუნ,1 (ტურფა — Z, ყველა დანარჩენ ხელნაწერში — დიდი) და სხე.

მოტანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს არტანუჯული ვარიანტის სიახლოვე R' და Z ხელნაწერებთან, რაოდენობრივი თვალსაზრისით — განსაკუთრებით ამ უკანასკნელთან. ზოგჯერ R'Z ხელნაწერებსა და არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილია სხვა ხელნაწერთაგან სრულიად განსხვავებული ლექსიკური ერთეულები. მაგრამ მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ 13 ხელნაწერთან როდი ამქადავებს სიახლოვეს არტანუჯული ვარიანტი. ძალიან სწორად ამ უკანასკნელის წაკითხვები წარმოდგენილია არა ცალკეულ ხელნაწერებში, არამედ ხელნაწერთა ჯგუფებში. ეს ჯგუფებია: FRZ, EFIG, FIZ, FGHKXF'L'O'Q' და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლას აღარ შეეუდგებით. გამოვიცხოთ ხელნაწერთა ის ჯგუფები, რომლებშიც შედის ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული 13 ხელნაწერისაგან. ასეთ შემთხვევაში გვრჩება 2 ჯგუფი — KOG' და GF'L'Q' ამ 2 ჯგუფის წევრები არ შედის ზემოთ აღნიშნული 13 ხელნაწერის შემადგენლობაში, ამავე დროს მათში დადასტურებული წაკითხვანი წარმოდგენილია არტანუჯულ ვარიანტშიც (მაგ., 224,4: არ მოებრუნდე მამიგლოვე) აქათ სამ წელ არ მოვიდე. ეს უკანასკნელი წაკითხვა დასტურდება არტანუჯულ ვარიანტსა და KOG' ხელნაწერებში. 710,2: ცეცხლი სიკუდილთა აღისა] ცეცხლი მწვაეს

სირცხვილთ ალისა. ეს წაკითხვა დასტურდება არტანუჯულ ვარიანტსა და GF'L'Q' ხელნაწერებში). მაშასადამე, ამ ორი ჯგუფის ხელნაწერებიც გამხდარა წყარო არტანუჯული ვარიანტისა. ავიღოთ აქაც ხელნაწერთა მინიმუმი ოდენობა. დავეშვათ, რომ წყარო იყო თითოეული ჯგუფიდან ერთი რომელიმე ხელნაწერი. გამოდის, 2 ხელნაწერი მანც უცილოდ უნდა დაემატოს ზემოთ აღნიშნულ 13 ხელნაწერს. ვლებულობთ 15 ხელნაწერს — CEHJLNRTUYZA'R' და კიდევ 2 ხელნაწერი, ერთი — KOV'-ის ჯგუფისა, მეორე — CF'L'Q'-ისა; თუ დავეშვებთ, რომ არტანუჯული ვარიანტი მართლაც წარმოადგენს ნაყოფს ვახტანგის ტექსტისა და ხელნაწერების მონაცემთა შედარებისა, მაშინ აღნიშნული 15 ხელნაწერი უცილოდ, ყოველ ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს მის წყაროდ. ესაა ხელნაწერთა მინიმუმი ოდენობა. უფრო კი საფიქრებელია, რომ ასეთ შემთხვევაში წყარო ყოფილიყო გაცილებით მეტი ხელნაწერი.

ამრიგად, გამოიკვეთა ის ხელნაწერები, რომლებიც თითქოს აუცილებლად ხელთ უნდა ჰქონოდა გ. თუმანიშვილს. მაგრამ, მეორე მხრივ, მთელი რიგი გარემოებანი საეჭვოდ ხდის ასეთ ვარაუდს. მართალია, გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში წარმოდგენილი გასწორებანი დასტურდება ხელნაწერთა დიდ ჯგუფში, რაც უეჭველს ხდის მათ კავშირს ხელნაწერულ მემკვიდრეობასთან, მაგრამ ხელნაწერთა ეს ჯგუფი მეტად ვრცელი მოცულობის გამოდის. სარწმუნოდ არ მოჩანს გ. თუმანიშვილს შესძლებოდა აძლენი ხელნაწერის შეკრება იმგვარად, რომ ეს გარემოება ცნობილი არ გამხდარიყო ამ საქმესთან გარკვეულად დაკავშირებულ პირთათვის. არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილი ტექსტის სწორებანი მხოლოდ ერთ პირს რომ უკავშირდებოდეს, მაშინაც ძნელად სარწმუნო იქნებოდა ვარაუდი, რომ ამ პირმა მოახდინა ვახტანგის ტექსტისა და ხელნაწერთა მეტად დიდი ჯგუფის ვარიანტების შედარება (მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში). ამგვარი დასკვნა მით უფრო გამორიცხულია მას შემდეგ. რაც ნათელი გახდა, რომ ერთი სახის სამუშაო პირველი ტაეპიდან უკანასკნელამდე სხვადასხვა დროს უწარმოებია ორ პირს. თუ მართლაც ადგილი ჰქონდა ხელნაწერთა შეკრებასა და მისი მონაცემების შესწავლას, ყოველად წარმოუდგენელია ეს დიდი შრომა იმდენად მანც არ გახმაურებულყო, რომ მის შესახებ ცნობა არ ჰქონოდა პ. ლარაძეს, რომელმაც თითქმის მაშინვე (ოთხობოდე წლის შემდეგ) თვითონვე გადაწერა გ. თუმანიშვილის ხელნაწერი და დაავითოვა საყურადღებო ცნობაც მის ირგვლივ, ან კენიან ბარბარე ქობულაშვილს, რომელსაც გ. თუმანიშვილმა უძღვნა ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი და რომელმაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ამ ხელნაწერის შესახებ. საყურადღებოა სხვა გარემოებაც. ზემოთ აღნიშნეთ არტანუჯული ვარიანტის სიახლოვე 15 ხელნაწერთან, მათ შორის ყველაზე გამოკვეთილად — R'Z-თან. მაგრამ თავიდან ბოლომდე დეტალური შედარება ამ ხელნაწერთა მონაცემებისა არტანუჯული ვარიანტის ტექსტთან ნათელს ხდის, რომ ამ უკანასკნელის უშუალო წყაროდ არც ეს ხელნაწერები შეიძლება ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ ადგილი აქვს არა მხოლოდ მრავლისმეტყველ დამთხვევებს არტანუჯული ვარიანტისა და R'Z-ის მონაცემებს შორის, არამედ არანაკლებ მრავლისმეტყველ განსხვავებებსაც. შეიმჩნევა იმგვარი განსხვავება, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წაკითხვათა მიხედვით ახლოს მდგომ ხელნაწერთა ტექსტში. მაგ.. არტანუჯულ ვარიანტში კვითხულობთ: წამოვედით მოვიარე. მინდორზედ და წყალის პირსა (483,1. ტნგ). ლექსიკური ერთეული „მინდორი“ წარმოდგენილია მხოლოდ Z ხელნაწერსა და არტანუჯულ ვარიანტში. მაგრამ

Z-ში იკითხება „მინდორსა“, არტანუჯულში — „მინდორზედ“, ყველა დანარჩენში — „მედანს“ (მოედანს). თუ არტანუჯული ვარიანტის ეს ტაეპი უშუალოდ გადაწერილი იქნა Z-ის შესაბამისი ეპიზოდთან, მაშინ მოსალოდნელი იყო სრული დამთხვევა, რასაც ვერ ვხედავთ. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი სხვა შემთხვევებშიც: ტუბ,3 — სამძიმართა (Z-სამძიმრისა), უდ,2 — ზე ნათელი (Z-ზედ ნათელი) და მრ. სხვ.

ყურადღებას იპყრობს არტანუჯული ვარიანტისა და ხელნაწერთა ტექსტის ნაწილობრივი დამთხვევებიც. არტანუჯულ ვარიანტში ზოგჯერ წარმოდგენილია იმგვარი წაკითხვა, როგორც დღეს ხელნაწერებში არ დასტურდება, მაგრამ ირკვევა, რომ ოდესღაც ყოფილა და დაკარგულა. დღეს ცალკეულ ხელნაწერებში წამოტივტივდება ხოლმე ამ წაკითხვათა ნაშთები, მთლიანი სახით კი ისინი შემონახულა არტანუჯულ ვარიანტში. მაგრამ როგორღა აღმოჩნდა ეს წაკითხვები მთლიანი სახით, შესაბამისი ფრაზეოლოგიით, არტანუჯულ ვარიანტში? ნუთუ ცალკეულ ხელნაწერებში გაბნეული ნაშთები და ნამსხვრევები შეაქოწინა და შესაბამისი ფრაზეოლოგიით შემოსა დავით რექტორმა ან გ. თუმანიშვილმა? ასე, მაგალითად, თითქმის ყველა ხელნაწერში დაცული წაკითხვა — „ვამგზავსე მშვილდი ბედითი ყმაწულთა მონადირეთა (20,3). არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილია უმნიშვნელო ცვლილებით: „ვამგზავსე მშვლდსა ბედითსა. ყმაწულთა მონადირეთა“ (კვ). ამგვარი გასწორებით აზრი სრულიადაც არ იცვლება. მაშ, რა მიზნით უნდა შეეცვალა დავით რექტორს ყველა ხელნაწერში დადასტურებული, გამართული ტექსტი? ნუთუ მან მოახდინა სრულიად უმიზნო, ნებისმიერი გასწორება? მაგრამ ხელნაწერთა მონაცემების დეტალური გადასინჯვით ირკვევა, რომ დავით რექტორის მიზანი სრულიადაც არ ყოფილა აქ ტექსტის გასწორება. ის ზუსტად იცავს მხოლოდ რომელიღაც ხელნაწერის ჩვენებას. ხოლო ხელნაწერებში რომ ყოფილა იმგვარი წაკითხვა, როგორც დღეს არტანუჯულ ვარიანტშია შემორჩენილი, ამას ადასტურებს O ხელნაწერის მონაცემი. სხვა ხელნაწერთაგან განსხვავებით O ხელნაწერში იკითხება: „ვამგზავსე მშვილდი ბედითსა ყმაწულთა მონადირეთა“. ამრიგად, ხელნაწერთა უმრავლესობაშია „მშვილდი ბედითი“, არტანუჯულ ვარიანტში — „მშვილდსა ბედითსა“, O ხელნაწერში — „მშვილდი ბედითსა“. მაგრამ O ხელნაწერის ვარიანტი თავისთავად გაუმართლებელია (რაკი მშვილდი სახელობით ბრუნეაშია წარმოდგენილი, ხოლო ბედითსა მიცემითში, ეს უკანასკნელი გვევლინება არა მშვილდის განსაზღვრებად, არამედ სიტყვისა — „მონადირეთა“. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ „ბედითსა“ რიცხვში შეთანხმებული უნდა იყოს „მონადირეთა“-სთან. რასაც ვერ ვხედავთ). ამრიგად, O ხელნაწერის ვარიანტი მხოლოდ ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ იმგვარი წაკითხვისა, რომელიც არტანუჯულ ვარიანტშია წარმოდგენილი. მაშასადამე, გ. თუმანიშვილს ხელთ ჰქონია ხელნაწერი. სადაც ეს წაკითხვა დასტურდებოდა. ვინაიდან ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებში იგი დღეს აღარ ჩანს, ცხადია, აქ ეაწყვებით კვალს უცნობი ხელნაწერისა.

49-ე (ლზ) სტროფი არტანუჯულ ვარიანტში მთლიანად გადახაზულია და ქვემო არშიაზე დავით რექტორისავე ხელით მიწერილია განსხვავებული წაკითხვები. კერძოდ, საგრძნობლად შეცვლილია მეორე და მესამე ტაეპები:

ვარდი თუ დაჰნეს ეგრეცა. აქვს მასზედ ბულბულს მღერობა.

მისივე ჰმეტობს ყვავილთა. სუნი და ტურფა ფერობა.

ხელნაწერებში ვერ ვპოულობთ წაკითხვას — „აქვს მას ზედ ბულბულს მღერობა“, არ დასტურდება ამ წაკითხვის ნაშთებიც. მაგრამ ირკვევა, რომ ამ სტროფის სწორებისას მაინც ხელნაწერთა მონაცემები ყოფილა ამოსავალი. მესამე ტაეპში ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება „ყოველთა“, არტანუჯულ ვარიანტში — „ყვავილთა“. „ყვავილთა“ (ყვავილსა) წარმოდგენილია JKGF'L'O'Q' ხელნაწერებშიც.

70,2 (ნბ) — შენგან დანაბეკდულევი. ანტანუჯულ ვარიანტში იკითხება: შენგან არს დაბეკდულევი. ზუსტად ეს ფრაზეოლოგია არცერთ ხელნაწერში არ გვხვდება, გარდა არტანუჯული ვარიანტისა. მაგრამ GXO' ხელნაწერებში ვკითხულობთ: შენგანვე დაბეკდულევი. სარიტმო სიტყვა არტანუჯულ ვარიანტსა და ამ ხელნაწერებში ერთი და იგივეა — დაბეკდულევი. განსხვავებას ქმნიან სიტყვები (შენგან არს) შენგანვე). თუ არტანუჯული ვარიანტი ამ შემთხვევაში GXO' ხელნაწერებს ეყრდნობოდა, ამას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ფრაზეოლოგიის დამთხვევაც, მაგრამ რაკი ასე არ მოხდა, უნდა ვიფიქროთ. რომ აქაც ვაწყდებით კვალს რომელიღაც უცნობი ხელნაწერისა, რომლის წაკითხვა ამ შემთხვევაში GXO' ხელნაწერთა მონაცემებს უახლოვდებოდა, მაგრამ ზუსტად არ ემთხვეოდა.

მეორე ნახევარი ტაეპისა „ჩემი მონა შემოვიდა. შევხედენ თუ თქვას რ მინა“ (492,2 ტნთ) არტანუჯულ ვარიანტში გადახაზულია და თავზე აწერია განსხვავებული ტექსტი, რომელიც ხელნაწერებში არ დასტურდება: „შემომხედა არ მეძინა“. მაგრამ როგორც ჩანს, არც ეს წაკითხვა წარმოდგენს დავორექტორის ან გ. თუმანიშვილის ფანტაზიას. A' ხელნაწერში წარმოდგენილი: სარიტმო სიტყვად ი ძ ი ნ ა. მაშასადამე. ეს სიტყვა ამ ტაეპში განსხვავებულ ფორმით მაინც დასტურდება ერთ ხელნაწერში. გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში წარმოდგენილი ეს წაკითხვაც რომ ხელნაწერულ ტრადიციას ემყარება, ნათელია.

არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ არტანუჯული ვარიანტის წყარო უნდა ყოფილიყო არა მრავალი, არამედ მხოლოდ ერთი ხელნაწერი. არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილი გასწორებანი ბევრ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, დასტურდება სხვადასხვა ხელნაწერსა თუ ხელნაწერთა ჯგუფში. მაგრამ როცა საქმე შეეხება გ. თუმანიშვილისაგან დავორექტორისეული გასწორების უარყოფას, არჩევანი მხოლოდ ორ ტექსტს შორისაა — ვახტანგის ტექსტსა და დავით რექტორისეულ გასწორებას შორის. ხელნაწერებში კი დასტურდება მესამე და ზოგჯერ მეოთხე სახის წაკითხვანიც: მაგრამ გ. თუმანიშვილი დავით რექტორისაგან გასწორებულ ტექსტს არასოდეს არა ცვლის სხვა მესამე ვარიანტით. ცხადია ხდება, რომ გ. თუმანიშვილისათვის ვახტანგის ტექსტის გარდა ნაცნობია მხოლოდ ის წაკითხვა. რაც წარმოდგენილია დავით რექტორის მიერ გადაწერილ არტანუჯულ ვარიანტის ტექსტში. როცა ეს ვარიანტი მიუღებლად მიაჩნია, მას ასწორებს ვახტანგის წაკითხვით. ეს მომენტიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ არტანუჯული ვარიანტი წყარო უნდა იყოს ვახტანგის გამოცემა და რომელიღაც ერთი ხელნაწერი.

ზემოთ ჩვენი მსჯელობა შეეხებოდა იმ გასწორებებს. რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ, ნაშთების სახით, დასტურდება ხელნაწერებში. მაგრამ არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილ გასწორებათა საკმაო ნაწილი დღეისთვის ცნობილ ხელნაწერებში არ დასტურდება. ვფიქრობთ, გაუმართლებელი იქნებოდა გასწორებანი, რომლებიც ხელნაწერებში არ დასტურდება. უკლებლად

ადასტურებს ერთი გარემოებატ. არტანუჯული ვარიანტის თავისებური წაკითხვები, რომლებიც წარმოდგენილია ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებშიც, დასტურდება აგრეთვე ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერებშიაც. მაგრამ არტანუჯული ვარიანტის სპეციფიკური წაკითხვები, რომლებიც ძველ ხელნაწერებში არ დასტურდება, არ შემოუნახავს ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებსაც. თუ არტანუჯული ვარიანტის წყარო ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილი ხელნაწერები იყო, ცხადია, მასში ვერ მოხვდებოდა სრულიად თავისებური წაკითხვები, რომლებიც ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებში არ შეგვხვდებოდა. მაგრამ მთავარი მიანიხსნა, რომ არტანუჯული ვარიანტის სპეციფიკურ წაკითხვათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი დასტურდება ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებში. ასე რომ, არტანუჯული ვარიანტის წყაროდ არასაკმარისი აღმოჩნდებოდა არათუ მხოლოდ ერთი მათგანი, არამედ ზემოთ აღნიშნული 13 ხელნაწერიც. მათი მონაცემები ერთად შეკრებილი ვერ მოგვცემდა არტანუჯული ვარიანტის თავისებურ წაკითხვათა მნიშვნელოვან ნაწილს, საჭირო გახდებოდა დამატებით კიდევ მიგვემართა ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერებისთვისაც. ხოლო ასეთ შემთხვევაში იმ ხელნაწერთა რიცხვი, რომლებიც უნდა შეესწავლა და დაემუშავებინა დავით რექტორს თუ გ. თუმანიშვილს, აღმოჩნდებოდა არა მხოლოდ 15, არამედ გაცილებით მეტი, რაც შეუძლებლად ჩანს იმ პერიოდში.

ამრიგად, ცხადია, რომ არტანუჯული ვარიანტის სპეციფიკურ წაკითხვათა წყაროდ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილი ხელნაწერებიც.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არტანუჯულ ვარიანტში წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის დღეისთვის ცნობილ სხვადასხვა ხელნაწერში დაცული წაკითხვები. მაშასადამე, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ არტანუჯული ვარიანტის თავისებურ წაკითხვათა უმეტესი ნაწილი არ წარმოადგენს დავით რექტორის თუ გ. თუმანიშვილის ფანტაზიას. ამის შესახებ ორი აზრი აღარ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით დაისმის მეტად მნიშვნელოვანი კითხვა. საიდან მოხვდა გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერში ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერებში დაცული წაკითხვები? პასუხი შეიძლება იყოს ორისაგან ერთი. 1. დავით რექტორმა ან გ. თუმანიშვილმა (ან ორივემ სხვადასხვა დროს) ვარიანტული სხვაობანი ამოიკითხეს სხვადასხვა ხელნაწერებში, აარჩიეს უმჯობესი და შეიტანეს ტექსტში. 2. არტანუჯული ვარიანტის სპეციფიკური წაკითხვები მომდინარეობს ერთი რომელიღაც ხელნაწერიდან. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ იმგვარი ვარაუდის უსაფუძვლობა, რასაც პირველი დასკვნა გულისხმობს. გვრჩება მეორე დასკვნა. სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს პ. ლარაძის ცნობა არტანუჯული ხელნაწერის არსებობის შესახებ. სწორედ ამ ხელნაწერიდან უნდა მომდინარეობდეს გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერის თავისებური წაკითხვები.

არტანუჯულ ვარიანტთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შედგენილობის საკითხიც. დღეს გარკვეულია, რომ ავტორი 17 სტროფისა, რომლებიც არტანუჯული ვარიანტის ხელნაწერთა სპეციფიკას წარმოადგენენ, გ. თუმანიშვილია. ამიტომაც ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. საკითხავია მხოლოდ, ხომ არ აირეკლა ამ 17 სტროფში პოეტური მონაცემები რომელიღაც სხვა ტექსტისა, რომელიც, შესაძლებელია, საფუძველი იყო არტა-

ნუჯელი ვარიანტისა? ცხადია, თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც პომის შიგნით ჩართული 6, ისე დასასრულის 11 სტროფის წარმომავლობის საკითხი. თუ არსებობდა საყრდენი პირველწყარო ტექსტის შიგნით ჩართული 6 სტროფისთვის, საფიქრებელია, რომ საყრდენი ექნებოდა დასასრულის 11 სტროფსაც. დღეს საკამათოდ აღარ ითვლება, რომ გ. თუმანიშვილისეული სტროფები არტანუჯელი ვარიანტის ტექსტის შიგნით ჩართულია სწორედ იმ ადგილებზე, სადაც ხელნაწერთა მემკვიდრეობასაც შემოუნახავს შესაბამისი სტროფები. ეს ფაქტი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სათანადოდაც არის შეფასებული. კერძოდ, ხელნაწერულ მემკვიდრეობას შემოუნახავს სტროფები, რომლებიც საფუძველი გამსდარა გ. თუმანიშვილისეული ხუთი სტროფისა. ამათგან 4 ჩანართი სტროფის (216¹, 698¹, 735², 1711¹) წყაროს საკითხი გარკვეულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. მათი საყრდენი სტროფები შეტანილია გამოცემებშიც (საიუბლეო გამოც. 152, 553, 586, 1514). რამდენადმე რთულად დგას გ. თუმანიშვილისეული პირველი სტროფის (122¹) წყაროს საკითხი საფუძველი 122¹ სტროფისა (როსტევეან ჰსკვრეტდა მას ყმასა...) უნდა იყოს ვრცელი ტექსტის 124-ე სტროფი (მეფემან ბრძანა: ვინ არის...). ამ სტროფთა მიზანია იმ ეპიზოდის გადმოცემა, როცა როსტევეანმა მონას უბრძანა წასულიყო საოცარი უცხო მოყმის ვინაობისა და მისი კმუნვის მიზეზის გასაგებად. მართალია, ხელნაწერებს ამ ეპიზოდში რამდენიმე სტროფი შემოუნახავთ (122², 123, 125), მაგრამ გ. თუმანიშვილისეული სტროფის საყრდენი, ვფიქრობთ, მხოლოდ 124-ე სტროფი შეიძლება იყოს. 124-ე სტროფი წარმოდგენილია მე-17 საუკუნის მთელ რიგ ისეთ ხელნაწერებში, რომლებიც არ იცნობენ 123-ე და 125-ე სტროფებს. მე-17 საუკუნის ხელნაწერები — DEFJK, მე-18 საუკუნისი — UX, მე-19-ესი — R'T' ამ ეპიზოდს წარმოგვიდგენენ მხოლოდ 124-ე სტროფით. სხვა ხელნაწერებში კი ერთნაირი ვითარებაა 123-ე და 124-ე სტროფებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ R' ხელნაწერშიც, რომლის ტექსტთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, საგრძნობ სიახლოვეს ამკლავებს გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერი, აღნიშნული ეპიზოდი გადმოიცემა მხოლოდ 124-ე სტროფით. სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 124-ე სტროფი რუსთველური ტექსტის ნიშნებს ატარებს და სიუჟეტურადაც სრულიად გამართლებულია. ვფიქრობთ, იგი ძირითადი ტექსტის კუთვნილება უნდა იყოს. ეს მით უფრო სარწმუნო იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ გ. თუმანიშვილისეულ სხვა ჩანართ სტროფთა საყრდენი სტროფები უკვე შეტანილია ძირითად ტექსტში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 124-ე სტროფი. ვფიქრობთ, აქაც არ არსებობს საფუძველი გამონაკლისისათვის.

სხვაგვარად დგას საკითხი 519¹ სტროფთან დაკავშირებით. გ. თუმანიშვილისეულ ამ სტროფს („რა პურობა გარდვიხადე, დარბაზს მიველ მხიარული“), დღეისთვის ცნობილ ხელნაწერებში საყრდენი სტროფი არ ეძებნება. ხელნაწერებში არ დასტურდება ისეთი სტროფი. რომელშიც მოთხრობილი იყოს ტარიელის მიერ მეფისაგან ნებართვის გამოთხოვა ხატაეთზე გალაშქრებისათვის. გ. თუმანიშვილის მიერ შეთხზული სტროფი (519¹) კი სწორედ ამ ეპიზოდს ეძღვნება. თუ ვივარაუდებდით, რომ გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერი ეყრდნობა ხელნაწერთა ჯგუფს, მაშინ, ვინაიდან ხელნაწერებში არ იძებნება მსგავსი შინაარსის მქონე სტროფი, 519¹ სტროფის შინაარსი მთლიანად გ. თუმანიშვილის ფანტაზიით უნდა აგვეხსნა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ გ. თუმანიშვილისეული ხელნაწერის წყაროდ ვახტანგის გამოცემასთან ერ-

თად რომელიდაც უცნობი ხელნაწერია საეარაუდებელი. ამგვარი დასკვნისაგან თავი უნდა შევიკავოთ. ვფიქრობთ, უფრო საგულეებელია, აღნიშნულ სტროფებსაც აქონდა საყრდენი. რომელიც, ალბათ, წარმოდგენილი იქნებოდა სწორედ ის ჩვენთვის უცნობ სელნაწერში. ამიტომაც ამ სტროფის წყაროს საკითხი ვერ კიდევ საძიებელია.

უცრ მნიშვნელოვანი დასასრულის 11 სტროფის წარმომავლობის საკითხი ვფიქრობთ, საეჭვო არ შეიძლება იყოს, რომ დასასრულის სტროფებიც გ. თუმანიშვილმა შეთხზა იმავე პრინციპით. რითაც ტექსტის შავხით ჩანართის სტროფი, დასასრულის 11 სტროფიც უეჭვოდ უნდა ეყრდნობოდეს სელნაწერებში მასდროშევი ვრცელი ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს. საკვლევი მხოლოდ ვრცელი ტექსტის რა მონაკვეთი გამსდარა წყარო დასასრულის 11 სტროფისა, ცხადია, მათ საყრდენად არ შეიძლება ჩათვალოს ვახტანგის ტექსტის დასასრული. ეს უკანასკნელი თავისთავადაც წარმოდგენილია გ. თუმანიშვილისეულ სელნაწერში (სტროფები ჩფაშ — ჩფპთ). ამავე დროს, გ. თუმანიშვილს სწორედ დაუნახავს მის მიერ შეთხზული 11 სტროფი ხაემატებისა სწორედ ვახტანგისეული დასასრულის წინ. რაც უფროდ მიუთითებს იმაზე, რომ ამ სტროფთა საყრდენი ტექსტი სწორედ ვახტანგისეული დასასრულის წინა საეარაუდებელი.

გ. თუმანიშვილისეული 11 სტროფის შინაარსის განხილვა ნათელს ხდის, იგი უხდა ეყრდნობოდეს ინდო-ხატაელთა ამბავს, მართალია, ეს ეპიზოდ გ. თუმანიშვილის ინტერპოლაციასი წარმოდგენილია ძალიან მოკლეად. თე შეიძლება ასე იქვეს. — კონსპექტურად, და თანაც რამდენადმე შეკველილი შინაარსითაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გ. თუმანიშვილისეულ 11 სტროფში მანაც შემორჩენილა ისეთი დეტალები, რომლებიც წყაროს მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბავში პოულობს. აღნიშნული 11 სტროფის წყარო რომ ვეფხის-ტყაოსნის ვრცელი დასასრული ყოფილიყო, სელნაწერებში წარმოდგენილი მთელი შემადგენლობით (ინდო-ხატაელთა ამბავი, ხვარაზმელთა ამბავი, ანდრეძები და ვიერთა გარდაცვალების ეპიზოდი), ცხადია, მოკლეად, თუნდაც თითო წინადადებით, გ. თუმანიშვილისეულ სტროფებშიც აისახებოდა ეს მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდები, შეუძლებელია, გიერთა გარდაცვალება მანაც არ აღნიშნულიყო. მაგრამ ვერაფერ ამგვარს გ. თუმანიშვილისეულ 11 სტროფში ვერ ვპოულობთ. საშაგიეროდ მათში წარმოდგენილია ინდო-ხატაელთა ამბავის დეტალები, ასე, ვახტანგისეული დასასრულის ტექსტში ერთი სიტყვაც აღარაა ნათქვამი ფარსადანის გარდაცვალების შესახებ: ამას ვეგებულობთ მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბიდან, და აი, გ. თუმანიშვილის მიერ შეთხზული ეპიზოდიც ვეამცნობს, რომ ფარსადანი გარდაცვლილი ყოფილა, მაგრამ, რაც მთავარია, ორივე ტექსტში (ინდო-ხატაელთა ამბავსა და გ. თუმანიშვილის მიერ შეთხზულ 11 სტროფში) ერთნაირადაა წარმოსახული ფარსადანის გარდაცვალების მიზეზი — მწუხარება შვილის (და აგრეთვე ტარბელისაც) დაეარგვის გამო (ინდო-ხატაელთა ამბავი: „მეფე გამშავდა მათისა უღონო-ქმნილი ძებნისა... ცოტასა ხანსა გაეეძლო დება სახმილთა გზნებისა, ან თვითცა მოკვდა...“; გ. თუმანიშვილი: „ოდეს ინდოთ იგი მეფე შეილთა თვსთა მწუხარებით საწუთოსა გასალმოდა სოფლის ბარუნის ჩვეულებით...“). ინდო-ხატაელთა ამბიდან ვიკით, რომ ინდონი გლოვობენ ფარსადანს და შავით შემოსილნი არიან, გ. თუმანიშვილის ტექსტც ვეამცნობს, რომ „სრულ ინდონი ათვრამეტ თვე იყვნეს გლოვით, ვალალებით“. ინდო-ხატაელთა ამბიდან ვიკით, რომ ინდოეთის გამგებლად დედოფალიდა დარ-

ჩენლა. გ. თუმანიშვილის ტექსტიც მოგვითხრობს, რომ ინდოელებს „არსით უნდათ სანუგეშო, დედოფალსა ჰყმობდენ ჯრებით“. ინდო-ხატაელთა ამბიდან ვიცით, რომ დედოფალმა, ნესტანისა და ტარიელის დაბრუნების ზემის აღსანიშნავად მთელს ინდოეთზე „გლოვის გახსნა“ ბრძანა (ებრძანა: „გლოვა გახსენით, ქოს-წინწილასა ჰკარითო...“). გ. თუმანიშვილის ტექსტის მიხედვითაც დედოფალმა „გასცა მნდოეთს ბრძანება. ახლად შავისა სრულისა“). ინდო-ხატაელთა ამბიდან ვიცით, როცა ინდოელებმა იცნეს ტარიელი, ციხის კარნი გააღეს და გამოეგებნენ: ნესტანმა და ტარიელმა დაინახეს ფლასით მოსილი დიდებულები, დაბრუნებულმა გმირებმა და დამხვდურებმა პირველ ყოვლისა ერთმანეთს მიუსამძიმრეს. შეიქმნა დიდი ტირილი და შეცხადება ფარსადანისა. განსაკუთრებით ხაზგასმულია ტარიელის მწუხარება („ვითა გამზრდელსა ჰმართებდა, გაზრდილი ეგრეც ხელია; რომე სდის ცრემლი თვალთაგან... თავსა იგლეჯს და იზახის. ტირს მეტად გულ-ფიცხელია; დიდებულნი მოეხვივნეს, მოუზრუნვეს მათ ცოლ-ჰმართა“ და სხვ.). მაგრამ დედოფალი კრძალავს ტირილსა და მწუხარებას („დმერთმან რისხეა მოაქციეა წყალობისა გამოსახვად, გემართებს, რომე მადლი მივსცეთ. აღარა გეცალს გლოვა-ახვად“). ზუსტად ასეთივე სურათია წარმოდგენილი გ. თუმანიშვილის ტექსტშიც: როცა დაბრუნებული გმირები სასახლეში შევიდნენ დედოფალთან, „მაშინ ყოელთა მეფისათჳს ატირეს გული ჩეილი, მოსთქვეს გმირი სიუხვისა, ვა, მოგეშორდა ნილოს-ჰმნილი“. აქვე, ისევე, როგორც ინდო-ხატაელთა ამბავში, ხაზგასმულია ტარიელის მწუხარება გამზრდელის გარდაცვალების გამო. აქაც დედოფალი ამხნევებს და ამშვიდებს უზომოდ დამწუხრებულ ნესტანსა და ტარიელს („ტარიელცა ცრემლსა აფრქვეს, მისგან იყო ტკბილად ზრდილი, დავჰკარგეო მზისა ჰსწორი, მომდგომია ბნელი ჩრდილი; დედოფალი გარდევია მათ ორთავე თვისსა შეილთა... ნულა ჰსწუხ ხართ, ან დასხედით მეფობისა ტახტ-ადგილთა“ და სხვ.).

ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როცა ვითვალისწინებთ, რომ გ. თუმანიშვილისეულ 11 სტროფში არც ერთხელ არა აქვს ადგილი შინაარსობრივი დეტალის დამთხვევას ხვარაზმელთა ამბის, გმირთა ანდერძების ან გარდაცვალების ეპიზოდთან. რა თქმა უნდა, ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხელნაწერში, რომელსაც ეყრდნობოდა გ. თუმანიშვილი, წარმოდგენილი იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტი ჩვეულებრივი ვრცელი დასასრულით, რომლის მიხედვით შინაარსი მიყვანილია გმირთა გარდაცვალებამდე, მაგრამ გ. თუმანიშვილმა რატომღაც გამოჰყო ინდო-ხატაელთა ამბავი, საჭიროდ დაინახა მისი მოკლე შინაარსი გაელექსა და ჩაემატებინა ტექსტში. რის გამო უნდა მიენიჭებინა ასეთი უპირატესობა ინდო-ხატაელთა ამბისთვის გ. თუმანიშვილს? ნუთუ იგი ამ ეპიზოდს ვეფხისტყაოსნის ტექსტის უცილობელ ნაწილად თვლიდა? ასეთი ვარაუდის საფუძველს ვერ ვხედავთ. მაშინ გვჩვენება მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ ამ შემთხვევაშიც, როგორც ტექსტის შიგნით სტროფთა ჩართვის დროს, გ. თუმანიშვილისათვის საყრდენი იყო ხელნაწერი ტრადიცია, ხოლო საყრდენ ხელნაწერში დასასრულის ეპიზოდი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ინდო-ხატაელთა ამბით. ამ დასკვნას მხარს უჭერს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც. ზემოთ ვაჩვენეთ არტანუჯული ვარიანტისა და R' ხელნაწერის განსაკუთრებული სიახლოვე. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ R' ხელნაწერის დედანი ახლოს უნდა მდგარიყო ვახტანგისეულ გამოცემასთან²⁴, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა არა ამ სიახ-

²⁴ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970, გვ. 20—209.

ლოვის ამსახველი ფაქტორები, არამედ R' ხელნაწერის ის მონაცემები, რომლებიც ვახტანგის ტექსტს შორდება. R' ხელნაწერის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ვახტანგის გამოცემას შორდება, განსაკუთრებულ სიახლოვეს ამქლავნებს არტანუჯულ ვარიანტთან. ჩვენ ვნახეთ, რომ ბევრი თავისებური წაკითხვა, რომლებიც შემოუნახავს R' ხელნაწერს, დასტურდებოდა აგრეთვე არტანუჯულ ვარიანტში. ვნახეთ, რომ R' ხელნაწერი და არტანუჯული ვარიანტი სიახლოვეს ამქლავნებდნენ შედგენილობის მხრივაც. სწორედ ეს R' ხელნაწერი, როგორც ცნობილია, განსხვავებით ვეფხისტყაოსნის ყველა სხვა ხელნაწერისაგან, ვეფხისტყაოსნის ტექსტს ასრულებს ინდო-ხატაველთა ეპიზოდით. ცხადი ხდება, რომ R' და G. თუმანიშვილისეულ ხელნაწერთა სიახლოვე მხოლოდ წაკითხვათა დამთხვევით არ ამოიწურება. G. თუმანიშვილისეული ხელნაწერის საყრდენი ტექსტი უთუოდ შეიცავდა იმგვარ დასასრულს, რომელიც R' ხელნაწერშია შემორჩენილი. ეს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აზრს, რომ ვეფხისტყაოსნის იმგვარი დასასრული, რომელიც R' ხელნაწერს შემოუნახავს, გვიანი დროის რედაქტორული ნახელავი როდია, არამედ ხელნაწერულ ტრადიციას ემყარება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ R' ხელნაწერი გადაწერილია 1802 წ. თუმანიშვილთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ბირთველ თუმანიშვილის მიერ. ამრიგად, თავისებური შედგენილობის მქონე ხელნაწერებზე მე-19 საუკუნეში უმუშავებია ორ თუმანიშვილს. ეს მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ამ ხელნაწერთა ტექსტის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა კვლევის დროსაც.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: G. თუმანიშვილისეული ხელნაწერის წყარო ვახტანგის გამოცემასთან ერთად იყო არა მრავალი, არამედ ერთი, დღეს ჩვენთვის უცნობი ხელნაწერი, რომელიც წაკითხვათა მიხედვით ახლოს იდგა I-ვენთვის ცნობილ ბევრ ხელნაწერთან, განსაკუთრებით — Z-სა და R'-თან, ხოლო შედგენილობის მხრივ ყველაზე მეტად ამ უკანასკნელთან. ის უცნობი ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ არტანუჯულ დედანს, რაზედაც საუბარია პ. ლარაძის ცნობაში. პ. ლარაძის ცნობა არტანუჯული ხელნაწერის შესახებ სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო G. თუმანიშვილისეულ ხელნაწერს არტანუჯული ვარიანტი, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ამრიგად, G. თუმანიშვილისეულ ხელნაწერს შემოუნახავს მხოლოდ ზოგიერთი მხარე ნამდვილი არტანუჯული დედნისა.

გასწორებათა დიდი ნაწილი საკონტროლო ხელნაწერზე დაყრდნობით გადაწერის პროცესშივე შეუტანია ტექსტში დავით რექტორს, ჩანართი სტროფების ავტორი კი მხოლოდ G. თუმანიშვილია. ამდენად, სწორი ცნობები მოუწოდებია არა მხოლოდ პ. ლარაძეს, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, ბარბარე ქობულაშვილსაც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ ორ პიროვნებას არ შეიძლებოდა შედარებით ზუსტი ცნობები არ ჰქონოდა ამ ხელნაწერის ირგვლივ. ნამდვილი არტანუჯული დედანი, ტექსტი, რომელსაც ეყრდნობოდა G. თუმანიშვილისეული ხელნაწერი და რომელიც ჯერ კიდევ არსებულა 1823 წელს, დაკარგულია და მისი კვალი საქმენია. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ არსებობა R' ხელნაწერისა, რომელიც მსგავსი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, ადასტურებს, რომ ისეთი თავისებური შედგენილობის ხელნაწერი, როგორადაც გვესახება (ამდვილი არტანუჯული დედანი, თავის დროზე მხოლოდ ერთი არა ყოფილა.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

ინგა კალაძე

„ვისრამიანის“ მთარგმნელოვითი მეთოდის ერთი ასპექტის გამო

ფახრ ალ-დინ გორგანის რომანული პოემის „ვისრამიანის“ (XI ს.) ძველი ქართული თარგმანი „ვისრამიანი“ (XII ს.) ერთსულოვნადაა აღიარებული მაღალმხატვრული თარგმანის კლასიკურ ნიმუშად; არაერთსულოვნება სუფევს იღონდ ქართველი მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდის კვალიფიკაციის საკითხში: მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ცალკეული გადახვევების მიუხედავად ქართული „ვისრამიანი“ სპარსული პოემის ზუსტი მხატვრული თარგმანია¹, ზოგი კი მას თავისუფალ მხატვრულ თარგმანს. გადმოქართულებულს უწოდებს².

ერთი რამ მაინც აშკარაა და, ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს: „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი დედნისადმი დიდი ერთგულების მიუხედავად „უდანტურად არ იზღუდავს თავს“³ და, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, შემოქმედებითად უდგება სათარგმნ თხზულებას. მისი შემოქმედებითი ალღოს მჩვენებელი სრული მასალა კი სადღეისოდ გამოვლენილი არ არის, „მიუხედავად იმისა, რომ „ვისრამიანის“ შესწავლისათვის ბევრი რამ გაკეთდა, ჯერ მაინც ვერ ვიტყვით, რომ შესწავლილია „ვისრამიანის“ მთარგმნელის მეთოდი და საკლებით ნათელი წარმოდგენა გვაქვს იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელთაც ის იყენებდა“⁴.

ასეთი მასალის გამოვლენა მრავალმხრივ იქნება საყურადღებო. იგი, ჯერ ერთი, განსაზღვრავს ქართველი მთარგმნელის „თავისუფლების“ მასშტაბებს, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ზემოხსენებული სადისკუსიო საკითხის გადასაწყვეტად; ამას გარდა საინტერესო ასპექტებს სახავს ლექსიკოლოგიის, ფრაზეოლოგიის, სტილისტიკის, ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიის კვლევის დარგში; დაბოლოს, ამჟღავნებს მთარგმნელის ესთეტიკურ მრწამსს, მის ტენდენციურობას თხზულების იდეურ კონცეფციითა მიმართ.

¹ Н. Я. Марр. Из грузинско-персидских литературных связей: Записки Казлегии Востоковедов, I, 1925; ა. გ. ვახარია, მ. თოდუა, ქართული ტექსტისათვის, ვისრამიანი, თბ., 1962, გვ. 303; მ. შამადაშვილი „ვისრამიანის“ ერთი თავიუბური ხელნაწილის გავი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIX, 2, 1965, გვ. 504.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 81.; მ. ი. ივ. „ვისრამიანის“ თანრობრივი რაობის საკითხისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 213, 222; მ. ს. ივ. „ვისრამიანის“ ახალი გამოცემის გამო, „პაენე“, 1964, № 3, გვ. 181—183; ა. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 54.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 81.

⁴ დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას სწორედ ამ უკანასკნელ მომენტზე შევაჩერებთ და განვიხილავთ „ვისრამინის“ ქართული ტექსტის სპარსული დედნისაგან განსხვავებული დეტალების ერთ რიგს, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით მქლავნდება ქართული მთარგმნელის პოზიცია გორგანის პოემის იდეურ ტენდენციათა მიმართ, თანაც ისე, რომ ეს პოზიცია საეხებით თანხვდება ავტორისას. იმ ცალკეული სიტყვებითა და ფრაზებით, რომელთაც მთარგმნელი ზოგჯერ ურთავს დედნის ტექსტს აზრის გასამართავად თუ სტრიქონებს შუა შეფარული ქვეტექსტის უფრო აშკარად გამოსაკვეთად, იგი ერთგვარ თანამშრომლობას უწევს ავტორს, ეხმარება ჩანაფიქრის ზედმიწევნით გახსნაში და ზოგჯერ შემოქმედებითად ავითარებს, აღრმავებს კიდევ ავტორის აზრებს. ეს გარემოება, თავის მხარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმის გამოც იმსახურებს, რომ გორგანის თხზულების იდეურ კონცეფციას შეფასება, როგორც ცნობილია, დიდ ცილობას იწვევდა და იწვევს სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მკვლევართა შორის. ასეთ ვითარებაში გორგანის პოემის ქართული მთარგმნელის, როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი უაღრესი კომენტატორის, ეს თავისებური გლოსები ერთგვარად შუქს ჰფენს ბევრ სადისკუსიო საკითხს და ააშკარავებს ამ უძველესი რომანის ლიტერატურული ესთეტიკის ზოგ ისეთ ნიუანსს, რაც შეუმჩნეველი დარჩათ ან მცდარად გაშიფრეს მისმა გვიანდელმა ოპონენტებმა.

ცნობილია, რომ გორგანის „ვის ო რამინის“ ირგვლივ შექმნილ ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო და საცილობელია პოემასთან დაკავშირებული თითქმის ყველა კარდინალური საკითხი. მათ შორის განსაკუთრებით მწვეველ ისმის საკითხი თხზულების იდეურ-ესთეტიკური ლირებულების შესახებ. ერთნი თუ უმალდეს შეფასებას აძლევენ პოემის ამ მხარეს, მეორენი საზოგადოებრივი ზნეობის თვალსაზრისით მიუღებლად მიიჩნევენ პოემის დედაზრს და ზოგჯერ ეკვეთ უყურებენ მის მხატვრულ ლირსებასაც. მიზეზი ის არის, რომ „ვის ო რამინის“ მკითხველ-მკვლევართა ერთ ნაწილს შუა საუკუნეებდანი მოკიდებული ჩვენს დრომდე აცბუნებდა თხზულების მორალური მხარე, მასში მოთხრობილი საძრახისი სიყვარულის ამბავი, განსაკუთრებით კი ამ ამბის ბედნიერი დასასრული, რაც თითქოს არ ეთანხმება „მკითხველის შეურაცხყოფილ ზნეობრივ გრძობებს“ (პ. ვეთე). საქმე იქამდეც მივიდა, რომ მკვლევარებს ზოგჯერ უპირდათ თხზულებაში დადებითი გმარის პოენა და, უკეთეს შემთხვევაში, ასეთებად მოაბადს ან ზარდს მიიჩნევდნენ.

უკანასკნელ ხანებში ფეხი მოიკიდა მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ XI ს-ის სპარსელი პოეტი შეგნებულად გვიხატავს თავის გმირებს ასეთ ამორალურ პირებად, რათა მკითხველს დაანახოს გარყვნილი სახე მისი თანამედროვე ფეოდალური კლასისა. რომელსაც ეს გმირები ეკუთვნიან (ი. ორბელი, ი. ბრაგინსკი, ე. ბერტელსი).

ეს მოსაზრება საგანგებოდაა გაშლილი და გარკვეულ თეორიად ჩამოყალიბებული ი. ბრაგინსკის შრომებში, სადაც ავტორი გორგანის პოემის ძირითად იდეურ მიმართულებას (და ლირსებასაც) ფეოდალური წოდების მანკიერებათ: მ ხ ი ლ ე ბ ა შ ი, ნაწარმოების სატირულ ელერადობაში ხედავს³. სატირული პოემის ნიშნებითაა დახასიათებული გორგანის პოემა ზოგიერთი სხვა თანა

³ И. С. Брагинский, Очерки из истории таджикской лит-ры, Сталинабад, 1956
Из истории таджикской народной поэзии, М., 1956; 12 миниатюр, М., 1966; Из истории таджикской и персидской литературы, М., 1973.

წეროვებ მკვლევრის შრომებშიც და ენციკლოპედიურ ცნობარებში⁶. ასე რომ, „ვის რამინის“ იდეურ-მორალური საფუძვლების ანალიზი უშუალო კავშირში აღმოჩნდა პოემის ქანრობრივი კვალიფიკაციის საკითხთან. ეს უკანასკნელი საგანგებო მსჯელობის საგანდაა ქცეული ალ. ბარამიძის ერთ სტატიამ⁷, სადაც წველევარი სამართლიანად აკრიტიკებს ზემოხსენებულ მოსაზრებებს „ვის რამინის“ სოციალური სიმკვეთრის გადაჭარბებული შეფასების თაობაზე.

ამ კრიტიკას აღარ გავიმეორებთ. დავძენთ მხოლოდ, რომ ნაწარმოების იდეოლოგიური მონაცემების შეუფასებლობა და გაუღღარულებაა საკითხის ისე წარმოდგენა, თითქოს გორგანის მთელი პოეტური პოტენციალი გმირთა უარყოფითი ხასიათების, ნეგატიური სურათის ხატვაში იყოს რეალიზებული. მსხუდლებს გელისხმირი და მიუკერძოებელი წაკითხვა საკმარისია იმაში დასრწმუნებულად, რომ პოემის პერსონაჟთა მოქმედება ავტორისათვის მისაღები მიზეზებითაა მოტივირებული, ხასიათები — უფაქიხესი ფსიქოლოგიური ხასიათი გამოასხული. ამ მომენტების უგულვებელყოფას თხზულების სიუჟეტი დაჰყავს მშრალ, სქემატურ ფაბულამდე (როგორც უმეტესად მოტანილია იგი ცველევარს შრომებში), რომლის მიხედვითაც რომანის პერსონაჟები მართლაც აჩამომგვბიანი კუთხით ჩანან მკითხველის თვალში. მაგრამ გორგანი-რომანისტის მწერლური ალლო და მხატვრულ-გამომსახველობითი ნიჭი სწორედ იმაზე იხარჯება, რომ აჩვენოს გმირის ვარეგნული საქციელის მამოძრავებელი შინაგანი იმპულსი. გამომდინარე ადამიანის რთული ბუნების თვითგაუცნობიერებელი სიღრმეებიდან: იგი შემთხვევას არ უშვებს, არ ეცადოს პერსონაჟთა, ერთი ზეხედვით. დანაშაულებრივი საქციელის ახსნა-გამართლებას, რათა თავის გმირებს მკითხველისაგან მოსალოდნელი კილეა ააციდინოს. ამ შეუნიღბავი ტენდენციის ღონზე იდეოლოგიურ საფუძველს მოკლებული ჩანს მსჯელობა ავტორის ნეგატიური პოზიციისა და ნაწარმოების სატირული, მამსილებელი ხასიათის შესახებ. სხვა საკითხია, თუ რამდენად მისაღებია თხზულების იდეოლოგია ამა თუ იმ მკითხველისა თუ მკვლევარისათვის. ჩვენი აზრით, გორგანის პოემის ძირითად იდეურ კონცეფციებს ლიტერატურული ესთეტიკის თვალსაზრისით მისაღებად ხდის თხზულების დიდი მხატვრული სიმართლე. ფსიქოლოგიაში, რეალიზმი, ჰუმანიზმი...

„ვის რამინის“ ქართველი მთარგმნელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი სავესებით სწორად ჩასწვდომია ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს. მთარგმნელის შემოქმედებით მეთოდზე დაკვირვება ააშკარავებს მისი ესთეტიკური მრწამსის ავტორისეულთან სრულ თანხედრას — იმ ბედნიერ დამთხვევას, რასაც ქართული „ვისრამინის“ თავის სრულყოფილებას უნდა უმაღლოდეს. საგულისხმოა, რომ დედნისადმი ერთგვარად შეუზღუდავი, შემოქმედებითი მიდგომის მიუხედავად (ზოგიერთი პასაჟის შეკვეცა-შემოკლება, ერთი ფრაზების ლაკონურ ფორმაში მოქცევა და სხვ.) მთარგმნელს არასდროს მხედველობიდან არ რჩება თხზულების კონცეფციის გამოსაძერწად საკირო ნიუანსით დატვირთული დეტალები (რომელთა შეუფასებლობას არაერთი მკვლევარი მიუყვანია უმართებულო დასკვნამდე). პირიქით — განსაკუთრებული ყურადღებით, ხედმიწვენიით სიფაქიზით გადმოაქვს ისინი და არაიშვიათად აღრმავებს

⁶ М. Н. Занд, Шесть веков славы, М., 1961, гл. 109; Б. Г. Гафуров, История таджикского народа в кратком изложении, М., 1955, гл. 284, БСЭ, 8; КЛЭ, 2.

⁷ აღ. სალომე, „ვის რამინის“ ქანრობრივი რაობის საკითხისათვის

და ავითარებს კიდევაც მათ, თითქოს ავტორის იდეით შთაგონებული ეხმარება მას ამ იდეის უფრო ნათლად გამოხატვაში, გმირების მოსარჩლეობაში, მათი საქციელის განმარტებაში. მაგრამ ყოველივე ეს არასდროს ატარებს თვითნებობის კვალს, მთარგმნელისაგან შეშველებული სიტყვა ავტორის აზრის გაგრძელება ყოველთვის.

ამ დებულების საილუსტრაციო მაგალითი ბევრი შემოუწანავეს ქართულ თარგმანს. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს:

1. გორგანის პოემის ლეიტმოტივი ვისისა და რამინის სიყვარულის ქებათა ქებაა. ავტორის გაგებით, ისინი ერთმანეთისთვის გაჩენილნი, ერთმანეთის ჭუფთნი არიან, ამიტომ მათი შეერთება სიკეთე და სათნობაა, გამართლებული ბუნების კანონით, რომლის დარღვევასაც ვისის მოძალადე ბერი მოაბადი ცდილობს. ყოველივე, რაც ხელს უშლის ახალგაზრდების ურთიერთსწრაფვას, ბოროტი და ეშმაკეული საქმეა, თუნდაც საზოგადოებრივი ეთიკის ნორმებით გამართლებული ჩანდეს. ავტორის ამ კონცეფციის უშუალო ანარეკლია მთარგმნელის მიერ ჩართული ფრაზა თხზულების იმ ეპიზოდში, სადაც ნათქვამია, რომ ვისი და რამინი დიდი ხნის განშორებისა და ურთიერთწყარბის შემდეგ კვლავ დაამდნენ და ერთმანეთზე გული იბრუნეს: „მომცდარი გული მათი გზად გამოვიდა და მტერობისა ეშმაკეული უკუბრუნდა. კელი ერთმანერთსა მოჰკიდეს...“⁸. აქ ავტორისეულია ლექსიკური მასალაც, ანალოგიურ კონტექსტში ნახმარი თხზულების სხვა ადგილას ეშმაკის ცდუნებად მიიჩნევენ რამინი ვისისთან თავის დროებით განშორებას და ცოლის შერთვას⁹.

2. მიჯნურობის ასეთ გაგებას ეხმაურება ავტორის ერთი სენტენციის მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. დედანში ზოგადად ნათქვამია: „როს საწუთრო [მოყვარეთა] გაყრას დაიწყებ, წინასწარ მიზეზს წარმოაჩენს“¹⁰. მთარგმნელი ფრაზას ტვირთავს იმ აზრით, რომ მოყვარეთა გაყრა ბოროტება, ბედის მუხთლობაა: „მოყუარეთა რა საწუთრო გაჰყარდეს, წინასვე დაუწყებებს მუხთლობასა, ეძებს მიზეზსა და გამოაჩენსცა“¹¹.

3. ასევე, დედანშია: „საკვირველია ცბიერებით სავსე საწუთრო, ვით ძაბუნია [იმის ხელში] მოყვასი ჩვენი“¹². ეს აბსტრაქტული სოფლის სამღერავე მთარგმნელს კონკრეტულად ვის-რამინის ბედზე გადააქვს, თითქოს სურს. კი-

⁸ ვისრამინი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლეა რა ლექსიკონი დაურთიეს ა. გენახიამ და მ. თოღუამ, თბ., 1962, გვ. 273 (19). შტრ. დედანი: **دل گمراهشان آمد سوی راه...**

... گرفتند. همان گه دست یكدیگر گرفتند (მათი გზადაკარგული გული გზაზე გამოვიდა; მამინ ხელი ერთმანეთს მოჰკიდეს...). სპარსულ მასალას ერიწმებთ მ. თოღუასა რა ა. გენახიამ: [ويس و رامین از فخرالدین اسعد გამოცემიდან] (მთი თირანი, 1970, გვ. 485 (40—41)). ფრჩხილებში მოთავსებული ციფრი სტრიქონის ნომერს აღნიშნავს. დაყოფა დედნისაგან განსხვავებულ ტექსტს მიუთითებს.

⁹ გვ. 472 (5): **راه بد جز ديو ننمود بشیمان بر آن کم ديو فرمود** (ეს უფრო თური გზა ეშმას გარდა არავის უსწავლებია; ვინანი იმის გამო, რაც ეშმად ჩამაგონა; გვ. 433 (19)

دیو تندی (სწორ) გზას.

¹⁰ გვ. 316 (3): **چو فرقت خواهد آفتند زمانه پدید آرد ز پیش اورا بهانه**

¹¹ გვ. 181 (26).

¹² გვ. 465 (1): **شگفتا بر فریبا روزگارا که چون دارد زبون خویش مارا**

დევ ერთხელ მოაგონოს მკითხველს მათი ავბედითი სიყვარულის მიზეზი: „ს ა-
წუთრო ასრე მადლორებელია, ვითა ვისი და რამინ მიჯ-
ნურობაჲმან დაიძაბუნა“¹³. ასეთი ინტერპრეტაციები სავსებით ეთან-
ხება ავტორის არაერთგზის ჩივილს საწუთროს უხანობასა და გამწირობაზე,
რაც მოყვარეთა გაყრის ან მათი ფათერაკიანი სიყვარულის გზაზე გადატანილი
კირ-ვარამის მიზეზადაა ხოლმე მოხმობილი¹⁴.

4. ამავე საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა რომანში ასახული მიჯნუ-
რობის ხასიათის ლაკონური შეფასება, გამჟღავნებული მთარგმნელის მიერ
არაშემთხვევით ნახმარ ეპითეტში: ვისი და რამინი „ს ი ყ უ ა რ უ ლ ის ა უ ა რ ა-
კო ის ა შედეგად უ ა რ ა კო ს ა ვ ე საერთმანერთოსა უწყალო გამწირობა-
სა მიძხუდენ“¹⁵. ვის-რამინის სიყვარულის ასეთი დახასიათება (უარაკო — უბად-
ლო, უმაგალითო) სავსებით თანხვედბა ავტორის თვალსაზრისს. გორგანი ხომ
მეთოდურად ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ვისისა და რამინის მიჯ-
ნურობა ვერ თავსდება ბანალური, ტრივიალური გრძნობის ჩარჩოში. იგი გან-
საკუთრებულო, საგანგებო, საბედისწერო შემთხვევაა, რომელსაც თავს ვერ
აღწევენ მიჯნურები ზოგჯერ დიდი სურვილის მიუხედავადაც; იგია ყოველის-
მძლეველი, მარადი, ძლიერი და ხანოიერი გრძნობა, გონებას რომ არ ემორჩი-
ლება და ყოველგვარ გამოცდას უძლებს, და არა — ზერელე, უხანო, წარმავა-
ლი ეინი და თავქარიანობა, როგორც არაერთ მკვლევარს შეუფასებია ვის-რამი-
ნის ურთიერთობა.

5. რამინს ზოგჯერ საკუთარ თავზე მომეტებულ ზრუნვას, ეგოისტობას
აბრალებენ. ამ მხრივ პოემის სიუჟეტურ სქემაში ერთი შეხედვით არასახარ-
ბიელო როლში შეიძლება ჩანდეს რამინი განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როდეს-
აც ერთხელ საგანგებოდ დაცულ ციხეში მძინარე მიჯნურებს ანაზღაფულად
მოაბადი თავს წაადგება. რამინს ვისი და ძიძა უჩუმრად გააპარებენ, გამძვინვა-
რებულ მოაბადს კი მარტო ვისი შერჩება ხელთ. ამ ეპიზოდს პოემაში მოსდევს
რამინის ვრცელი მონოლოგი-გოდება დამწარბულ ბედზე, სატრფოსთან უნე-
ბურ განშორებაზე. ამ პასაჟის გადმოღებისას მთარგმნელს საჭიროდ უტენია
ჩამდენიმე ფრაზის ჩართვა, რომლებიც რამინის თითქოს არარაინდული ქცე-
ვის რეპილიტაციას ისახავენ მიზნად და აზრობრივად მისივე მონოლოგის
ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ: „თ უ ც ა მ ა ს ვ ის ის მო შო რ ვ ე ბ ა ს ა
მ უ ნ ვ ე ს ი კ უ დ ი ლ ი ე რ ჩ ი ვ ა, გულითა შეშინებულითა... მივიდოდა
კლდეთა შიგან“; იქვე: „ც ა ლ კ ე ვ ის ის ა თ უ ის ე შ ი ნ ო და მ ო ა ბ ა-
დ ის ა გ ა ნ და ც ა ლ კ ე თ ა ვ ის ა, გ ზ ა ა რ ი ც ო და, რ ა მ ც ა ლ ა
ქ მ ნ ა“¹⁶.

6. ცოტა ქვევით დედანში ვკითხულობთ რამინის სიტყვებს: „არ ვიცი, თუ
რა განსაცდელი შეგემთხვა, რა გასაჭირი ნახა შენმა მოყვარულმა სულმა; მე
მერგება ტანჯვა და ტკივილი, შენ ღმერთმა გამოიროს ყველა მწუხარება“¹⁷.

¹³ გვ. 261 (54).

¹⁴ შავ. *وایس و رامین* გვ. 238 (153—159).

¹⁵ გვ. 262 (6). შ. რ. ლომანი, გვ. 465 (9): *چنان کاندلر میان وایس و رامین بگسترد*

چنان کاندلر میان وایس و رامین [საწუთრომ] ეისისა და რამინს შორის შ. რ. ლომანი

წერბობა ჩამოაჯაღო.

¹⁶ გვ. 155 (7, 12); შ. რ. ლომანი, გვ. 264, 265.

¹⁷ გვ. 265 (107—108).

მთარგმნელი განმარტავს ფათერაკს დახსნილი რამინის თვითგვემის მიზეზს: „მე ვარ ღირსი ჭირისა, რომელ თავისა სიციოცხლისა დონე ვძებნე. მაგრა, შენმან მზემან, შენისავე საქმისათუის ექმენ“¹⁸.

7. ანალოგიურ სიტუაციაში, როდესაც ბაღში შეყრილმა მიჭურებმა მოაბადის მოახლოვება იგრძნეს, ვისს შიშისაგან „გული მტრედით გაუფრინდა ტანიდან“¹⁹, რადგან მას, მთარგმნელის კომენტარით, „რამინისათუისვე შეეშინა“²⁰ და იგი ისევე გააპარა. ამ კომენტარის ლოგიკურობა და ორგანულობა აგრეთვე დასტურდება იქვე მომდევნო მონოლოგით, საიდანაც ჩანს ვისის თავგანწირული მზადყოფნა რამინის ჭირის სანაცვლოდ. ასე რომ, რამინის თითქოს არაქეთილშობილური საქციელი — განსაცდელს განრიდება — მხატვრული აუცილებლობითაა განსაზღვრული, სიტუაციით ნაკარნახევი (ვისსავე აზრით, მტერს კაცი უნდა ეკრძაღვიდეს²¹) და არა — ეგოიზმით. მოხმობილი ეპიზოდებიდან გარკვევით ჩანს. რომ კრიტიკულ მომენტებში ვისი და რამინი მხოლოდ ერთმანეთზე ზრუნავენ და საკუთარ განსაცდელს არად მიიხევენ; განსაცდელი მათთვის იმდენადაა სავალალო, რამდენადაც მოყვარის ყოთილდღეობას ემუქრება. ამ ეპიზოდების იდეური დატვირთულობა საუცხოოდ უგრძობია მთარგმნელს და მათ ზედმიწევნით გამოძერწვაში საკუთარი წელილ. შეტანასაც ცდილა.

8. რამინის ყველაზე მძიმე შეცოდება მაინც გორაბს წასვლა და ცოლის შერთვაა. რასაც ერთხმად აყვედრიან კიდევ ოპონენტები. ეს ეპიზოდი და მისგან გამომდინარე კონფლიქტი ნაწარმოების მნიშვნელოვანი საკვანძო მომენტია, ამიტომ იგი საგანგებოდაა შეზღუდებული ავტორის მიერ: ვისისა და რამინის უკანონო ურთიერთობამ დიდი განგაში და მითქმა-მოთქმა გამოიწვია სასახლეში, ყველა მათი მკიცხავი და მომღურავია; თვით მიჭურებმაც თითქოს ამოწურეს რისკიანი შეხვედრების შესაძლებლობანი: უკვე ყველა ვრძობს — გმირებიც, მკითხველიც, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა შეიცვალოს. ამ დროს რამინს მეგობარი ბეგო არწმუნებს, რომ მის მდგომარეობაში ყველაზე მიზანშეწონილია შორს გამგზავრება, გულის გადაყოლება ახალი სატრფოს ძებნა. თავგადაკარგული რამინი დაეთანხმა ბეგოს რჩევას და აიყარა გასამგზავრებლად, რადგან, ავტორის განმარტებით, იგი დაიღალა ამ ფათერაკიანი სიყვარულის ჭირთა-თმენით²². ამასთანავე, შენიშნავს მთარგმნელი, „ბეგოს საუბარიცა გულსა ჩაუჭდა“²³. ეს შენიშვნა აზრობრივ და ლოგიკურ კავშირს ამყარებს წინამაუვალ ეპიზოდთან (ბეგოსაგან რამინის შეგონება) და წარმოაჩენს ფუნქციას ბეგოს ვრცელი შეგონებისას. რომელმაც

¹⁸ ავ. 156 (7).

271 (59): کبوتروار داش از تن بیرید
169 (34).

252 (51): کجا از دشمنان نیکوست برهیز

316 (5-4): شب و روزایی جانان دویدن
شنیدن سرزنی از هر زبانی
...

چو رامین سیرگشت از رنج دیدن
دامی اوفتادن هر زمانی
شاهنشاه بیگامی فرستاد

როს რამინს მოუზრდა ჭირთა თმენა, დღეღამ ს ტრფოს კვლას ღენა, ყოველ წამს რამინში განს, ყოველი ენი. გან კიცხევის სძენა, ხე-მწიფეს ამბავი შეეთაღდა...

²³ ავ. 161 (31).

ფსიქოლოგიურად შეამზადა რამინი ვისისგან განშორებისათვის. ამ შენიშვნით შემაგრებულია აგრეთვე რამინის მოცუვნების მოტივებზე. საგულისხმოა, რომ ვისისთან დაბრუნებული მონანიე რამინი თავისი გამწირაობის მიზეზად სწორედ ამ მოტივს ასახელებს: მე შეგობრებმა შთამაგონეს სიყვარულისგან განკურნება სიყვარულითვე და მათი რჩევით გავემართეთ გორაბს²⁴.

9. რამინის ეს ნაბიჯი ღალატად იქნა გაგებული არა მარტო ვისის. არამედ მხულებების ზოგი მკითხველისა და მკვლევრის მიერაც. ავტორის ჩანაფიქრით კი ამ ეპიზოდს რამინის ვისისადმი უდიდესი ერთგულების დამტკიცება ეკისრება. მიჯნურთა დროებითი წყრომა და გაყრა ერთგვარი გამოცდა გამოდგა, რომელმაც მათი სიყვარულის ხანიერება დაადასტურა. მართლაც, სულ მცირე ხანში გამჟღავნდა, რომ ახალგაზრდა ცოლის გვერდით ნებიერად მყოფ რამინს თურმე თავისდაუნებურად ვისზე დარდი შეჰპარვოდა და ენასაც წამოსცდა ვისის სახელი, თუმცა ცოლისთვის მაამებელი ფორმით — შენ ვისივით მშვენიერი ხარო²⁵, — მაგრამ ცოლი შეუტაცხყო ამ შედარებამ და რამინი გალანძღა. აქ ქართულ თარგმანში დედნისაგან განსხვავებით იკითხება აღშფოთებული გულის (რამინის ცოლის) სიტყვები: „არ ეგრე შემომფიცე, თუ ვირე ცოცხალ ვარ. ვისის სახელსა აღარა ვაქსენებ? აწ თუმცა მისი მიჯნურობავე არა გქირდა, ამა ფიცსა არ დაივიწყებდიო!“²⁶. ამ სიტყვებით მხილებულია რამინის სულიერი მდგომარეობა და ვისის უნებური ხსენების რეალური მიზეზი (რამინის გაუნელებელი მიჯნურობა ვისისადმი). რაც იგულისხმება კიდევ ქვეტექსტით. რაც შეეხება ფიცს, გულმა მართლაც საგანგებო პირობა ჩამოართვა რამინს, ვიდრე მისთხოვდებოდა, რომ ვისის სახელს არასოდეს ასხენებდა.

10. მთარგმნელს საერთოდ ეხერხება გმირთა სულიერი მდგომარეობის, მათი გულის მოძრაობის დახასიათება დროულად შეშველებული ლაკონური ფრაზით. როდესაც რამინმა თავისი შეცდომა შეიცნო და ვისისთან მოსანანიებლად მივიდა, ვისმა დიდხანს ახლოს არ გაიკარა. თუმცა გული რამინის სიყვარულით და სიბრალულით უკვდებოდა, მაგრამ ყინვაში მდგომ მიჯნურს მაინც ეკუშტვოდა და ანგარიშს უსწორებდა ღალატისათვის; „გულისნადები არცა ეგრე გამოაცხადა“²⁷, — შენიშნავს მთარგმნელი.

11. მკითხველის გასაოცრად, ნიადაგ რამინზე მეოცნებე ვისის ძალიან დიდხანს ეყო მოთმინება და სულიერი სიმტკიცე რამინის საწვალებლად. ეს იმიტომ, რომ როდესაც ვისმა კარზე მომდგარი მონანიე რამინი დაინახა, იგი უკვე თავისად ჩათვალა, გული დაიმშვიდა და დიდგულობა დაეწყო. „იგრძენ ჩემი ეს რე მიჯნურობა და გაამაყდიო“²⁸, — ამხელს მთარგმნელი ვისის მალულ ზრახვებს რამინის პირით.

12. თვალსაჩინოა პერსონაჟთა ემოციების შეფასება-წარმოჩენის მთარგმნელისეული ტენდენცია. როდესაც ციხეში საიდუმლოდ შეყრილ მიჯნურებს მოაბადი კარს მიადგა და ძიძამ ხელმწიფის ხმა იცნო, „შიშითა ათრთოლდა“²⁹, ვისს შეატყობინა და: „შიშითა გატყდეს ადგილსა ზედა

²⁴ وسو رامین ج. 447 (38—40).

²⁵ ი. ი., გ. 337 (75—76).

²⁶ ი. ი., 192 (32).

²⁷ გ. 246 (28).

²⁸ გ. 245 (16).

²⁹ გ. 154 (34).

სამნივე და აღარა იცოდეს, რამცა ქმნეს³⁰. გმირთა ემოციების ასეთი კვალიფიკაცია (შიში, თრთოლვა, დაბნეულობა) საეხებით შეეფერება შექმნილ სიტუაციას.

13. როგორც აღენიშნეთ, მთარგმნელი ავტორთან ერთად თავგამოდებული კომაგია მთავარი გმირებისა. პოემის ფინალში, ვიდრე რამინი და ზარდი სამკედრო-სასიცოცხლოდ შეიბმებოდნენ, რამინმა მძას შესთავაზა, ნებით ჩამოშორებოდა გზიდან. ქართული თარგმანის მიხედვით რამინმა ეს მუდარიით უთხრა მძას: „რამინ ზარდასა მუდარიითა ეგრე უთხრა“³¹. ავტორის ტექსტში ეს არაშემთხვევითი ჩარევა აშკარად ნაკარნახევია რამინის ცოდვის შემსუბუქების სურვილით, რათა მკითხველის თვალში გამართლებულ იქნეს რამინისაგან უნებური მკვლელობა მძისა, რომელმაც მისი მუდარა არ ისმინა.

14. თხზულების დასასრულს ქართულ ტექსტში იკითხება ძიძისადმი მმართული ვისის სიტყვები: „მეოდეს რამინ მიჩუენე, მაშინ მოაბადის სიძულვილითა და მისგან ჩემზედა ავის ქმნითა გული სამისოდ გამყინვოდა“³². მათში მინიშნებული ფსიქოლოგიური სარჩული თავის დროზე ვისის მოცუვნებისა საეხებით ემთხვევა გორგანის პოემის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას, რომლის მიხედვით ვისისაგან ოჯახური სიწმინდის დარღვევა გამართლებულ უნდა იქნეს მისი ნაძალადევი ქორწინებით საძულველ კაცზე — მოძალადე მტერზე.

15. მთარგმნელი ზოგჯერ ცდილობს მეტი სიცხადე შეიტანოს სიტუაციაში. როდესაც მოაბადმა ვისსა, რამინსა და ძიძისთან ვერაფერი გააწყო, ისევ ძიძს შეავედრა თავი და რამინისაგან ვისის დაცვა დაავალა. მიჯნურებმა მანც მოახერხეს შეხედრა და განრისხებულმა მოაბადმა ძიძა უწყალოდ ცემა, თუმცა — სულ უსამართლოდ, რადგან „არცარა ძიძამან იცოდა ვისის საქმეო“³³, — მოგვაგონებს მთარგმნელი და ძალიან დროულადაც. თორემ ძიძისა და ვისის თანამზრახველობას მიჩვეულ მკითხველს შეიძლება აღარც ახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში ძიძა უცოდველია — ვისი მას გაეპარა. ამ კომენტარით ყბადღებულ ძიძას ერთი ბრალდება მანც ეხსნება...

ჩვენ წარმოედგინეთ მხოლოდ ნაწილი ქართული „ვისრამიანის“ სპარსული დედნისგან ტექსტობრივ განსხვავებათა იმ რიგისა, რომელშიც ცნაურდება მთარგმნელის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი და მისი შემოქმედებით მეთოდის საეხლისსმო ასპექტი: სათარგმნი თხზულების იდეურ კონცეფტიათა აქცენტირება, ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების, პერსონაჟთა ქცევის მოტივების წარმოჩენა, ქვეტექსტების გაშიფრვის, ლოგიკურობისა და სიცხადის ტენდენცია.

არ ევაიწყდება, რომ ქართული „ვისრამიანის“ ტექსტობრივ თავისებურებათა შესახებ მსჯელობას მუდამ ახლავს ერთი საფრთხე: ხომ არ წარმოადგენენ ისინი მთარგმნელის ხელთ ნამყოფი ნუსხის ვარიანტულ თავისებურებებს? ჩვენ მიერ მოხმობილი მაგალითების კვალი არ ჩანს დღესთვის მიკვ-

³⁰ გვ. 155 (7); 2 ან. გვ. 263 (74-80).

³¹ გვ. 237 (7) შორ. შენი. გვ. 519 (3): *گفت رامین* „რამინმა მძას“
გვ. 237 (7).

³² გვ. 169 (19).

ლეულ სპარსულ ხელნაწერებში³⁴. მათი დიდი უმრავლესობის კონსტრუქცია და კონტექსტთან მიმართება გამოირჩევა კიდევ ასეთ ექვსს. ამას ვერ ვიტყვოდით № 9, 14 მაგალითებზე, რომელთა ჩართვა დედნის კონტექსტში ტექნიკურად შეუძლებელი არ არის, მაგრამ მთარგმნელის ტენდენციების გათვალისწინება მთელი თხზულების მანძილზე უფლებას გვაძლევს, ისინიც ხსენებულ რიგს ზეპყუთვნოთ, რადგან ტექსტზე მუშაობის მისეული მეთოდი ასეთ „თავისუფლებას“ არ გამოირჩევა.

აქ ბუნებრივად ისევ დგება სადისკუსიო საკითხი თარგმანის ზასიათის კვალიფიკაციის შესახებ. ამ დისკუსიის გადაწყვეტა (რომელიც ფაქტიურად ტერმინოლოგიურ ასპექტს არ გასცილებია, რადგან საკითხი ყოველთვის ერთი ტიპის მასალის შეფასებას ეხებოდა) ჩვენი ამოცანების მიღმა ჩრება. ჩვენ მხოლოდ სათანადო მასალის გამოვლენას ვეცადეთ და მიგვაჩნია, რომ მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდის ზემოთ განხილული ასპექტი უფრო ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ხსენებული დისკუსიისთვის, ვიდრე ცალკეულ მხატვრულ სახეთა გადმოღების ის შემთხვევები, რომლებზეც შეჩერდა ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება: „ხმელი ქადრის მყარალი ანწლით შენაცვლება“ თარგმანის თანამედროვე თეორიის თვალსაზრისითაც კი სავეებით თავსდება ზუსტი მხატვრული თარგმანის ფარგლებში (მოცემულია დედნის მხატვრული ფასეულობის აბსოლუტური ეკვივალენტი)³⁵; ზემოთ მოხმობილი მასალა კი დედნის ტექსტში მთარგმნელის უფრო აქტიური და შემოქმედებით ჩარევაზე მეტყველებს. მაგრამ „ვისრამიანის“ თავისუფალ თარგმანად გამოცხადებას ერთი გარემოება მაინც აბრკოლებს, რაც უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული: გორჯანის პოემა, როგორც ვიცით, შუა საუკუნეებში თარგმნა ქართულად; შუა საუკუნეების თავისუფალ თარგმანთა ტრადიცია კი გაცილებით მეტ თავისუფლებას გულისხმობს, ვიდრე ქართულ „ვისრამიანს“ ვაჩნია. ეს ფაქტორიც ართულებს „ვისრამიანის“ მთარგმნელობითი მეთოდის საკვალიფიკაციო ტერმინში შეთანხმებას.

გორჯანის თხზულების მკვლევრებს შეუძინეველი არ დარჩენიათ, რომ ამ ქველს საქართველოში უკეთესი ბედი ეწია, ვიდრე თავის სამშობლოში (ი. ბრაგინსკი). ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ „ვისრამიანი“ ქართული ლიტერატურის ისტორიის ორგანულ ნაწილად იქცა და ძველი ქართული მწერლობის იმ კლასიკურ ფონდს შეუერთდა, რომელმაც სათავე მისცა ქართულ საერო მწერლობას. ქართველმა მკითხველმა იგი ორიგინალურ ნაწარმოებად აღიქვა, მიიღო და შეითვისა. ნათარგმნი თხზულებისათვის ასეთ იშვიათ წარმატებას ქართული „ვისრამიანი“ უნდა უმაღლოდეს დიდოსტატ მთარგმნელს, რომლის რთული შემოქმედებითი მეთოდის მრავალი ასპექტი ჯერ კიდევ გამოსაუღლენია.

³⁴ მაგ ლიონში შეჩერებულა პოემის ბოძებურ ნუსხასთანაც, რომელიც ჩვენს მიერ დამოწმებული ავტორი გამოცემის შემდეგ იქნა მოპოვებული გამოცემელთა მიერ და, ამ უნად, წიგნში არ აახელა. მისი მოწოდებასათვის მ. თოდუას და ა. გვახარას უღრმეს მადლობას მოვხსენებთ.

³⁵ შირ. აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, „ვისრამიანი“ ახალი გამოცემის გამო, გვ. 162.

И. В. КАЛАДЗЕ

ОБ ОДНОМ АСПЕКТЕ ПЕРЕВОДЧЕСКОГО МЕТОДА
«ВИСРАМИАНИ»

Резюме

«Висрамиани» — древнегрузинский прозаический перевод (XII в.) персидской романтической поэмы Горгани «Вис о Рамин» (XI в.) — она стала редкую для переводного сочинения популярность в Грузии. Он сразу же вошел в тот классический фонд письменности, к которому восходят корни грузинской светской литературы. Грузинский читатель воспринял «Висрамиани», как оригинальное произведение. Такой успех был предопределен высоким мастерством переводчика, творческий метод которого отличается богатством и многогранностью.

В статье рассмотрен один из многих аспектов переводческого метода «Висрамиани», позволяющий проследить эстетические принципы переводчика, его определенную тенденциозность по отношению к идейной концепции романа. Отдельные вставки (слова и даже целые фразы) перевода как-бы подчеркивают зачастую скрытый подтекст оригинала, переводчик сотрудничает с автором, способствует раскрытию его художественного замысла и нередко творчески развивает и углубляет авторскую концепцию. Это обстоятельство тем более важно, что до наших дней ведется спор вокруг идейных и художественных ценностей поэмы Горгани. Своеобразные глоссы грузинского переводчика — одного из первых комментаторов «Вис о Рамин» — иногда освещают такие затененные нюансы литературной эстетики этого древнейшего романа, которые не замечались или толковались неверно позднейшими исследователями.

Несмотря на творческий подход к переводимому тексту (сокращение отдельных пассажей, повторов и т. д.) переводчик никогда не упускает из виду те детали, которые важны для определения идейной концепции автора, дополняет и акцентирует их, не допуская при этом отсечения, расхождения с замыслом автора. Приведенные в статье примеры текстуального расхождения «Висрамиани» с его персидским оригиналом дают ясное представление о литературно-эстетическом кредо переводчика и позволяют выделить важный аспект его творческого метода: акцентирование идейной концепции переводимого памятника, подчеркивание эмоционально-психологических факторов, объясняющих те или иные поступки героев, дешифровка подтекста, стремление к логичности и ясности.

ჩვენს მუშაობაში სტატია: ი. ვ. კალაძის მიერ «ვისრამიანი»-ის თარგმანის მეთოდის ერთ-ერთი ასპექტის შესახებ.

რეზიუმე მიხაილ სეიფილი

რუსული „პროლოგ-სვინაქსარის“ ქართული თარგმანი

„პროლოგ-სვინაქსარი“ შეიცავს წლის ყოველი დღის მოსახსენებელთა საკითხავებს შუასაუკუნეების ქრისტიან მოღვაწეთა შესახებ. ეს ნაწარმოები არჩილის დროინდელ რუსულ ლიტერატურაში დიდად გავრცელებული ყოფილა¹.

რუსულ ლიტერატურაში „პროლოგი“ XII საუკუნეში გაჩნდა ბერძნული პროტოტიპის თარგმნის შედეგად. ბერძნულ ტექსტში იმთავითვე ყოფილა ჩართული რუსი წმინდანების ბორისისა და გლების, ოლდასა და პეჩორის ილუმენის — თეოდოსის მოსახსენებლები. წლების მანძილზე პროლოგი თანდათან იესებოდა ბერძნულ-რუსული თხზულებებიდან ამოკრეფილი მასალებითა და ამა თუ იმ წმინდანის ბიოგრაფიებით. XIV საუკუნეში შეიქმნა რუსული პროლოგის მეორე, ვრცელი რედაქცია, ხოლო XV საუკუნეში „პროლოგის“ ზოგიერთი ნაწილი გაუღეკსავეთ კიდევ (იქვე).

„პროლოგ-სვინაქსარის“ ქართულ-რუსული ტექსტების მიმართებას, მთარგმნელის ვინაობას, თარგმანის დროისა და სხვა საკითხებს ტრ. რუხაძემ თავის ნაშრომში დიდი აღვილი დაუთმო². მთარგმნელის ვინაობასთან დაკავშირებით ჰეკლევარი აღნიშნავს, რომ, რაკი „პროლოგ-სვინაქსარი არსებითად კანონიზებულ «საკითხავთა» წიგნს წარმოადგენს, მისი შესწორების ნება ჰქონდა მხოლოდ დიდ საეკლესიო კრებულს, ანდა მის ავტორიტეტულ წევრს, მაღალი ხარისხის იერარქსა და მეფეს“. მართალია, „პროლოგის“ „ქართულ ხელნაწერებს არ შემოუნახავთ პირდაპირი ცნობა მთარგმნელზე, მაგრამ ზოგი ნუსხა ჰიკვითებებს არჩილისა და ვახტანგ VI-ის რუსეთის ქართული კოლონიისკენ“; „პროლოგის“ ქართულად გადმოთარგმნის დრო არ შეიძლება არჩილის ეპოქას გადმოსცილდეს, რადგანაც ტიტულატურაში მოხსენებულია პეტრე პირველის შვილი ალექსი, რომელიც მამის ურჩობის გამო 1718 წელს სიკვდილით დასაჯეს. ამ თარიღის შემდეგ შეუძლებელია ტიტულატურაში მოხსენებინათ მამის ურჩი „რასკოლნიკი“ შვილი. „ქართველი მთარგმნელი უნდა ვეძიოთ 1700-იან წლებში“; ეს არის „არჩილიანის“ ავტორი, რუსულიდან მრავალი წიგნის მთარგმნელი არჩილიო — ასკენის მკვლევარი (იქვე, გვ. 157—159).

შეიძლება ამ ნაწარმოების თარიღის დაზუსტებაც. ხელნაწერთა ინსტიტუტის A 112 ხელნაწერი „პროლოგ-სვინაქსარის“ ერთი ყველაზე ძველი ნუსხაა.

¹ პირველი რუსული „პროლოგი“ 1641 წელს დაიბეჭდა. Сопников, В. С. Опыт Российской библиографии, т. I, 1904, гл. 54 (მტრ. Литературная Энциклопедия, т. IX, 1935, т. 313).

² ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 155—183.

ხელნაწერი შეიცავს 609 წერილს, მათ შორის სვიმეონ პოლოცის სიტყვას, რომლის თარგმანიც, როგორც ეს ანდერძიდან ჩანს, ეკუთვნის ალექსანდრე არჩილის ძეს: „ამასვე დღესა (15 აგვისტოს) თქმული სიტყვაჲ მიცვალებისათვის-ვე შემდგომად წმიდისა ღმრთისა მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, თქმული რუსულის ესით სიმეონ პოლოცისა, ხოლო თარგმნილა ქართულად კეთილმსახურისა და მართლ-მადიდებელისა საქართველოს მეფის არჩილის ძისა ბატონისშვილის ალექსანდრესგან. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი. მკითხველნი ამისნი ვედრებასა და ლოცვასა ჰყოფდეთ მისისა დღე-გრძელობისა და კარგად ყოფისათვის“ (გვ. 721).

ხელნაწერთა ინსტიტუტის H2176 ხელნაწერი წარმოადგენს H2187 ხელნაწერის გაგრძელებას. იგი იოანე ბატონიშვილის კოლექციაში ყოფილა დატული, რასაც მინაწერი ადასტურებს: „საქართველოს მეფის სძლის ქეთევან წერეთლის ასულის ვარ“ (გვ. 2v). 1785 წელს ეს ხელნაწერი ხარჭაშენელ ეპისკოპოსის გრიგოლ წოდებულის საკუთრება ყოფილა (შდრ. 1v). ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა წიგნი [ესე] მეფობასა დიდისა ბატონის მეფის, დიდის მთავრისა პეტრე ალექსიშვილისა ყოვლისა დიდისა, ცოტასა და თეთრის რუსეთისა თქით]მპყრობელობასა და ძისა მისისა ბატონისა მეფის შვილისათა დიდის მთავრისა ალექსი პეტრეს შვილისათა, სამეფოსა მას დიდ[ს]ა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითან წელთა... ქსიჯ (7213—5508=1705)³, ხოლო ესემცა უწყოდინ მკითხველთა ამის წიგნისათა: თვითოეულთა თქათა დღეთა საკითხაენი მას დღეს იკითხებოდენ და საძიებელითა ამით ვის რა უნებდეს რომლისამე პირისათვის კითხვად, უშრომელადცა ჰპოებდინ“ (გვ. 2v).

როგორც ტექსტების შედარებამ გვაჩვენა, A112 ხელნაწერი უფრო ადრინდელია, ვიდრე H2187 და H2176 ხელნაწერები, მით უმეტეს, რომ A112 ხელნაწერის ანდერძში ალექსანდრე ბატონიშვილი ცოცხლად მოიხსენიება. ამგვარად, „პროლოგ-სვინაქსარის“ თარგმანი შესრულებული უნდა ყოფილიყო 1699—1705 წლებში.

საგანგებო ყურადღება დაუთმო ტრ. რუხაძემ „პროლოგ-სვინაქსარის“ ლიტერატურულ წყაროებსაც. სლავურ-რუსული პროლოგ-სვინაქსარის ქართულ თარგმანში მრავალი ლიტერატურული წყარო შესულა. ამათგან აღსანიშნავია ბერძნული პატერიკი — წმინდა მამათა ცხოვრება-მოღვაწეობის შემცველი ნაწარმოები, რომელიც, თავის მხრივ, რუსული პროლოგ-სვინაქსარის ერთ-ერთ წყაროდ ქცეულა (ტრ. რუხაძის დას. შრომა, გვ. 161): „ლიმონარი“ ანუ „სამოთხე“; „რომაული პატერიკი“ ანუ გრიგოლ პაპის „დილოლონი“; „ინდური პატერიკი“ — ბალავარიანი; პანდექტ-ტაქტიკონი, იოანე სინელის „კლემაქსი“ და სხვა (იქვე, გვ. 161—165).

არჩილს არა მარტო უთარგმნია რუსული პროლოგ-სვინაქსარი, არამედ შეუსწორებია და ზოგი რამ დაუმატებია კიდევ. როგორც ითქვა, რუსული პროლოგ-სვინაქსარი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა შესწორება-ჩამატებებს. მასში შეტანილ იქნა ვლადიმერ რუსთა განმანათლებლის, მეფეების — იოანე მრისხანეს თეოდორე ივანეს ძის, მიხეილ თეოდორეს ძის, ალექსი მიხეილის ძის. პეტრე პირველის, მისი შვილის ალექსისა და ფილარეტ და იოსებ

³ შდრ. ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია). ტ. 2, გვ. 124—125. აქ ხელნაწერის თარიღად აღნიშნულია 1785 წელი, ხოლო ანდერძში ასო „ჟ“ გამოტოვებულია და დაბეჭდილია მხოლოდ თარიღი „ქსიჯ“.

პატრიარქთა მოსახსენებლები (იქვე, გვ. 166). ქართულ თარგმანში არც მრავალრიცხოვანი რუსი წმინდანები შესულან. არჩილს ეტყობა ხელთ ჰქონდა უფრო სრული და სანდო ტექსტები, რომელთაც უდარებდა რუსულ წყაროს. შედარებისას მას შეუმჩნევია, რომ ქართველებს რუსებისთვის უცნობი მასალები მოეპოვებათ კაპიტონისა და ძმათა მისთა შესახებ და რუსული საკითხავი შეასწორა ქართული მასალების მიხედვით (იქვე, გვ. 167). კრიტიკულად მიუდგა არჩილი აგრეთვე თომა მოციქულის, ბაგრატისა და მენეას, მაქსიმე აღმსარებლის და სხვათა მოსახსენებლებს. არჩილს თარგმანში შეუტანია ან ქართველი წმინდანები, რომლებიც მსოფლიო მოღვაწეთა გვერდით დგანან და რუსულ ტექსტში არ შესულან. ესენი არიან ილარიონ ქართველი და ეფთვიმი ქართველი (იქვე, გვ. 170).

ამ ქართველ მოღვაწეთა მოსახსენებლები არჩილს შეუტანია მათი ბიოგრაფიების გარეშე: „თვესა ნოენბერსა იო [19]: წმიდისა წინასწარმეტყველისა აბდიასი. ამან უსწრო ქრისტეს შობასა წლითა რვაასითა; და წმიდისა მოწამისა ვარლამესი. ესე ვარლამე იყო მეფობასა დეოკლიტიანესსა, წელსა ხუთიათას შვიდას ოთხმოცდა ათსა, ანტიოქიით ასურეთისა. ესე იწამა ქრისტესთვის სიბერესა შინა თვისსა; და წმიდისა ილარიონ ქართველისა“ (A 112, გვ. 146).

„თვესა მანისა იგ [13]: წმიდისა ქალწულ-მოწამისა ლუკერასი. ესე იყო წელსა ხუთიათას ექვსას ორმოცდა ერთსა, ანტონინეს ზე მეფისა, ხოლო მკვტა მიეტა ქრისტეს სარწმუნოებისათვის შესაკმელად და ესრეთ აღესრულა. ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი ქართველისა მთაწმიდელისა“ (A 112, გვ. 544).

არჩილს, სასულიერო მწერლობაში განსწავლულ მოღვაწეს, ზუსტად და მალამხატვრულად გადმოუღია რუსული დედანი. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

რუსული

О черноризце Мартирии, како
Христа испил (17 янв.).

В земли Сворстей бысть некий черноризецъ христороубивъ в пшчелюбивъ и милостивъ, юнь верстою (возрастомъ) и старъ смыслом, и чистъ житие имый, Мартирий именовемъ. Сей убо сбычай имяше отъ своего монастыря во инь ходити къ духовноу отцу молитвы ради. Единую же идущу ему острете на пути нища лежаща и ступы слепшся, тамо же ити хотѣша и не могуща, недуга ради. Блаженный же Мартирий псма илова его, простер мантию свою лубезно пошаше его. Егда же прииде къ монастырю, отецъ же

ქართული

ამსვე დღესა [17 იანვარს] თქმული მარტვირი მონაზონისა, ვითარცა რამე ქრისტე იტვირთა.

ქვეყანასა სოკრათისსა იყო ვინმე ბერი ქრისტეს მოყვარე და მოწყალე კაბუცი სრული და მოხუცებულ საგონებით და წმინდა ცხორებითა, სახელით მარტვირი. ამას უკვე აქვდა ჩვეულება თვისით მონასტრით სხვად მონასტრად მისლვა სულიერისა მამისა თანა კურთხევისა მოღებისათვის. ხოლო ერთგზის სლვასა მისსა ჰპოვა გზასა ზედა გალახკი, მღებარე და დაწყლულებული და დამბრმალი, და მუნ მისლვად მნებებელი და ვერშემძლებელი უძლურებისათვის. ხოლო ნეტარმან მარტვირი იხილა რამე, შეეწყალა იგი და შეხვია ანაფორითა თვისითა და

его духовный прозоривыми очима узреть и возопи къ своимъ чернцемъ, глаголя: „тещите скоро, отверщете врата монастыря, братъ Мартирий грядеть, Бога несый“. Сей же яко прииде ко вратомъ несый нишаго, и взяся съ плещу его, и явился ему образомъ, якоже и на иконе написанъ, Избавитель человеческого рода, Богъ и Человекъ, Спасъ Иисусъ Христосъ, и взята на небо, Мартириеви видящу. В.сходи же, рече къ нему: „О Мартирие, ты Мене не презрель еси на земли и Азь ты на небесехъ; ты на Ми ныне воззрель еси милостию, Азь же ты во веки помилую“. И сия рек, невидим бысть. Вшедшу же ему в монастыръ, рече ему отецъ духовный: „брате Мартирие, где есть, его же поссл еси?“ Отвеща глаголя: „аще бых педал, отче, кто есть, яд бых твердо за нозе его“. Тогда поведа всемъ черноризцемъ бывшее. И вопроси его отецъ, глаголя: „тяжко ли ти бече, чадо?“ Он же рече: „ни, отче, егда несох не чухъ тяготы“, — „носяху, боре рече—Носящаго мене и весь мир нетрудно и словомъ всяческая Содержащаго“⁴.

От патерика о почитании книжномъ (4 февр.).

Братъ некто, живий в киновии, си рече во общемъ житии, унывая во учении и вопроси отца своего, глаголя: „что, отче, труждаюся в книгахъ и ничто же разумею, ему же служу?“ Он же отвеща ему,

აკიდა იგი. და, მოიწია მონასტერსა მას შინა. ხოლო მამამან მისმან წინასწარ იხილა სულიერითა თვალითა და კმა ყო თვისთა მიმართ ბერთა: „მოვედით და მსწრაფლ განუხვენით კარნი მონასტრისა, რამეთუ ძმა მარტვირი მოვალს ღმრთივ-ტვირთული“. ხოლო ესე ვითარ მოვიდა ბჭესა თანა ტვირთული გლახაკისა და გარდმოილო ბეჭით თვისით. და გამოუჩნდა მას სახითა, ვითარცა ხატი გამოწერიტა მკსნელი ნათესავსა კაცთასა ღმერთი და კაცი მაცხოვარი იესუ ქრისტე და ამაღლდებოდა ცად. მარტვირი ხედვიდა და აღმაველ მიერ ჰრქვეა მას: „ჰოი მარტვირი, შენ მე არა უგულებელს მყავ ქვეყანასა ზედა, მეცა შენ არა უგულებელს გყო ცათა შინა. შენ ჩემ ზედა მოიხილე წყალობით, ხოლო მე უკუე შეგოწყოლო“. ამას რა ეტყოდა, უჩინო იქმნა. და შესლვასა მისსა მონასტრად ჰრქვეა მას მამამან სულიერმან: „ძმაო მარტვირი, სადა არს, რომელი გეტვირთა შენ?“ მიუგო და ჰრქვე: „უკეთუ მეცნა მამაო, თუ ვინ იყო, მეჰყრამცა ფერკნი მისნი მტკიცედ“. მაშინ მიუთხრნა ყოველთა კაცთა ქმნულნი. და ჰკითხვიდა მას მამა: „მძიმე იყოა, შვილო?“ ხოლო მან ჰრქვეა: „არა მამაო, ოდეს ავიკიდე, ვერ ვავრძენ სიმძიმე მისი, რამეთუ მეტვირთა მე მტვირთველი უშრომელად ყოვლისა სოფლისა და მპყრობელი კელითა ცათა და ქვეყანისა“ (A112, გვ. 268—269).

ამასვე დღესა [4 თებერვალს] პატრიკისაგან წიგნთა კითხვისათვის.

ძმა ვინმე იყოფოდა საზოგადოსა მონასტერსა შინა სწავლათა ზედა მოწყინებული. და ჰკითხა მამასა თვისსა მეტყველმან: „რად ვშვრებთ, მამაო, კითხვითა წიგნისაჲთა, რამეთუ ვერარასა გულის-ქმასა ეყოფ, რომელსა ვმსახუ-

⁴ Памятники древнерусской церковно-учительной литературы, вып. 4, 1898, гл. 166, 167.

глаголя: „чадо, овцы, егда обря-
цуть пажить, в сладость ядят зело
и часть песожаему пищу глотают,
тщасяся каяждо, да множайшая
похватить и вложить в себе пищу,
и осбь прочее ставши жует пищу,
изрыгающе извнутри,— тако и ты,
чадо, елику убо похощь и благо
время имаши, учися елико можеш
без лености божественным книгам,
Богу подавающе ти, или от бесед
старец слышав навыкнешь, или
сам навыкнув вопросиши, или от
поучающих когда которых во свя-
тое, или сам Господь в безмолвии
глаголати имает в сердце твсем. Но
убо ныншняяго от Бога даннаго ти
времени и силы не погуби унынием“,
(იქვე, გვ. 174).

О дивних братех, имущих вражду
между собою (22 марта).

Брата два во время гонения яти
быша прияти муку, имяху же вражду
между собою. И затвориша я в
темнице, мучиша я. Покаявся же
единих, глаголя другу своему: „смир-
рися, еда утре умрем и отыдем к
Богу“. Он же не хотяше сего. Во
утрий же день изведоша я посети.
И иже с братом не смирился и гре-
ха не отдаде, отвержеса Христа, а
другаго носекоша, во имя Христо-
во верующа. Глагола же мучитель
отвергшемуся Христа: „почто вчера
не отверглся еси, дабы ран не
приил?“ Он же отвеща ему: „егда
оставих Бога моего и не смирился
с братом моим, тогда остави мя
сила Божия и помощь, и наг бых
от нея и сего ради отвергохся Его“.

რობ?“ ხოლო მან მიუგო მას: „შვილო,
ცხოვართა ოდეს ჰჰოონ საძოვარი.
ტკბილად სკამონ ფრიად და არა სცა-
ლიან აღმოცონნად. მოყმდებიან რაჲ,
ისწრაფვიან თვითოეული, რათა ფრია-
დნი მოძოონ და განიძღონ მუცელი
თვისი და მრავალგან განეშორნენ, რა-
თა საძოვარსა მას კეთილსა აღმოი-
ცონნონ იგი საზრდოდ თავისა თვისი-
სა. ეგრეთვე შენცა შვილო, რამეთუ
ოდენი უკვე კეთილნი. ეამნი გაქვნდეს,
ისწავე შენ, რაოდენი ძალგედვას, უცო-
ნელად საღმრთოთა წიგნთა შენდა მო-
ცემულსა ღმრთისა მიერ, ანუ ზრახვა-
თაგან მოხუცებულთა მსმენელმან ის-
წავლო, ანუ თვითმკითხველმან დაის-
წავო, ანუ სწრთვილებათაგან, ოდეს
რომლითავე წმინდათა მამათა ყოს. ანუ
თვით უფალსა უშფოთველად თქმად
აქეს გულსა შინა შენსა, არამედ აწინ-
დელისა ამას ღმრთისა მიერ მონიჭე-
ბულსა შენდა ეამსა და ძალსა ნუ წარ-
სწყემდ უღებებითა (A112, გვ. 312—
313).

ამასვე დღესა [22 მარტს] თქმული
პატრიქისაგან რომლისათვისმე მონა-
ზონისა ორთა ძმათათვის:

ძმანი ორნი ეამსა დევნულებისასა
შეპყრობილ იქმნენ და მიიღეს სატანჯ-
ველი. ხოლო აქუნდათვე მტრობა შო-
რის თვისსა და შეაყენნეს ივინი საპყ-
რობილესა და სტანჯვიდეს მათ. ხოლო
შეინანა ერთმან და ეტყოდა მეგობარ-
სა თვისსა: „დავეგნეთ, ნუ უკუე ხვა-
ლისადა მოვსწყდეთ და განვიდეთ
ღმრთისა მიმართ“. და არა ინება მან
ესე. ხვალისად გამოიყენნეს ივინი
წარკვეთად თავთა. მაშინ, რომელმან
იგი არა ინება დაგება ძმისა და არა მი-
უტევა ცოდვა, უარყო ქრისტე და მცი-
რესა წარკვეთეს თავი, რომელმანცა
ალიარა სახელი ქრისტესი. ხოლო ეტ-
ყოდეს მტარვალნი იგი ქრისტეს უვა-
რისიმყოფელსა მას: „რასათვის უკუე
გუშინ არა უარჰყავ, რათამცა არა მი-
გელო შენ წყალულები?“ ხოლო მან

Да сие ведуще, братие, смигяйтеся и в лкбви пребывайте, да зде благородно поживше вечных благ частицы будем. Бсгу нашему слава, ныше и присю и во веки веков (იქვე, გვ. 183).

მიუგო მათ: „ოდეს დაუტევე ღმერთ ჩემი და არა დავევე ძმასა ჩემსა, მეცსეულად დამიტევა ძალმან ღმრთისმან და შეწვენამან და განეშვიშელღმრთისაგან და ამისთვის უარყუაე იგი“. აწ უკუე, ძმანო, დავეგებოდით ჩვენც: ურთიერთისა სიყვარულითა, რათა აქ: გრძლად ესცხოვრებდეთ და მუნ საეკუნეთა კეთილად მივემთხვიენეთ ქრისტეს იესუს მიერ ღმრთისა ჩვენისა, რომლისა არს ღიღება აწ და მარადის (A112, გვ. 434).

„პროლოგ-სეინაქსარის“ საკითხავებში მრავალი საინტერესო ამბავია შეტანილი, რომელთა ღიღატიკური ტონი მოუწოდებს მორწმუნეთ სიწმინდით ემსახურონ ქრისტეს სჯულს და არ გარდაუხდნენ მცნებას, დავიმოწმოთ რამდენიმე ეპიზოდი: მაგ.: შვიდი ოქტომბრის მოსახსენებელში იკითხება ვინმე ალექსანდრიელი მკვდლის ამბავი:

„ალექსანდრიას შინა იყო ვინმე ოქრომკვდელი სახელოვანი. მივიდა მის მიმართ ვინმე დედაკაცი და ევედრებოდა სამკაულის შექმნად, ხოლო იწყოდედაკაცმან სიტყვად მსგავსად მეძაობისა და შებრალებად განიზარაბა ოქრომკვდელსა მას ზედა და ვითარცა იქმნებოდა საეშმაკო წარტყევენა ცოდვისთვის. და მოიქსენა [მკვდელმა] სიტყვაჲ სახარებისა, რომელსა იტყვის: «უკეთუ გატუნებდეს შენ კელი შენი მარჯვენე ანუ ფერკი, მოიკუთუ და განაგდე იგი. უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გატუნებდეს, აღმოიღე და განაგდე იგი. რამეთუ უმჯობეს არს შენდა უტელოსა და უფერკოსა შესვლად სასუფეველსა ცათასა, ვიდრე ორთა თვალთა და ორთა ფერკთა სხმასა დაბლა გდებად გეენიასა მს ცეცხლისასა»... — და აღმოიღო დანა, და იკრა თვალსა თვისსა მარჯვენესა და თქვა: «იხილე უფალო, რამეთუ დამცველ მცნებისა შენისა ვარ მე! ვითარმედ ოდესცა მიკმდეს შეწვენა შენგან, ნუ განმეშორებები მონასა შენსა». და იხილარა დედაკაცმან საქმე ოქრომკვდლისა, ივლტოდა იგი შიშითა და მივიდა სახლსა შინა თვისსა; მის საქმისა ხილვითა განერა ცოდვისაგან დედაკაცი იგი...

ხოლო ღმრთისა მიშევებითა უფლებდეს სარაციინი ეგვიპტეს ზედა და ყოვლითურთ სტანჯვიდენ ქრისტიანთა და ასწავებდენ უარის-ყოფად ქრისტესა და ზიარებად შეგინებულსა მამადის სარწმუნოებისასა. ხოლო... ბოროტად მტანჯველმან, (რომელსა ეპყრა ალექსანდრია)... მოუწოდა ებისკოპოსსა და ყოველთა მოძღვართა ქრისტიანთასა და ეტყოდა: «... განვედით მთისა მიმართ ადარისა და არქვით სიტყვაჲ უფლისა — ღმრთისა თქვენისა. უკეთუ ისმინოს თქვენი და აღიფხვრას და შთავარდეს მდინარესა მას ნილოსისასა, მიერთვან განთავისუფლებულთა კადნიერად მსახურეთ ქრისტესა, ღმერთსა თქვენსა, და სასწაულისა მიერ გვრწმენეს... უკეთუ არა, ... თქვენ ყოველნი გარე ქალაქისა ამის ზღუდისა განიყარნეთ სიმყარაღესა შინა... და განუტევენა ივინი..., ხოლო ებისკოპოსმან შემოიკრიბნა ყოველნი ქრისტიანენი... და მოუთხრა მათ მძლეარისა... ბოროტი კელოვნური ზრახვაჲ... და უბრძანა ყოველთა ერთბამად მკურვალედ ვედრებად და ღამის-თევად წარდგომად წინაშე ღმრთისა. და შემდგომად ამისა მივიდა დედაკაცი იგი ებისკოპოსისა მიმართ და მიუთხრა მას

ზემოთქმულისათვის ოქრომკედლისა... და ესე რა ესმა ებისკოპოზსა. განჰკვირდა და... წარგზავნა მისა კაცი მოყვანებად... და დღესა მესამესა განვიდენ მთასა მიმართ ადარისა... ხოლო დგომასა მათისა წინაშე მთისა, მოუწოდა ებისკოპოზმან პირველ თქმულსა მას ოქრომკედელსა და ჰრქვა მას: «ჰოი შეილო, აწ ჯერ არს შენდა ჩვენებად სარწმუნოებისა საქმედ, რათა ჰრცხვენეს მძლავრსა მოქალულსა კერბთა თვისთა ზედა, რათა დაემტციოს სუეტნი ქრისტეს ეკლესიისანი»... მაშინ თაყვანისცა ოქრომკედელმან ებისკოპოზსა და მოუქცა მთასა მას, ევედრებოდა ღმერთსა... და თქმასა მისსა ზედა შეიძრა ადგილი იგი და აღუფხვრა მთა იგი ადარისა. და დაეცნეს ყოველნი ერნი პირქუე და იქმნა ფრიალი ღალადება. ქალაქსა შინა შეიმუსვრიდეს პალატნი და დაეცემოდეს ზღუდენი და გამოვიდეს ბარბაროზნი და იხილნეს საშინელი სასწაულნი ესრეთ მთა მავალი თვისისაგან ადგილისა ნილოსის მდინარისა მიმართ და ყოველნი ქუე დაეარდებოდეს და ევედრებოდეს ქრისტიანთა დაყენებად მთისა ამის სღვისაგან, რათა სხვანიცა ქალაქნი და პალატნი არა დაიხრდუნენ.

და მიუგო ებისკოპოზმან და ჰრქვა: «არა, ძმანო, არა არს საქმე ჩვენი, არამედ იქმნისა ნებისა, ვითარმედ იტყოდით გმობასა ცხოველისა ღმრთისა... არამხოლოდ ქალაქნი დაიხრდვენ, არამედ თქვენცა ყოველნი მოსწყდეთ». მაშინ აღუთქმიდეს ყოველნი ნათლისღებად. კნილდა და მახლებელ იყო მთა იგი ნილოს მდინარესა. ხოლო ებისკოპოზი იგი ევედრა ღმერთსა და დადგა მთა და დასცხრა ძქ[რ]ა იგი ქვეყანისა. და მრავალთა ბარბაროზთა რწმენა იესო ქრისტე და ნათელი იღეს. ხოლო უღმრთოთა მათ აღუთქვეს ფიცით...“ (A112 ხელნაწერი, გვ. 67—70).

26 ოქტომბრის საკითხავში შესულია მუსიციოს ასისტაის ამბავი „ვითარჰყო წყალობა გლახაკისა დედაკაცისა თანა, რომელი არა შეეხო მსიძაობით“, მის მიერვე მოთხრობილი.

... წარვედ განზანად და ეპოვე გზასა ზედა დედაკაცი ბნელსა ადგილსა მღგომარე. და მივეახლე მას და ვიწყე სიტყვად მისდა სიძვისათვის. ხოლო მან აღმოთქვა წინასწარ მოსლვა ჩემთანა და მე სიხარულითა გულისთქმისაგან ეშმაკისათა არლარა წარვედ განზანად, არამედ მეყსეულად წარვიყუანე დედაკაცი და ვისწრაფე სერობად. და აღვსდეგ წარსლვად დაწოლისა მნებებელი, ხოლო მან ღალადყო კმითა დიდითა და ცრემლითა: «ვაიზე ვნებულსა და უბადრუქსა, რამეთუ რად წარვიწყმედ თავსა ჩემსა სულთა და კორცთა!» და ვიწყე კითხვად მისსა მიზეზსა ღალადებისა მისისასა. ხოლო მან ტირილით მრქუა მე, რამეთუ: ქმარი ჩემი ვაჰარი იყო და ღელვითა წარწყმდა მონაგები მონაგებითურთ თვისით და სხვითაცა ეგრეთ. და აწ არს საპყრობილესა შინა უცხოთა მონაგებთათვის. ხოლო მე სრულიად არარაჲსა ვარ მქონებელ, რათამცა მოვიყიდო პური მისთვის. ხოლო მე ვინებე მრავალისა ნაკლულევანებისათვის შეგინებაჲ კორცისა ჩემისა, რათამცა მოვიგო საზრდო მისთვის. ხოლო ჩვენი ყოველივე მოვალეთა წარიტაცეს. და მე ვარქუე მას: «რაჲ არს თანა ნადები?» და მან მრქუა მე, ვითარმედ: «ხუთი ოდენ ლიტრაჲ ოქრო». ხოლო მე აღვიღე ოქრო ხუთი ლიტრა და მივეც მას მეტყუელმან, ვითარმედ: «მიშისათვის ღმრთისაჲ არა შეგვიხო შენ, არამედ აიღე ოქრო ესე და გამოიქსენ ქმარი შენი და ევედრე ჩემ შეცოდებულისათვის ღმერთსა».

ხოლო მეყსეულად გარდასლვასა წლისასა იქმნა ჩემზედა ბოროტი შესიენა მეფისა მიმართ, რამეთუ წარმეწყმიდოს ხარკი. და წარმოავლინნა და წარიტაცეს სახლი ჩემი და მსწრაფლ წარმიყვანეს მეცა კოსტანტინეპოლეს და შე-

მაგდეს საპრობილესა. და ვიყავ წელსა ერთსა საპრობილესა შინა ერთისა ოდენ ჩემითა კვართითა და მეტყოდენ დღე ყოველ, ვითარმედ: «ნებავეს მეფესა სიკვდილი შენი სხვათა საწურთელად». და მეყსეულად სასოწარკვეთილ ვიქმნებოდი ცხორებისა ჩემისაგან. ხოლო ტირილსა და გოდებასა შინა ჩემსა მიმეძინა შეწუხებულსა. და ვიხილე დედაკაცი იგი, რომელსა მივეც ხუთი ლიტრა ოქრო და მრქვა მე: «რამ არს, უფალო, და რამათვის შეპყრობილ ხარ აქა?» ხოლო მე ვარქუ: «შესმენილ ვარ და ვგონებ, ვითარმედ ჰნებავეს სიკვდილი ჩემი მეფესა». ხოლო მან მრქვა: «გნებავეს, რათა წარვიდე შენთვის მეფისა მიმართ, რათა განგიტეოს შენი?» და მე ვარქუ: «გიცნობსა შენ მეფე?» და მან მრქვა: «მიცნობს»... და ეგრეთვე მეჩვენა მეორესაცა დღესა ღამესა შინა და მეტყოდა: «ნუ გეშინიან, მე განგიტეო შენ».

და ხუალისად ბრძანა მეფემან მიყვანება ჩემი. და მიმიყვანეს პალატსა სამეფოსა და, ოდეს შევედ და მიხილა მეფემან დამპალსა და დაბეჭკულსა კუართსა შინა, ... მივხედე და ვიხილე დედაკაცი იგი მდგომარე მარჯვენით მეფისა და ჩემდა მომართ მხიარულად მხედავი. და ბრძანა მეფემან ყოვლისა მონაგებისა ჩემისა ჩემდავე მოქცევად, რომელი წარმოულო სახლით ჩემითგან და სხვისაცა ნიქისა მრავლისა მოღება და განწესება აღგილსავე ჩემსა ზედა. და მყო მე ყოველთავე ათისთავთა განმგებელ.

ხოლო ამას ღამესა შინა მეჩვენა მე კვალად იგივე დედაკაცი და მეტყოდა: «უწყია, ვინ ვარ მე?» — და მრქუა: «მე ვარ იგი, რომლის თანა იყავ შენ წყალობა და არა შემეხენ კორცთა ჩემთა ღმრთისათვის, არამედ გამოიქსენ ქმარი ჩემი მწარისა სიკუდილისაგან და საპრობილისა მიერ და მეცა მიერთგან მყავ განუცდელ მეძაობისა პურისა. და არცა სიყმილითა მოკუდა ქმარი ჩემი. ამისთვის გიქსენ შენ მეცა შეჭირვებისაგან», რადგანაც დიდ არს ძალი ქველის საქმისაო (A112, გვ. 103—105).

საყურადღებოა აგრეთვე 2 ნოემბრის მოსახსენებელთა შორის ჩართული თხრობა „წმიდისა სერაპიონისათვის, თუ ვითარ აცხოვნა მეძავი“. მისი შინაარსი ასეთია:

„ბერი ვინმე იყო სახელით სერაპიონ. და იყოფებოდა უღაბნოსა შინა. ხოლო ერთგზის წარვიდა ქალაქსა შინა საქმარისა რისთვისმე, ძხილა მეძავი და ეტყოდა მას: «ნურვის წარიყვან შენ თანა, რამეთუ მე მოვიდე მწუხრ შენ თანა». ხოლო მან აღუთქვა მას ესრეთ ყოფად. და მივიდა ბერი პაემანსა მას და ეტყოდა მას: «დამითმინე მე მწარედ, რამეთუ ჩვეულება მაქვს, რათამცა აღვასრულო იგია ხოლო მან ჰრქვა: «აღასრულე, მამაო». დადგა სახლსა შინა და იწყო თქმად პირველსა ფსალმუნსა. და დადგა სხვად ვიდრე მეთოთხმეტე ფსალმუნადმდე და თვითოეულსა ფსალმუნსა ზედა ჰყოფდა სამ-სამსა მეტანიასა. ხოლო ესე დგა ზურგით კერძო ბერისა და იყო შეწუხებულ. ხოლო ბერი იგი გულსმოდგინედ ევედრებოდა ღმერთსა მეძავისა მისთვის, რათა აცხოვნოს იგი. და შეისმინა მისი ღმერთმან და მუნვე წმიდისა მის ბერისა ფერკთა შეუერდა, ევედრებოდა და ეტყოდა მას: «ჰყავ სიყვარული, მამაო, და წარმიყვანე მე, სადაცა გენებოს შენ, რათა მეცა ესცხონდე, რამეთუ ამისთვის მოგავლინა შენ ღმერთმან ჩემდა». ხოლო მან წარიყვანა იგი და მიიყვანა მონასტერსა დედათასა და ჰრქვა დედათა წინამძღვარსა: «მიითვალე, დედაო, დაჲ ესე ჩემი და ნუ მისცემ ამას კანონსა, არამედ ვითარცა უნდეს, ეგრეთ იყავნ». ხოლო ეგო იგი მცირე ჟამ და ჰრქვა: «დღე გამოშვებ[ა] მნებავეს ქამაჲ საქმლისა, ვინამთგან ფრიად ცოდვილ ვარ. და საკმლით მომცემლით მე საქმელსა და წყალ-

სა და ქელთ საქმარსაცა, რათა ვქმოდგუ, ესრეთ შეინანა და სათნო ეყო ღმერთ-სა და ცხოვნდა და მიიცვალა უფლისა მიმართ“ (A112, გვ. 118—119).

რუსული „პროლოგ-სვინაქსარი“ მსოფლიო ქრისტიან საეკლესიო მოღვაწეთა და წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის გარდა აფორისტულ დარიგებებს, სენტენციებსა და ზნეთსწავლულების მრავალ ამბავს შეიცავს. ამ მხრივ „პროლოგი“ გვევლინება მორალისა და ეთიკის მქადაგებელ წიგნად, რომლითაც იზრდებოდა და იწვრთნებოდა მრავალი თაობა. დიდაქტიკოსმა და მორალისტმა არჩილმა ქართველ მკითხველებს მიაწოდა მაღალი ზნეობის მლაღადებელი წიგნი, სადაც ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მოსახსენიებლების შეტანაც არ დაეწეება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. როგორც უკვე გამოჩვენულია რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში XII საუკუნეში „პროლოგ-სვინაქსარი“ ბერძნულიდან რუსულად ითარგმნა რამდენიმე ავტორის მიერ. ნაწარმოებში სხვადასხვა დროს შესულა ამა თუ იმ ისტორიულ პირთა თუ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი დიდძალი მასალა, რამაც თავის მხრივ, განაპირობა ამ თხზულების პოპულარიზაცია.

2. არჩილი დაინტერესდა ამ თხზულებით და იგი მის თარგმანს შეუდგა. თარგმნის პროცესში არჩილს ზოგი რამ დაუმატებია, ზოგიც გამოუკლია ტექსტისათვის; ქართველებისათვის უცხო რუს მოღვაწეთა ცხოვრება არჩილს თარგმანში არ შეუტანია. არჩილმა მოგვცა სლავურ-რუსული პროლოგ-სვინაქსარის განსაკუთრებული რედაქცია.

3. „პროლოგ-სვინაქსარის“ თარგმანი არჩილს უნდა შეესრულებინა 1699—1705 წლებში.

4. „სვიმეონ პოლოცკის სიტყვა“ ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ 1705 წლამდეა თარგმნილი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველას სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

ნანა შაბაძე

„ნისიმეს ცხოვრების“ არაბული და ქართული
შერსიები

„ნისიმეს ცხოვრება“ ადრეული ქრისტიანული ეპოქის საინტერესო ძეგლია. მასში მოთხრობილია ეგვიპტელი ქრისტიანი წმინდანი ქალის ნისიმეს ცხოვრება და მოღვაწეობა. თხზულება ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა. იგი მნიშვნელოვანია სამონაზვნო ცხოვრების ყველაზე ძველი საფეხურის, ეგვიპტურ მონაზვნობის შესწავლის თვალსაზრისით¹. მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. „ნისიმეს ცხოვრების“ არაბული, სირიული და ქართული ვერსიების სახით ჩვენ ხელთა გვაქვს უძველესი ტექსტები (უძველესი ხელნაწერები IX—X საუკუნეებისა), რომელნიც საგულისხმო მასალას გვაწვდიან, როგორც არაბული ქრისტიანული ენისა და ლიტერატურის, ისე ქართული ენისა და ქართული თარგმანის ისტორიისათვის. არაბულ, სირიულ და ქართულ ვერსიათა ნუსხების სიმრავლე მიუთითებს ამ თხზულების გავრცელებულობაზე ქრისტიანულ აღმოსავლეთში.

ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია „ნისიმეს ცხოვრების“ შემცველი 18 ნუსხა, ორი ხელნაწერია ბოდლეს ბიბლიოთეკაში². ამათგან უძველესია A—249, IX საუკუნისა³; მას მოსდევს XIV საუკუნის ხელნაწერი A—146⁴, XV საუკუნის A—382⁵; XVI საუკ. თარიღიანი ხელნაწერი A—126 (1586 წ.)⁶. დანარჩენი ხელნაწერები XVIII—XIX საუკუნეებისაა⁷.

¹ ამ საინტერესო მოვლენის ამსახველი მრავალი პირველწყარო არსებობს, რომლებიც ადრეულ საუკუნეებში ითარგმნა ქრისტიანული სარწმუნოების მატარებელი თითქმის ყველა ნალხის ენაზე. მათი შესწავლისა და გამოცემების საფუძველზე შეიქმნა დიდადი სამეცნიერო ლიტერატურა. Lucius-ის, Amelineau-ის, Rosweid-ის, Meursius-ის, Budge-ს, Assemani-ის, Butler-ის, Grünzacher-ის, Bedjan-ის, Agn. Smith Levis-ის და სხვათა მიერ გამოცემული და შესწავლილია ის ბირველწყაროები, რომელნიც იძლევიან მასალას ეგვიპტური მონაზვნობის ისტორიის შესწავლისათვის. ქართულ ენაზე არსებული „ლავსაჲოკნი“, თარგმნილი უფრომ მეორეს მიერ (№ 18 A—143, A—154, A—164, A—166. და სხვა) გამოცემული არაა, ასევე არაა გამოცემული „პატრიარქის ცხოვრება“ (№ S—170), „პაეღ თებლის ცხოვრება — (№ S—13. 8; A—95) და სხვ. „ანტონი დიდის ცხოვრება“ გამოცემული იქნა 1970 წელს ე. იმანიშვილის მიერ.

² Barrett David, Catalogue of the Wardrop collection and of other georgian books and manuscripts in the Bodlean library, Oxford University Press, 1973. Ms. Wardr. e. 1, 1784; Ms. Wardr., e. 2, მე-18 ს., გვ. 341.

³ Ф. Ж. Данил, Описание рукописей Тифлисского церковного музея, 1902. გვ. 261

⁴ იქვე, გვ. 153.

⁵ იქვე, გვ. 374.

⁶ იქვე, გვ. 143.

⁷ A—518 (1708), A—161 (1738), A—643 (XIX.), A—851 (XIX), A—653 (XIX), H—286 (1853), H—947 (1864), A—1762 (XIX), H—2281 (1793), S—134 (XVIII), S—139 (XVIII), S—300 (1779), S—3640 (XIX), A—1050 (1801).

არაბული ვერსიის ხელნაწერთაგან უძველესია სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში დატული Sin—542 (IX—X სს.)⁸. ამავე კოლექციისაა Sin—538 (1211 წ.)⁹ და Sin—469¹⁰ (XIII ს.).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოიპოვება კარშუნით შესრულებული მრავალი ნუსხა, რომლებიც მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებშია გადაწერილი¹¹.

სირიულ ხელნაწერთაგან უძველესი VIII საუკუნისაა. ეს ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს, რომლის პირველი ფენა IV საუკუნეშია შესრულებული. მეორე ფენა კი შეიცავს წმინდანთა ცხოვრებას და გადაწერილია VIII საუკუნეში ანტიოქიის მახლობლად მდებარე ლეთისმშობლის სახელობის მონასტერში ბერის იოანე მესვეტის მიერ¹². მას მოსდევს ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერები № 14050 (IX ს.) და № 14669 (1186 წ.)¹³. პარიზის ნაციონალური მუზეუმის ხელნაწერები №№ 345, 346 (XII ს.)¹⁴ და ბერლინის ხელნაწერი № 74 (1645 წ.)¹⁵.

„ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსიის შესახებ კ. კეკელიძემ 1911 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა¹⁶ ქართული ტექსტის რუსული თარგმანით, რომელშიც შეეხოა ძველის შედგენილობისა და მისი წარმომავლობის საკითხს. მისი აზრით, პალადი ელენოპოლელის „ლაესაიკონში“ მოცემული ცნობები ამ წმინდანის შესახებ გამოიყენა უცნობმა ჰაგიოგრაფმა და შექმნა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზეა შენახული. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ქართულ ენაზე თხზულება ნათარგმნია კოპტურიდან¹⁷, თუმცა იგი არ გამოიციხავს მისი არაბულიდან თარგმნის შესაძლებლობასაც¹⁸. პ. პეტერსმა ამ გამოკვლევაზე დაწერილ რეცენზიაში უმართებულოდ მიიჩნია კ. კეკელიძის მოსაზრება ქართული ვერსიის კოპტურიდან მომდინარეობის შესახებ და მიუთითა, რომ არსებობს ამ თხზულების სირიული ვერსია. მისი აზრით,

⁸ A t i j a A. S., The arabic manuscripts of mount Sinai, Ballimore, 1955, გვ. 22.

⁹ იქვე, გვ. 21.

¹⁰ იქვე, გვ. 15.

¹¹ Baumstark, Die liturgische Handschriften des Jakobitischen Markus-Klosters in Jerusalem №№ 106, 107; Addai Scher, Notice sur les mss syriaques et arabes conserves a l' archeveche chaldeen de Diarbekir, Paris, 1908; № 145; Sachau, Verzeichnis der syrischen Handschriften der Königl. Bibliothek in Berlin, 1899, Berlin, №№ 110, 112, 215. Catalogue of the Mingana collection of manuscripts, now in the possession of the trustee of the Woodroffe settlement Selly Oak. Birmingham, t. 1, №№ 138, 146, 200, 299; Bibliothèque de manuscrits Paul Sboth. Catalogue, t. 1, 1928, Caire, № 391. Pyne R. Smith, Catalogi codicum manuscriptorum Bibliothecae Bodleanae. Pars Sexta. codices syriacos, carschunicos, Oxonii, 1864, № 151. L. Cheichho, Catalogue raisonne des manuscrits de la Bibliothèque orientale in Melanges de l'Universite st. Joseph. Beyrouth, 1913, №№ 623, 628.

¹² Agnes Smith Lewis, Select narratives of holy women, Studia Sinaitica, № IX, 1900, გვ. V.

¹³ Catalogue of the syriac manuscripts in the British Museum, by W. Wright, 1872, გვ. 1107 და 1109.

¹⁴ Zolenberg, Catalogue des mss. Syr. de la Bibliothèque Nationales, გვ. 186.

¹⁵ იხ. Sachau-ის მითითებულ აღწერა, გვ. 285.

¹⁶ К. Кекелидзе, Эпистола из истории египетского монашества. Труды Киевской духовной Академии, 1911, февраль-март. იგივე შრომა ვუმოპოვეთილ იქნა 1961 წელს სერიაში „აბრეშები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, VII, გვ. 76--101.

¹⁷ იქვე, გვ. 92.

¹⁸ იქვე.

პალადი ელენოპოლემა ისარგებლა რომელიღაც ბერძნული წყაროთი. ბერძნულივე უნდა იყოს წყარო ქართული და სირიული ვერსიებისთვის¹⁹.

1918 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ტექსტი. გამოცემის წინასიტყვაობაში ეჭვი შეიტანა ამ თხზულებისა და პეეტერსის მიერ მითითებულ „Onesima“-ს ცხოვრების იგივეობაში. მან დაბეჭდილებით გაიმეორა, რომ „არც ბერძნული, არც კობტური და არც ასურული დედანი ამ საინტერესო თხზულებისა არ შენახულა“²⁰.

პეეტერსის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილია სირიული „Onesima-ს ცხოვრების“ შემცველი ბრიტანეთის მუზეუმისა და პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ხელნაწერები. იქვეა მითითებული სირიული ტექსტის ორი გამოცემა²¹.

ჩვენ შევეუდარეთ სირიული და ქართული ტექსტები ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე თხზულების ვერსიებთან. ხელნაწერთა აღწერილობებისა და ამ ხელნაწერებზე არსებული ლიტერატურის მეშვეობით²² შესაძლებელი გახდა მიგვეკვლია არაბული ვერსიის შემცველი ნუსხებისათვის, რომლებიც მრავლად მოიპოვება ევროპისა და აზიის წიგნთსაცავებში დაცულ ქრისტიანულ ხელნაწერებში²³.

ჩვენ ხელთ გექონდა არაბული ვერსიის სინური ხელნაწერის მიკროფილმი²⁴, კარშუნით შესრულებული მინგანას კოლეჯის ხელნაწერთა მიკროფილმები²⁵, სირიული ვერსიის ორი გამოცემული ტექსტი²⁶, ქართული ხელნაწერები²⁷, ქართული გამოცემული ტექსტი²⁸ და დანარჩენ ხელნაწერთა მეტნაკლებად ვრცელი აღწერილობანი.

ვერსიების შედარებითი შესწავლა საყურადღებო მასალას იძლევა თხზულების შედგენილობის საკითხის კვლევისათვის. როგორც გამოირკვა, თხზულება სამ ნაწილად უნდა გაიყოს: 1) წმინდანის ცხოვრება მონასტერში წასვლამდე; 2) წმინდანის ცხოვრება მონასტერში; 3) ამბავი მისი მოღვაწეობისა მონასტრიდან წასვლის შემდეგ.

ქართულ ხელნაწერებში ეს თხზულება სამი სახით გვხვდება: 1) თხზულება მთლიანად, ე. ი. სამივე ნაწილი²⁹, 2) I და II ნაწილები³⁰, 3) II ნაწილი³¹. ყველა შემთხვევაში ამ ნაწილებს აქვთ დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე.

¹⁹ P. Peeters, *Anacta bollandiana*, t. XXXI, Paris, 1912, გვ. 478—479.

²⁰ კ. კეკელიძე, „კიბენი“, 1918, თბილისი, გვ. XLVI.

²¹ P. Peeters, *Bibliotheca hagiographica Orientalis*, 1910, Bruxelles, *Subsidia hagiographica*, № 10, გვ. 178.

²² G. Graf, *Der christlichen arabischen Literatur*, I, გვ. 529.

²³ იხ. შენიშვნა № 12.

²⁴ ეს მიკროფილმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკის შეადგენილობით მრეწველობის მინისტრის ბიბლიოთეკის დირექტორის ე. ი. კონგაძის კონგრესის ბიბლიოთეკიდან.

²⁵ იმავე ვხვთ მივიღეთ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მინგანას სირიული ხელნაწერების მიკროფილმები: № 229, 200, 352.

²⁶ I. *Acta martyrum et sanctorum*, ed. Bedjan, B. VII, 1895, გვ. 405—421; *Select Narratives of holy women*, ed. Agn. Smith. Levis. *Studia Sinatica*, IX, 1900, გვ. 81—93.

²⁷ იხ. შენიშვნა, № 8.

²⁸ კიბენი, I, კ. კეკელიძის გამოცემა, 1918, თბილისი, გვ. 205.

²⁹ ხელნაწერები №№ A—249, A—146, A—382, A—126, A—518, A—161, H—2281, S—134, A—1050.

³⁰ S—134, H—286, II—947, A—643, A—851, H—1762. S—3640.

³¹ A—300.

ჩვენს ხელთ არსებული სინური არაბული ხელნაწერი (Sin—542) სამივე ნაწილს შეიცავს³². კარშუნის ხელნაწერებიდან ზოგი სამ ნაწილს შეიცავს³³, ზოგი — თხზულების მხოლოდ I და II ნაწილებს³⁴.

სირიული ტექსტის ორივე გამოცემა შეიცავს I და II ნაწილებს, მაგრამ Bedjan-ი გამოცემულ ტექსტს ბოლოში ურთავს ორ მინაწერს: ერთი მას უპოვია პარიზის ბიბლიოთეკის ხელნაწერის (245) არეზე, ხოლო მეორე ბრიტანეთის მუზეუმის ერთ-ერთ ნუსხაზე³⁵. ეს მინაწერები წარმოადგენენ ფრაგმენტებს თხზულების III ნაწილიდან. თხზულების მხოლოდ მესამე ნაწილს შეიცავს ბერლინის სირიული ხელნაწერი № 74³⁶.

არაბული, სირიული და ქართული ტექსტების შესწავლამ გაარკვია ისიც, რომ სინას მთის ხელნაწერებში დაცული არაბული ტექსტი, რომელსაც ჩვენ სინური არაბული ვერსია ვუწოდებთ, ყველაზე ახლოს დგას ქართულ ტექსტთან. სირიული ვერსია ზოგი ელემენტით ემსგავსება სინურ არაბულ ვერსიას, აქედან გამომდინარე ქართულსაც, და განსხვავდება კარშუნით ნაწერი არაბული ტექსტისაგან. ხოლო ზოგჯერ იგი მიჰყვება კარშუნის და განსხვავდება სინური არაბული და ქართული ვერსიებისაგან.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს არაბული და ქართული ვერსიების ურთიერთმიმართების საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, სინური არაბული ვერსია ჩვენთვის ცნობილია ერთი ხელნაწერით Sin—542.

A. S. Atija-ს აღწერილობის მიხედვით ხელნაწერი პერგამენტზეა გადაწერილი, შედგება 285 გვერდისაგან. ფურცლების ზომა 23,5×15 სმ. თავბოლო ნაკლულია. წარმოადგენს პავიოგრაფიულ კრებულს. შეიცავს პალადი ელენოპოლის „ლავსაიკონს“, რომელსაც წინ უძღვის 15 თხზულება. ამათგან ერთი არის „ნისიმეს ცხოვრება“³⁷.

ჩვენს ხელთ არსებული მიკროფილმის მიხედვით Atija-სეულ აღწერილობას შეიძლება დაევმატოთ შემდეგი: ხელნაწერს აქვს სამი პაგინაცია: 1. ჩვეულებრივი, ევროპული, რომელიც ხელნაწერის აღწერის დროს უნდა იყოს შესრულებული, 2. პაგინაცია არაბული ასოებით, 3. პაგინაცია ქართული ასოებით³⁸.

როგორც მოსალოდნელი იყო, არაბული პაგინაცია იწყება მარჯვნიდან მარცხნივ, ქართული — მარცხნიდან მარჯვნივ. ქართული პაგინაცია ხელნაწერს ბოლომდე მიჰყვება. არაბული კი წყდება მე-12 რვეულზე (س).

„ნისიმეს ცხოვრება“ მოთავსებულია 95—116 გვერდებზე. თხზულების სათაური მიკროფილმში ცუდად იკითხება³⁹. იგი ნაწერი უნდა იყოს ღია ფერის პელნით.

³² იხ. Atija-ს. დასახ. აღწერილობა.

³³ მინანას სირიული ხელნაწერები №№ 200, 209, 352.

³⁴ იხ. Sachau, №№ 110, 112, 245.

³⁵ Bedjan, გვ. 419, 421.

³⁶ იხ. Sachau, გვ. 235.

³⁷ Atija, გვ. 22.

³⁸ ქართული პაგინაცია არაბულ ხელნაწერზე შენარჩუნდა აქვს E. მარსი «Крестное знамя,福音, 1871, и др. св. Григорием, СПб., 1905, გვ. 163. პანას მთის ქართულ ხელნაწერს აღწერილობაში E. მარსი მოითხოვს აქვს არაბულ პაგინაცია და არაბული მინაწერები ქართულ ხელნაწერებზე.

³⁹ საფიქრებელია, რომ იგი ცუდად იკითხება ხელნაწერზეც. ეს უნდა იყოს მოწინააღმდეგე, რომ M. Gibson-ის აღწერილობაში წმინდანის სახელის **انسيم** ნაცვლად იკითხება **انسيم**. შეიძლება

თხზულების ბოლო სამი გვერდი დაზიანებულია. მარცხენა მხარე დიაგონალურადაა მოხეული. ცუდად იკითხება 96-ე და 102-ე გვერდების ბოლო სტრიქონები. ზოგი სიტყვა გადაშლილია და აღდგენის საშუალებას არ იძლევა. ტექსტი ნაწერია გარკვეული ხელით. ასოები ოდნავ კუთხოვანია⁴⁰. დიაკრიტიკული ნიშნების ხმარებაში გვხვდება ის მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია ქრისტიანული არაბული ხელნაწერებისათვის. ნაწარმოების ენა მარტივია, განსხვავებული კლასიკური არაბული ენისაგან⁴¹. ტექსტში გვხვდება გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომები.

არაბული და ქართული ვერსიების შედარებამ გამოავლინა, რომ ტექსტები თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ერთმანეთს, განსხვავებანი უმთავრეს შემთხვევაში ვარიანტულია. ზოგი მსგავსება-განსხვავების შესწავლამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეჩინა ბუნდოვანი ადგილები ქართულ ვერსიაში. არაბული და ქართული ტექსტების უფრო მკიდრო კავშირის გამოვლენით, ვიდრე ეს ვერსიათა მსგავსების დროს ხდება, გაჩნდა ვარაუდი ქართული თარგმანის არაბულიდან მომდინარეობის თაობაზე.

ჩვენ გვინდა შევიჩერდეთ სწორედ ამ მსგავსება-განსხვავებაზე და წარმოვადგინოთ მათი ანალიზი:

1. არაბული ვერსია

انا افعت سنين كثيره احمل كتب الفرس
الى الروم و كتب الروم الى الفرس و
لذلك اتخذت اصدا عمه في الاسكندريه
و خاصه شيخ واحد

მე მრავალი წლის განმავლობაში
დამქონდა წიგნები სპარსეთიდან სა-
ბერძნეთში და წიგნები საბერძნეთი-
დან სპარსეთში და შევიძინე ალექსან-
დრიაში ბევრი მეგობარი. და კერძოდ,
ერთი ბერი.

ქართული ვერსიის „და ადვილი ქველის საქმარი ალექსანდრიად ფრიადი“-ს ნაცვლად არაბულ ვერსიაში გვაქვს „და შევიძინე ალექსანდრიაში ბევრი მეგობარი“. განსხვავება გამოწვეული უნდა იყოს არაბული *اتخذ* ზმნის პოლისემიით: გარდა მნიშვნელობისა „აიღო“, იგი ნიშნავს „შევიძინა“⁴². ხოლო *صديق* — *اصدا* (მეგობარი, გულწრფელი მეგობარი) გაგებულია, როგორც *صدا* (მოწყალეობა, ქველის საქმარი)⁴³.

ამიტომაც არც კ. კეკელიძისთვის და არც G. Graf-ისთვის არ იყო ცნობილი ამ თხზულების არსებობა სინაის მთის არაბულ ხელნაწერებში.

⁴⁰ იხ. Aliya, The arabic manuscripts of mount Sinai, 1955; Foreword, გვ. XXVI.

⁴¹ Biau, A grammar of christian arabic, 1966. G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, citis del vaticano, I, 1944.

⁴² გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილსი, 1951, გვ. 9.

⁴³ ბერძინის სირიულ ხელნაწერთა აღწერილობაში მოცემულია ამ თხზულებას მოკლე მანა-არაბული. ამ მინიშნის მიხედვით ზემოთხსენებული ადგილით სირიული ვერსია მხარს უჭერს არაბულ სინურ ვერსიას. (Ich befanderte briefschafften von den Persen zu den Römern und umgekehrt hatte in Alexandrien viele Freunde, so eine Gries). კარშუნის ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში ეს ნაწიელი საერთოდ არ არის.

ამ ნაწყვეტს როგორც არაბულ, ისე ქართულ ვერსიებში უშუალოდ მოსდევს ამბავი სწორედ ალექსანდრიაში გაცნობილი ბერისა:

وخاصه شيخ واحد مبارك مزين بجميع
الاعمال الصالحة

და კერძოდ ბერი ერთი კურთხეული შემკული მრავალი კეთილი საქმეებით.

2.

არაბული ვერსია

و في بعض الأيام كنت أنا و هو ذاهبين في حاجه فابتدا يقول لي أريد أخبرك بشئ فقلت له قول يا بنابه ما شئت و فيما نحن نمشي اخذت احدته اخبار اناس سواح مباركين كانوا في بلدنا و كنت انا ارجو ان اسمع منه قصص القديسين الذين كانوا في بلدنا فقلت له يا بنابه قول انت

ერთ დღეს მე და იგი მივდიოდით საქიროებისათვის. და დაიწყო და მიმზრა მე: მინდა გიამბო შენ რაღაც, მე ვუთხარ: თქვი, მამაო, რაც გასურს და მაშინ, როცა ჩვენ მივდიოდით, მე დაიწყო თხრობა კურთხეული ხალხის მძოვართა ამბისა, რომელნიც იყვნენ ჩვენს ქვეყანაში და ველოდი, რომ მოვისმენდი მისგან თხრობას იმ წმიდანთა შესახებ, რომელნიც იყვნენ მის ქვეყანაში. და (ამიტომ) ვუთხარი მას: თქვი, მამაო, შენ.

ზემომოყვანილი ეპიზოდის ქართულ თარგმანში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. არაბული ვერსიის მიხედვით ანბა ზენონის ეკლესიის სტუმარი ბერი ამბობს: მე და ალექსანდრიელი ბერი მივდიოდით გზაზე. მე ვცეცებოდი ამბავს იმ მძოვრების შესახებ, რომლებიც იყვნენ ჩვენს ქვეყანაში, ალექსანდრიელმა ბერმა მითხრა: მინდა გითხრა რაღაც. მე ვიფიქრე, რომ ასლა იგი მიამბობს იმ მძოვრების შესახებ, რომლებიც არიან მის ქვეყანაში, და ვუთხარი მას: თქვი, მამაო, შენ...“ ქართულ ვერსიაში კი ანბა ზენონის სტუმარი ბერის მოქმედება მიუწერება ალექსანდრიელ ბერს. ე. ი. არაბული **اخذت احدته اخبار اناس سواح** გადმომთარგმნილია: „აღიღო ჰანბავი და მითხრობდა კაცთა წმიდათასა“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ზმნა პირველი პირის ნაცვლად შესამე პირშია ნახმარი, ქართული „აღიღო ჰანბავი და მითხრობდა“

რ იყო ბერი ერთი შეუენიერი და ყლითურთ შემკული საქმითა კეთილითა.

ქართული ვერსია

და შემდგომად დღეთა მრავალთა მე და იგი წარვიდოდეთ საქმრისათვს. მაშინ იწყო და მრქუა მე: მნებაეს რა გითხრა რამემ. და მე ვარქუ მას: „ჰე, თქუ მამაო, რაღცა გნებაეს“. და რწ ვილოდეთ გზასა. მაშინ აღიღო ჰანბავი და მითხრობდა კცთა წთსა, რწნი იყენეს ქყნასა რწნსა და მე ვიყავ მათ თანა და მესმა მათგან ცხორებაჲ მამათაჲ, რწნი იყენეს ქყნასა მათსა, და ვარქუ: ჰე, მამაო.

არის არაბული اخبر احدًا اخذت-ის სიტყვისიტყვითა თარგმანი. اخذ ზმნა მომდევნო იმპერფექტივთან ნიშნავს „დაიწყო“ და ზმნას აძლევს წარსულდროის უსრული ასპექტის მნიშვნელობას⁴⁴, ე. ი. اخبر احدًا اخذ თარგმანი იქნებოდა „დაიწყო თხრობა ამბისა“.

ქართულ მთარგმნელს კი اخبر გაგებულნი აქვს اخذ — ზმნის პირდაპირ დამატებად, სოლო احدًا მეორე შემასმენლად. მთლიანად წინადადება გამოვიდა გაუმართავე, რადგან მსაზღვრელი „კაცთა წმიდათასა“ დარჩა სასღერულის გარეშე. ეს შემჩნეული იქნა შემდეგდროინდელი გადამწერები: მიერ, რომლებიც შეეცადნენ ასე გაუმართათ წინადადება: „აღილო პანბაეი და მითხრობდა თხრობასა შუენიერსა კაცთა წათასა“⁴⁵. გადამწერისათვის უჩვეულო იყო გამოთქმა „აღილო პანბაეი“ და გვიანდელ ხელნაწერებში ამ წინადადების ასეთი ვარიანტი შეიქმნა: „აღალო პირი და პამბაე მიყო და მითხრობდა“.

3. წმიდა ნისიმე ერთ დღეს კითხულობდა საპატრიარქოს და წააწყდა იმ ავგილს. სადაც იესო ქრისტე ეუბნება მდიდარს: წადი და გაპყიდე ყოველგვარადა გაქვს და მიეცე გლახაკთ. რათა გქონდეს საფასე კათა შინა“⁴⁷. ნისიმე ამოიოხრა და თქვა:

არაბული ვერსია

ويلي ابي من صباي اقرا في كتب الله
وحسنه واحده تجا الله او قدام الناس
لم اعلم

ქართული ვერსია

„ვაიმე, რანეთუ მე სიყრმით ხე
აითგას ვიკითო ვ წერილთა საღმრ.
ოოთა და არ ვყავ შუენიერად ერ-
თიცა წე ღმრთისა გინა თუ კაცთა.“

ვაიმე, რომ მე ჩემი ბავშვობიდან ვკითხულობ საღმრთო წიგნებს და ერთი კეთილი საქმე ღმრთის წინაშე. ან აღამიანთა წინაშე არ მიქმნია.

ჩვენის ძროხით, არაბული წინადადების პირდაპირი თარგმანია „და თილი საქმე“. დასმული აკუსაცივში. ქართული მთარგმნელის მიერ გაგებულთა ვითარების გარემოებად — შუენიერად, გვიანდელი გადამწერების მიერ წინადადების განსართვის მიზნით შეიქმნა ამ წინადადების ვარიანტები:

- „და ვერა ვყავ ნებამ მისი წესიერად წე ღმრთისა გინა თუ კაცთა“⁴⁸.
- „არა რამ ვყავ ნებამ მისი წესიერად წე ღმრთისა გინა თუ კაცთა“⁴⁹.
- „არა ვყავ ერთიცა შუენიერად წე ღმრთისა გინა თუ კაცთა“⁵⁰.
- „არა ვყავ ერთიცა შუწნიერება წე ღმრთისა გინა თუ კაცთა“⁵¹.

⁴⁴ Ю. И. Куликов, Краткая грамматика арабского языка, Arabische Grammatik, Leipzig, 1962, 123.

⁴⁵ №№ А 136, А 137, А 161; II - 2221; S - 13; А - 136; (ს. 74) ჩაიხ. ს. 136. ⁴⁶ Ich ging mit ihm in seine Zelle und erzählte ihm die Heiligengeschichten unseres Landes. ⁴⁷ „არაბული“ ⁴⁸ А 362. ⁴⁹ А 516. ⁵⁰ А 161. ⁵¹ А 136.

„და არცა ერთსა აღვასრულებ შუჭნიერად წეღისა გინა თუ კაცისა“⁵², სირიული ვერსია ისეთსავე წაითხვას გვიჩვენებს, როგორსაც არაბული:

uai lī, ahā min ʔaljūt nṣṣja-na baklābē, allahāiē, ʔahdā šaḫḫirā lyaṭ ʔlāhā ān lyaṭ bnajinānā lā ʕelēdēṭ.

„ვამე, რომ ბავშვობიდან ესწავლობ საღმრთო წიგნებს და ერთი კეთილი საქმე ღვთის წინაშე, ან აღამიანთა წინაშე არ მიქმნია“.

კარშუნის ვერსია მხარს უჭერს არაბული ვერსიის წაითხვას:

الويل لى انا الذى درست الكتب المقدس و لم اعمل حسنه واحده قدام ابيد
يوع المسيح و جميع مع واحد من الناس⁵⁴

4. მძოვრებისაკენ მიმავალი ალექსანდრიელი ბერი ამბობს:

არაბული ვერსია

ქართული ვერსია

و كنت انظر الى الطريق بلقانى مثل رياح
المركب الساژ الهى და ვიხილე გზასა ვრ ნავსა ჰვეანდა
მარკა საჯაჲსა

და ვნახე გზაზე შეგვხვდა ჩვენ
შსგავის ზურგის ქარისა, სასიამოვნო
და სიხარულის მომტანი.

არაბული **المركب** -ის — „ზურგის ქარის“ — ნაცვლად ქართულში გეაქვს ამ ილიომის მხოლოდ მეორე სიტყვა **المركب** — „ნავი“. საფიქრებელია, რომ მთარგმნელმა არ იცოდა ამ ილიომის მნიშვნელობა, რის გამოც უკუგდებულა **رياح** და ამასთან დაკავშირებით **الساژ** და **الهى**, რომლებიც **مركب**-ის ეპითეტებად აღარ გამოდგებოდა⁵⁵.

5. უდაბნოში მარტოდ მყოფი წმიდა ნისიმე სწუხს:

არაბული ვერსია

ქართული ვერსია

ليس احد يقاومنى ولا يكلمنى ولا يحزنى
ჩემდა არავინ არს მოურნე და არ-
ცა მეტყვის ვინ რასა და არცა შემა-
წუხებს.

არაა ვინმე, ვინც წინააღმდეგობას
გამიწევს მე და არ მაწყენინებს მე (ვინ-
ზე) და არ შემაწუხებს მე.

ჩვენი აზრით, სხვაობა ქართულ და არაბულ ვერსიებს შორის გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

ა. არაბული **يقاومنى** (قاوم — წინააღმდეგობა გაუწია) ქართველ მთარგმნელს გაგებულნი აქვს ორ სიტყვად: **يقا** და **منى**. **وقى** — დაიცვა, მხრუნელობა გაუწია, გაუფრთხილდა.

⁵² A—286.

⁵³ Bedjan, Acta martirum... ტ. VII, გვ. 407.

⁵⁴ ვაი მე, რომელიც ეწავლობ წმინდა წიგნებს და არ მიქმნია ერთი კეთილი საქმე მეუფის
ჩემს ჭრისტეს წინაშე და არც ერთი კაცისთვის.

⁵⁵ კარშუნის ვერსიის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხეებში ეს წინადადება საერთოდ არაა.

ბ. არაბული კლ-ს შესატყვისად ქართული ტექსტის მთარგმნელს აღებული აქვს ამ სიტყვის გავრცელებული მნიშვნელობა: გამოელაპარაკა, სიტყვით მიმართა. მაგრამ კლ-ს I-სა და II თემაში აქვს მეორე მნიშვნელობაც: ღაპრა, კრილობა მიიყენა. გული ატკინა. აწყენინა³⁰. სწორედ ამ მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახშიარი ზემო მოყვანილ წინადადებაში.

სირიული ვერსია ჩვენს თვალსაზრისს უკერს მზარს:

lūt uā dāḡḡe ʿam glā dambhased li, glā glēḡā dangāshch ʿam yclpē
bēh.

ქართული ვინააჩსიცი ასეთია:

ليس من يمعني او ياتيني او اخاطعتني

არაა ვისმე. ვიაც წინააღმდეგობას გამიწევს მე. ან გამიციხვს მე. ან შემიწროვებს მე.

6. აღუქსანდრაელი ბერი ელოდება უღანსოდას მძოვართა მოურნე ბერს. რომელმაც დაუჩინა მას მოსვლის დრო და ამაზობს:

არაბული ვერსია

ქართული ვერსია

حيث نفسي و اقامت اترجا الشيخ لياتي
كما اوعدني

სული ჩემი განმზადებული იყო
რა მოვიდეს და ბერი იგი ვა აღ-
მოიქცეს.

მოვემსახე (მივამსადე თავი სეი) და დაეიწყე ლოდინი ბერისა. რომ მოსულიყო. რივირც დაპირდა მე.

სიტყვას არაბულში, გარდა მნიშვნელობისა „სული“. აქვს პირდაპირი ანალოგია „იოს მნიშვნელობა“. ჩვენს მაგალითში ათარგმნელი იყენებს ამ სიტყვის პირველ მნიშვნელობას.

სიტყვა „حيث نفسي“ -- ამოვანსადე ჩემს თავის-ს ცვლად რეჟინლია ასე „სული ჩემი განმზადებული იყო“.

7. ნისი წაგნებმა დაბინავეს მამსკტრის შესასვლელთა მდებარე სენაკში:

ვერსია

ქართული ვერსია

و فيه كانت تمام تدخل وتخرج و
كانت تخدم خدامها كلها

იყო ევლიდა ქამსა ძილისსა. შევიდის და მტრე განვიდის და ქმნა სერგბნ ყელსავე.

და იქ ექონა სილიე. შევიდოდა და განმოდოდა და ავიდებ. ყველას საქმეს (და მსაჯრებულა ყველას სამსაქრს).

كان (იყო) — მომდევნო იმპერატორთან ზმასს აქლევს სოღმეობის მნიშვნელობას. تمام كانت ბინაჯს: ეძინა სილიე ქართულში გეოს სილიე. თი თარგმანი: აიყიდებოდა ქამს სილიე.

³⁰ ი. ე.

8. წმინდა ნისიმეს შესახებ ნათქვამია:

არაბული ვერსია

كانت مدمنه على قراء كتب الله من تلك
ساعات من النهار الى تسعة ساعات طول
اياما

ქართული ვერსია:

იკითხავნ მარადის წიგნთა საღმრ-
თოთა სამ ეამითგან ვ ე ცხრა ეამამ-
დე დღეთა მისთა სიგრძესა.

და იყო მიდრეკილი საღმრთო წიგ-
ნების კითხვისაკენ სამი საათიდან დღი-
სა ცხრა საათამდე მთელი მისი სიცო-
ცხლის განმავლობაში.

არაბული გამოთქმა *اياما طول* ნიშნავს „მთელი მისი სიცოცხლე“, სიტყ-
ვასიტყვით კი „სიგრძე მისი დღეებისა“. ე. ი. ქართული „დღეთა მისთა სიგრ-
ძესა“ არის არაბული *اياما طول* სიტყვასიტყვითი თარგმანი.

სირიულ ვერსიაში ამ გამოთქმის შესატყვისად ნახმარია *kullhṣi jaumāṭā dḥajjā*—ყველა დღე მისი სიცოცხლისა⁶⁰. კარშუნით ნაწერ არაბულ ვერსიაში ეს წინადადება საერთოდ არ არის.

9. წმიდა ნისიმე ფიქრობს წაიღეს მონასტერში და იქ ემსახუროს მონა-
ზენებს,

არაბული ვერსია

و اغسل ارجلهم و اتيح التعيين و النصين
و قوم على الغربا

ქართული ვერსია

დავჰბანდე ფერკთა მათთა და გა-
ნუსუენებდე მაშურალთა და ვიყო
ვ ა უცხოა.

და დავბანო ფეხები მათ და მოვას-
ვენო დაღლილნი და მშრომელნი და
უცხოობაში მყოფი ხალხი⁶¹.

არაბული ვერსიის *قوم على الغربا* ნაცვლად ქართულში გვაქვს
„ვიყო ვ ა უცხოა“. ჩვენის აზრით, აქაც არაბული ტექსტის ცუდად გაგებასთან
გვაქვს საქმე. *قوم* — ხალხი — აქ გაგებულია *ق* — ზმნად, რომელსაც სხვა
მნიშვნელობასთან ერთად აქვს მნიშვნელობა „დარჩა, დაჰყო“, *على* ნაწილა-
კით — „შეჩერდა რამეზე“⁶².

10. ალექსანდრიელი ბერი ეკითხება მძოვართა მეურვე ბერს, რომელმაც
წაიყვანა იგი უდაბნოში, როგორ მოიქცეს. ბერი პასუხობს:

არაბული ვერსია

قال اجلس الى جانب هذه الصخره التي
عند ينوع الما واصمت و اختفى ليلا يراك
احد فان امكنتك قطعاع و لا يراك منهم
انسان لان الابهات كلهم ياتون واحد واحد

ქართული ვერსია

მან მრქუა მე: დაჯედ გუერდით
ამას კლდესა, რ^ალსა წყაროა გა-
მოდის და დუმენ და დაიმალე, რ^ა
არაეინ განახოს ყ^ალდეე. და აჰა იწ-
ყეს მამათა მოსლვად თითოეული და

⁶⁰ იხ. Bedir-n. გვ. 466; Agn. Smith Lewis... გვ. 81.

⁶¹ სირიული ვერსია მხარს უჭერს არაბულ სინურ ვერსიას.

⁶² გ. წე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 205.

فاذا التاموا جميع دخولوا الى الهيكل
بالصلاه و حينئذ ادخل انت خلفهم و لا
يشعرون بك حتى اتيك و الذى تسمع و
تبصر احفظه فى قلبك ففعلت كما امرنى
فلما جاز وقت تسعه ساعات بدو الابهات
ياتون واحد واحد كما قال لى

შევიდოდეს ტაძარსა ლოცვად. მაშინ მოვიდა ბერი იგი წ^ა და მრქუა: ნუ შეხუალ შენ შემდგომად მათსა, რ^ა არა ცნან შენთვის და იელტოდიან, ხე გულსა შენსა. და ვყავ, ვ^ა მამცნო მე ბერმან და ვ^ა წარქდა ჟამი ა^დ, რ^ლ გესმას და იხილო, დაიმარმეცხრე, იწყეს მამათა მოსლვად თითოჲ, ვ^ა მრქუა მე.

და მითხრა: დაჯექ ამ კლდის გვერდით, რომელიც წყაროსთანაა. ჩუმაღ იყავ და დაიმალე, რომ არ გნახოს ვინმემ. და თუ შესძლებ და მოახერხებ, არ დაგინახავს მათგან არაეინ, რადგან ბერები მოვლენ ყველანი თითო-თითოდ. და როცა შეიკრიბება ყველა, შევლენ ტაძარში ლოცვით. მაშინ შედი შენ მათ შემდეგ და ვერ იგრძნობენ შენს იქ ყოფნას. დადექ, სანამ მოვალ შენთან. და რომელიც ისმინო და იხილო, დაინახსოვრე. და ვქმენ ისე, როგორც მიბრძანა მე. და როცა შესრულდა ცხრა საათი, დაიწყეს მამებმა მოსვლა თითო-თითოდ, როგორც მითხრა მე.

ქართულ ვერსიაში ორჯერ განმეორება წინადადებისა „იწყეს მამათა მოსლვად“ გამოწვეულია იმიტ, რომ პირველ შემთხვევაში მთარგმნელმა დაუშვა შეცდომა

لان الابهات كلهم ياتون واحد واحد فان
التاموا جميع دخولوا الى الهيكل بالصلاه

რადგან მამები მოვლენ თითო-თითოდ და როცა შეიკრიბებიან, ყველანი შევლენ ტაძარში ლოცვით.

ქართულად გადმოტანილია უკვე მომხდარ ამბად: „და აჰა, იწყეს მამათა მოსლვად და შევიდოდეს ტაძარსა ლოცვად“.

მაგრამ, რადგან შემდეგ ისევ მძოვართა მეურვის დარიგება გრძელდება, აუცილებელი გახდა აქ წინადადების ჩამატება: „მაშინ მოვიდა ბერი იგი წ^ა და მრქუა“. და შესაბამად არის გასწორებული მთელი მომდევნო ტექსტი⁶³.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ტერმინმა, რომელიც ერთნაირად იხმარება, როგორც არაბულ ვერსიაში, ისე ქართული ვერსიის შესაბამის ადგილას.

1. ქართ. **კანარი** და არაბ. **قصر**

არაბ. ვერს. **كان قصرهم معاش بالحساب و العاج و النحاس**

⁶³ ასეთ დამახინჯებებზე მოუთხოვს კ. კეკელიძე, თავის გამოკვლევაში. ია ამ დამახინჯებებს გადამწერთა შეცდომებად თვლის. ეტყულება. VII. გვ. 92.

ქართული: „და იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პილომს-ძუალთა და სპილენძით“⁶⁴.

არაბული: **فصلت ثم انصرفت الى قصرها بفرح**
ქართ. და ვა ეზიარა, წავიდა კასრადვე თვისსა.

არაბული: **و خرجت فقامت على باب قصرها**
ქართ. ხოლო იგი განვიდა და დგა კარსა ზრა კასრისა თვისისა.

არაბ. **و صار الى باب القصر و قالت**
ქართული: რაჲ ესე ქმნა კარსა თანა კასრისა, თქუა.

ზრ. არაბულში ციხე-სიმაგრეს, სასახლეს ნიშნავს⁶⁵.

ქართულში ეს სიტყვა იშვიათად გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სამეფო სახლის მნიშვნელობით ამ სიტყვის განმარტებისას მითითებულია რომანოზ ახლის მეტაფრასტი⁶⁶.

„ნისიმეს ცხოვრება“ დამოწმებულია ფორმებთან „კასრაკი“ და „კასრაკი-სო“. მაგრამ იგი განმარტებულია ასე: „სახლაკივით რამ არს“. ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ ქართულ ხელნაწერში ეს ფორმები არაა. როგორც ჩანს, სულხან-საბა ორბელიანს ხელთ ჰქონდა რომელიმე სხვა ხელნაწერი, რომელიც ჩვენ არა ვვაქვს. გარდა ამისა, „ნისიმეს ცხოვრებაში“ ამ ტერმინს ოთხჯერ ვხვდებით, ოთხივეჯერ „სამეფო სახლის“, „სასახლის“ მნიშვნელობით.

„კასრი“ ნახმარია „ქართლის ცხოვრებაში“ ორჯერ:

ა. „ამისა შემდგომად მოვიდა არჩილი კახეთად... დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ქვესა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“.

ბ. „მასვე ჟამსა პიტიაზში ვინმე არა შეეშუნეს კლარაქეთს...“

... ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა, ერთსა მათგანსა... მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“. ჩვენი აზრით, ორივე ამ შემთხვევაში „კასრი“ — სასახლეს ნიშნავს⁶⁷.

ეს სიტყვა გვხვდება კიდევ ერთ ძველ ქართულ ნათარგმნ თხზულებაში — წაშება ვესტრატის, ექუსანტის, ევგენის, ორესტისა და მარდარიისი⁶⁸:

„შეაყენეს იგი მათთანავე საპყრობილესა მას შინა კასრისასა და აუწყეს ღუქსსა საქმს მისი“ და იქვე „მიეწია წსა მას მახლობელად კასრისა“.

ვფიქრობთ, რომ ორივე ამ წინადადებაში „კასრი“ ციხე-დარბაზის მნიშვნელობითაა ნახმარი⁶⁹.

⁶⁴ სირიულ ვერსიაში ამ სიტყვის შესაბამისად ვაქვს *dārtā* — სახლი, ხოლო კარშენით ნაწერ არაბულ ვერსიაში **دار الملك** — სასახლე მეფისა.

⁶⁵ გ. წ ე რ თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 199.

⁶⁶ ს. ს. ორბელიანი, გვ. 354 „რომანოზ ახლის ცხოვრება“ გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ ეტიუდების VII ტომში. ში-ი აზრით ამ თხზულების ავტორია სტეფანე საბაწმიდელი. თხზულება დწერილია არაბულად და აქედან მომდინარეობს ქართული ვერსია.

⁶⁷ ქართლის ცხოვრება, I: ჟ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ეახტანგ გორგასალისა, გვ. 243, 19 და გვ. 244, 19. ტექსტის გამომცემელს აჯად. ს. ყაუხჩიშვილს „კასრი“ საკუთარ სახელთა საბუბელში აქვს შეტანილი. დამოწმებული აქვს ზემოთ მოყვანილი ადგილები და განმარტაცს ციხედ.

⁶⁸ A—95. სიტყვას „კასრი“, ამ ძეგლში მივაკვლიეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული რუსთაველის „ეუფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კობიძის მასალების საშუალებით.

⁶⁹ ეს ნაწარმოები მთლიანად არაა გამოცემული. იგი დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—95), სიძინაც კ. კეკელიძეს დაბეჭდილი აქვს მხოლოდ ფრაგმენტები (ეტიუდები

2. ფარსახი, არაბ. فرسخ

عند ذلك خرجت الطوبانيه الى البريه مسيره فراسخ عده

„ამით და ესევითარითა განვიდა უდაბნოდ და ვერ ვლო მრავალ ფარსახს...“

قلت له و كم بعدهم من هاهنا فقال اربعمه مائه فرسخا

„და კლად ვპკითხე მას: რამზომ შორს არიან აქამთ და მან მრქუა მე: ოთხას ფარსახ“⁷⁰.

ფარსახი ქართულში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ფარსახი, ფარსანგი, ფარსაგი. ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც გვხვდება სხვადასხვა ფორმა. მაგ. „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიაში არის „ფარსახი“ და „ფარსაგი“⁷¹. ასევე „სამკურნალო წიგნში“ არის „ფარსანგი“⁷² და არის ფარსახი⁷³. ეს ტერმინი არის სპარსულში, ბერძნულში, არაბულში. ქართულში დადასტურებული რამდენიმე ფორმა ამ სიტყვისა, ჩვენი აზრით, მიუთითებს, რომ იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენიდანაა შემოსული.

3 მილიონ, ميل

اراد. ვერს. فرسخا سارنا مقدار واحد قال لي الشيخ

ქართ. ვერს. „და ვერ ვლეთ ჩუენ ზომით ვერ მილიონი ერთი, მრქუა მე ბერმან“⁷⁴. „გზა მყვა ვერ მილიონ ერთ და მოვიკითხეთ ურთიერთას. და წარვიდა ბერი ადგილად თვსა“⁷⁵. ميل არაბულში ნიშნავს გზის საზომ ერთეულს. ქართულ ვერსიაში იგი ბერძნულის შესატყვისი ფორმით გვხვდება: მილიონ (ბერძნ. μίλιον).

4. სიმინდი, سمند

فان اردت ان اخذ منك بركه فاعطيني صاعين من سمند و ربع واحد شراب

„უკუეთუ გნებაგს, რა ადვილო შენგან ევლოგიაჲ, მომეც მე სიმინდაჲ მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედი ღვნოჲ ზედაშედ“⁷⁶.

„სიმინდი“ ძველ ქართულ ტექსტებში გვხვდება სხვადასხვა წაკითხვებით:

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან). VIII, გვ. 10. შავალითებისთვის გამოიყენებოდა სპ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული „ე.ფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენ. კომისიის მასალები.

⁷⁰ სირიულ ვერსიაში فرسخ-ის ნაცვლად არის masiōnā, ხოლო კარშენით ნაწერ არაბულ ტექსტებში ორივე შემთხვევაში არის ფარსახი (فرسخ).

⁷¹ შაჰნამე, 1214, 1; 1521, 1.

⁷² სამკურნალო წიგნი კარაბადინი, 1950, 445, 12.

⁷³ იქვე, გვ. 420, 9.

⁷⁴ სირიულ ვერსიაში ეს ადგილი არ არის. ხოლო კარშენით ნაწერ არაბულ ტექსტებში ميل-ის ნაცვლად ნახვარია فرسخ

و لما سرنا قليلا افكرت باننا قد سرنا فرسخ واحد قال لي

⁷⁵ სირიულ ვერსიაში ეს წინადადება არ არის. დაზიანებულია ეს ადგილი არაბულ სინერ ვერსიაშიც, ხოლო კარშენით ნაწერ არაბულ ტექსტში კი გვაქვს ისევე فرسخ

و لما سرنا مقدار فرسخ في الطريق ارسلني و رجعت فوصلت الى مقامي

⁷⁶ ქართული ვერსიის დაბეჭდილ ტექსტში მეორეჯერადაა ნახსენები „სიმინდი“: „გამინ წარვედ მეწისქვლესა თან და მოუართუ სიმინდაჲ იგი“. მაგრამ X საუკუნის ზელნაწერში A—249, „სიმინდაჲ იგი“-ს ნაცვლად გვაქვს „სავმარო მისი“, რომელიც ზუსტად ემთხვევა არაბულ ტექსტს: فرسخ-ის ნაცვლად გვაქვს سمند, კარშენის ვერსიაში-ის ნაცვლად გვაქვს فرسخ-სიმინდა ფქვილი.

სიმინდაჲ, სიმინდოჲ, სამინდო, სამინდალი⁷⁷. გვხვდება იგი ბიბლიაშიც. ყველგან ნიშნავს ხორბლის წმინდა ფქვილს. არაბულში **سميد** ნიშნავს ხორბლის ფქვილს. „ნისიმეს ცხოვრების“ არაბულ სინურ ვერსიაში ჩვენ გვაქვს არა **سميد**, როგორც ეს მითითებულია არაბულ ლექსიკონებში, არამედ **سمند**, რაც ფორმით ემთხვევა ქართულს.

არაბულ და ქართულ ვერსიებში ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი გეოგრაფიული სახელწოდება: არაბული **بنطين** და ქართული — **ბანტასინი**.

وهي في اسكندرية المعروف بدير البنتين

„და იგი იყოფების ალექსანდრიას მონასტერსა ბანტასინს“.

„ნისიმეს ცხოვრების“ ქართულ ვერსიაში მხოლოდ ერთხელაა ეს ტერმინი ნახმარი. არაბულ ვერსიაში კი ორჯერ: ერთი ზემოთ მოყვანილ წინადადებაში და მეორე იქვე, რამდენიმე წინადადების შემდეგ. ცოტა განსხვავებულ ფორმით:

وانه قام و ذهب الى البنتين

ქართული ვერსიის პარალელურ ადგილას ეს ტერმინი წინადადებაში არაა ნახმარი. მონასტრის სახელწოდებად ყველა სხვა შემთხვევაში სინურ არაბულ ვერსიაში ნახმარია **دير الصوف** (შწკრივთა მონასტერი). ასევე იწოდება ეს მონასტერი კარშუნის ვერსიაში ყველგან. სირიულ ვერსიაში იხმარება **dairā dsefīrē**. რაც ზუსტი თარგმანია არაბული **دير الصوف**-ისა. ქართულ ვერსიაში კი, ვარდა ზემოთ მოყვანილი წინადადებისა, მონასტერს ეწოდება „მონასტერი ტაბენელთაჲ, ბენელთაჲ, ტიბნელთაჲ და ტაბენესელთაჲ“. სირიულ ერთ-ერთ ხელნაწერში გვაქვს **Tabnison**.

ე. ი. იმ მონასტრის სახელწოდებად. სადაც წავიდა წმინდა ნისიმე. გვხვდება: ტაბენესელთა (ქართულსა და სირიულში), ბანტასინი (ქართულსა და სინურ არაბულში) და შწკრივთა მონასტერი (სინურ არაბულში, კარშუნის და სინურ ვერსიებში).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ პალადი ელენობოლელის „ლავსაიკონის“, არაბულ ვერსიაში **بنطين**; გვხვდება ყოველთვის იქ, სადაც ბერძნულ ვერსიაში „ტაბენესელთა“ მონასტერზეა ლაპარაკი.

ჩვენთვის ძნელია ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიის გარკვევა. მაგალითი მოვიტანეთ აქ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გვხვდება არაბულ სინურსა და ქართულ ვერსიებში შესაბამის ადგილებში.

არც ერთი ეს ლექსიკური ერთეული არაბული წარმომავლობისა არაა. ისინი იხმარებიან არაბულ, ლათინურ, სირიულ, ბერძნულ, სპარსულ და ქართულ ენებში. მაგრამ მათი პარალელური არსებობა არაბულსა და ქართულ ვერსიებში შესატყვის წინადადებებში, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი საბუთია იმი, რომ „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული ვერსია სინური არაბული ვერსიიდან მომდინარედ ჩავთვალთ.

⁷⁷ იხ. „ოჯანეს გამოცხადება“. ძველი ქართული ენის კთედრის შრომები, 7, 1961, გვ. 27. „წიგნი საქიმოჲ“, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა. თბილისი, 1936, გვ. 151. ამ ტერმინის შესახებ გამოთქმული აქვთ მოსაზრებანი: ნიკო მარს (H. Я. Марр, Империум, толкование Песни песней, Т. P., V. СГ6., 1901, გვ. LXVIII) ი. ქ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბილისი, 1930, გვ. 364; ს. ჟ ი ჭ ი ა. შენიშვნები სიმინდ-სემბლარს შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX—XXXI, 1947, გვ. 444—446; ალ. დ ლ ო ნ ტ ი. ი. ჩუხინაშვილის „ქართული ლექსიკონი“, ბოლოიტყვა, გვ. 486—487.

ს ი ა ლ ა კ ა ხ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი

„ჟამნის“ ქართულად თარგმნის ისტორიიდან

ლიტურგიკულ კრებულებს ქართულ ენაზე თარგმნის დაახლოებით ერთ-ნაირი ისტორია აქვთ.

ქრისტიანობის მიღებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მაინც ქართველებს უკვე ნათარგმნი უნდა ჰქონოდათ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებისათვის აუცილებელი და საჭირო ლიტერატურა¹. რადგან პირველ პერიოდში საქართველოს ეკლესია დაკავშირებული იყო პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან, ამიტომ ქართულ ენაზე თავდაპირველად ნათარგმნი საღვთისმსახურო წიგნები აღმოსავლური რედაქციისანი იყვნენ.

X ს. 80-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ძველი ქართული ლიტერატურისა. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლების სახელთან დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ბიზანტიურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის ბრძოლა, ქართული საღვთისმსახურო წიგნების ბერძნულ დედნებთან შეწამება, შესწორება და ხელახლა თარგმნა. XVIII საუკუნემდე ქართულ ეკლესიას აღარ გადაუხვევია ხსენებულ მოღვაწეთაგან აღებული კურსიდან. ამ საუკუნეში კი ნიკოლოზ თბილელი, ალექსი მესხიშვილი და ანტონ კათალიკოსი გვევლინებიან ახალი, რუსული მიმართულების დამწერგავებად ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში.

ასეთია მოკლე ქართული საღვთისმსახურო წიგნების თარგმნის ისტორიის ზოგადი ქარგა.

ლიტურგიკული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია „ჟამნი“. რა ვიცი მისი თარგმნის ისტორიის შესახებ?

ისევე, როგორც სხვა ლიტურგიკული კრებულები, ჟამნიც ადრევე უნდა ეთარგმნათ ქართველებს. ცნობილია VI ს. I მეოთხედის მოღვაწის, პალესტინის დიდი ლავრის დამაარსებლისა და წინამძღვრის საბა განწმენდილის ანდერძი, რომლიდანაც ნათლად ჩანს, „რომ ქართველებს VI საუკუნის დასაწყისს უკვე ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი სამხრისაჲ, 1, 3, 6 და 9 ჟამნი“². ამ ცნობის საფუძველზე აკად. კ. კეკელიძე ასკვნის: „უხადია, ყოველივე ეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს ვერ გაჩნდებოდა, არამედ ადრე შემუშავდებოდა“³. უეჭველია, მოხსენიებული ჟამნი იქნებოდა აღმოსავლური, პალესტინური რედაქციისა.

ჟამნის შემდეგი თარგმნის ისტორია უკავშირდება ექვთიმე ათონელის სახელს. კ. კეკელიძე წერს მისი შემოქმედების ლიტურგიკული ნაწილის მიმო-

¹ კ. კეკელიძე. ქართული ლიტ. ისტორია. ტ. I. თბ., 1960, გვ. 37—41, 411—412, 573—574.

² იქვე, გვ. 39.

³ იქვე.

ილვისას: „დასასრულ, ექვთიმეს უნდა ეთარგმნოს ყოველდღიურ შედგება და განგებათა წიგნი, რომელიც საღვთისმსახურო პრაქტიკაში ცნობილია ქამნის სახელით. მართალია, ჩვენამდე არ შენახულა ასეთი წიგნი, მაგრამ ექვს გარე-შე, მის შინაარსს შეადგენდა, სხვათა შორის, ლიტურგიკული სტატიები, რომელთაც ექვთიმეს სახელით მოუღწევიათ ჩვენამდე. ასე, მაგალითად, მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია: ა. „შუალამისანი ბერძულნი“ და ბ. „ლოცვანი ბერძულნი მამისანი“. პირველი გულისხმობს ეგრეთწოდებულ *Λαχρ.οιαμια τωα μαχαρι-ναι: του*-ს, ან ქართულად „შუალამის ქამნს“, ხოლო მეორე სხვა ქამნებს: პირველს, მესამეს, მეექვსესა და მეცხრეს“⁴.

შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ვლაპარაკობთ ქამნის თარგმნის ისტორიის შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საკუთრივ ქამნი, და არა ის დანარჩენი ნაწარმოებები, რომლებიც ქამნთან ერთად, ჩვეულებრივ, გაერთიანებული არიან ხოლმე ამ სახელით ცნობილ კრებულში; ქამნი შემდეგი ნაწილებისაგან, შეიძლება ვთქვათ, თავებისაგან, შედგება: 1. ქამნი შუალამისა, 2. ქამნი ცისკრისა, 3. ქამნი პირველი მზისა, 4. ქამნი მესამე, ანუ ქამნი სამქამნისა, 5. ქამნი მეექვსე. ანუ მეექვსისა ქამისა, 6. ქამნი სადილისა, 7. ქამნი ცხრა ქამისა, 8. ქამნი მწუხრისა, 9. ქამნი დიდი სერობისა, 10. ქამნი მცირე სერობისა. აქედან რამდენიმე თავს აქვს „შედგებად“ სახელწოდებული ქვეთავი; ასეთებია: 1. შედგევი პირველისა ქამნისა, 2. შედგევი მესამისა ქამნისა, 3. შედგევი მეექვსისა ქამნისა, 4. შედგევი ცხრა ქამნისა. ამრიგად, ქამნი შედგება 10 თავისა და 4 ქვეთავისაგან.

როგორც ვნახეთ, კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ექვთიმე მთაწმიდლის ბიოგრაფის გიორგი მთაწმიდლის მიერ დასახელებული თხზულებანი: 1. „შუალამისანი ბერძულნი“ და 2. „ლოცვანი ბერძულნი მამისანი“, რომლებიც ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია, გულისხმობს ქამნის შემდეგ თავებს: 1. ქამნი შუალამისა, 2. ქამნი პირველისა ქამისა, 3. ქამნი მესამისა ქამისა ანუ სამქამისა, 4. ქამნი მეექვსისა ქამისა, 5. ქამნი ცხრა ქამისა. ე. ი. ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია ქამნის 5 თავი. მას სათარგმნელი დარჩენია თავები: 1. ქამნი ცისკრისა, 2. ქამნი სადილისა, 3. ქამნი მწუხრისა, 4. ქამნი დიდი სერობისა, 5. ქამნი მცირე სერობისა.

ქამნის ქართულად თარგმნის ისტორია ექვთიმეს ნამოღვაწარით რომ არ სრულდება, ამას არ უნდა მტკიცება. ჩვენამდე მოღწეულია 200-ზე მეტი ხელნაწერი ქამნი და ყველა ხელნაწერი, რომელიც კი ფრაგმენტულად არ არის შენახული, ქამნს დასრულებულ თხზულებად წარმოგვიდგენს. სრული ქამნი რამდენჯერმე დაიბეჭდა კიდეც 1717, 1768, 1791, 1808, 1862, 1899 წლებში.

ვინ თარგმნა ქართულად სრული ქამნი, ანდა ვინ დაასრულა მისი თარგმნა? ეს საკითხი, აქამდე არ გარკვეულა და არც დასმულა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა დროიდან არის სავარაუდებელი ახალი რედაქციის სრული ქამნის არსებობა, ამის პასუხი შეიძლება გამოვიტანოთ კ. კეკელიძის შემდეგი სიტყვებიდან: „Соемственная жизнь литургии двух редакций — иерусалимской и константинопольской в Грузии продолжалась до XII века, точнее — до Рунско-Урбинского Собора (1103 г.), санкционировавшего

⁴ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 210.

„литургическую деятельность епифанского поборника афоно-константинопольского направления в грузинской церкви — св. Георгия Мтацминделия тем осудившего на смерть направление „Восточное“ — перусалимско-антиохийское“³ (საზგასმა ჩვენი — ო. კ.).

ესადა. იმ დროისათვის, როდინანაც ქართული ლიტურგიკა გადაჭრა დაადგა ბიზანტიურ მიმართულებას, ქართველებს უკვე უნდა ჰქონოდათ ახალი რედაქციის სრული ყამნი. ექვთიმეს ნაწილობრივი თარგმანით. რასაკვირველია, ამ დროის საღვთისმსახურო პრაქტიკა ვერ დაკმაყოფილდებოდა, ძველ რედაქციის ყამნი კი. როგორც ზემომოყვანილი ციტატადან იგულისხმება, ხმარებიდან უნდა ყოფილიყო განდევნილი. ამრიგად. თუ რაღაც უცნაურ გამოწყლის არ დავუშვებთ, 1103 წლისათვის ახალი რედაქციის სრული ყამნის არსებობა აუცილებლობად უნდა მივიჩნიოთ.

მოგვებოვება კიდევ ერთი ცნობა, რომელიც. ჩვენი აზრით. უფრო ავთორიტეტს ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

კ. კეკელიძე ვერემ მცირის ლიტურგიკული მოღვაწეობის მიმოხილვისას წერს: „ავტორი თხზულებინა „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ფერემის შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: „ამან გარდამოილო ეთიმონი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა“. „მეთიმონი“ არის „დიდი სერობის“ შედეგი, რომელიც მართლაც დიდ მარხვაში სრულდება. ეს სიტყვა ქართული გამოთქმა ბერძნული ἡμετέρας -ისა. რომლითაც იწყება დიდი სერობის ჰიმნი: ჩუენთანა არს დმერთი. სუანთ წარმართთა და იძლიენით“. კ. კეკელიძე დასძენს: „შეიძლება ვერემს ეკუთვნოდეს ახალი რედაქცია ამ „შედეგისა“, თორემ თარგმნილი ის წინათაც იქნებოდა უეჭველად“⁴.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. შედეგები არის ქვეთავები ყამნის ძირითადი თავებისა. რომ თარგმნოს ამა თუ იმ თავის შედეგი. ვფიქრობთ. ჭერ თარგმნილი უნდა იყოს შესაბამისი ძირითადი თავი. დიდი სერობის ყამნი ყამნის ერთ-ერთ უკანასკნელი თავია (იგი ექვთიმე მთაწმიდელს არ უთარგმნია). მაშასადამე. ვერემ მცირის დროს ყამნის ბოლო ძირითადი თავი უკვე თარგმნილი ჩანს, ე. ი. ყამნის თარგმნა დასრულებული ყოფილა.

ამრიგად. ბერძნული ენიდან ყამნის ახლად თარგმნის ისტორია ასე გამოყურება:

1. ექვთიმე მთაწმიდელს დაუწყია ყამნის თარგმნა. მაგრამ არ დაუსრულეობია. მას უთარგმნია ყამნის მხოლოდ 5 თავი.

2. ვერემ მცირის დროს უკვე უნდა არსებუდიყო ყამნის სრული ქართული თარგმანი.

დასკვნა ერთია: ყამნის თარგმნა დაუსრულეობია. ან მთლიანად სრული ყამნი უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდლისა (955—1028) და ვერემ მცირის (დაახლოებით 1027—1103) შუალედ ეპოქაში მოღვაწე პირს.

ვინ უნდა იყოს ეს პირი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტურგიკულმა კრებულებმა ქართულ ენაზე თარგმნის დაახლოებით ერთნაირი გზა გაიარეს. თუ არ წარმოვიდგენთ, რომ ყამნის თარგმნის ისტორია განსხვავებულია და გამოწყლის ყველა ლიტურგიკული კრებულის თარგმნის ისტორიიდან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მესამე, ანუ ექვთიმეს შემდეგდროინდელი რე-

³ К. Кекелидзе. Литургические грузинские памятники..., гл. XV.

კეკელიძე. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1966 წ. 268.

დაქცია, ისევე როგორც სხვებისა, გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს. ეფრემ მცირისა და ექვთიმე მთაწმიდლის შუალედ ეპოქაში არც მოიპოვება სხვა პირი, გიორგი მთაწმიდელზე უფრო მეტად რომ შეეფერებოდეს ქამნის თარგმნა. მხოლოდ გიორგი მთაწმიდელია ის მოღვაწე, რომლის სახელიც ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმანსა და ქართული მწერლობის შევსება-გამდიდრების საქმეში განუყრელად უკავშირდება ექვთიმე მთაწმიდლის სახელს. გიორგი იყო ექვთიმე ათონელის ღირსეული მოწაფე, მემკვიდრე და მისი დაწყებული საქმის გამგრძელებელი.

მრავალმხრივი იყო გიორგის მოღვაწეობა, მაგრამ ყველაზე მეტად და ძირითადად მას ლიტურგიკის დარგში უმუშავებია. როგორც ვიცით, გიორგიმ ქართულ ენაზე გადმოიღო მთელი წლის ლიტურგიკული პრაქტიკა, ლიტურგიკული თითქმის ყველა კრებული: დიდი სეინაქსარი, სახარება გამოკრებული საწელიწდო, თვენი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დიდი კურთხევაანი, სტიქარონი საწელიწდონი დღესასწაულისანი, საწინასწარმეტყველო და სხვა.

გიორგის ზემოთ ჩამოთვლილ წიგნების სიაში არ იხსენიება მხოლოდ ქამნი, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები. რითი შეიძლება აიხსნას ეს გარემოება?

ჩვენ ვიცით, რომ გიორგის შრომების სია დაგვიტოვა მისმა ბიოგრაფმა გიორგი მცირემ, გიორგი მთაწმიდლის მოწაფემ. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს სია სრულყოფილი არ არის და იგი გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნ ბევრ თხზულებას სრულებით არ იხსენიებს⁷. ამიტომ მასში ქამნის არ მოხსენიება არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დაბრკოლებად, რომელიც გიორგის მიერ ამ თხზულების თარგმნის ვარაუდის უფლებას არ გვაძლევდეს. მეორე მხრივ, გიორგი მცირის თხზულებაში მოიპოვება ადგილი, რომელიც პირიქით. ასეთი ვარაუდის დაშვების აუცილებლობაზე მიგვიბრუნებს.

გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მემკვიდრეობის დახასიათებისას მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარედ აღნიშნავს: „ხოლო კუალად სხუანი წიგნი, წმინდისა მამისა ჩუენისა ეფთვმეს მიერ თარგმნილნი და უცალობთა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განაეარცნა“⁸. მაშასადამე, ასკენის აკად. კ. კეკელიძე, გიორგის... „ექვთიმეს მიერ დაწყებული და დაუსრულებელი ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ვრცლად და სავსებით უთარგმნია“⁹.

ექვთიმეს მიერ თარგმნილს, მაგრამ „უცალობთა წუთ ვერ სრულქმნილს, არამედ სულ მცირედ აღწერილ“ წიგნებს განეკუთვნება ქამნი. გიორგი მცირის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქამნი, ისევე როგორც ექვთიმე მთაწმიდლის მიერ დაუმთავრებელი სხვა წიგნები, უნდა განესრულებინა და განეგრძო გიორგი მთაწმიდელს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც თავისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ლიტურგიკული ლიტერატურის თარგმნას

⁷ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 16, 221, 239. შანიშვილის სხვა ონო ადრინშია, რომ ანალოგიური მჯგობრება ვეაქვს იქამდე მთაწმიდლის შრომების სიაშიც, რომელიც გიორგი მთაწმიდლის შედგინოდა. მასში გამოკრებულია იქამდე მთარგმნი ბერძნული მწიგნობრები თხზულება (იხ. იქვე, გვ. 193—213).

⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 146.

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 220—221.

შეალია, სწორედ ამ დარგში დაეტოვებინა და არ ეთარგმნა, ან არ განესრულებინა და განევრცო ექვთიმეს მიერ დაწყებული წიგნი, ე. ი. გამონაკლისი დაეშვა მხოლოდ ქაშის თარგმნის საკითხში. ამიტომ გიორგი მციერის შემომოყვანილ სიტყვები უნდა მივიჩნიოთ ლიტერატურულ ცნობად, რომელშიც პარდაპირ თუ არ წერია, მისგან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ქაშის საბოლოო დასრული რედაქცია გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

გიორგი მთაწმიდლის შრომების სიის ნაკლულოვანების აღნიშვნის შემდეგ აკად. კ. კეკელიძე ბრძანებს: „ბევრ რამეს ჩვენ ვარკვევთ ხელნაწერთა და მათში შენახულ ანდერძთა საშუალებითო“.

რას გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები და რისი ვარკვევა შეიძლება მათი მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეულია 200-ზე მეტი ქაშის ხელნაწერი. მაგრამ მათი უმრავლესობა ნაკლულია. ზოგი ფრაგმენტულია, ზოგი თავ-ბოლო ნაკლული. ჩვენამდე სრული სახით შენახულია მხოლოდ 30-იოდ ხელნაწერი. ხელნაწერთა უმრავლესობა XVII—XVIII—XIX საუკუნეებისაა. ძალიან მცირეა და მოღწეული ადრეული საუკუნეების ხელნაწერები. ყველაზე ადრინდელად, რომელსაც სრულად შემოუნახავს ქაშის ტექსტი, უნდა ჩათვალოს Ier. 127, რომელიც დათარიღებულია XII—XV საუკუნეებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი თარიღის XV საუკუნემდე გადმოტანა არ შეიძლება. პალეოგრაფიული ნიშნებით მისი თარიღი უნდა განისაზღვროს XII—XIII საუკუნეებით.

Sin. 76 — XIII ს. ხელნაწერი, Sin. 88 — XIV—XV საუკუნეებისა. აღსანიშნავია, რომ Sin. 76-ში გამოკრებილად მოცემულია მხოლოდ ქაშის შედეგები, Sin. 88-ში კი მხოლოდ ძირითადი თავები. ორივე ეს ხელნაწერი შესაბამის ნაწილში მისდევს Ier. 127-ს.

XV საუკუნიდან ორიოდ ხელნაწერის დასახელება შეგვიძლია ისეთისა, რომელიც თავისი სისრულით საშუალებას იძლევა მისი რაობის ვარკვევის: A 430, A 417 და სხვა. Q 1262 — XV—XVI საუკუნისა. ცოტაა ასევე XVI საუკუნის სრული ქაშები: A 361, 540, 581.

XVII საუკუნის: A 594, 630, 597, 1350, H 342 და სხვა. დანარჩენი სრული ქაშები მე-17—18, მე-18 და მე-19 საუკუნეებისაა.

ჩვენამდე მოღწეულ ქაშის სრულ ხელნაწერებში აღმოჩნდა სამი. რომელთაც შემოუნახავთ გიორგი მთაწმიდლის სახელი. ესენია: 1. Ier. 127—XII—XIII ს. ხელნაწერი, 2. A 1153 — XVI—XVII ს. ხელნაწერი, 3. ზუგდიდის სახ. ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი №18—XVII—XVIII საუკუნისა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე ხელნაწერმა გიორგი მთაწმიდლის სახელი შემოგვინახა არა რაიმე მინაწერის სახით, არამედ სათაურში, თხზულების დასაწყის ნაწილში. A 1153-სა და №18-ში ეს სათაურები სინგურით არის ნაწერი.

№18-ს სათაურად აწერია: „ქაშნი... ბერძული თარგმნილნი გიორგი მთაწმინდელისანი“. A 1153-ს აწერია: „ქაშნი შუალამისანი ბერძულნი, თარგმნილნი გიორგი მთაწმინდელისანი“. Ier. 127-ს: „ქაშნი დლისანი ბერძულნი, გიორგისი თარგმნილი“. ეს არის სამი სხვადასხვა დროის ხელნაწერი. რა მიმართებაა მათ შორის?

თავდაპირველად ჩვენ ერთმანეთს შევედარეთ **ზსიგმ 18** და **A 1153** ქამნე-ბი. პირველი XVII—XVIII ს. ხელნაწერია, მეორე კი XVI—XVII-სი, ე. ი. მათ შორის თითქმის ერთ საუკუნეზე მეტად დროში სხვაობა.

შედარების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ეს ორივე ხელნაწერი იძლევა ერთი და იმავე რედაქციის ქამნს. დამთხვევა სიტყვა-სიტყვითა ტექსტის ძირითად ნაწილში, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება ვარიანტული სხვაობა, რაც გამოიხატება ზოგიერთი სათაურის სინგურით გამოყოფასა თუ არ გამოყოფაში, ზოგიერთი საგალობლის თუ ლოცვის შემოკლებასა თუ გავრცობაში, ადგილის შენაცვლებაში და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ ორი ხელნაწერის შედარებისას თვალნათლივ ირკვევა, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ არის გადაწერილი და თითოეული გული-სხმობს თავის განსხვავებულ დედანს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ XVI—XVII და XVIII—XIX საუკუნეების ქამნები და თვით მისი ნაბეჭდი ტექსტიც იძლევა ერთი ტიპის, ერთი რედაქციის ქამნს. მათ შორის არსებული სხვაობა არ სცილდება იმ ფარგლებს, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ **A 1153-ისა** და **ზსიგმ 18** შედარებისას. ამიტომ როგორც **A 1153**, ისე **ზსიგმ 18** შეგვიძლია მივიჩნიოთ XVI—XIX საუკუნეთა ქამნის ტიპად.

როგორია მათთან შედარებით **Ier. 127**. როგორც აღვნიშნეთ, **Ier. 127** არის ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელსაც შემოუნახავს ქამნის სრული ტექსტი (რასაკვირველია, ჩვენ გველისხმობთ ექვთიმესა და გიორგის შემდეგ-დროინდელ ქამნებს)¹⁰.

Ier. 127-ის სხვაობა XVI—XIX ს. ქამნებთან შედარებით ცოტათი უფრო მეტია, ვიდრე თვით ამ საუკუნეების ქამნებს შორის. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ყველა სრული ქამნი იწყება შუალამის ქამნით. **Ier. 127** კი, როგორც ვნახეთ, იწყება ასე: „ქამნი დღისანი ბერძულნი, გიორგისი თარგმნილი“. აქ მოყვანილი „ქამნი დღისანი“ სხვა ხელნაწერებში შეესატყვისება ცისკრის ქამნს. შუალამის ქამნი **Ier. 127-ში** მოთავსებულია ბოლოში, სერობის ქამნის შემდეგ. მას ხელნაწერში ეწოდება „ქამნი ღამისანი“. XVI—XIX საუკუნეთა ხელნაწერების სადილის ქამნს **Ier. 127-ში** ჰქვია „ფსალმუნი სამხრისანი“¹¹.

ამრიგად, **Ier. 127-ში** ბოლო საუკუნეების ქამნებთან შედარებით ადგილი აქვს: ა. თავების გადაადგილებას, ბ. თავების სათაურის სხვა ვარიანტით წარმოდგენას (ქამნი დღისანი — ქამნი ცისკრისას ნაცვლად; ქამნი ღამისანი — ქამნი შუალამისას ნაცვლად; ფსალმუნი სამხრისანი — ქამნი სადილისას ნაცვლად). გ. გარდა ამისა, შეიმჩნევა, რომ საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონია ქამნში სხვადასხვა ლოცვის ჩამატებას. მაგრამ ეს ახალი მასალა მეტად მცირეა ძირველ მასალასთან შედარებით და არ იძლევა უფლებას ქამნის სხვადასხვა რედაქციად დაყოფისა.

ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე გვაქვს ერთი ტიპის ქამნი, ერთ სტრუქტურასა და თითქმის ერთსა და იმავე მასალაზე აგებული.

¹⁰ ძველი რედაქციის ქამნი ჩვენამდე შემოუნახავს იოანე ზოსიმეს 956 წლის ხელნაწერ კრებულს **Sin 34-ს**.

¹¹ ამ სათაურს ქამნის ეს თაი ინარჩუნებს XVI საუკუნემდე.

საქმე იმაშია, რომ მასალა, რომელზეც აგებულია XVII—XIX საუკუნეთა ეამნის საკითხავი ტექსტი, უმთავრესად არის დავითის ფსალმუნები, რომლებიც განაწილებულია დღის სხვადასხვა მონაკვეთში საკითხავად. ამ თვალსაზრისით ტექსტის შინაარსს ყველაზე უკეთ გამოხატავს Ier. 127-ში მოცემული სადილის ეამნის სათაური — „ფსალმუნნი სამხრასანი“. ასევე თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ცისკრის ეამნს „ფსალმუნნი საციცკრონი“, პირველი მზის ეამნს — „ფსალმუნნი პირველი მზისა“ და ა. შ.

ეამნში თითქმის მთლიანად თავმოყრილია დავითის ფსალმუნები ერთი-ორი გამონაკლისის გარდა.

ასეთი ვითარების პირობებში ძნელი აღარ არის იმის დადგენა, თუ ვისი რედაქციის ტექსტი გვაქვს მოცემული აღნიშნულ თხზულებაში. შედარებამ ცხადყო, რომ ეამნში მოყვანილი ფსალმუნები გიორგი მთაწმიდლის რედაქციისა არიან. ეს ეხება როგორც იმ თავებს, რომლებიც ექვეთიმეს უნდა ეთარგმნა, ისე იმ თავებს, რომლებიც მას არ უთარგმნია.

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ეამნის ტექსტის იმ მცირე ნაწილებიდანაც, რომლებიც ფსალმუნებს არ წარმოადგენენ, გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანების გამოვლენა. მაგ.:

სადილის ეამნში (მეორენაირად მას ეწოდება „ფსალმუნნი სამხრასანი“) მოყვანილია ციტატა სახარებიდან (მათე 5,3—12) გიორგი მთაწმიდლის რედაქციით (Ier. 127, გვ. 100—101)¹².

2. ეამნის ამავე თავში მოთავსებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი „სიმბოლო ნიკია-კონსტანტინოპოლის კრებისა“. — „გურჯამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მშობელი“... (Ier. 127, გვ. 102—104; შდრ. A 584, 229v—230r)¹³.

3. ეამნში გამეორებულია ადგილი იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ეამისწირებებიდან. რომელთა ახალი რედაქცია, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის¹⁴: „მხოლოდ შობილი ძე და სიტყუაჲ ღ'ა, უკუდავი არსებაჲ, თავს იღვა ჩუჴნისა ცხორებისათჴს. ჟორცნი შეიმოსნა წმიდისაგან ღ'ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისაგან, უქცეველად განკაცნა. ჟუარს ეცუა ჳრისტე ღმერთი, სიკდილითა სიკდილი დასთარგუნა“ (Ier. 127, გვ. 99).

ამრიგად, სადაც კი შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ხდება ტექსტის რედაქციის დადგენა, გიორგი მთაწმიდლისადმი გვერდის ავლა ვერ ხერხდება.

მაშასადამე, გიორგი მთაწმიდლის სასარგებლოდ შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი ფაქტები:

1. ქართული ლიტურგიკის ისტორიის გათვალისწინებას მივყავართ იმ დასკვნანდე, რომ ეამნის ახალი სრული რედაქციის მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი უნდა იყოს.

2. სხვადასხვა საუკუნის (XII—XIX) ეამნის ხელნაწერებს სათაურში აწერია. რომ ისინი თარგმნილი არიან გიორგი მთაწმიდლის მიერ.

3. მასალა, რომელზეც აგებულია ეამნის საკითხავი ტექსტი, გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა.

¹² იქვე მითითებულია აგრეთვე იხ. მსტორ. თხოთაჲ, RI VII № 3, გვ. 14—15. მთარგმნილია მიქაელ გენჯელიის სიმბოლო.

¹³ იქვე, მსტორ. თხოთაჲ, ტ. I, თბ., 1950, გვ. 229, 533.

ეფიქრობთ, მოყვანილ არგუმენტთა ერთობლიობა საკმაო საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ჟამნის ახალი სრული რედაქციის მთარგმნელად გიორგი მთაწმიდელი ვაღიაროთ.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც. ჟამნი XVIII საუკუნეში არ გადაუმუშავებიათ სლავური ჟამნის მიხედვით. ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი ჟამნი იმეორებს XVII—XVIII საუკუნის ხელნაწერებს, ჟამნის შემდეგი გამოცემები კი უცვლელი გამეორებაა პირველისა. მხოლოდ XIX საუკუნეში დაბეჭდილ ჟამნებში, ვახტანგ VI-ის დროს დაბეჭდილთან შედარებით, ჩნდება რუსი იმპერატორების მოსახსენიებელი თუ სადიდებელი ტექსტის ჩანამატები.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ა. კვეციანის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ვივი ხორავალი

-ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმთა გიხეღვით

ქართულ ენაში -ურ სუფიქსი ფართოდ არის გავრცელებული. მისი ძირითადი ფუნქციაა არა-აღამიანთა სადაურობის აღნიშვნა. აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ:

„ერთი წყება სუფიქსებისა აღნიშნავს წარმომავლობას: ელ, ურ, იურ, დელ, ეულ.“

1. ელ. მაჩვენებელია სადაურობისა აღამიანთათვის: გორ-ელ-ი, ონ-ელ-ი.

2. ურ (რაიან ფუძეებთან დისიმილაციით: ულ) ელ-ის ბადალია, მაგრამ აღნიშნავს არა-აღამიანთა სადაურობას: გორ-ული. ონ-ურ-ი...

ურ(ულ) წოგჯერ აღამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში): „აფხუშოური“ (აფხუშო სოფელია ფშაურში) შეიძლება აღამიანებად ითქვას და არა-აღამიანებად (საჭონელზე, სივთზე): „სანათი ვარ მე. შვილო, აფხუშოური ქალია“ (ვაჟა, „ბახტრიონი“)...

აღნიშნული ურ(ულ) სუფიქსი გვარების მაწარმოებლადაც არის გამოყენებული: ბეჟა-ურ-ი, ქერა-ულ-ი...

წარმომავლობის სუფიქსი ურ(ულ) გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს (ხაზი ჩვენია. — გ. ს.). მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი“...!.

მოყვანილ ციტატაში -ურ სუფიქსის ძირითად ფუნქციასთან ერთად აღნიშნულია სხვა დამატებითი ფუნქციებიც, რომლებიც მას ღრეღღელ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მიეწერება. ამ ფუნქციათაგან ჩვენ ვესებოთ მხოლოდ ძირითად ფუნქციას — სადაურობის აღნიშვნას და ამ თვალსაზრისით გვინტერესებს ზოგიერთი მთიულური ტოპონიმი. -ურ სუფიქსის მიერ სადაურობის ფუნქციის წარმოება თუ ნათელია ისეთ მაგალითებში, როგორც არის კ ა ს უ რ ი, ო ნ უ რ ი, გ ო რ უ ლ ი და სხვ., რამდენადაც გაუგებარია ტოპონიმებში — ფ ა ს ა ნ ა უ რ ი, ც ი ხ ე ლ ა უ რ ი, პ ა ვ ლ ე უ რ ი, გ უ გ უ ლ ა უ რ ი და სხვ. ძნელი ასახსნელია, თუ რის ან ვის სადაურობაზე უნდა მიუთითებდეს აქ -ურ სუფიქსი.

მთიულეთის მიკროტოპონიმთა ერთ რიგს, რომელთაც -ურ სუფიქსი ერთვის, აშკარად სხვა გაგება აქვს, ვიდრე სადაურობაა. ასეთებია უმეტესწილად ანტროპონიმები: ა ნ ა ნ ე უ რ ე ბ ი (მთის სახ., ს. ქიშპარიანი), პ ო ვ ლ ე უ რ ა ი (მამულის სახ., ს. იუხო), ც ი ხ ე ლ ა უ რ ი (მთის სახ., ს. ბედონი). პ ო ვ ლ ე უ რ ი (სოფლის სახ.), ქ ა ჯ ა უ რ ე ბ ი (მამულის სახ., ს. ციხიანი), ო კ ი მ ა უ რ ი (მამულის სახ., ს. იუხო), გ უ გ უ ლ ა უ რ ი (მამულის სახ., ს. მეჩილაურები), გ ი შ ე ლ ა უ რ ი (მამულის სახ., ს. ჭიკანი), ლ ა ლ ა უ რ ა (მთის სახ., ს. ავე-

ნისი), გოდერანი (მთის სახ., ს. ჭევშა), ციციქინაურები (მამულეების სახ., ს. დარძულნი), სიხაურა (მთის სახ., ს. სეთურები), აბაზურები (მამულის სახ., ს. სონჩო), ჩიხაურა (ფერდობის სახ., ს. უკანამკარი), ოსაურები (მამულის სახ., ს. სონჩო), ვაცური (მამულის სახ., ს. წინკობანი), უსიხაური (მთის სახ., ს. წინამკარი), პაპიაურები (მთის სახ., ს. ქიმბარიანი), ჩაქაურები (მთის სახ., ს. ქიმბარიანი), მანასეური (სოფლის სახ.), გოგნაურები (მამულის სახ., ს. წიფორი) და სხვ.

ამ ტოპონიმებზე დაკვირვებისას აშკარად ჩანს, რომ ისინი სადაურობაზე არ მიუთითებენ. თითოეული მათგანი ანთროპონიმულია წარმოშობით, ადამიანთა საკუთარი სახელებიდან არის ნაწარმოები -ურ სუფიქსის დართვით. მათგან გამოიყოფა სახელები: ანანია, პავლე, ციხელა, ქაჯია, ოკიმა, კუგულა, გიშერა, ლალია, გოდა, ციციქინა, სიხა, აბაზა, ჩიხა, ისა, ვაცო, უსიბა, პაპია, მაქა, მანასე, გოგნელი. ეს არის იმადმიანთა სახელები, ვისაც ეკუთვნოდა ან ამჟამადაც ეკუთვნის ამ ტოპონიმებით სახელდებული ადგილ-მამულები, მთები. ამ საკუთარ სახელებს ემატება -ურ სუფიქსი და ეს სუფიქსი მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ მამული, მთა (სათიბი) ამ კაცის საკუთრებაა, მას ეკუთვნის. მაგალითად. სიხაურა მთის სახელია და ნიშნავს, რომ ეს მთა სიხასია: პოვლეურაი მამულის სახელია და ნიშნავს პავლეს მამულს, პავლესას; ციხელაური — ციხელას მთას და ა. შ.

შეიძლება გვეფიქრა, რომ -ურ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები -ურზე დაბოლოებული გვარებიდან იყოს მიღებული, ე. ი. მეპატრონის -ურზე დაბოლოებული გვარი შეერქვა ადგილს. ამ ვარაუდს გამოირიცხავს ჭერ ერთი ის, რომ მთიულური გვარები -ქეზე მთავრდება. ის თითო-ოროლა -ურიანი გვარი, რომლებიც მაინც გვევლება მთიულეთში (ბუჩუყური, სისაური). წარმოშობით ხეცურულია, ხეცურეთიდან არიან გადმოსულნი. მეორეც. -ურ სუფიქსით ადგილ-მამულთა კუთვნილების გამოხატვა (რამდენადაც შესაძლებელია ჩვენს დროში მამულების კუთვნილებაზე ლაპარაკი) ცოცხალი პროცესია მთიულეთის ზოგიერთ სოფელში. ცოცხლები არიან ის ადამიანები. ვისი სახელებიც შეერქვა, რომელიმე მათ კუთვნილ ადგილებს.

არც იმისი თქმა შეიძლება. თითქოს -ურ სუფიქსი მამულის, მთის ვისგანმე კუთვნილებით მომდინარეობაზე, პირველ შესაკუთრებზე მიუთითებდეს. მამულს, ადგილს როგორც კი ახალი მეპატრონე გაუჩნდება, მაშინვე მისი სახელი შეიქმევა. ძველი მეპატრონის სახელის ნაცვლად; მამის გარდაცვალების შემდეგ — შეილის სახელი შეერქმევა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ვისგანმეა ნაჩუქარი, ან ნაყიდი და ახალმა მეპატრონემ ძველი მეპატრონის სახელი შეუნარჩუნა, ე. ი. წარმომავლობა შემოინახა, მაშინ ანთროპონიმი გაფორმდება არა -ურ სუფიქსით, არამედ -ელ-ით. ასეთი ტოპონიმებიც ბევრი გვაქვს მთიულეთში: წვინასელი (მამულის სახ., ს. ავენისი), ხუციანთელი (მთის სახ., ს. გვიდაქი), ქავთარელი (მამულების სახ., ს. ლაკათქევი), თათარიანთელი (მამულების სახ., ს. მულურე), სუართელი (მამულის სახ., ს. ნადიბანი) და სხვ.

მარტო ანთროპონიმები არ არის -ურ სუფიქსით ნაწარმოები, გვხვდება ორონიმებიც. განსაკუთრებით მიმართებითი ტოპონიმები, სადაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს -ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქცია. ასეთებია: ყოყო-ნური მთა (მთის სახ., ს. იუხო). ყოყონი და იუხო მეზობელი სოფლებია.

მათ შუა, მოსაზღვრედ მდებარე მთას, რომელიც ყოფონს ეკუთვნის, იუხ. მცხოვრებნი ყოყონურ მთას უწოდებენ, ე. ი. ყოყონის მთას. ასეთივეა ყოყონური გზა (ბილიკის სახელია, ს. იუხო), ყოყონისაკენ მიმავალი ბილიკ. ყოყონის გზაა. სეფური ნაქობრები (მთის სახ., ს. ნალორევი), სეფე ნალორევის მეზობელი სოფელია. რომელსაც ნალორევის მთაში სასაძოვრე ჰქონდა, ქოხები ედგათ, სეფეს ნაქობრებია. ყველაურები (მთის სახ., ს. წინკობან). ყველანი სოფლის სახელია, ამ სოფლის მთაა — ყველათია. ქსნური გზა (ბილიკის სახ., ს. უკანამჭარი) ქსნისაკენ მიმავალი გზაა, ქსნის გზაა. ჩადიციხურები (მამულეების სახ., ს. ჩაბარუხი), ჩადისციხე და ჩაბარუხი მეზობელ სოფლებია. იასარუსთან არას მამულეა, იასარუსის ჩადისციხეს ეკუთვნის ამიტომ ჩადისციხურებს ეძახიან.

ამავე რიგისაა სახელები: წიფორული (მთის სახ., ს. ბაკანი), წიქერული (მამულის სახ., ს. იუხო), მზორული კლდეები (კლდეების სახ., ს. იუხო), სნოურთყელი (მთის სახ., ს. ყოყონი), ელიაურა (ველ. სახ., ს. ქიმბარინი) და სხვ.

-ურ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები სხვადასხვა სიზშირით გვხვდებიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ტიპის ტოპონიმები ყველაზე დიდი რაოდენობით გვექნებოდა ხევსურეთში, ფშავში, გულდამყარში, სადაც არა მხოლოდ გვარები, არამედ ხშირ შემთხვევაში პიროვნებასა ხელებიც კი -ურ (-ულ) სუფიქსით იწარმოება. აღმოჩნდა კი პირობით. სწორედ აქ (ხევსურეთში, ფშავში. გულდამყარში) იშვიათი გამონაკლისის გარეთიქმის არა გვხვდება -ურ სუფიქსიანი მიკროტოპონიმები. -ურ სუფიქსიანი მიკროტოპონიმთა ნაკლებობის მიზეზი აქ სწორედ -ურ სუფიქსიანი გვარ-სახელების არსებობა უნდა იყოს. ვნახ, იანს, ერთგვარი დიფერენციაცია მოახდინა ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გეოგრაფიულ სახელთა შორის. აქ ორი რიგის სახელთა ერთი ფორმით წარმოება აღრევას გამოიწვევდა. -ურ სუფიქსიანი გვარ-სახელთა მწარმოებლად იქცა, ხოლო ტოპონიმებში კუთვნილება ნათლობის ფორმით იწარმოება. სადაც ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებული გვარები გვაქვს, -ურ სუფიქსიანი ტოპონიმები ძალზე ხშირია. ასეა, მაგალითად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: ციცქიური (სოფლას სახ., ხარ. გოული). კახიაური, ოდილაური, მელაური (სოფლების სახ., ქათისი), მიხათაური. შალაური (სოფლის სახ., ჰიათურა). გუგულიური (გორაკის სახ., ს. თაია, ჩხოროწყუ), ხულური (ფერდობის სახ. ს. გარ. ხა, ჩხოროწყუ), ლომური წყურგილ (წყარო სახ., ს. მეორე ჰოლა, ჩხოროწყუ), ლელური (სახნაის სახ., ს. ლეხალე, ჩხოროწყუ), კაქუშური (ხეობის სახ., ს. მონგირი, ჩხოროწყუ), ფეფური (სახნაის სახ., ს. ნაიფე წალენჯიხა), გალური (ფერდობის სახ., ს. ობუჯი, წალენჯიხა), ხუჭულური // ხუჭულური (ტყის სახ., ს. ობუჯი, წალენჯიხა), გუჩუური (გორაკ. სახ., ს. ფახლანი, წალენჯიხა) და სხვ.

-ურ სუფიქსიანი სახელები ბევრი გვხვდება აქარაში: კობალაური, კანტაური, შავაბური, გოგმაჩაური, გოგინაური, ლომანური, ჭუმუშაური, მახილაური. მახინჯაური (სოფლების სახ., ს. ლეხალე) და სხვ.

ასევე ბევრია -ურ სუფიქსიანი ტოპონიმები გურიაში: გოგინაური (ბუჩქნარის სახ., ს. ჰანიეთური), მანიშაური (სათესის სახ., ახალი სოფელი), ჯანაური (სათესის სახ., ს. ლეხოური), მეგრელაური (უბნის სახ., ს. ნ.

კგორა), ქ ე დ ე ლ ა უ რ ი (ფერდობის სახ., ს. ჯაფარეული), გ ო გ უ ა უ რ ი (უბნის სახ., ს. სვარბეთი), ხ ი ტ ი ლ ა უ რ ი (ნაეკლესიარის სახ., ს. ოქროს მუხურო) და სხვა მრავალი. აქაც აშკარაა, რომ თითქმის ყველა მათგანში ადა-ანთა საკუთარი სახელები გამოიყოფა. შორს რომ არ წავიდეთ, მთიულეთის ნიქმის განუყოფელ ნაწილში, გულდამყარში, სადაც -ურ-ზე დაბოლოებული გვარებია (წიკლაური, აფციაური, ბექაური), -ურ-ით ნაწარმოები მიკროტოპონიმები თითქმის არა გვხვდება.

ადამიანთა გვარების საწარმოებლად გამოყენებული -ურ სუფიქსიც იგივე უნდა იყოს, რაც ტოპონიმებში გამოყენებული -ურ სუფიქსია და ისევე კუთვნილებას უნდა აღნიშნავდეს — კუთვნილებას შვილსას, შთამომავლისას მათ იმ კაცისადმი. მაგალითად, წ ი კ ლ ა უ რ ი ნიშნავს წიკლას შვილი (უფრო ზუსტად წიკლასი), წიკლას შთამომავალი. პირველი წიკლაურები იყვნენ, რა თქმა უნდა, ისინი ვინც ამ გვარის სათავის დაძღვების, წიკლას შვილები იყვნენ, წიკლასები იყვნენ. ასევეა გვარები გ ო გ ო კ უ რ ი (გოგოქასი, გოგოქას შილი), ა რ ა ბ უ ლ ი (არაბას შვილი, არაბასი), კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი (კინკარასი, კინკარას შვილი) და სხვა.

გვარი კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი რომ მართლაც კ ი ნ კ ა რ ა ს ა ს ნიშნავს, ამას დასტურებს ის ფაქტიც, რომ ტოპონიმებად ხშირად ვხვდებოდა კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, რაც ამ ადგილთა კინკარასადმი კუთვნილებაზე მიუთითებს. მაგალითად, კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი (ტყის სახ., ს. ციხისფერდი, გურია), კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი (გორის სახ., ს. ჭანიეთი, გურია), კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი (ღელისპირის სახ., ს. დაბალი უბანი, გურია) და სხვა.

-ურ-ზე დაბოლოებული გვარები რომ შვილის მამისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს, კარგად ჩანს ერთი და იმავე სახელებიდან ნაწარმოები პარალელური გვარების მიხედვითაც. მაგალითად, გვაქვს გვარები პ ა პ ი ა უ რ ი — პ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი — პ ა პ ა ძ ე , გ ი გ ა უ რ ი — გ ი გ ა შ ვ ი ლ ი — გ ი გ ი ა ძ ე , გ ო გ ო ლ ა უ რ ი — გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი — გ ო გ ო ლ ა ძ ე და სხვა.

ტოპონიმებსა და გვარებში გამოყენებული -ურ სუფიქსი რომ ერთია წარმოშობით და ორგანვე კუთვნილებაზე მიუთითებს, ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოგვეშველიებინა აგრეთვე რუსული ენის მაგალითი, სადაც ანალოგიურ შემთხვევასთანავე გვაქვს საქმე. ცნობილი რუსი ტოპონიმისტი ა. ვ. ნიკოლოვი წერს: „სლავური ტოპონიმის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია -ов (-ев) და -ин. ისინი ოდესღაც გამოიყენებოდნენ კუთვნილების განიხატვის ძირითად საშუალებად, აწარმოებდნენ რა კუთვნილებით ზედსართავებს. ამ ისტორიულმა ფუნქციამ გააბატონა ის ტოპონიმიაში, როცა მიწის ფეოდალური კუთვნილება იქცა ადგილის სახელების ძირითად ნიშნად — ვისი საფუძრებია“⁷.

ტოპონიმებთან გამოყენებული ეს კუთვნილებითი სუფიქსები -ов (-ев), -ин, რა თქმა უნდა, იგივე სუფიქსებია, რაც რუსულ გვარებთან გამოყენებული სუფიქსები.

აქვე გვინდა ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: -ურ სუფიქსიან ტოპონიმთა დიდი უმეტესობა ადამიანთა სახელებიდან არის მიღებული, ანთროპონიმულია. ტოპონიმიაში ყველაზე მოძრავი და ადვილცვალებადი კი სწორედ ეს ანთროპონიმული სახელებია, ვიდრე ის ტოპონიმები, რომლებიც გეოგრაფიული ობიექტის რაიმე ნიშან-თვისებას აღნიშნავენ. ასე მაგალითად, ტოპონიმში, რომელიც მთის ფორმას ასახავს, შესაძლოა მთას შემორჩეს მანამდე, სა-

ნამ ამ მთის ფორმა არ შეიცვლება, ანთროპონიმები კი იცვლება მესაკუთრეთ. სახელების მიხედვით. თუმცა შესაძლოა, ზოგიერთი ანთროპონიმი საუკუნეებში მანძილზე შემორჩეს. ორი-სამი თაობის შემდეგ ასეთი ანთროპონიმები უკვე გაუგებარი ხდება: აღარ ახსოვთ ვისი სახელი ჰქვია ამ ადგილს, რატომ ჰქვია მით უმეტეს ბუნდოვანი ხდება ისეთი სახელებისაგან მიღებული ანთროპონიმები, რომლებიც უკვე გამოსულია ხმარებიდან. ამიტომ — ურ სუფიქსიან აუხსნელ ტოპონიმებში უმეტესად სწორედ ადამიანთა სახელები უნდა ვეძიოთ. მართლაც, მთელი რიგი მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარია, ამოვსენით მათში ადამიანთა სახელებს ძიებით. ბევრ უცნობ ტოპონიმში გამოიყო ისეთი სახელები, რომლებიც მთიულეთ-გუდამაყარში და, შესაძლოა, მთელს საქართველოშიც აღარსად იხმარებ: შემოგვჩა მხოლოდ ისტორიულ საბუთებში. მაგალითად, აბაზურები (მამულის სახ., ს. სონჩო — აბაზა კაცის სახელია, დოკ., II, 68); უსიბაური (მთის სახ., ს. წინამკარი — უსეფა. საქ. სიძე, II, 381); ბაცური (წყაროს სახ., ს. წყერე — ბაცა კაცის სახ., კარალ. გორის რ.), კუტური (მამულის სახ. — კუტი კაცის სახ., კოლხ), ქიბურაი (მამულის სახ. — ქიბა-კაცის სახ. კოლხ.)³ და სხვ.

— ურ სუფიქსისადმი სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი ალ. მანჯგალძეს, სადაც ნაჩვენებია, რომ წარმომავლობის ფუნქცია მისთვის მეორეულია მაგრამ არაფერია ნათქვამი მის პირვანდელ ფუნქციაზე. წერილში კვითხულობ: „ძველს ქართულში (მე-11 საუკუნემდის) — ურ სუფიქსი არ გამოიყენება წარმომავლობის ან საგნის თვისების გამოსახატავად. იგი ამ მიზნით მხოლოდ სპორადულად გვხვდება. ამ ფუნქციათა გადმოსაცემად ენა სხვა საშუალებებს მიმართავს...“

... — ურ სუფიქსის მეორეულობა ნათლად ჩანს ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით. იგი ძველს ქართულში ჯერ კიდევ არ არის გამტკიცებული დმინც და მინც არც ისაა გარკვეული, თუ როგორი კატეგორიის სახელთა საწარმოებლად უნდა იყოს გამოყენებული: „ვინ“ ჯგუფისათვის თუ „რა“ ჯგუფისათვის. ამიტომაც, რომ იგი „რა ჯგუფის სახელთა გვერდით ზოგჯერ შეიძლება“ „ვინ“ ჯგუფის სახელთა საწარმოებლადაც მოგვევლინოს“⁴.

— ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქცია დღესაც ცოცხალია ზოგიერთ კუთხის მეტყველებაში. მაგალითად, ხევსურულში ხშირია ასეთი გამოთქმები:

ვმალი სხვისა ქუ რაღ გინდაო.

ჩენიც გეაქი მაოიყორაიო.

(ვმით ნატრალი)

მგელიკაურაი ნიშნავს მგელიკასი, მგელიკას ხმალი.

— ურ სუფიქსის კუთვნილებითობის დამადასტურებელი ფაქტია აგრეთვე იმერული დიალექტის ერთი თავისებურება. პ. გაჩეჩილაძე წერს: „ყურადღებ: იქცევს გათხოვილ ქალთა გათხოვებამდე (მშობლების) გვართ მოსახსენებელ სახელების წარმოება — ურ (/—ულ) სუფიქსით: კვინიკაძე — კვინიკაური (კვინიკა + ურ + ი)“⁵. აქ კვინიკაური ნიშნავს — კვინიკაძეების ქალს. ეს იგივე მოვლენაა, რასთანაც საქმე გვაქვს კახურში — ურ სუფიქსის განურჩეველი ხმარება ადამიანთა და არაადამიანთა წარმომავლობის სახელებთან.

ეს ფაქტიც იმას ადასტურებს, რომ — ურ სუფიქსს თავდაპირველად ერა ფუნქცია ჰქონდა და ეს იყო კუთვნილებითობა — ნივთისა თუ ადამიანის ან თუ იმ ადგილისადმი მიკუთვნების გამოხატვა. შემდეგში წინა პლანზე წამოიწე

წარმომავლობის, სადაურობის ფუნქცია, რაც კუთვნილებას ერთგვარად თან ახლავს.

ზოგიერთი -ურ-ზე დაბოლოებული ტოპონიმი და განსაკუთრებით ჰიდრონიმები ბოლოს დაირთავენ -ა ხმოვანს და ვიღებთ -ურ-ა დაბოლოებას... -ურ სუფიქსს აქაც გამოყოფენ და სადაურობის მაწარმოებლად მიიჩნევენ. ზედმეტი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ტოპონიმებსა — ს ი ხ ა-უ რ-ა (მთის სახ., ს. სეთურები), ჩ ი ხ ა-უ რ-ა (ფერდობის სახ., ს. უკანამჭარი), ქ ა ნ დ ო უ რ-ა (მამულის სახ., ს. წინკობანი), ლ ა დ ა-უ რ-ა, (მთის სახ., ს. ლაუშა) და ჰიდრონიმებში — ვ ა ნ ხ ე-უ რ-ა, კ ი შ ხ ე-უ რ-ა, კ ა წ ა ლ ხ ე-უ რ-ა, ჩ ა რ გ ლ-უ რ-ა, ყ ო ფ ჩ-უ რ-ა, მ ა ღ ა რ ო-უ ლ-ა (მდინარეებია ფშავში) — -ურ-ა სუფიქსი ერთი და იგივეა. ჰიდრონიმებთანაც კუთვნილების გამომხატველია -ურ სუფიქსი და მიუთითებს ხეების, მდინარეების ამა თუ იმ სოფლისადმი, ადგილისადმი კუთვნილებაზე. მაგალითად, ჩარგლ-ურ-ა ნიშნავს, რომ ეს ხევი ჩარგლისაა, ჩარგალს ეკუთვნის. ეს რომ ასეა, ნათლად გვიჩვენებს თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით გაფორმებული იგივე სახელწოდებები: ჩ ა რ გ ლ ი ს ხ ე ვ ი, მ ა ღ ა რ ო ს ხ ე ვ ი, კ ა წ ა ლ ხ ე ვ ი ს წ ყ ა ლ ი, ვ ა ნ ხ ე ვ ი ს წ ყ ა ლ ი დ ა ს ხ ე.

რაც შეეხება -ურ სუფიქსზე დართულ ბოლო -ა-ს (-ურ-ა), მისი ფუნქცია მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად არის ახსნილი. პროფ. ს. ჯანაშია მას მასუბსტანტივებელ სუფიქსად მიიჩნევდა ისეთ ტოპონიმებში, როგორც არის თელოვნა, თხილოვნა¹⁰ პროფ. ალ. ლლონტი „მაენინებელ -ა-ს“ უწოდებს, კინობითისად მიიჩნევს¹¹. ზოგ შემთხვევაში ეს მართლაც ასე უნდა იყოს (ხევა, წყალა...).

თ. ზურაბიშვილის აზრით, ტოპონიმების ბოლოს დართული -ა ქონებისა უნდა იყოს¹². ჩვენი აზრითაც, არა მარტო ტოპონიმებთან, ჰიდრონიმებთანაც ქონების გამომხატველი უნდა იყოს -ა. ჩანს, -ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქციის შესუსტებამ მოითხოვა მეორე სუფიქსის დართვა.

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება -ა-ს ფუნქციები ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებთან. მისი ფუნქციები აქაც ისევე მრავალფეროვანი ჩანს, როგორც სიტყვათწარმოებაში. ამიტომ ის ცალკე დამოუკიდებელ შესწავლას მოითხოვს.

ამრიგად, მთიულეთის ტოპონიმთა ჩვენებით, შეიძლება ითქვას, რომ -ურ სუფიქსს კუთვნილების გამოხატვის ფუნქცია აქვს; ეს უნდა იყოს -ურ-ის უძველესი ფუნქცია, რაც მთიულურმა დიალექტმა შემოგვიწინა; სადაურობის აღნიშვნა მისი მეორეული, გვიან შექმნილი ფუნქციაა.

Г. И. ХОРИАУЛИ

О ФУНКЦИИ СУФФИКСА -ур -иг ПО МТИУЛЕТСКИМ ТОПОНИМИЧЕСКИМ МАТЕРИАЛАМ

Резюме

Предполагают, что в современном грузинском языке суффикс -ур-иг, в основном, образуется от географических имен относительные прилагательные со значением происхождения имен класса вещей (А. Шанидзе).

Анализ одной группы мтиулетского микротопонимического материала показывает, что первоначальной функцией суффикса -ур-иг являлось обозначение принадлежности. Обозначение же происхождения является более поздней (с XI в.) функцией.

შენიშვნები

1. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 128.
2. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია -ურ სუფიქსის კიდევ ერთი საყარადო ფუნქცია: ვ. თოფურია იზიარებს რა მ. ჯანაშვილის მოსაზრებას („ქართული გრამატიკა“, ტფ., 1906) სვანურის უქონლობის -ურ სუფიქსთან დაკავშირებით დაასკვნის, რომ „1. ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიციეშოდა სუფიქსური წარშობებით და 2. უქონლობას გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ“. ნ. აბესაძის აზრით (ზეპირად მოგვაწოდა), -ურ უქონლობის სუფიქსი სვანურში თანდებულური წარშობისაა. -ურ ერთის ხან ნათესაობითის ფორმას, ხან მიცემითისას, როგორც საერთოდ თანდებულები სვანურში. ერთი მხრივ გვაქვს ფორმა აშურ „უამისოდ“, ეჩჩურ „უიმისოდ“ და, მეორე მხრივ, მიც. ბრუნვის ფორმა თეურ „ბრმა“, „უთვალა“.
3. ლლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.
4. ტოპონიმიკის ლაბორატორიის საარქივო მასალები, ჩაწერილი პაატა ცხადიას მიერ 1970—72 წწ.
5. საქართველოს რუკა, 1930.
6. სიხარულიძე ი., მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა): საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV. თბ., 1971, გვ. 74.
7. Никонов В. А., Введение в топонимику, М., 1965, გვ. 59.
8. შანჯგალაძე ა., -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იკე, V, თბ., 1953, გვ. 510.
9. გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, 1956, გვ. 134.
10. ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენშემის მოამბე, I, 1937, გვ. 218.
11. ლლონტი ა., ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 29.
12. ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 151.

(წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ლიპაძემ)

Н. Е. ДЖИКИЯ

ВАРИАЦИИ ФРАЗЕОЛОГИЧЕСКИХ ЕДИНИЦ ПРИ СОХРАНЕНИИ ИХ ТОЖДЕСТВА

(на материале французского языка)

Изучение фразеологии приобретает все большее значение как теоретическое — для осознания системных закономерностей лексики, семантики, помпации, так и практическое — для преподавания и родного, и в особенности иностранного языка.

Среди целого комплекса проблем, связанных с фразеологией, на одно из центральных мест вышла в последнее время проблема вариативности и неразрывно связанная с ней проблема тождества.

Фразеология как самостоятельный раздел лексикологии была выделена швейцарским лингвистом Ш. Балли, который впервые определил различия фраз, устойчивых словосочетаний от свободных и предложил классификацию фразеологического материала¹. Новый этап в изучении словосочетаний открыли работы академика В. В. Виноградова, впервые указавшего на «путь изучения структуры разных видов значений слова с целью выявления таких категорий словесных значений, которые лежат в основе различных процессов фразесобразования». Классификация фразеологических единиц, предложенная академиком В. В. Виноградовым, по общему мнению, представляет собой первую углубленную попытку анализа и описания фразеологической системы русского языка. Различая три степени семантической неразложимости сочетаний слов, академик В. В. Виноградов установил три типа фразеологических единиц —ращения, единства и сочетания². В истории разработки фразеологии делалась не одна попытка создать новую семантическую классификацию фразеологических единиц, но все они в сущности представляют собой или иное видоизменение классификации академика В. В. Виноградова. В последние годы изучение фразеологии в общетеоретическом и специальном плане значительно продвинулось вперед благодаря появлению ряда фразеологических словарей (английского — А. В. Кунина, французского — под ред. Я. И. Рецкера, русского — под ред. А. И. Молоткова, А. М. Бабкина и др.), а также ряда общих работ, в особенности В. П. Жукова, книги А. В. Кунина³ и др. Большую роль в развитии отечественной фразеологии сыграли научные конференции, из которых

¹ Ш. Балли, Французская стилистика. Перев. с франц., М., 1961, стр. 89—90.

² В. В. Виноградов, Основы теории русской фразеологии как лингвистической дисциплины. Труды юбилейной научной сессии ЛГУ, Серия филологических наук, Л., 1946. Он же, Об основных типах фразеологических единиц в русском языке, Сб. Маджик А. А. Шахматов, Сб. статей и материалов, изд. МГ СССР, 1947.

³ См. В. Н. Телля, Что такое фразеология?, «Наука», М., 1966; А. В. Кунин, Английская фразеология, М., 1970 и др.

специально следует отметить тульскую⁴, самаркандскую⁵ и новгородскую⁶.

Системные отношения между фразеологическими сочетаниями стали предметом пристального внимания фразеологов уже с первых шагов этой дисциплины, однако не все отношения и не в разной степени. Можно сказать, что сфера изучаемых здесь отношений все время расширяется; в то время как отношения вариативности были подвергнуты анализу уже в «Словаре» А. В. Кунина (1955) и затем не переставали уточняться и разрабатываться, отношения синонимии стали предметом исследования значительно позднее.

а) **Омонимия.** Из теории Ш. Балли о различной спаянности фразеологических оборотов следует, что между фразеологической единицей и устойчивым словосочетанием не существует никакой четкой границы: первое представляет собой абсолютное единство, второе, такой целостностью не обладает. Нередки случаи, когда одно и то же словосочетание в зависимости от контекста можно рассматривать как устойчивое словосочетание и как фразеологическую единицу. Ш. Балли рассматривает с этой точки зрения следующие выражения: *une mauvaise fois* и *le bon sens*. Возьмем такое предложение: *une fois qui se montre trop est une mauvaise fois* — «Вера, которую слишком выставляют напоказ, — дурная вера». Очевидно, что в выражении *mauvaise fois* прилагательное сохраняет полную независимость по отношению к существительному и образует с ним свободное сочетание. Однако в предложении *la mauvaise fois embrouille les affaires les plus simples* — «Недобросовестность запутывает самые простые дела» — не только смысл обоих слов *mauvaise fois* — «недобросовестность» отличается от смысла этого слова в первом случае, но, что еще важнее, значение каждого из слов невозможно выделить.

Соотношение пары сопоставимых единиц, подобных вышеприведенным, из которых одна — устойчивое перемешное сочетание, а другая — фразеологическая единица, считается омонимией в сфере фразеологии.

Особую разновидность омонимии фразеологических сочетаний составляют такие случаи, когда омонимия возникает вследствие распада полисемии, т. е. тогда, когда разные значения одного фразеологизма, будучи не мотивированными каждое в отдельности, не имеют уже тем самым и какой-либо связи друг с другом. Например: *faire l'enfant* а) *faire l'enfant* — вести себя по-детски, ребячиться; б) *ne faites pas l'enfant* — прикидывайтесь простачком.

Омонимия фразеологических сочетаний, возникающая на основе распада полисемии, во французском языке, по-видимому, всегда, за очень редкими исключениями, сопровождается какими-либо мелкими изменениями в плане выражения сочетаний — добавлением или опущением детерминативов, заменой артикля на притяжательное местоимение и наоборот, введением прилагательных, а иногда и лексическими заменами (ср. *je er l'arbre* — *pouiller l'arbre*). Таким образом, омонимия здесь теснейшим образом связана с вариативностью сочетаний. Боль-

⁴ См. Проблемы устойчивости и вариативности фразеологических единиц. Материалы международного симпозиума, Тула, 1968.

⁵ См. Вопросы фразеологии. III. Труды Самаркандского гос. университета. А. И. Самарканд, 1970.

⁶ См. Вопросы семантики фразеологических единиц (на материале русского языка), I. Новгород, 1971; Вопросы семантики фразеологических единиц славянских, германских и романских языков, ч. II. Новгород, 1972.

шое поле для наблюдений такого рода представляют фразеологические словари, построенные по этимологическому принципу, например, известный словарь А. А. Сырейщиковой.

б) **Синонимия.** Отношения синонимии между фразеологическими сочетаниями остаются малоизученной проблемой.

Проблема синонимии специально рассматривалась в диссертации Э. И. Зибудайте⁷. Автор определял фразеологические синонимы как «разные фразеологические единицы, выражающие одно и то же или близкие понятия в языке, способные в конкретном акте коммуникации выступить с единым понятным содержанием».

в) **Вариантность.** Отношения вариантности были значительно подробнее изучены и классифицированы на французском материале во «Французско-русском фразеологическом словаре»⁸. Авторы тщательно разграничивают вариантность от синонимии. Под первой они понимают соотношение «фразеологизмов, различающихся по лексико-грамматическому составу, но имеющих одну и ту же образную структуру», такие фразеологические сочетания будут вариантами одного и того же. Если рассматривать лексико-семантическое варьирование (грамматическое варьирование мы оставляем в стороне), то варьирующая часть в них может образовывать различные группы: а) **синонимов** в составе лексической системы языка, напр., *se casser la tête contre les murs (la muraille) se monter la tête (le bourrichon)*; б) **лексико-грамматические группы** в составе лексической системы языка, напр.: *manger l'herbe (les pissenlits) par la racine; s'en mordre les doigts (les joues)*; *n'avoir rien à mettre sous la dent (sous les molaires)*; *un morceau de roi (de cardinal)*. При этом выявляется особенность фразеологических сочетаний как особых образных сочетаний смысловых категорий, которые могут быть представлены различными словами: вариантом выражения *aller manger l'herbe par la racine* является единица *fumer les mauves par la racine*. При значительном лексическом расхождении обе они сводятся к более широкой общей формуле: «делать с подземной часть какого-то растения что-то такое, что обычно делается с его надземной частью», и т. п.; в) не образовывать **никакой группы** в составе лексической системы языка и выступать в качестве синонимов лишь в составе данного фразеологического оборота, напр., *jeter (semer) des marguerites (des pucelles) devant les fourneaux*; *e'venter (découvrir) la mèche*; *faire (manger) maigre*; *faire mauvaise (triste, grise) mine...*

Разграничение вариантов фразеологизма и фразеологизмов-синонимов получило более детальное освещение во «Французологическом словаре русского языка» под редакцией А. И. Молоткова. А. И. Молотков подчеркивает два существенных признака для разграничения фразеологизмов-синонимов и вариантов фразеологизма (последние автор называет «синонимическими формами употребления фразеологизмов»): а) в вариантах фразеологизма возможны взаимные замены варьирующих компонентов, у фразеологизмов-синонимов подобная замена невозможна, ср. «сойти в могилу» и «сыграть в ящик», но невозможно «сыграть в могилу», т. к. приведенные выражения синонимы. (В связи с первым

Э. И. Зибудайте. Глагольные фразеологические синонимы в современном французском языке. Автореф. канд. дисс., М., 1962.

⁸ В. Г. Гак, Э. И. Редкер. Французско-русский фразеологический словарь. М., 1963, стр. 11—12.

признаком мы отметим, что он не исключает взаимодействия фразеологизмов-синонимов, но результатом этого взаимодействия будет контаминация фразеологических сочетаний — явление, которое мы рассматриваем ниже); б) для фразеологизмов-синонимов не является признаком синонимии их одинаковая структурная организация, например, «сыграть в ящик» и «сойти в могилу» имеют другие синонимы самых различных структур: «отдать богу душу», «приказать долго жить» и т. д.; для вариантов фразеологизма структурная однородность обязательна.

г) **Прочие системные отношения (контаминация, антонимия).** Как в синонимии, эти отношения остаются еще плохо изученными. Из работ по антонимии фразеологических сочетаний следует упомянуть едва ли не единственное краткое исследование Е. Г. Багатуровой на материале русского языка².

Для французского языка очень характерен такой тип антонимичных соотношений, когда последние создаются лексическими вариациями в пределах одного фразеологизма-инварианта. Например, *se mettre sous les armes* и *prendre les armes* — «взяться за оружие, выступать в поход», *déposer les armes* или *rendre les armes* — «сложить оружие, прекратить сопротивление, сдаться»; *bon augure* — «добрый знак»; *mauvais augure* «необрый знак»; *sous d'heureux auspices* «в добрый час»; *sous de facheux auspices* — «в недобрый час» и т. п.

Проблеме контаминации фразеологических сочетаний также почти не посвящено специальных исследований. Фразеологическая контаминация — это соединение двух или более устойчивых словосочетаний любых типов. Например, разговорное «играет значение» из «играет роль + имеет значение»; «медная молодежь» из «золотая молодежь + медный лоб»; «тянуть резину» из «тянуть канитель + жевать резину» и т. п.

Основной целью статьи является изучение лексико-семантической вариативности фразеологических сочетаний. Как уже ясно из предыдущего, вариативность возникает при замене какого-либо компонента фразеологического сочетания, однако при двух непременных условиях:

1. Первым условием является сохранение неизменной структуры как одного, так и другого варианта в целом; сохранение структуры в целом соответствует сохранению прежней образной основы (в тех случаях, когда она имеется). При нарушении структуры в целом или при нарушении образной основы мы имели бы уже не варианты одного и того же фразеологического сочетания или фразеологизма, а фразеологизмы-синонимы.

2. Вторым условием является ошутимое семантическое единство, сходство или даже тождество (в некоторых случаях) заменяемых компонентов. Поскольку встает вопрос о тождестве заменяемых компонентов, эти компоненты должны быть изучены в их отношении к смысловой структуре соответствующих им слов в лексической системе языка в целом.

Каждое фразеологическое сочетание рассматривается как целостная единица. Однако при попарном сопоставлении (выявлении оппозиции) таких единиц выясняется, что они могут иметь во всем тождественный состав, кроме одного какого-либо слова. Если сопоставленные единицы составляют варианты одного фразеологического сочетания (а не фразеологизмы-синонимы), то не совпадающие слова рассматриваются как варьирующая часть одного и того же фразеологического сочетания. Каж-

² В сб.: Проблемы устойчивости и вариативности фразеологических единиц. Тула, 1968.

дая такая часть рассматривается отдельно. Например, выражение, записываемое во фразеологическом словаре как *casser (fendre, rompre) la cervelle (la tête)* «оглушить криком кого-либо», представляет собой следующие 6 единиц: 1. *casser la cervelle*; 2. *fendre la cervelle*. 3. *rompre la cervelle*, 4. *casser la tête, fendre la tête, rompre la tête*, но это множество единиц может быть разбито на подмножества различными способами. Рассмотрим такое разбиение: I. (*casser, fendre, rompre*) *la cervelle*; II. (*casser, fendre, rompre*) *la tête*; III. *casser (la cervelle, la tête)*; IV. *fendre (la cervelle, la tête)*; V. *rompre (la cervelle la tête)*;

В первом случае имеют место вариации глагола при одном существительном *la cervelle*; во втором случае — вариации глагола при одном существительном — *la tête*, в остальных трех случаях — вариации существительных *la cervelle, la tête* при одном каком-либо глаголе. Посредством таких разбиений варианты фразеологических сочетаний сводятся к синонимическим отношениям варьирующих компонентов, например, к синонимическим отношениям глаголов *casser, fendre, rompre* для случаев I, II и к синонимическим отношениям существительных *la cervelle, la tête* для случаев III, IV, V. Таким образом, возможные для данного случая вариации сводятся к двум подклассам, или типам, с одной стороны, I, II, с другой стороны — III, IV, V. Но оба эти подкласса, или типа, составляют вариации одного приведенного в начале инварианта *casser (fendre rompre) la cervelle (la tête)*. Таково отношение варьирующихся фразеологических единиц с формальной стороны.

Что касается плана содержания, то лексико-семантические отношения варьирующихся компонентов сводятся к двум основным типам синонимии. 1. В одном типе они образуют синонимические ряды, которые являются таковыми в данном языке вообще, например: *tête = visage = figure = mine = gueule; tête = esprit = cerveau = cervelle; tête = ciboule = ciboulot (argo)*. 2. В другом типе образуемые варьирующимися компонентами синонимические ряды существуют только в составе данного инварианта фразеологизма, например: «быть не в себе, с причудами» (*avoir le cerveau*) *blesé = malade = brouillé = dérangé = détraqué = fêlé = timbré*; «испорченная латынь» (*latin de cuisine*) = *sacristie*; «набить морду», *argo (défoncer) la gueule = le portait*;

Из рассмотрения материала следует, что отношения вариантности фразеологических сочетаний основаны на синонимии некоторых из частей (компонентов при тождестве остальных частей) компонентов. Особый интерес представляет синонимия, а следовательно и вариантность того типа, когда синонимический ряд функционирует не вообще в литературном языке, а лишь в составе данного одного фразеологизма — инварианта. Значение каждого слова, входящего в качестве одного из синонимов в такой синонимический ряд, является функцией семантически управляющего слова. Обычно таким управляющим словом является существительное для прилагательного и глагол для существительного — объекта и паречия. Обратное же встречается несравненно реже. По-видимому, этим объясняется тот факт, что общезыковые синонимические ряды очень часто ставят замены глагола для фразеологизмов-вариантов типа *hoyer = hurler après les chausses de qu* и значительно реже такие глагольные замены возникают на основе функциональной синонимии в рамках одного фразеологизма, т. е. *manger - fondre la laine sur le dos à qu*. Замены же имени существительного и возникающие на их основе варианты фразеологизма одинаково часты в обоих типах синонимии. Что касается прилагательных — определений и словосочета-

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებოდ მე-19 საუკუნეში საქართველოში გაიზარდა ინტერესი რუსული და ევროპული ლიტერატურისადმი. იწყეს რუსი და ევროპელი პოეტების, მწერლების. განმანათლებლების თარგმნა. ქართველმა არისტოკრატებმა. რომლებიც ბედმა რუსეთში გადაისროლა, ხელი მოკიდეს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ისინი თარგმნიდნენ ვოლტერს. მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოს, ლაფონტეს, რასინის. კორნელის. მოგვიანებით კი. უკვე მე-19 საუკუნის შუა წლებში, ქართველები ეცნობიან პუშკინს, ლერმონტოვს, მიცკევიჩს. თარგმნაში თავის კალამს ცდიან ისეთი კორიფეები ქართული ლიტერატურისა, როგორცაა: ალ. ჭავჭავაძე. გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. ვეჯა-ფშაველა და სხვანი. საბატიო წვლილი შეიტანა ქართული თარგმანის ისტორიაში დუტუ მეგრელმაც. „თუ გეინდა, რომ ერთა შორის ქართველი ერის სახელი იხსენებოდეს, როგორმე იმაზე უნდა ვცდილობდეთ, რომ ქართულ სიტყვიერების ნაწარმოებნი ითარგმნებოდეს უცხო ენებზედ. არა ნაკლებ უნდა ვცდილობდეთ, რომ ქართულს ენაზედ გვქონდეს უცხო მწერალთა ნაწერები, კლასიკურად ცნობილი მიანცა“. წერდა დუტუ მეგრელი 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 52 „ხმა შორიდგან“).

დუტუ მეგრელის თარგმანები შესრულებულია რუსულიდან ქართულად არარუსული ლექსებიც პოეტს რუსულიდან აქვს ნათარგმნი. მართალია, ასეთი თარგმანი არაა სრულფასოვანი, მაგრამ საჭიროა და საინტერესო მისი განხილვა პოეტის შემოქმედებითი პროცესის სრული შესწავლისათვის.

პირველად განვიხილოთ დუტუ მეგრელის მიერ ნათარგმნი რუსი პოეტები. ესენი არიან: პუშკინი, ლერმონტოვი, ბალმონტი, ნადსონი. ნათარგმნი აქვს აგრეთვე კ. ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“.

არც ერთი რუსი პოეტი არ არის ისე უხვად ნათარგმნი ქართულად, როგორც პუშკინი. პუშკინს თარგმნიდნენ ჯერ კიდევ მისივე სიცოცხლეში. პუშკინის პირველ მთარგმნელებად ითვლებიან ალ. ჭავჭავაძე და სოლომონ რაზმაძე. პუშკინს თარგმნიდნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და სხვები. პუშკინი-

სადმი ინტერესი ძალიან დიდი იყო საქართველოში. „ახლა გთხოვთ, გრიგოლ, — წერდა მანანა ორბელიანი 1835 წელს, რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს, — თუ ქისები და წინდები გინდა, დაპირება შემისრულე და მითარგმნე ჰეშინის „რუსლან და ლუდმილა“. ინტერესი პუშკინისადმი არც შემდგომში დამცხრალა. დუტუ მეგრელს ნათარგმნი აქვს პუშკინის ლექსი „ძეგლი“. ეს ლექსი მეტად პათეტიკურია, ამაღლებული. სხვადასხვა პოეტური სერხით ავტორი აღწევს უდიდეს ემოციურ ზემოქმედებას. ლექსში უხვადაა არქაული სიტყვები. ავტორი დარწმუნებულია თავისი ქმნილებების უკვდავებაში, მისი კალმის სიძლიერეში. მას ნათლად აქვს დანახული დიდების შარავანდედით მოსილი მომავალი. თარგმანში ყოველივე ეს გადმოცემულია, მაგრამ მეტად ჩვეულებრივი, პროზაული ენით, თუმცა მას არ აკლია არც რითმა და არც რიტმი. თარგმანში უპირველესად ყოვლისა დარღვეულია ორიგინალის ინტონაცია, რისი ზნაჩუნებაც აუცილებელი პირობაა თარგმნის დროს. პოეტური თარგმნის დროს არ არის სავალდებულო ორიგინალთან რიტმული თანდამთხვევა. მთავარია არ დაირღვეს ლექსის მუსიკა; სწორედ იქნეს დანახული სახეები და მოვლენები, არ დაიკარგოს დედნის ნაციონალური სპეციფიკა. სამწუხაროდ, დუტუ მეგრელის თარგმანში ეს კანონები დარღვეულია. პუშკინის ლექსის პოეტური სინტაქსი მეტად დანაბრებულია, რაც აძლევს მას ამაღლებულ ხასიათს, ლაკონიურობას, მუსიკალობას. თარგმანი შესრულებულია ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით, რაც თარგმანს უკარგავს ორიგინალისათვის დამახასიათებელ ემოციური ზემოქმედების უნარს.

Вознесся выше он главою непокорной,
Александрійского столпа

რა უბრალო, სიტყვატევადი სტრიქონებია, მათი თარგმნი მოითხოვს არა მარტო ენის საუკეთესო ცოდნას. არამედ მითარგმნელობით ვირტუოზობას. თარგმანი ასეთია:

თავის სიმაღლით ქედმოუხრელი,
აღქსანდრეს ბურჯს აღმატება.

ეს უკვე პუშკინი აღარ არის. არც ორიგინალის ინტონაცია, არც წინადადების პოეტური სინტაქსი, არც პუშკინისეული აზრი. იგივე სტრიქონი ვ. წულუკიძეს ნათარგმნი აქვს შემდეგნაირად:

ქედმოუხრელი დგას ამაყად, ცად აზრდული,—
ის აღქსანდრეს სვეტზე მაღალი.

ეს ცოტათი უკეთესია, მაგრამ არც აქ არის ლექსის ის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია კარგი თარგმანისათვის. ორიგინალის აზრი დარღვეულია. აქ მთავარი აქცენტი არის იმაზე, რომ ხელთუქმნელი ძეგლი აღიმართა ძალიან მაღლა, არა ისე, თითქოს იგი, როგორც ნამდვილი ძეგლი, იდგეს მშვიდად და იყოს აღქსანდრეს სვეტზე მაღალი:

სტრიქონი: „Что чувства добрые я лирой пробуждал“ დუტუ მეგრელს ნათარგმნი აქვს: „რომ კეთილ გრძნობებს განვაღვიძებდი“. არ არის არსად, რით განაღვიძებდა კეთილ გრძნობებს— ლირით. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი ამ ტაეპში. ლირა პოეზიის სიმბოლოა და პოეტიკ პოეზიით, ე. ი. ლირით, აღწევს მიზანს. მისი უგულუბეღყოფა არც მიზანშეწონილია და მხატვრულ დე-

ტალსაც მოკლებული წულღეიას უთარგმნა: „რადგან სერგაქდა კე-
 გოას ბენს იყო საჯღარი ჩანგური აქ უტრო სსვა ასოციაციებს იქვეეს.
 ვარდევალ ისევე როგორც ვერობის სსვა ქვეყნებში, პოეზიის სიმბოლ
 ღობი იც შესასწაველი ეს სიტყვა სასკით უნდა გადმოცემული
 რაც სპირი ქოთ ედ პოეზიაში, დეტუ შევრვლს ეროვნების აღმ
 შესვლი სასკით სამხრ დასავლად აქეს თარგმნალი, უნდა იყოს ყალბე
 ისე როგორც წულღეიას თანა და ა. შ.
 სტრიქონი:

Хвалу и клевету приемли равнодушно
 И не опасайся клеветы.

სათარგმნია: „გულგრილად შევდი ქება-დიდებას და ნუ შეებში ბრყვეს, უფ
 სურსა“ клевета ცილისწამება და არა ძაგება, „ბრყვეს, უგუნურსა“ —
 ერთი და იმ ექ შესწევნელობს სიტყვის სპარება არ იყო სკირო, პუშკინს ეპ
 სიტყვით აქეს გადმოცემული („скупина“) მათარგმნლსაც ერთი სიტყვით უწ
 გადმოცეა, თუკი ეს ერთი სიტყვა არსებობა (ბრყვეი.)

სიტუდავად ამ სიტყვებისა, ეს თარგმანი ჩვენთვის მნიშვნელოვან
 რომ იგი პუშკინის თარგმნი, ერთ-ერთი აღბეული ცუდა.

რამდენსავე პუშკინის ლექსის თარგმანი არ არის მაინცადამაინც სრულ
 ყოფილი, იმდენად კარგია დეტუ შევრვლს სურ ნათარგმნი ლერმონტოვი. მ
 ლერმონტოვის მსოლიდ რომ ლექსი თარგმნა, მაგრამ შეიძლება ითქვას, პოეტ
 მა ამ ლექსებში ითვის მი რგმნელად იყო: სელოენების ქვეყრვალებს მიაღწ
 მოვიყვანთ პირველ ლექსს:

რამ
 ვაა

ლერმონტოვის პირველი მათარგმნელები აკაკი და ილია არიან. აკაკიმ თა
 ვისი პოეტური ცხოვრება ლერმონტოვის თარგმნით დაიწყო. 1858 წელს „ცო
 კარში“ გაქსესა პეტერბურგიდან სალუკინისას“ თარგმანი. ლერმონ
 ტოვი თარგმნეს ვაჟა-ფშაველამ, მ გუ ჩვენი დროის თიოქს.
 ყველა ქ რაველია პეტრმა.

ესე მეთ შესწავლებისათვის დამასიათებელია რომანტიკულ
 განსაზღვრება მამ ისევე როგორც პეტრ სსვა ქართულმა პოეტმა, სულიწ
 ს თესიონა პეტ ლერმონტოვი შესწავნებდასთან. ამიტომ არის მისი თარგმ
 სრულყოფილი. ეს შესწავნებული აქეს პრიგანალის ინტონაცია, ასრი, ლქ
 სის სპეციფიური მსაგებელი სსვა, ატარის პოეტური ინდივიდუალობა.

მეორე ლექსი არის „ლოცვა“, მა ვეყვანთ მის თარგმანს:

რ
 სი...
 მამორო, ანუ ვე რე მამორო?
 პ...
 სედს ღობეცომოვ მისტიალს,

გედრი მხოლოდ ამ წმინდა ქალწულს
 ნუ მოაკლებ შენს კალთას მოწყალეს.
 მიეცი ღირსსა ბედნიერება,
 მიეც კეთილი ყურისმგებელი.
 ჟერ სიხარული, ეკლავ ჰყუდროება,
 სულის მშვიდობა, მაცოცხლებელი,
 და რომ მოვა დრო გამოთხოების,
 მზიან დღეს იქნეს თუ ღამეს ბნელსა,
 ნება მიეცი მის ჩაბარების
 მხოლოდ ანგელოზს შენს საყვარელსა.

მთარგმნელს სწორად აქვს გააზრებული ამ ლექსის ფილოსოფიური მხარე — ცხოვრების დასაწყისი, მისი ხანგრძლივობა და წარმავლობა. ეს მოტივი არა ერთხელ გვხვდება დუტუ მეგრელის შემოქმედებაში. ლერმონტოვს ოთხ სტროფში, თითქოსდა უბრალოდ, მხოლოდ გენიოსისათვის დამახასიათებელი უშუალოდობითა და ლაკონიურობით, აღწერილი აქვს ადამიანის ცხოვრება, რომელსაც პოეტი ავედრებს ყოვლისშემძლე ღვთისმშობელს. მთარგმნელმა ზუსტად გადმოიტანა ეს აზრი თარგმანში, შეუნარჩუნა ლექსს ინტონაცია და თუ ქართული ვარიანტი ისეთივე ზემოქმედებას ვერ ახდენს მკითხველზე, როგორც ორიგინალი, ეს თარგმანის პრინციპებიდან გამომდინარეობს და ყველა გენიოსი პოეტისა თუ მწერლის ხედვრია, რადგან სხვა ენაზე ნაკლებად ბრწყინავენ მათი თხზულებები.

შემდეგი რუსი პოეტი, რომელიც დუტუ მეგრელმა თარგმნა არის კონსტანტინე ბალმონტი. მან ბალმონტის სამი პატარა ლექსი თარგმნა. ესენია: „ნაპერწყალნი“, „ერთთა ქვეყნად მშვენიერება...“ (1914 წ.) და „ქაობი“ (1915 წ.) საინტერესოა ეს ბოლო ლექსი. იგი სიმბოლურია. დაწერილია პესიმისტური განწყობილებით. ლექსი მძიმე განწყობილებებს იწვევს. მასში ცხოვრება საზიზღარი, აშმორებული ქაობის სახით არის წარმოდგენილი. მთარგმნელმა, როგორც ჩანს, ამ ლექსში თავისი სულიერი განწყობილება დაინახა — გულგატეხილობა ამქვეყნიური კანონებისადმი და ცხოვრების სიმუხთლე. სამშობლოს მშორებულს საშინელ ქაობად ჰქონდა ქვეყანა წარმოდგენილი. პირველი სტროფი ასეა ნათარგმნი:

ოჲ ეს სიციხესუ, უბაღრეკა გაცივებული,
 უქარიშხალი. უგრძნობელი, უხმო, უძრავი!
 არც კვნესა მწარე, არც სომღერა აღფრთოვნებულ.
 არც ღამე ბნელი, არც დღე მბრწყინავი.

ბალმონტს პირველი ორი ტაეპი ცოტა სხვაგვარად აქვს:

О щиповская жизнь, без брыз, без ощущения,
 Холодный полумрак, без звуков и огня.

თარგმანში ორიგინალის იდეური შინაარსი, ინტონაცია, სტილი შენარჩუნებულია. ზედმიხედ ოთხი ზედსართავი სახელის გამეორება ემოციურობას მატებს სტრიქონს. ეს ადგილი: „Смешались контуры, и тучи и, и чертв“. ნათარგმნია: „არეულია სახეები და ფერადები“. სწორი არ არის. „ფერადები“ გაუგებარია რისთვისაა ნახმარი, ფერები რომ იყოს, სხვა იქნებოდა, კონტურები კი საერთოდ გამოტოვებულია. ამ სიტყვის ხმარება ქართულ ტექსტში შესაძლებელია, თუკი შეეძლო იგი ბალმონტს ეხმარა, (სიტყვა რუსული არ არის და ქართულადაც ისევე წარმოითქმის) შეეძლო მის მთარგმნელსაც პირდაპირ გადმო-

ეტანა. პოეტურ თარგმანში თითქოს შეუძლებელია ზუსტი ენობრივი და რიტმული შესატყვისობა, ეს არცაა საჭირო, მაგრამ აზრის შენარჩუნებისათვის აუცილებელი კომპონენტები გადმოტანილი უნდა იქნეს.

ძალიან კარგადაა ნათარგმნი ბოლო სტრიქონის პირველი ორი ტაეპი:

Да жабы черные, исчадия трясины,
Порою вынырнут из грязных, спящих вод.
და ღონფოშონი, საზიზღარნი ჭაობის შეიღნი
დრო და დრო მძინარ შლამ-კენკეოდან ამოქრებთან.

აქ შენარჩუნებულია ორიგინალის ინტონაცია, აზრი, იდეა და სახეები. ამიტომ თარგმანის მხატვრული ღირებულებაც მაღალია. ამასვე ვერ ვიტყვიტ სტოოფის მესამე სტრიქონზე: „И словно радуюсь обильно скользкой тины“ დუტე მეგრელი თარგმნის: „და რომ ცხოვრობენ აქ სიამით თითქო აღვსილნი“. — აქ აზრი სწორად არ არის გადმოცემული. მთლიანად თარგმანი კარგია, იგრძნობ მთარგმნელის შემოქმედებითი პოტენცია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ დუტე მეგრელის მიერ შეღის ერთი ლექსის თარგმანი. ეს ლექსი პოეტმა თარგმნა ბალმონტის მიერ რუსულად ნათარგმნი ლექსიდან. საერთოდ ცნობილია, თუ როგორ თარგმნიდა ბალმონტი შეღის. გვიჩვენებდა ადნიშნავს, რომ „ბალმონტისეული ტრანსფორმაციის შედეგად ინგლისელი პოეტის შეღის ნაცვლად რუსულ ენაზე ჩნდება შეღისა და ბალმონტის ნაერთი პოეტი, ანუ როგორც კუჟამახვილურად ამბობს ჩუკოვსკი „ვინმე შეღმონტი“, (გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თეორიის თარგმანის საკითხები, გვ. 139).

ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს დუტე მეგრელის მიერ თარგმნილ ბალმონტის კიდევ ერთ ლექსთან, რომელიც ამ უკანასკნელმა შექმნა შეღის ლექსის თავისუფალი თარგმანით. ლექსს ეწოდება „სიყვარულის ფილოსოფია“ — ლექსი შესანიშნავია. იგი ბუნების სიმშვენიერისა და სიყვარულის ჰიმნია. ბუნება და ტრფიალება შერწყმულია ერთმანეთში, ერთმანეთის შემავსებელია. ლექსის სევდიანი კილო, ინტონაცია, რომელიც თანდათან მაღლდება, მიდის კულმინაციამდე და მერე ერთბაშად ეშვება ძირს. თითოეული გამოთქმის თავისებური ნიუანსი, რაც ახასიათებს ბალმონტის ლექსს. შენარჩუნებულია ქართულ თარგმანშიც. ამავე დროს თარგმანს მიღებული აქვს ქართული ლექსის სპეციფიკა. მოვახდინოთ ორივე ლექსის ილუსტრაცია, რომ უფრო აშკარად გამოჩნდეს თარგმანის ყველა დეტალი:

«Руции сливаются с рекою.
Река стремится в океан,
Несется ветер над землей,
К нему ласкается туман

Все существа, как в дружбе тесной,
В союз любви заключены, —
О почему ж, мой друг прелестный,
С тобой мы слиться не должны.

Смотри, уходит к небу горы,
А волны к берегу бегут;
Цветы склоняя нежно взоры,
Как брат к сестре друг к другу льнут.

Целует ночь — морские струи,
А землю — блеск лучистый дна, —
Но что мне эти поцелуи,
Коль не целуешь ты меня?....

ღუტუ შეგრელი თარგმნის:

წყარო შეერთვის მდინარეს,
მდინარე ზღვას უერთდება
ქარი მიწაზე მიმოქრის,
ნილი ქარს ეაღვრება.

ყოველი არსი კაეშორით
შეუკრავს ტრფიალებასა, —
და საყვარელო, ჩვენ რაღად,
გვიშლიან შეერთებასა?...

ნაპირს ეკვრიან ტალღანი,
მთანი ეას ებჯინებიან,
ყვავილნი, ნაზნი, დაიშურად
ერთმანეთს ჩაყონებიან.

ღამე ზღვას ეამბორება,
მეწას — დღე გაბრწყინებული,
მაგრამ მე რა, თუ შენს ამბორს
ქვირფასო ეარ მოკლებული?...

კიდევ ერთი რუსი პოეტი, რომლის თარგმანი შეასრულა ღუტუ შეგრელმა არის ს. ნადსონი. პოეტს ნადსონის სამი სხვადასხვა ლექსი აქვს ნათარგმნი. ლექსები ერთმანეთისაგან გამოყოფილია რომაული ნუმერაციით. პირველი ლექსი ნადსონმა დაწერა 1884 წელს, მეორე — 1885 წელს, მესამე — 1886 წელს. თარგმანი შესრულებულია 1888 წელს.

პირველი ლექსის თარგმანი კარგია, შენარჩუნებულია სტილი, ინტონაცია, ნადსონის ლექსის ბუნება. ნადსონის ლექსი ღრმად არის გააზრებული. პოეტი სიბრალულის, პატიების წმინდა გრძნობას უპირატესობას აძლევს სულმოკლე ზრისხანებასა და სიძულელითან შედარებით.

Я о любви молю — и нахожу кругом
Злорадный смех сленца над святостью страданья
Глумление всякого вида стесам и ласкам, —
Я мир однойже любовью, и не огонь презрения,
И малодушный гнев мою волнует крошь,
А пламенный перьев святого сожаленья.
Считаю, чистейя, прекрасная любовь.

ეს ადგილი ასეა ნათარგმნი:

სიყვარულს ვითხოვ და ეპოულობ ნაცელად ყოველგან
წმინდა ტანჯვაზე ღუგუნჯრთა ბრმა დაცინვასა,
სინათლეს კეთილს — აჯენჯღღებს უღრისისაგან.
ქვეყანა მიყვარს ერთიორად, მიღლეებს სისხლსა.
არა ზიზღისა ცეცხლი და არც რისხვა მდაბალი,
მხოლოდ მგზნებარე ვატაცება სიბრალულისა,
და სიყვარული, მშვენიერი, წმინდა, მაღალი.

ნადსონის ამდლებული ინტონაცია თარგმანში შენარჩუნებულია, თუმცა ორგინალში უფრო მეტი ღვიძლი და სიძულვილია გადმოცემული, ვიდრე ეთარგმანმა გვიჩვენა.

მეორე ლექსია „წინასწარმეტყველს ტყვილად ეძებ“. ლექსის უმეტეს ნაწილი ნათარგმნია გამართულად, სტილი დარღვეული არ არის. თარგმანზე უსტად გადმოგვცემს ორიგინალის პოეტურ სინამდვილეს. ეს ადგილი: „Есть только хищников иедремлющая стая“. ნათარგმნია ასე: „ბურთ-მოედან დარჩენიანთ ყაჩაღ-მტაცებელთ“. „ბურთ-მოედანი“ რუსულ ტექსტში არ არის მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ირღვევა რუსული სტრიქონის აზრი, ქართულ სათვისაც დამახასიათებელი გამოთქმაა მიგნებული. კარგადაა ნათარგმნი ლექსის დასაწყისი:

Напрасно я ищу могучего пророка,
Чтоб он улек меня. — куда-нибудь ушлек,
Как опененный шал гремучего потока,
Крутятся уносит адаль подмштый им цветок.

ქართული ვარიანტი ასეთია:

წინასწარმეტყველს ტყვილად ეძებ, ძალით მოსილსა,
რომ გაიტაცოს საითყენზე მან ჩემი სული,
ეთ ნიაღვარი ჩამორეცხილს მისგან ყვეილსა
იტაცებს შორს შორს, და მიშაუის აღქაფებელი...

ლექსის ბოლო ორი ტაეპი ნათარგმნია არაზუსტად:

Что не узнаешь ты, кто говорит в нем — геший,
Или озлобленный, мучительный педуг.

ნათარგმნია:

რომ ვერ გაიგებ გენიოსი დღი რამ ძალი,
ამბობს მის პირით, თუ შთაფნთქაეს შვეე სნეულებას.

აზრი ბუნდოვანია. ნადსონი ამბობს, რომ ვერ გაიგებ, რა ალაპარაკებს მას, მგენია, თუ გაბოროტებული, გამამწარებელი სენი. თარგმანში კი ეს აზრი დაკარგულია.

მესამე ლექსია „წინასწარმეტყველო, დროა გაჩნდი...“. ეს ლექსიც, როგორც წინა ორი, ნათარგმნია გამართული ქართული ენით. მთარგმნელისათვის ახლობელია ნადსონის განცდები, მისი ლექსები პოეტის სულიერ განწყობილებას ესადაგება. ნადსონის ტრადიკული ცხოვრება წააგავდა დუტუ მეგრულ ტანჯულ სიცოცხლეს. ნადსონის ლექსში საკუთარი განცდების გამოქაჩილი გონა და ამიტომ თარგმნა ეს სამი ლექსი ასეთი სიყვარულითა და მონდომებ:

წინასწარმეტყველო, დროა გაჩნდი. მოგმართავ შენა,
მწუხარებით და სიყვარულით აღფრთოვნებული!
გენახე, რა რიგად დაიქანეთ, დაუსტელო ჩენა,
უმწეოდ რარიგ გემესრავს ბრძოლა გამწეავებული!
ახლა, ახლა, ან ნერასოლეს!... ჰეეღება შეგნება,
არსით სინათლე, ნამუს სძინავს, სირცხელი ჰქრება,
არარობას მხოლოდ ისევე სმა ემატება...

აღვნიშნოთ ორიოდ უზუსტობა:

„Как мы беспомощны в мучительной борьбе!“ ნათარგმნია: „უმწეოთ რიგ გემესრავს ბრძოლა გამწეავებული“. აქ აზრი დარღვეულია. ბრძოლა კი

გმუსრავს უმწეოთ, არამედ რა რიგ უსუსურნი ვართ ჩვენ მწვავე ბრძოლა-
ზო. და კიდევ ერთი: „Одно ничтожество свой голос возвышает“. — ნა-
თარგმნი აქვს: „არარაობას მხოლოდ ისევე ხმა ემატება!“ აქაც აზრი დარღვეუ-
ლია. „არარაობა ხმას იმაღლებს“ — აქვს ნაღსონს.

როგორც აღვნიშნეთ, მან კიდევ თარგმნა ერთი რუსული თხზულება, ეს
არის ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დაღაქი“, რომელსაც ბოლოს განვიხილავთ,
როგორც დრამატული თხზულების თარგმანს.

ახლა კი განვიხილოთ დუბუ მეგრელის მიერ რუსულიდან ნათარგმნი
ეცხოელი პოეტების ლექსები. თარგმანის ასეთი ფორმა თარგმნის თეორეტი-
კოსების მიერ უარყოფილია. მიზანშეწონილია ყველაფერი ითარგმნოს ორიგი-
ნაღიდან და დღეს, როდესაც ადამიანებს აქვთ საშუალება დაეუფლონ ორ, სამ
და მეტ ენებს, თარგმანის თარგმანი იშვიათად გვხვდება, მაგრამ ადრე, როდეს-
აც რუსული ენის ცოდნა ძალიან დიდ მიღწევად ითვლებოდა, ასეთი თარგმა-
ნის შესრულება საპატიო საქმედ იყო აღიარებული.

დუბუ მეგრელს ნათარგმნი აქვს ბაირონის, ჰიუგოს, გოეთეს, საფოს.
შარკამის ლექსები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

საინტერესოა დუბუ მეგრელის მიერ ნათარგმნი ბაირონი, ლერმონტოვი-
სეული თარგმანიდან გაკეთებული. ეს ლექსი ბაირონის ებრაული მელოდიების
ციკლში შედის. ლერმონტოვისეული თარგმანი ასეთია:

Душа моя мрачна. Скорей, певец, скорей!
Вот арфа золотая:
Пусть персты твои, промчавшись по ней,
Прсбузят в струнах звуки рая.
И если не на век надежды рок унес —
Они в груди моей проснутся.
И если есть в очах застывших капля слез —
Они растают и прольются.
Пусть будет песнь твоя лика. Как мой певец,
Мне тягостны вселися звуки.
Я говорю тебе: я слез хочу, певец
Иль разарвется грудь от муки.
Страданиями была узнана она,
Томилась долго и безмолвно,
И грозный час настал — теперь она полна,
Как кубок смерти, яда полный.

რა კეთანი და სევდაა გადმოცემული, რა უსასრულოა ნაღველი და ამავე დროს
როგორი ადამიანურია ეს განცდა. პოეტს, ხელოვანს ევალეება ადამიანური სევ-
დის გაღობა, შემორჩენილი იმედების გაღვიძება, ადამიანის გაყინულ თვალ-
თაგან ცრემლის გადმოღვნა. პოეტმა უნდა ატიროს ადამიანი და ცრემლმა უნდა
გამოიტანოს ის ნაღველი, რომელიც წლობით უგროვდება გულში. ასეთ მოვა-
ლეობას აკისრებს ბაირონი პოეტს. ის დაუდგრომელი სული, რომელიც სულ
შფოთავს, ვერ პოულობს მოსვენებას, რომელიც სულ ძიებაშია — ახლობელია
ლერმონტოვისათვის. ამიტომ თარგმნა მან ასე ბრწყინვალედ ბაირონის ეს
ლექსი. ძნელია შეეკიდო ორ ბუმბერაზს. მართალია, თარგმანი სუსტია, მაგრამ
ბასში მაინც იგრძნობა მთარგმნელის კეთილგანწყობილება ლექსის თემატის
ზიპართ.

ბნელია ჩემი სული, მალე, მგოსანო, მალე!
 ამა კნარი ოქროის;
 ჩამოყარი თითები, სიმინი ააწყრიალე
 უცხო ხმებით სამოთხის!
 და თუ არ გამჭრობია საუკუნოდ იმედი —
 გულში კვლავ აინთება;
 და თუ გაყინულ ცრემლსა კიდეა თვალში წვეთი —
 იგი გაღმოდინდება.
 დაე, მოსთქვამდე მწარედ ჩემი გვირგვინიეთა
 მზუთაეს ხმა მზიარული;
 გეუბნები, ცრემლი მსურს, თორემ ამდენ ტანჭიეთა
 აგერ ვასკდება გული;
 მან ხმის ამოუღებლად ერთობ დიდხანს იწვალა,
 და დადგა მკაცრი წამი.
 უკვე აესებულია ვით სიკვდილის ფილა;
 რომელსაც აესებს შხამი!

თარგმანს არა აქვს შენარჩუნებული ლერმონტოვის ლექსის ბუნება, მისი პოეტური სამოსელი ღარიბია, არ არის გამოყენებული ქართული ენის დიდ შესაძლებლობები.

ამ ლექსის გარდა დღევანდელ მეგრულმა თარგმანმა ბაირონის კიდევ ერთი ლექსი. ეს არის ბერძენი პოეტის ლექსი, რომელიც დონ ჟუანის მესამე გალობაშია ჩართული. იმ დროისათვის (1896 წელსაა ნათარგმნი) დონ ჟუანის პოეტური თარგმანი არ არსებობდა. რუსულ ენაზე იყო მხოლოდ მისი პროზაული თარგმანები. ეს ადგილი კი ლექსად უთარგმნია როტჩევას. («Песнь Грека» и «Дон Жуана», подражание Байрону, «Уралия», 1826 г.), დღევანდელ მეგრულ კი მისი თარგმანის მიხედვით. ჩვენ ვერ მოვახერხებთ მიგვეგნო ამ წყაროსათვის. ამიტომ თარგმანის ანალიზის გაკეთების საშუალება არა გვაქვს.

1912 წელს გაზეთ „კოლხიდას“ № 39-სა და № 41-ში დღევანდელ მეგრულ ათავსებს 2 პატარა მონაკვეთის თარგმანს გოეთეს „ფაუსტიდან“. რუსულად ეს თარგმანები შესრულებულია ნიკოლოზ ხოლოდოვსკის მიერ. გოეთეს ნაცვლად მთარგმნელი ხმარობს გეტეს. ეს რუსულის პირდაპირი გადმოტანაა ქართულად, ხოლო მიძღვნის („посвящение“) ნაცვლად „მიმართვა“ აქვს ნამარი.

მთარგმნელი ეძებს რაც შეიძლება სხარტ, ხატოვან გამოთქმებს, ამოვღროს ცდილობს რუსულ ტექსტს არ გადაუხვიოს.

Опять вы, образы туманные, со мною,
 Встававшие давно пред взором молодым!
 Увлечёсь ли опять отлажною мечтою,
 Отдаться ль вновь вновь душой тем грезам золотым?

ეს ასეა ნათარგმნი:

კვლავ შევლანებით, ჩვენებანო ნისლით მოცულნო,
 ეამა შორეულ ქაბუკობას ჩემგან ნახულნო!
 ოჰ, ნუთუ თქვენით შემიძლიან კვლავ აღფრთოვნება?
 ნუთუ ძველ სიზმრებს გამოცოცხლებს ისევ ოცნება?

ამ სტროფსა და მომდევნო სხვა სტროფებშიც ზუსტად არის გადმოცემული პოეტის ჩანაფიქრი. ყველა სტრიქონი გამართულია, გარდა მესამისი: „ოჰ, ნუთუ თქვენით შემიძლიან კვლავ აღფრთოვნება?“ რომელსაც უფრო მეტად ესაქ-

რიებოდა დახვეწა. „შემიძლიან“ ცოტათი კუთხურ ელფერს აძლევს ტაქსს, „ოპ“ შორისდებული კი სრულიად ზედმეტია.

შემდეგ სტრიქონებში მთარგმნელი ცილდება ტექსტს, თარგმნის უფრო თავისუფლად, მაგრამ ამით არ ირღვევა არც ტექსტის შინაარსი და არ აკლდება მხატვრული ღირებულება.

Так, вам я отдаюся! Знакомой вы толпою
Возстали облаком объятые густым.

ნათარგმნია:

„მომგარებიხართ წყვილიდიდან დაიწვებისა —
სალამი თქვენდა, იყოს ნება, დე, განგებისა!

„Так я вам отдаюся!“ თარგმნილია: „სალამი თქვენდა!“ სიტყვები სხვადასხვაა, აზრი კი იგივე რჩება.

ტაქსები:

[Вижу] и образы друзей, беспечной толпою
Отдавшихся судьбе, расставшихся со мною.

ნათარგმნი აქვს არაზუსტად:

ძვირფას მეგობართ ჩემს თვალთაგან მოფარებულთა,
ბედისგან განზე გარიყულთა, მიტოვებულთა.

ლამაზია, მაგრამ არაზუსტი. დედანში ლაპარაკია მეგობართა სახეებზე (образы), რომელნიც უღარდელად მიენდნენ ბედისწერას, პოეტთან დაშორების შემდეგ. ტაქსი: — «Друзья, теперь моя вам педоня не слышна!» — ნათარგმნია: „ეგაი, რომ ჩემი კვლავ გალობა ვეღარ მოგესმით!“ აქ „გაი“ ძალიან დროულად არის ნახმარი და ტექსტს ქართულ ელფერს აძლევს. ამავე დროს აზრი ზუსტად და სხარტად არის გადმოცემული.

ბოლო სტრიქონები ნათარგმნია გამართულად, აზრი, სტილი, ენა — დაცულია. მეორე მონაკვეთია „პროლოგი ზეცაში“. ეს თარგმანიც ანალოგიურადაა შესრულებული, მთარგმნელი არ ღალატობს რუსულ ტექსტს, თარგმნის დახვეწილი, სუფთა ქართულით. ეს ორივე თარგმანი შეიძლება ლუტუ მეგრელის მთარგმნელობითი საქმიანობის მიღწევად ჩაითვალოს.

„ვიქტორ ჰიუგოდან“ — ასე დაასათაურა ლუტუ მეგრელმა სტრუვესეული თარგმანის ქართული ვარიანტი. სტრუვეს თარგმანის სათაურია „Не оскорняйте же: шшшшшш“. აქ ლაპარაკია იმ სოციალურ უსამართლობაზე, რომელიც ქალს გარყვნილებისავე უბიძგებს. ჰიუგო გვევლინება ასეთი ქალის დამცველად, იგი ქალში — ადამიანში კარგ საწყისებს ხედავს და მის დაცემაში ოქროსა და ადამიანებს ადანაშაულებს.

ლუტუ მეგრელის თარგმანში დაცულია იგივე აზრი, სტილი, ინტონაცია, ღონდ ქართულში ზმნის სქესის ჟღერის გაცოცხლება, ძალიან მკრთალად არის მიწინააღმდეგებული, რომ ამ ლექსის ლირიკული გმირი ქალია, შეიძლება მთარგმნელმა ეს სპეციალურად გააკეთა, რომ ლექსისათვის უფრო განზოგადებული სახე მიეცა და ეჩვენებინა ადამიანის თავზე დატრიალებული სოციალური უსამართლობის სურათი. საზოგადოების უსულგულობა და გულგრილობა პიროვნებრივ მხარე — მეტად მტკივნეული საკითხი იყო იმდროინდელ საქართველოში (ლექსი ნათარგმნია 1890 წელს).

კიდევ ერთი ლექსი აქვს ნათარგმნი დუტუ მეგრელს, სადაც სოციალური უკუღმართობის სურათია გადმოცემული. ეს განსაკუთრებით მარკავამის „თონიანი“ ბიბლიოგრაფიული კვლევით ვერ მივაგენით თარგმანის წყაროს, უფრო მეტად ვერ გავარკვევით თვით ავტორის ვინაობაც.

აქ სოციალური უსამართლობის მძაფრი სურათია დახატული. ავტორი საოცარი ფერებით ხატავს საუკუნეთა სიმძიმისაგან წელში მოხრილ, უაზრო სახის მქონე, თოხზე დაყრდნობილ არსებას, რომელსაც დაუყარავს ადამიანის გამომეტყველება და პირუტყვის დამგვანებია. ავტორი ბრალს სდებს ღმერთს, ადამიანს და სამაგიეროს მიზღვევით ემუქრება ყველას.

ბატონ-პატრონო და გამგანო ყველა ქვეყნების!
 ნუ თუ ეს არის საჩუქარი თქვენგან ღოთაების?
 ეს სახე რაღაც გაქვავებულ საშინელების?
 შეძლებთ-ღა განა მის სხეულის კვლავ გასწორებას,
 მის მხედველობის გაფართოებ-გააზროვნებას,
 მისთვის ოცნების, პარმონის კვლავ დაბრუნებას,
 მის არსების კვლავ უკვლავებით გაციკროვნებას?
 მოსპობთ-ღა განა უხსოვართა დროთ შეცოდებას,
 მისს მუხთალ ჩაგვრას, განუეურნავ დასახიროებას?

ასეთი საშინელი სურათია ლექსში დახატული. რაც შეეხება მის მხატვრულ ღირებულებას, ლექსი სუსტია, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევადაროთ იგი წყაროს, რის გამოც ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვით დუტუ მეგრელის მთარგმნელობითს წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დუტუ მეგრელს აქვს ნათარგმნი ლუნაჩარსკის პიესა „მეფის დალაქი“. ეს პიესა ლუნაჩარსკიმ 1906 წელს დაწერა ცინეში. აქ ავტორი ხატავს დაღუპვის გზაზე დამდგარ ქვეყანას, რომელსაც სათავეში დესპოტი მონარქი — დაგობერი უდგას. პიესის მოქმედება წარმოებს შორეულ წარსულში, უცხო ქვეყანაში. ლუნაჩარსკიმ ამ პიესაში დახატა რუსეთის მონარქიის სისასტიკე და ამავე დროს მისი ბრყვეული პოლიტიკა.

დუტუ მეგრელმა პიესა თარგმნა 1921 წელს. თარგმანი სუსტია, შეინიშნება უამრავი ორთოგრაფიული შეცდომა. ენა მძიმეა, მოქმედ გმირთა მეტყველება არაბუნებრივი, წინადადებები დახლართული და სტილისტურად გაუმართავია. მთარგმნელი ცდილობს სიტყვისიტყვით თარგმნოს, მაგრამ ხშირად არასწორ შესატყვისებს პოულობს. მაგალითად „Полдюжины молока соев чваних“ — თარგმნის: „ექვსიოდ ამაყ ჰაბუქს“; „добродушно“ — კეთილგანწყობილებით; „Теня ли слышу?“ — ნუთუ შენ გესმის?“ ზოგჯერ თითქოსდა სწორად ნათარგმნი ადგილი კონტექსტისათვის შეუსაბამოა. მაგალითად „მღებავის ფუნჯი“ (кисть маляра) ნათარგმნი აქვს „ყალამი“. „ყალამი“ წინადადებას ამალღებულ ელფერს აძლევს. შეიძლება ვთქვათ „პოეტის ყალამი“, მაგრამ მღებავთან „ყალამი“ ყალბად ეღერს. არაზუსტადაა ნათარგმნი: „массивная чернильница“ მკერივი საწერელი“ (უნდა — მასიური სამელნე) „маляр“ „მღებარი“ (მღებავი), „красками“ „საღებავიანი სათილით“. (საღებავებით).

გვეხდება ქართული ენისათვის უჩვეულო წინადადებები: „თქვენ როგორ გაბატონებულხართ?“ „იმდენად დიდი კაცი ვარ, რომ ვხედავ, ყველა დიდი კაცი მხოლოდ ლაქიაა“. „შენ სიმახვილე არ მოკლებია“. „აი, იცოდე ცოდვა“. „ცოდვაში ჩააგდებს გვირგვინოსან თავს“ და სხვ.

ეს პიესა ქრონოლოგიურად ყველაზე უკანასკნელი ცდაა დუბუ შეგრელის მთარგმნელობისა. 1921 წლისათვის იგი უკვე მოხუცებული და ძლიერ ავადმყოფია. გასაკვირი არაა, რომ ვერ მორეოდა ასეთი დიდი მოცულობისა და რთული ფორმის მქონე თხზულებას, როგორც ლუნაჩარსკის „მეფის დალაქია“.

ამით ამოიწურება დუბუ შეგრელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. როგორც დავინახეთ, პოეტი იშვიათად. მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე თარგმნიდა. თარგმნიდა ხან წარმატებით, ხან მარცხით, ხან საკმაოდ მაღალმხატვრული იყო მისი თარგმანი, ხან კი სუსტი და გაუმართავი. ყველაფერი, რაც მას უთარგმნია, გვიჩვენებს მის დიდ სიყვარულსა და მოწიწებას უცხო ხალხის პოეზიის მიმართ და, მიუხედავად ზოგიერთი მარცხისა, მისი თარგმანები მნიშვნელოვანია, როგორც მცირე წვლილი მოკრძალებული ნიჭიერი ქართველი პოეტისა ქართული თარგმანის ისტორიაში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

პ უ ბ ლ ი კ ა ტ ი ა

შუბარ ბარიბი

მინგანას კოლეჯის კართული შუბარები

Selly Oak-ში (ბირმინგემი)

როცა სინას ქართული ხელნაწერების ჩვენს კატალოგს¹ ვებუდავდით, ლონდონის უნივერსიტეტის School of Oriental and African Studies-ს პირველსორმა ბ²ნმა დ. მ. ლანგმა თავაზიანად მაცნობა, რომ Selly Oak Colleges-ი (ბირმინგემი) ბიბლიოთეკაში დაცულ მინგანას კოლეჯში არის პერგამენტის 8 ფურცელი, რომლებიც ქართულ ხელნაწერებს მიეკუთვნება. ბ³ნი ლანგმა დაგვთანხმდა, გადმოეცა ფოტოპირები, ფურცელთა ნივთიერი აღწერილობა და ორიგინალიდან მის მიერ გადაწერილი ტექსტი. ფოტოპირებისა და ტექსტის შესწავლით დამაჯერებლად დავადგინეთ, რომ ეს ფურცლები ეკუთვნის სინას ქართულ ხელნაწერებს. შევძელით აგრეთვე მათი არსებობისა და წარმოშობის შესახებ მოკლე ცნობები მოგვეცა ჩვენი კატალოგის შესავალში (გვ. 8—9, შეადარე გვ. 66, 291). ახლა გთავაზობთ მინგანას 8 ფურცელს სრულ აღწერილობას დაბეჭდილი ტექსტითა და თარგმანითურთ.

წარმოდგენილი პუბლიკაცია მეტად დავალებულია ჩვენი კოლეჯის ბ⁴ნ ლანგის თავაზიანობით, Selly Oak Colleges-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ კომიტეტის კეთილშობილებით, ბიბლიოთეკარის ქ⁵ნ F. M. Leonard-ის კეთილი სამსახურითა და მინგანას ფონდის მცველის ბ⁶ნ პროფესორ W. D. McHardy-საგან. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისაგან მივიღეთ ძვირფასი ფოტოპირები და ყოველგვარი შეღავათი მათი გამოქვეყნებისათვის. ჩვენი დიდი მადლობა მკითხველის სახელით უდიდეს მადლობას მოვასენებთ Selly Oak-ის ბიბლიოთეკას, აგრეთვე ქ⁷ნ Leonard-ს, ბ⁸ნ McHardy-ს და ბ⁹ნ ლანგს.

როგორც ჩანს, მინგანას კოლეჯში ქართული ფურცლების არსებობა არ იყო ცნობილი ჯერ კიდევ 1954 წლამდე. არქიმანდრიტმა გრ. ფერაძემ 1935 წელს უღლეურ ჟურნალ Georgia-ში აღნიშნა, რომ 1932 წელს, Selly Oak-ში მისი სტუმრობისას, ბიბლიოთეკაში არ იყო არცერთი ქართული ხელნაწერი. პირველად M. Pearson-მა, ლონდონის School of Oriental and African Studies-ს ბიბლიოთეკარმა, თავის ძვირფას პატარა წიგნში, რომელიც დიდ ბრიტანეთში დაცულ აღმოსავლურ ხელნაწერთა კოლექციებს შეეხება, მიუთითა რომ Selly Oak-ში არის ქართული ხელნაწერთა 8 ფრაგმენტი¹⁰.

¹ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 165, სუბსილია 9), Louvain, 1956.

² წინამდებარე პუბლიკაციაში ტექსტების ლათინური თარგმანები გამოტოვებულია (მთ.)

³ Gr. Peradze, Georgian Manuscripts in England, გვ. 88. Georganica, I, 1 (1935 წლის ოქტომბერი), გვ. 80—88.

⁴ J. D. Pearson, Oriental Manuscript Collections in the Libraries of Great Britain and Ireland, L, 1954, გვ. 43.

ეს ფრაგმენტები აღფონს მინგანას († 1937 წლის 5 დეკემბერს)⁵ Edward Cadbury-ს⁶ ხარკით ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს (ძირითადად 1924, 1925 და 1929 წლებში) შეგროვებულ აღმოსავლური ხელნაწერების ნაწილს შეადგენს. ამ კოლექციის გამოქვეყნებულ კატალოგებში მინგანა არსად დაბარაკობს ქართული ფურცლების შესახებ. ამდენად არ ვიცით სად და როდის შეიძინა ისინი⁷. მინგანას ქრისტიანულ არაბულ ხელნაწერებს შორის 40 ფრაგმენტს, რომელთა უმრავლესობა შედგება ერთი ან ორი ფურცლისაგან, აქვს მინგანას მიერ გაკეთებული შენიშვნები. ისინი მიუთითებენ მათ სინურ წარმოშობაზე. ძველი სირიული კოლექციის 628—662 ნომრებიც სინური წარმოშობისაა⁸. მინგანა სწორედ 1929 წ. მოგზაურობის დროს იყო სინაზე და ეგვიპტეში⁹. მაგრამ მინგანას მიერ შეგროვილმა სინას არაბულმა ფრაგმენტებმა წმ. ეკატერინეს მონასტერი 1893 წელზე ადრე დატოვეს, ე. ი. Agnès Smith Lewis და Margaret Dunlop Gibson-ის იქ მისვლამდე¹⁰. რაც შეეხება ქართულ ფურცლებს, აღვნიშნავთ, რომ № 2 1883 წელს ჭერ კიდევ მონასტერში იყო. მაგრამ 1902 წელს უკვე იქ აღარ იყო. № 1 და № 3 ჭერ კიდევ 1883 წლამდე გამოიტანეს წმ. ეკატერინეს ბიბლიოთეკიდან. შეუძლებელია დადგენა, რა ბედი ეწია ფურცლებს დაკარგვის დღიდან მინგანას ხელში მოხვედრამდე.

ყოველი ფურცლის აღწერისას პირველ რიგში მოკლედ ვიძლევიტ დოკუმენტის ძირითად ნიშნებს: ფურცლის ზომას (ნაწერის ზომა ფრჩხილებშია ნაჩვენები), სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობას, დაწერილობის სახეს (ნუსხური ან ასომთავრული), დაწერის ხანას ან თარიღს და შინაარსს.

ლათინურ თარგმანთან ერთად მთლიანად ვაქვეყნებთ ამ 8 ფურცლის ტექსტს. ნაბეჭდი შეესაბამება ორიგინალის სვეტებისა და სტრიქონების განლაგებას. ქართულ ტექსტში ფრჩხილები () ემსახურება ქარაგმის გახსნას. კვადრატული ფრჩხილები [] კი აღნიშნავს პერგამენტის შერყვნის გამო დაკარგულ ნაწილებს, ორმაგი კვადრატული ფრჩხილი [] კი ამოფხევილ ნაწილებს, წყვეტილი კვადრატული ფრჩხილები [] — გაურკვეველ თუ საეჭვო დგილებს.

გამოვიყენეთ შემდეგი შემოკლებანი:

⁵ ნახე D. S. Margoliouth და G. W. Oled'ge-ის შენიშვნა წიგნში: A. Mingana, Catalogue of the Mingana Collection of Manuscripts now in the Possession of the Trustees of the Woodbrooke Settlement, Selly Oak, Birmingham, III, Additional Christian Arabic and Syriac Manuscripts, Cambridge, 1939, V—XII; ნახე რამდენიმე შესწორება J. M. Wostan-ის წერტილში Alphonse Mingana: შესახებ «Catalogue of the Mingana Collection, t. III.» Orientalia Christiana Periodica-ში, 7 (1941), გვ. 514—518.

⁶ ნახე Mingana, Catalogue of the Mingana Collection... II, Cambridge, 1936, გვ. V.

⁷ მინგანა არაღერს ამბობს, სად შეიძინა ეს ხელნაწერები. ნახე Catalogue of the Mingana Collection..., III, Cambridge, 1939, გვ. XXV: „ისევე, როგორც წინა ტომში, ჩემი მიზანი არ ყოფილა ზუსტად განსაზღვრა ბიბლიოთეკისა, ეკლესიისა ან ადრეული კერძო კოლექციისა, საიდანაც ისინი მომდინარეობენ. თუმცა ზოგადად შემძლია ეთქვა, რომ ამ ტომში აღწერილი ხელნაწერები მომდინარეობენ ეგვიპტრიდან, პალესტინიდან, სირიიდან, სინას ნახევარკუნძულიდან. კატალოგში ზუსტად მაქვს გადმოცემული ხელნაწერებში არსებული ყველა მინიშვნება, რომელთაც შეგძლო უთქი მოეთინა მათი (ხელნაწერების) წარმოშობის ისტორიისთვის. ამაზე შორის მე არ წავსუღარ.“

⁸ ნახე იქვე, III, გვ. XXI.

⁹ იქვე, III, გვ. VII.

¹⁰ იქვე, III, გვ. XXI.

ჯავახიშვილი, სინა=ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი). თბილისი, 1947 (ნახე Garitte, Catalogue გვ. 4-5).

Garitte, Calendrier=G. Garitte, Le calendrier palestinogéorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle) (Subsidia Hagiographica, 30), Bruxelles, 1958,

Garitte, Catalogue=G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 155. Subs. 9), Louvain, 1956.

Март, Описание=И. Март, Описание грузинских рукописей Синайского монастыря (Академия наук СССР), Москва-Ленинград, 1948 (ნახე Garitte, Catalogue, გვ. 4-5).

Цагарели, Каталог=A. Цагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря, миссия «Ромос» Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае-с-Мерке-да-მეტეა (Правосл. Палестин. Сборник, IV, 1), С-Петербург, 1888, გვ. 139-240 (ნახე Garitte, Catalogue, გვ. 3-4).

მინგანა ქართული 1

ეტრატის ფურცელი, 180×130 მმ. (135×85 მმ), 1 სვეტი, 16 სტრიქონი, ნუსხური, დაახლოებით X საუკუნე, სათაურები სინგურით, ლოცვანი.

ტექსტის ზომა, განლაგება და დაწერილობა სინის ქართული № 66 ხელნაწერის¹¹, ლოცვანთა კრებულის, პირველი 16 ფურცლის იდენტურია. ეს ხელნაწერი დასაწყისში დაზიანებულია. მის პირველ ფურცელს რეკტოს ზედა არშიაზე აქვს აღნიშვნა ბ—2. მინგანა 1 ფურცლის რეკტოს ზედა არშიაზე მოჩანს აღნიშვნა ა—1. ე. ი. საქმე გვაქვს № 66 ხელნაწერის პირველ ფურცელთან. ეს ხელნაწერი 1883 წ. აღწერა ცაგარელმა (37-ე ნომრით). მაშინ იგი შედგებოდა 137 ფურცლისაგან (ნაცულად 133-ისა, რაც 1902 წელს მარმა ნახა). მაგრამ უკვე დაზიანებული იყო თავსა და ბოლოში¹².

recto

o

ლ(ო)ცე(ა)ჲ ქრისტეანეობისა

რ(ომე)ლ თვთ დანერგულ და თვთ აღორ-

ძინებულ: ღ(მერთ)ო რ(ომელმა)ნ პირველ ყოფამდე

კაცისაჲ ძალი საქმეთა მისთაჲ

5 უწყოდე: აკურთხე ყრმაჲ ესე მო-

ნაჲ შენი ს(ა)ხ(ე)ლ(ა)დ რ(ამთ)ა ეწოდოს თაყუა-

ნის მცემელად ს(ა)ხ(ე)ლისა შე(ე)ნისა და ყ-

¹¹ ნახე Март, Описание, გვ. 152—162; მართან X სურათი 24r ფურცლის რეპროდუქცია (დაწერილობა ამ ფურცლისა განსხვავდება 1—16 ფურცლებისა და აგრეთვე მინგანა ქართული 1 დაწერილობისაგან). ხელნაწერში ამჟამად არ არის ფურცლები 2—7. ისინი ეპოკეთ სინ. ქაზ. № 18 ნუსხაში ჩართული.

¹² ნახე Цагарели, Каталог, გვ. 212—213, Март, Описание, გვ. 152.

- ავ ესე ცხოვრად: აღნიშულად
 კარვისა შ(ე)ნისა: და მოიყვანე ესე სა-
 10 ზომსა ყ(ოვე)ლისა სისრულისასა: გან-
 მზადე: წყალთა ზ(ელ)ა განსასუნე-
 ბელთასა უქრწნელისა ნათლის
 ლებისა შენისაჲთა: განაპოხე: ზეთი-
 თა თავი ამისი წ(მი)დითა საცხებ-
 15 ლითა შენითა: განმზადე წ(ინაშ)ე ამის-
 სა ტაბლაჲ: მიღებად შესაძრ-

2. რ „ალორ“-ში სტრიქონს ზეითაჲ.—6. „სხლდ“ სინგურითა; ა „თაყუა“-ში სტრიქონს ზეითაჲ.—13. ი „ზეთი“-ში სტრიქონს ზეითაჲ.

verso

- წუნებელი საიდუმლოჲ შენი და
 ყ(ოვე)ლი ცხოვრებაჲ ამისი: დაიციეჲ ქუე-
 შე კელსა შენსა: რ(აჲთ)ა იყოს კ(უ)რთხ(ე)ულ:
 და მარჯვენით: შეკრებულთა შენთა
 5 დაიმკვდროს: ს(ა)ს(უ)ფევე(ე)ლი შ(ე)ნი: რ(ომე)ლ გა-
 ნუმზადე უწინარეს ს(ო)ფლის და-
 ბადებისა: მოყუარეთა შ(ე)ნთა
 და შ(ე)ნდა დიდებასა: შ(ე)სწ(ო)რ(ა)ეთ მ(ა)მისა
 და ძისა და წ(მი)დისა ს(უ)ლისა აწ და მ(არად)ის და
 10 ო(ვ)კ(უნი)თი ო(ვ)კ(უნი)საძღე ა(მე)ნ: ლ(ო)ცე(ა)ჲ ქრ || ...
 შ(ე)ნ ო(ვფალ)ო ლ(მერ)თო ჰეშმარიტებისაო: მამა-
 ო და მომავლინებელი: ო(ვფლ)ისა ჩ(უე)ნისა
 ი(ეს)ოჲ კ(რისტ)ესო ლ(მერ)თო აბრაამისო ისაკისო
 და იაკობისო ლ(მერ)თო მოწყალეო და
 15 შემწყნარებელი და ფ(რია)დ შემწყნარე-
 ბელი ლ(მერ)თო ჩ(უე)ნო

10. ასომთავრული წითელი ასოები; ბოლო ამოხეცილია.--13. ო „ისაკისო“-ში სტრიქონს ზეითაჲ.

მინგანა ქართული 2

ეტრატის ფურცელი, 245×198 მმ (200×150 მმ), 2 სვეტი, თითოეულში 20 სტრიქონი, ასომთავრული, IX—X საუკუნე. უკანასკნელი ფურცელი ანდერძითურთ ეფრემ ასურის თხზულებათა ხელნაწერისა.

ეს ხელნაწერია სინ. ქართ. 97, ეფრემის თხზულებათა კრებული, რომლის ზომა, ტექსტის განლაგება და დაწერილობა იდენტურია მინგანა ქართული 2-ისა (იხ. Garitte, Catalogue, გვ. 282—292). ხელნაწერი 97 ახლა 34 რვეულის უკანასკნელი ფურცლით მთავრდება (ფ. 272). მინგანა 2-ის ფურცელს კი რეკტოზე აქვს აღნიშვნა 36. ე. ი. № 97 ხელნაწერის ახლანდელ უკანასკნელ ფურცელსა და მინგანა ქართ. 2-ის ფურცელს შორის აკლია ერთი რვეული (№ 35).

ეს ფურცელი № 97 ხელნაწერის კუთვნილება იყო ჯერ კიდევ 1883 წელს, როცა იგი ცაგარელმა ნახა (იხ. Ц а г а р е л и, Каталог, გვ. 231, № 78), მაგრამ უკვე დაკარგული იყო 1902 წელს, სინაზე მარისა და ჭავჭავიშვილის ჩასვლის დროს (იხ. ჭავჭავიშვილი, სინა, გვ. 137—138. როცა ის ჭავჭავიშვილმა აღწერა, ხელნაწერი შეიცავდა 34 რვეულს და 272 ფურცელს, როგორც დღეს).

Sin. ქართ. 97 ხელნაწერის ანდერძი, რომელიც ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული მოკლე ნაწყვეტით არის ცნობილი, სრული სახით აღდგენილა მინგანას ფურცლის საშუალებით. იგი ადასტურებს, რომ ხელნაწერი გადაწერა გიორგი ტყელელმა საბაწმინდის მონასტერში.

recto

- | | |
|--|---|
| მტერსა მას ბოროტსა. | ღირს ვიქმენ მე გლახაკი და ც(ო)დვ(ი)ლი |
| ხ(ოლო) ჩ(უენ) მორწმონენი მიეგებოდეთ ო(ვფალ)სა | გ(იორგი) ტყელელი დაწერად წ(მი)დ(ა)სა ამას წიგნსა მ(ა)მისა ჩ(უენ)ისა |
| 5 ანგელ(ოზ)თა თანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სოვლსა წ(მი)დ(ა)სა. აწ და | ეფრემისსა: ლავრასა შ(ი)ნა დიდსა მ(ა)მისა ჩ(უენ)ისა ს(ა)ბ(ა)ძსა: |
| 10 მარადის: და ოკ(ოვნი)თი ოკ(ოვნისამ)დევ: ა(მენ): | ვინ ამათ წიგნთა იმსახოვრებდეთ ლ(ო)ცვასა მომიკსენეთ ც(ო)დვ(ი)ლი ესე და ს(ო)ვლიერი ძმავ ჩემი ილარიონ: |
| სახელითა მ(ა)მის(ა)ათა და ძისათა და ს(ო)ვლისა | და თქ(ოვენ) ქ(რისტემ)ან შეგიწყალენინ მკითხველნი ლ(ო)ცვითა ყ(ოველ)თა წ(მი)დ(ა)თა მისთათა |
| 15 წ(მი)დის(ა)ათა: და მეოხებითა წ(მი)დისა ლ(მრ)თისმშობელის(ა)ათა და წ(მი)დისა მ(ა)მისა ჩ(უენ)ისა საბაძისათა და | ა(მენ): ა(მენ): ა(მენ): ლ(ო)ც(ვა) ყ(ა)ეთ |
| 20 ყ(ოველ)თა წ(მი)დ(ა)თა [მ(ა)მთ(ა)ათა | |

20. „ლც ყთ“ განსხეავებული ხელით (იოანე-ზოსიმესი).

verso

ცარიელია. იქ იკითხება მხოლოდ არაბული მინაწერი, დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე¹³.

دفتر ذو من قول افام
محرور من يخرج من طور سينا

მინგანა ქართული 3

ეტრატის ფურცელი, 145×110 მმ (120×90 მმ), 1 სვეტი, 17 სტრიქონი, ნუსხური, დაახლოებით X საუკუნე. „წმ. მაკარის პირველი ეპისტოლეს“ ფრაგმენტი.

ფურცელი დაზიანებულია. რექტოზე სტრიქონების დასაწყისი წაშლილია ისევე, როგორც 12—17 სტრიქონების ბოლოები. რექტოს გვერდი ალაგ-ალაგ გადაშლილია და შუაში გაჭუჭყიანებული.

¹³ ეს მინაწერი ჰგავს იმ მინაწერებს, რომელიც სინანუქართულ მრავალრიცხოვან ხელნაწერებშია (იხ. G a r i t t e, Catalogue, გვ. 23, 49, 71, 97 და ა.შ.).

დაწერილობა — ძალიან თავისებური ფორმის ნუსხური. მისი განსაკუთრებული დეტუსი საშუალებას გვაძლევს გაეაიგივოთ ის უშუალოდ სინ. ქართ. 25 ნუსხის (ძირითადად ასკეტური ტექსტების კრებულის) დაწერილობასთან (შეადარე ჩვენ მიერ Muséeon-ში 64, 1951 წ. გამოქვეყნებულ ამ ხელნაწერის 73-ს რეპროდუქციას, 274 და 275 გვერდებს შორის).

ხელნაწერი სინ. 25 ამჟამად დაზიანებულია თავსა და ბოლოში. ასევე იყო 1883 წელსაც. როგორც ჩანს, თავში დაკარგულია ორი რვეული (Garitte, Catalogue, გვ. 65—66). ამჟამად ითვლის 213 ფურცელს. ეს იგივე 213 ფურცელია, რომელიც ნახა ცაგარელმა 1883 წელს (Каталог, გვ. 228—229). თუ ცაგარის ჩვენება ზუსტია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფურცელი მინგანა J ამოღებულია ხელნაწერიდან 1883 წლამდე.

რადგან სინ. ქართ. 25 ხელნაწერის ახლანდელი პირველი ფურცლის რექტო იწყება თავნაკული „ეპისტოლეით“, შეიძლება გვევარაუდო, რომ მინგანა 3 ფურცელი ეკუთვნის მაკარის ეპისტოლეს იმ ნაწილს, რაც აკლია სინ. ქართ. 25-ს. ამ პიპოთეზის დასამტკიცებლად, რაკი არ იყო „ეპისტოლე“ ქართულად გამოქვეყნებული და, სხვათა შორის, არც ერთ სხვა ენაზე ცნობილი, მივმართეთ სინ. ქართ. 35 ნუსხას, სადაც ეპისტოლე სრულად იყო შენახული (ფგ. 94r—108va. იხ. Garitte, Catalogue, გვ. 111—112). პიპოთეზა დამტკიცებულია: მინგანა 3-ის ტექსტი ემთხვევა „მაკარის ეპისტოლეს“ იმ ნაწილს, რომელიც იკითხება სინ. ქართ. 35 ნუსხაში, ფ. 96v, მეორე სვეტა, სტრიქონი 3—97r-მდე, პირველი სვეტი, სტრიქონი 12. ამ იდენტურობამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა მინგანა 3-ის ნაკლები სტრიქონები და დაგვეზუსტებინა გაურკვეველი ნაწყვეტების რაობა. გარდა ამისა, იგივეობა გვიჩვენებს, რომ ფურცლის რექტო ის მხარეა, სადაც „მინდორი“ დატოვებულია მარჯვნივ და არა ის მხარე, სადაც არის აღნიშვნა — მინგანა ქართული 3.

„მაკარის ეპისტოლეს“ ტექსტი, რომელიც ვრცელდება მინგანას ფრაგმენტის დასასრულიდან სინ. ქართ. 25-ის ახლანდელ დასაწყისამდე, ემთხვევა სინ. ქართ. 35 ნუსხის დაახლოებით 350 სტრიქონს (ფ. 97r, პირველი სვეტი, სტრიქონი 12, ვიდრე 100r. პირველი სვეტი, სტრიქონი 7. ნუსხა 35 დაწერილია ორ სვეტად; თითოეულ სვეტში 27-დან 30-მდე სტრიქონია). რადგან მინგანას ტექსტის სტრიქონთა რაოდენობა ემთხვევა ნუსხა 35-ის 38 სტრიქონს, სავარაუდოა, რომ 9 ფურცელი (350:38) მოთავსებული იყო მინგანას ფურცელსა და სინ. ქართ. 25-ის ახლანდელ პირველ ფურცელს შორის.

აი მინგანას ფურცლის ტექსტი დაზუსტებული სინ. ქართ. 35 ნუსხის დახარებით. ასო S აღნიშნავს ამ უკანასკნელ ხელნაწერს.

recto

- [] და უზრუნველ იქ-
 [მნენით მ(ა)თ გ(ა)]ნ რ(ამმეთუ) ყ(ოველი) სიტკობებაჲ
 [ამათი მაშინ] სცნათ ოდეს ჰყოფდეთ
 [რაჲ იგი მათ გ]არგუნ თქ(უენ) უკუეთუ სმე-
 5 [ნით ხ(ოლო) ისმენდეთ მათ რ(ამმეთუ) ყ(ოველი) სარგებ[ე]-
 [ლი მაშინ] გეყოს უკუეთუ იმარხე-
 [იდეთ] გამცნებ თქ(უენ) ივლტოდეთ
 [მისი]სა გან რ(ომე)ლი შეაგინებდეს გ(უ)ლთა
 [თქ(უენ)თა მრავალნი არიან ამათ ყ(ა)მ-

- 10 [თ]ა მგელნი და [ჰნ]ებავს ცხოართა მ-
 [ა]თ განხეთქა [ღ] უსუსურთა „გონ“-
 [ებით]ა: ვ(ითარც)ა სულმან წ(მიდამა)ნ წ(ინაჲს)წ(ა)რ[ა]თქ(უ)ა
 ვ(ითარმე)ღ
 [გარდაი]ქცენ ცხოარნი მ[გ]ელად ამი[ს] თუის ვ(ითარც)ა
 [ვ]ინ იწუოს თქ(უე)ნ[თა გ(ან)] ძუირო[ს სიტ-]
 15 [ყუა]დ ივლტო[ღ]ეთქ მის გან (რადთ)ა [არა]
 [შეიწ] [უ]სეთ [ალი]თა მით ცეცხ[ლისა]
 [მისისაჲთა] დაღათუ [ქძ] [ლი-]
 4. [გ]არგუნ, გრქ[ნ]; S. დაქარავმებულა (=გრქუნ?).—13. ა [გარდა]ში სტრიენ
 ზეითაა.

verso

- ოს ვინმე ერთგზის [ძკრის სიტყუა-]
 დ ძმისა მიმართ თუ[ინ]ისა სხუაჲ ნუ-]
 ლარა ვინ აზრზენს რ(ადთ)ა¹ [არა ღართოს]
 შეშაჲ აღსა ზ(ედ)ა მისსა და¹ლ[ათუ ვისმე]
 5 ესმეს სიტყუაჲ ბოროტი [მოყუსისა]
 თუის გარდაქციენ იგი¹კ[ეთილსა სიტ-]
 ყუად და იტყოდენ იგი სიტყუა¹ს¹[ა მშვდო-]
 ბისასა ვ(იდრემლი)ს დამშვიდნენ იგინი ურ¹თ[იერ-]
 თას რ(ად)თა ნეტარებაჲ იგი მაცხორო[სა-]
 10 ა აღესსრულოს მის ზ(ედ)ა რ(ომე)ლსა იტყუი[ს]
 ნეტარ იყვნენ მშვდობისყოფე[ლნი]
 რ(ად)ეთუ იგი¹ნი¹ ძედ ლ(მრ)თისა იწოდნენ და აწ[იცა]
 [შვილ]ნი ჩემნი საყუარელნი შე¹რ[ად-]
 [ჰკრბ]ეთ ურთიერთას ეტყოდეთ ¹თ[ავ-]
 15 [თა] თუისთა სიტკბოებ¹ასა მას¹ღ[რ(მრ)თის(ა)-]
 [სა დ]ა სიმკნესა მას წმიდა¹თ¹ასა [და ნუ]
 [იტყ]უიეთ სიტყუასა [მას ბო]რ[ოტსა]
 10. აღესსრულოს sic.—Post რ(ო)მელსა, S დამატებული „იგი“.

მინგანა ქართული 4

ეტრატის ფურცელი, 152×120 მმ (125×85 მმ), 1 სვეტი, 14 სტრიქონ-
 ნუსხური, X საუკუნე. ჰომილია?

ხელის მიხედვით ადვილად შეიცნობა კარგად ცნობილი სინელი გადამწ-
 რი იოანე-ზოსიმე (იხ. ქვემოთ №№ 6, 7 და 8), რომელმაც მე-10 საუკუნის მე-
 რე ნახევარში (უფრო ზუსტად, 973—986 წლებში) გადაწერა, შეავსო თუ ად-
 დგინა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა მთელი წყება (იხ. Garitte
 გვ. 15—16, აგრეთვე, Catalogue, გვ. 306). ჩვენ ვერ შევძელით სინას ხელ-
 ნაწერთა შორის გვეპოვნა ის ხელნაწერი. რომელსაც ფურცელი მინგანა 4 ბ
 ეკუთვნება. ალბათ საქმე გვაქვს დაკარგულ ხელნაწერთან (იხ. Garitte
 Catalogue, გვ. 9—11).

ტექსტი ქრისტოლოგიური ჰომილიის ფრაგმენტს ჰგავს.

Կրտս Եւրոպայի մասն Կրտսն
ստորագրեալ ընկն: Եւրոպայի Կրտսն
Կրտսն Կրտսն: Եւրոպայի Կրտսն:

Եւրոպայի մասն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Եւրոպայի մասն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն

Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն

Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն
Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն Կրտսն

uclapiti dnyphun qh'v
 Nidw'le: dide: iboi auqf
 ne: rke: rphc: h'ch h'q'n' l' d'v
 n'p'c' d' r'w'be: v'c: d'v' l'v: r'c: d'
 n' l'v' d'v' l'v' r'p'q'w'f' d' q'v' d'v' u'v' r'
 d'v' u'v' l'v' r'c: d'v' r'c: d'v' r'p'q'v' h' r'v' e'
 q'w'f'c: d' v' d'v' r'p'q'v' u'v' h' r'v' l'v' r'p'q'v' c'
 y' l'v' e'be: n' l'v' d'v' d'v' r'p'q'v' h' r'v' h' u'v' l'v' e'
 v'v' c' l'v' d'v' r'c: h' r'p'q'v' d'v' r'v' d'v' r'p'q'v' d'v' r'v' e'
 d'v' r'v' l'v' l'v' u'v' r'p'q'v' l'v' d'v' l'v' e' d'v' e' d'v' r'v' l'v' e'
 h' r'p'q'v' e' h' r'p'q'v' h' r'v' d'v' r'p'q'v' e' u'v' l'v' e' q'v' e' d'v' q'v' e' q'v'
 r'v' d'v' h' r'v' n'v' l'v' e' r'p'q'v' h' r'v' d'v' r'v' e' l'v' e'
 v'v' e' r'p'q'v' d'v' h' r'v' l'v' e' q'v' e' d'v' h' r'v' e' h' u'v' q'v' e'
 r'v' u'v' l'v' e' h' r'v' e' l'v' e' h' r'p'q'v' e' h' r'v' e' d'v' r'v' e'
 u'v' l'v' e' e' r'v' l'v' e' q'v' e' h' r'v' e' u'v' l'v' e' d'v' e' l'v' e' r'
 r'v' l'v' e' q'v' e' h' r'v' e' l'v' e' d'v' e' h' r'v' e' h' r'v' e' l'v' e' e'
 h' r'v' e' l'v' e' q'v' e' h' r'v' e' l'v' e' h' r'v' e' l'v' e' e'

Handwritten text in a cursive script, possibly a letter or a list of items. The text is heavily obscured by noise and artifacts, making it largely illegible. Some faint words like "The" and "of" are visible at the top.

Handwritten text, possibly a signature or a name, located in the middle of the page. It is also obscured by noise and artifacts.

Handwritten text, possibly a date or a reference number, located at the bottom of the page. It is also obscured by noise and artifacts.

recto

- მეტყუელი და გონიერი შეურევნელად და შეუშფოთებელად და განუშორებელად :
- 5 თქმულ არს გუამოვნად: რ(ამეთუ) არა თუ პირველ კაცისა დაბადებისა შეგრაო სიტყუაჲ ლ(მრ)თისაჲ
- 10 ა(რამე)დ იგი ყ(ოვე)ლი სრულებით იყო თუთებასა შინა თუსსა და სრულებით მოილო კაცებაჲ იგი თუსი გუამითა თ-
10. ა „სრულებათ“-ში სტრიქონს ზეითა.

verso

- სითა და იქმნა ერთი ქ(რისტ)მ სამარადისოჲ მშ: და ლ(მერ)თი და მეუფმ ყ(ოვ)ლისაჲ: და იშვა სძლისა გან უქორწინებელისა რ(ომე)ლი იყო თესლისა გან დავითისა და აბრაჰამისა ჰეშმარიტად
- 10 და არა საუცრად ლ(მერ)თი ჰეშმარიტი საშოსა შინა იტვრთა: ამის თეს ჰეშმარიტად თვნიერ ცილობისა

მინგანა ქართული 5

ეტრატის ფურცელი, 192×155 მმ (150×92 მმ), 1 სვეტი, ნუსხური, 11 სტრიქონი + 3 სტრიქონი სხვა ხელით დაწერილი + 2 სტრიქონი არაბულად. verso ცარიელია. XI საუკუნე? ქრონოლოგია (პასქალია).

სინური წარმოშობის ფურცელია, როგორც ამას არაბული მინაწერი მიუჩიებს. კოდექსი, რომლისგანაცაა იგი მოცილებული, უეჭველად არის სინ. ქართ. 12 (ვაგარლის 35). ლიტურგიკული ხელნაწერი, რომელიც ზომით იდენტურია მინგანა 5-ისა (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინა, გვ. 31—32; Ц а г а р е л и, Каталог, გვ. 211, № 35). ამ ხელნაწერის უკანასკნელი ნაწილი (ფფ. 286v—301v) შეიცავს 532-წლიანი სააღდგომო ციკლის ტაბულას (ფფ. 286v—300v, სტრიქონი 1). თან ახლავს „უამთა და წელთა განსაზღვრებაჲ“ (ფფ. 300v—301v). 300v—301v ფურცლების დაწერილობა იგივეა. რაც მინგანა 5 ფრაგმენტისა. გარდა ამისა, სააღდგომო ცხრილის საგანგებო დაგრაფვა (19 ჰორიზონტალური სტრიქონი და 9 ვერტიკალური სვეტი) გრძელდება 300v—301v-

მდე და გვხვდება მინგანას ფურცელზეც. ხელნაწერი სინ. ქართ. 12 დაზიანებულია თავსა და ბოლოში. მინგანა 5-ის წინა ფურცელი სინ. 12 ხელნაწერი აღარ არის. მინგანა 5 ალბათ ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელია, რადგან მისი ვერსო ცარიელია.

recto

ნოებერი ლ დღ(ი)სსაძიებელი გ
დეკემბერი ლა დღისსაძიებელი
ე: თუ გინდეს ცნობაა დღის-
საა იპყრენ დღენი თუისანი და

5 დაორთე :ზ: ული მის წლისაა
და დღისსაძიებელი მის თუისაა
და :ზ:ულად გაუტევე და რა-
ა დაგრჩეს იგი იყოს დღეა:
ესეა :ზ:ული: ა ბ გ ე ვ ზ:

10 ა გ დ ე ვ ა ბ გ დ ვ ზ ა: ბ დ ე
ვ ზ ბ გ დ ზ: დ(იდე)ბ(ა)ა შ(ენ)და ქ(რისტე)ე ძეო ლ(მრ)თ(ი)ს(ა)ო
მას წელი ოდეს გ(ა)მოვედ ნყრპდ
ფ(ე)ბრ(ე)ვ(ა)ლსა იე: მარხეაა დ(ა)დგა
აპრილსა კგ ხოსებ(ა)ა იყო

15

• • •

محروم من يخرجہ من طور سینا

12—14 ე.ნსხველებული ხელით.

1—11 სტრიქონები შეიცავს „უამთა და წელთა განსაზღვრებაას“ დასა-
რულს. ტრაქტატი იწყება სინ. ქართ. 12 ხელნაწერის 300v-ზე (ამ სტრიქონი.
შინაარსი თითქმის სიტყუასიტყვით მისდევს მ. ბროსეს მიერ X საუკუნის ტ-
შენდორფისეული სინური ხელნაწერის ანალოგიურ ტექსტს)¹⁴. პირველი სს-
